



ჩვენი მხედრობა


გამოდის თვეში ორჯერ პარასკევით

ფასი 1,50 ლარი

27 ივნისი 2014

№ 13 (221)

ექსპედიცია არტანში
 გია ხოფერიას მოთხრობა
 მამუკა ნიკლაურის ლექსები
 ამირან არაბულის ჩანაწერები
 ინტერვიუ მანანა დოიჯაშვილთან
 ვასილ კიკნაძე ვიქტორ გაბესკირიაზე
 ატლანტისის საიდუმლო ანუ ევროპის დაბადება
 შელის ჰიმნი ინტელექტუალურ სილამაზეს
 ფიცჯერალდის კომიკური ამბავი
 საუბარი თენგიზ არჩვაძესთან
 სევარიონ ნადირაძის ლირიკა
 თემურ გაბუნია მარკ ტვენზე
 რა არის ბედნიერება?



შინაარსი

განთიადიდან განთიადამდე	2	როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ
უკველს ბილიკაზა	5	პაატა იაკაშვილი ატლანტიდის სანიღუმლო ანუ ევროპის დაბადება (ლეგენდის პროქართველური საფუძველი)
მსხარე-ინტერვიუ	10	მანანა დოიჯაშვილი „სხვა შენ არ არსებობს“ (მოამზადა მაკა ჯაფარიძემ)
პროზა	11	გია ხოფერია მეზობლის ჭადარი
პოეზია	18	მამუკა ნიკლაური ჯადოსნური ხალიჩა და სხვა ლექსები
	20	სევარიონ ნადირაძე სამიზნე და სხვა ლექსები
ჩანახატი	23	ინა არჩუაშვილი შემობრუნება (ციკლიდან „ჰანას დღეები“)
	24	ამინ არ-რეიჰანი რა არის ბედნიერება?
ესეისტიკა	24	თემურ გაბუნია დიდი ამერიკული რომანი
კლასიკური მემკვიდრეობა	26	ვიქტორ გაბესკირია ხოსბები
მომოწებათა სივრდი	30	ვასილ კიკნაძე მართალი კაცის გზა (ვიქტორ გაბესკირიას დრამატურგიული ღვანლი)
ლიტერატურული პორტრეტები	32	ლელა ჯიყაშვილი სამზომოსკენ... (საუბარი თენგიზ არჩვაძესთან)
ღიალოგი	35	გია ჯოხაძე „რეალობა უავგუსტისი...“
შტრიხები პორტრეტისათვის	37	დოდონა კიზირია ერთ თავგადასავალს ნობილვებით...
სად წაიყვან სადაურსა	38	„ნიგბობრეთ ჩვენს თეატრთან“ (ნათია საზანდრიშვილსა და ნათია ტერტერაშვილს ესაუბრება სოსო ნემსაძე)
ინტერვიუ	41	იოსებ ჭუმბურიძე „არ მინდა სარკე, ვერ ჩავინახავ“...
თეატრალური სინახანი	42	ნინო დეკანოიძე ფარიცვალების ბინდისფარ მოლოდინში
რეპორაჟი	45	2014 წლის 1-10 მაისის ქსკადიციარტანში
წუთები და წლები	48	ელგუჯა თავბერიძე „...ჭირიცა შევიწყნაროთა“
გამომავარება	52	თამარ შაიშველაშვილი დიმიტრი ყიფინაშა უნდა გავგაერთიანოს
დაუვიწყარი სახელები	53	ლადო მინაშვილი პოეტის დაბრუნება საკუთარ თავთან
ახალი წიგნები	54	იასე ჯორჯაძე სკოლიდან სკოლაში, სასახლიდან ქუთაისამდე
საქართველოს გზაგზა	55	სოფიკო ჯერვალიძე „მთებს კვეთენ შენი ნაფხურები...“
სილუატი	57	ამირან არაბული სულუქცივრად საკითხავნი
ფიქრი და განსჯა	59	პერსი ბიში შელი ჰიმინი ინტელექტუალური სილამაზისადმი
პოეზიის მერიდიანები	67	პაატა ჩხეიძე პერსი ბიში შელი სულიერების გზაჯვარადინება
პირველი შთაბეჭდილება	68	ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი კომიკური ამბავი მხატვრის სახელოსნოში
უსხიური ნოველა	68	თავგადასავალი ნორვეგიელი რაინდისა
ამ მთისა და იმ ბარისა	71	



ორკვირული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 11 ივლისს

დაარსებულია
ომეგა ჯგუფის მიერ
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში
ომეგა თეკი

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,
თბილისი საქართველო
ტელ: 00 995 32 53 12 77
ფაქსი: 00 995 32 53 08 33
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მაკა ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დეკანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ივანე ჯაფარიძე (უშგული, 2007 წელი)
გიორგი დვალაშვილის ფოტოგრაფიული

როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

ჭაშმარიტება — ბავშვის ბავშვით

(გასაღები ზოია ფირზადის მხატვრული სამყაროსათვის)

ბავშვებს სკოლაში ყოველწლიურად აწვინებენ თხზულებას: „ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“.

სამშობლო — სომხეთია.

და ამ ყმანვლებს მოვალეობა იმით განსაზღვრულა, კარგად ისწავლონ სომხური ენა, ახსოვდეთ, რა ეროვნებისანი არიან, ილოცონ და ღმერთს სომხეთის თავისუფლება და აყვავება შესთხოვონ.

სამშობლოს წინაშე მოვალეობა ანკი სხვა რა უნდა იყოს?!

მაგრამ ისინი ხომ... ირანში ცხოვრობენ.

არადა, ერთად დასახლებულან აქ ჩამოსული სომხები, მისვლა-მოსვლა თითქმის მხოლოდ ერთმანეთთან აქვთ; მეზობლები, თანამშრომლები, მეგობრები — ყველანი სომხები არიან; სომეხ მოახალშენეთა მიერ აგებული სომხური სკოლისათვის, სადაც მათივე შვილები სწავლობენ, სახელმძღვანელოები სომხეთიდან ჩამოაქვთ; და რადიოც გამუდმებით სომხეთის ტალღაზეა მომართული.

შეხიზენიან, შეკედლებიან ირანს, რაკილა იმათ მხრივ თანაგრძნობა, კეთილგანწყობა, თანადგომა უპოვნიათ, გალაღებულან, ძალ-ღონე მოუკრებიან და საკმაოდ მტკიცედაც გრძნობენ თავს.

სამშობლოდ ხომ მაინც სომხეთს აღიარებენ?

დასაძრახი აქ თითქოს რა უნდა იყოს — თუკი შეგიხიზნეს, ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ეროვნული თვითმყოფადობა წაგართვან და შეგირწყან. ეს რაღა შეკედლება იქნება, რაღა თანაგრძნობისა და თანადგომის გამოჩენა მასპინძელთა მხრიდან, თუ გაგინყვეტენ სამშობლოსთან დამაკავშირებელ ძაფებს.

და მამ ბავშვებისათვის ამ დავალების მიცემა სასკოლო თხზულებად — „ჩემი მოვალეობა სამშობლოს წინაშე“ — ყოველმხრივ გამართლებულია მათში ეროვნული თვითშეგნების ამთავითვე განსამტკიცებლად.

მაგრამ...

მაგრამ ის, რომ ირანს არამცთუ მეორე სამშობლოდ არ აღიარებენ, არამცთუ მათ მფარველობას არა სცნობენ, არამედ მათ ლოცვებში სადღაც კუნჭულშიც კი არა რჩება ადგილი ირანისათვის.

ის მათ თვალთახედვაში... საერთოდ არც არსებობს.

და როდესაც ასე საუბრობს ორი მამაკაცი:


— ჩვენ მათ პრობლემებში რატომ უნდა ჩავერიოთ?

— როგორ თუ რატომ, ირანელები ვართ თუ არა?

— სომხები ვართ თუ არა?

ეს საუბარი ძალდაუტანებლად განზოგადდება და ხელმე-სახებად ადასტურებს, რომ სომხეთა უმრავლესობა თავს სომხად ირანელებს შორის, სომხად ირანში კი არ აღიქვამს, არამედ... სომხად სომხეთში, თავისთავად სომხად, ყველასა და ყველაფრისაგან დამოუკიდებლად.

ეს პრობლემა, რომელიც ასერიგად გამოკვეთილა ირანის სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებაში, ყველაზე კანთიელად და რელიეფურად წარმოსახებოდა ზოია ფირზადის პროზაში, მწერალი ქალისა, ვინც მამით კი ირანელია, მაგრამ დედით სომეხი და ამიტომაც როგორც გარედან, ასევე შიგნიდან ხედავს სომხურ ოჯახში დამკვიდრებულ ადათ-წესებს.



და არც არავითარ მიკერძობას არ იჩენს ან ერთი ან მეორე მხრივ და სრული პირუთვნელობით წარმოაჩენს ზოგად სურათს სომხური ახალშენისა თეირანული პანორამის შთამბეჭდავ ფონზე.

ზოია ფირზადის რომანი „შივეგუებით“ და მოთხრობები („აღდგომამდე ერთი დღე რჩება“, „ყვავილები გადასაფარებლის შუაგულში“, „ლაქები“ და „პერლაშვი“) ხელმისაწვდომია ქართველი მკითხველისთვისაც მზია ბურჯანაძისა და თეა შურლიას მეოხებითა და გამომცემლობა „დიოგენეს“ თანადგომით, და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რას ნიშნავს თანამედროვე ირანული პროზა დასავლური ლიტერატურული წრისათვის — შორეულიც, ეგზოტიკურიც და თავისებურიც, მაგრამ ამავედროულად — მახლობელიც, სწორედაც მახლობელი, რაკილა ირანელ მწერლებს საერთოდ და ზოია ფირზადს კერძოდ მარჯვედ აუთვისებიათ და საკუთარ სულიერ ქურაში გამოუტარებიათ ევროპული ბელეტრისტიკის მიღწევანი, თანამედროვე ლიტერატურული სკოლები და არც ეროვნულ თვითმყოფადობას კარგავენ და დასავლურ სამწერლო პროცესებსაც კვალდაკვალ მიჰყვებიან.

ეს ნიგნი კი მთარგმნელთა მესამე საერთო კრებული აღმოჩნდებოდა.

პირველი გახლდათ გოლი თარაყის მოთხრობების კრებული „სახლი ზეცაში“;

და მეორე — სხვადასხვა ირანელი მწერლის „თოთხმეტი სევდიანი ამბავი“.

ერთობლივად თარგმნა თავიდან სულაც არ ჰქონიათ გადამწყვეტილი და თავისთავად მოხდებოდა ლიტერატურული გემოვნებისა და ინტერესთა თანხვედრა — და როდესაც სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში გაბნეული, მათ მიერ დამოუკიდებლად თარგმნილი თხზულებანი გარკვეულ რაოდენობას მიაღწევდა, ძალდაუტანებლად გამოიკვეთებოდა ეს საერთო ინტერესებიც და ამ თხზულებათა ერთად გამოცემის სურვილიც.

ეს თანამშრომლობა კი, უდავოდ წარმატებული, გაუჩნდათ სწრაფვას, ამჯერად უკვე შეთანხმების კვალობაზე მოეკიდათ ხელი, ვთქვათ, ზოია ფირზადის ამტყვევლებისათვის ქართულად.

გაინანილებდნენ და ცალ-ცალკე შექმნიდნენ ამ თხზულებათა ქართულ ორეულებს, რათა შემდგომ ერთ გარეკანში მოექციათ.

ხოლო შესავალ სტატიას ერთობლივად მოამზადებდნენ და ირანელი მწერლის ფსიქოლოგიური პორტრეტის ყველაზე კოლორიტულ შტრიხებსაც მოხაზავდნენ და მისი მხატვრული აზროვნების ნიშანდობლივ გარემოებებსა და არსებით ნიუანსებზეც გამამხვილებდნენ ყურადღებას.

ერთი მონაკვეთი სტატიისა სწორედ ამ თემას მიეძღვნებოდა — სომხური ახალშენი ირანის ისლამურ სახელმწიფოში, რათა მკაფიოდ გამოკვეთილიყო, თუ როგორ გრძნობენ თავს უცხოებად ქრისტიანი სომხები ქვეყანაში, სადაც დაიბადნენ, შვილებს ზრდიან და... სადაც მომავალშიც აპირებენ ცხოვრებას.

და რომ თავიანთი ცხოვრებით ცხოვრობენ და მარტოდენ თავისი სტიკვით და ახარებთ, ირანის ქირი და ლხინი კი თავისად არ ეგულებათ, მთარგმნელები თვალსაჩინოებისათვის თუნდაც თაჰერეს უსწავლელი მამის, სკოლის მუსლიმი დარაჯის სიტყვებს მოიხმობენ:

— მე ვიცნობ ამ ხალხს, ამ ქვეყნის პურს ჭამენ და ჩვენი ატანა არა აქვთ.

და მთარგმნელებიც ისევე ცდილობენ ღრმად ჩაუკვირდნენ ამ მოვლენას და ორი განსხვავებული კუთხიდან შეხედონ, როგორც თვითონ მწერალი, და ამიტომაც წამოიჭრება ის კითხვები: ვინ იცის, იქნებ ეს ერთგვარი დამცავი მექანიზმია იმის წინააღმდეგ, რომ მათ სარწმუნოებრივ-ეთნიკური ერთიანობა გაუხლიჩესო? რომ სახელმწიფო ცნობს მათ რელიგიურ განსხვავებულობას, მაგრამ არა სცნობს ეროვნულს? მათ ცნობიერებაში კი ამ ორი ცნების დაშორება სრულიად მიუღებელია და ეს წარმოშობს კიდევ ქვეცნობიერ პროტესტს ამგვარ „კონსტიტუციურ უფლებათა“ წინააღმდეგ?

მაგრამ ხომ არიან შეგნებული და მასშტაბურად მოაზროვნე სომხებიც, რომელნიც ვერ ეგუებიან თვისტომთა მიერ გამოჩენილ უმადურობას და ყოველნაირად ემიჯნებიან მათ?

არტუშისა არ იყოს, პროტესტის ნიშნად სომეხთა გენოციდის აღმნიშვნელ ცერემონიაზე რომ არ დადის. რა — ტრაგედიად არ მიიჩნევა? ცხადია, მისი სულიც შეძრულია ამ საბედისწერო თარიღით, მაგრამ სწამს, რომ ღირსეული ადამიანის მოვალეობაა სხვისი ტკივილის გაზიარებაც შეეძლოს, მარტოდენ საკუთარს კი არა ტიროდეს თუ გლოვობდეს დაუსრულებლივ.

რწმენასა და ტრადიციას დიდი ძალა რომ აქვს, ეს არც ზოია ფირზადს ესწავლება ვინმესაგან და არც მის ქართველ მეგობრებს, მაგრამ ხომ უნდა გაცხადდეს საქვეყნოდ, რომ ამაღლებული იდეალები არაფრისდიდებით არ უნდა გაახუნოს და დააკნინოს ფარისევლობამ და არც თავი უნდა მოიტყუო და არც სხვის მოტყუებას ეცადო, როდესაც ყალბი რელიგიურობა თუ ფარისევლური მართლმორწმუნოება იმალება იმ ეროვნულ-რელიგიური პათეტიკის მიღმა, რითაც ფირზადის პერსონაჟები თავიანთ დაჟინებას ამართლებენ.

ეს ერთნაირად ეხებათ მუსლიმებსაც და ქრისტიანებსაც? რასაკვირველია, და სწორედ ეს გარემოება ცხადყოფს მწერლის პირუთვნელობას. და ისიც რაოდენ დამაფიქრებელი და მომხიბლავია, რომ თავის სათქმელს არა ზრდასრულ და განსაკუთრებული გონებრივი და ინტელექტუალური უნარით აღჭურვილ პერსონაჟს ათქმევინებს, არამედ პატარა გოგონას, და კიდევ ისიც საგულისხმოა, რომ წინასიტყვად ნაგულისხმევი სტატია სწორედ თავჟერეს სიმბოლური სახების წარმოჩენით უნდა დაგვირგვინდეს, მისი ბავშვური ლოგიკითა და ფილოსოფიით.

გარეგნულად თითქოს მართლაც იოლ გზას ირჩევს პერსონაჟი — უკონფლიქტო, მშვიდ არსებობას, შინ, ნამაზის შესრულებას, ყელზე ფირფიტას რომ იკიდებს წარწერით „ალაჰ“, ეკლესიაში კი, მეგობრებთან ერთად ლოცვისას, გულზე ჯვარცმა ჰკიდია.

ზერელე დაკვირვების ფონზე ამგვარი საქციელი მხოლოდ კონფორმიზმია და გაორება, მაგრამ მთარგმნელები თავჟერეს სულში რომ ჩაღრმავდებიან, თვალნათლივ ამოაქვთ ზედაპირზე პროტესტი მოზრდილთა სამყაროს მიმართ, სადაც ფარისევლობის ნიღაბს მიღმა მიჩქმალულა ერთმანეთის მიუღებლობა, შეუწყნარებლობა და ქედმაღლობა.

— ორივე ერთად რატომ გაქვს? — ეკითხებიან მეგობრები თავჟერეს.

ის კი:
— იმიტომ, რომ ორივე ლამაზია.

და მთარგმნელებმა როგორ არ დაურთონ ამ უაღრესად დამაფიქრებელ და გასათვალისწინებელ სიტყვებს, რომ: ბავშვი გულწრფელობის, შეურყენელი ბუნების წყალობით გაუცნობიერებლად მიდის ჭეშმარიტებამდე. და მარტივად წყვეტს საკითხებს, რომელნიც საუკუნეთა განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად ჰქცევია კაცობრიობას.

შესავალი განმსჭვალულია იმ მძაფრი პოლიტიკური მუხტით, რომელიც გთავაზობს გასაღებს, რისი წყალობითაც უნდა შეჰყვე ზოია ფირზადის მხატვრულ სამყაროს, ქალისა, ვისი ცხოვრების სტილის დასახასიათებლადაც მთარგმნელები პანია, მაგრამ მეტყველ გარემოებას გვაცნობენ, ფირზადის ერთ ნოველაში — „პომიდორი და კურდღელი“ — ავტობიოგრაფიულ შტრისს რომ აღმოაჩენენ:

მისი პერსონაჟი, ახალგაზრდა დიასახლისი — დედა და მეუღლე — ყოველ საღამოს, დააძინებს თუ არა ბავშვებს და საოჯახო საქმეებსაც მოითავებს, მოთხრობის დაწერას აპირებს, მაგრამ, ნაცვლად მოთხრობისა, გულმოდგინედ ჩამოწერს... მეორე დღეს საყიდელი პროდუქტების სიას.

იუმორი ანათებს ამ ნოველას, ისევე, როგორც ხშირად იჭრება ზოია ფირზადის დრამატიზმით აღსავსე ხილვებში. და მთარგმნელებს არც ეს ფარული შუქი თუ ნაკადი ეპარებათ მხედველობიდან და ოსტატურადაც ახერხებენ მის შენარჩუნებას ლალი, დახვეწილი ქართული თხრობის მდინარებაში.

გრძნობ, რომ ჩინებულ მწერალს ეცნობი და ესაა სწორედ ის ესთეტიკური საზომი, რისი მეოხებითაც უტყუარად საზღვრავ თარგმანის პროფესიონალიზმსა და მნიშვნელობას, თუმც სრული დამაჯერებლობისათვის აუცილებელია ისეთმა პიროვნებებმა მოჰკიდონ ხელი თუნდ ზოია ფირზადის რომანისა და მოთხრობების კრებულის ქართული ორეულის შეფასებას, სკრუპულოზური შედარებისა და სანდო დასკვნების გამოტანა ვისაც შეუძლიათ. და ალბათ კიდევ უნდა ველოდოთ თუნდ გიორგი ლობჯანიძის პროფესიულ ანალიტიკურ ნარკვევს.

არ არის „შევეგუებით“ ის ნიგნი, რომელმაც უჩუმრად უნდა ჩაიაროს. და არ გაგვემტყუნება, თუ ამას ვერ შევეგუებით.

კარიბჭე ირანული თეატრის სამყაროში

სასაფლაოზე ღამით კაცი საფლავებს შორის დარბის, ვიდრე ერთ სამარეს წაადგებოდეს, თავზე რამდენიმე ჩირაღდანი რომ დაუმაგრებიათ, და შიშველი ხელებით დაიწყებდეს თხრას.

ისედაც სულისგამყინავი სურათია, რომელიც კაცის მონოლოგმა კიდევ უფრო შემძვრელი უნდა გახადოს, მითუმეტეს, ყოფით სცენას თანდათან უნდა შემოებლანდოს მისტიკურობის ნისლი, და ისეთი მხატვრული და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით, რომ მკითხველმა რეალობად განიცადოს გოგონას ნამიერი გაცოცხლება და კაცის თხოვნა-ვედრების იცი, ახლა არავითარი სურვილი არა მაქვს, იმის გარდა, რომ პასუხი გამეცე. შემძლია, მევე მვეიდა მოვკვდე. ვგრძნობ, ამაღამ მე ვარ, ვინც საფლავში უნდა დაიძინოს. როგორ მეძინება! ნეტავი ძილს დამანებებდე! მომეცი ძილი. ის მაინც მითხარი, რომ ჩემი სიტყვები გაიგონეო, — პასუხად სამარიდან თუ იდუმალებიდან ამცნოს: გავიგონეო.

და კაცი კიდევ შეერთოს უსასრულობას.

სიურრეალიზმს სჩვევია ამისთანა მხატვრული გარემოს შექმნა და ამირ დეჟაჟამის „დაუძახე — ბრონეულო, პურის თავთავო!“ სწორედ ამ სტილისტიკით არის შექმნილი, ერთმოქმედებიანი დრამის აღნაგობით, მთლიანად მონოლოგს რომ ეყრდნობა, თავით ბოლომდე ვედრებითა და უხილავი მიჯნის გარღვევის უჩინო განმსჭვალულს, კაცი არაფრისდიდებით რომ არ ეგუება წუთისოფლის კანონებს და მზადაა, რომ ქალაქის მეფის ქალი საფლავიდან ამოიყვანოს, სუდარა ტანზე შემოახიოს, გულში ჩაიკრას და მთელი თავისი ყოფნა იმის არყოფნაში ჩაღვაროს, რათა მიწიდან როგორმე თავი წამოაწევიოს.

— სანამ იყავი, არაფერი მითქვამს, სანამ იყავი, შენთვის არასოდეს მომიკითხებია, სანამ იყავი, ვერ მივხვდი, ვინ იყავი. ვამბობდეს, არის და ვარ, იფურჩქნება და მეც მივედინები. ქრის და ვსუნთქავ-მეთქი. შენი არსება მაარსებებდა, ვიყავი და მივედინებოდი, ვიტალღებოდი და ვგუგუნებდი! მინდოდა მეთქვა და ვმუნჯდებოდი, მინდოდა შემომეხედა და ვბრმავდებოდი, მინდოდა გამეგონა და ვყრუვდებოდი. გზას მიჭრიდი გზის ყაჩაღად გადაქცეული და მთელ ჩემს სარჩო-საბადებელს თან ნაძარცვად მიიყოლებდი.

სად იჩივლოს?
რომელი მოსამართლე მოისმენს მეძველმანის საჩივარს ქალაქის მეფის ქალის წინააღმდეგ!

ის — არნივი და ეს — კოლო, ის — სარო და ეს — ეკალი!

აქ მდინარესაც სძინავს, ნილოსს სძინავს, სძინავს ევფრატს, მაგრამ... დალაპარაკებით გაიღვიძებს.

და კაცმა ზეცას უნდა შელაღადოს: ნაიღე მთელი ჩემი ცხოვრება, მთელი ჩემი წილი, მთელი ჩემი არჩივი, ოღონდაც უთხარი, რომ წამოდგესო.

პირველითგან ხომ იყო სიტყვა.

მაშ ესეც აღსდგეს ზეციური სიტყვის მობერვით, წარმოდინდეს, დაიტალღოს... და კიდევ აღსდგება.

ამირ დეჟაჟამის დრამა სულ რამდენიმე ფურცლიანია, მაგრამ ბევრგვარ ფიქრსა და განცდას მოიყოლებს და არც ადვილი გასახსნელია მისი მხატვრული მრწამსი, რამდენიმე ნაკადად განტოტვილი, მაგრამ გიორგი ლობჯანიძეს ურჩევნია მკითხველის გონება უმთავრესად იმ კუთხით მიმართოს: ეს პიესა-მონოლოგი ღმერთისა და ადამიანის მარადიულ პრობლემას უტრიალებს და ამ ურთიერთობის მთელ ტრაგიზმს მეტად ორიგინალური ფორმით წარმოაჩენსო.

ეს დაკვირვება გამოთქმულია კრებულისათვის „თანამედროვე სპარსული დრამატურგია“ წინასიტყვაობად დართულ ესეიში, რომელიც უაღრესად დაწურულია, მაგრამ არაერთი ისეთი საგულისხმო დაკვირვება თუ მოსაზრებაა შემოთავაზებული, რომ გაიშალოს და სათვალსაჩინო მასალითაც შეივსოს, ერთ ჩინებულ მცირე მონოგრაფიადაც წარმოდგება.

არადა, სპარსული დრამატურგია იწვევს სურვილს მისი ღრმად გაანალიზებისა და მხატვრული თავისებურებისა და ღირსების სრულფასოვანი წარმოჩენისა ქართულ ენაზეც, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს ჩვენი თვალსაჩინო ამ მხატვრული სინამდვილის აღმოჩენითაც.

აგერ გიორგი ლობჯანიძე გვიმტკიცებს და ექვსი დრამატურგის თითო პიესის ქართული ორეულების შექმნით გვიდასტურებს, რომ ირანული თეატრი ტოლს არ უდებს ირანულ კინოს, რომლის ფენომენიც უკვე წლებია მსოფლიო პროფესიული წრეების წრფელ ალტაცებას იწვევს და არაერთი მნიშვნელოვანი ჯილდოც მოუპოვებია.

ტოლს უდებს კი არა, ეგებ გაცილებით საგულისხმოც იყოს, ვიდრე კინოა, მაგრამ:

— სცენის სპეციფიკიდან გამომდინარე, თეატრი ჯერჯერობით მსოფლიოში ირანული კინოსავით პოპულარული არ გამხდარა. თეატრის მაღალ დონეს, რასაკვირველია, განაპირობებს რეჟისორთა და მსახიობთა პროფესიული ოსტატობა, მაგრამ უპირველესად, ეროვნული დრამატურგია, რომელიც... უაღრესად თავისებურია და საინტერესოა.

ჩიტი რომ ნარზე ზის და ხელის აქნევას ელოდება!..

მარჯვე საბაბი კი აღმოჩნდებოდა „არტანუჯის“ მიერ წამოწყებული პროექტი „თანამედროვე დრამატურგია“ (თამარ კიკნაველიძისა და მაია კუდავას იდეით), გერმანელ ავტორებს სპარსელებიც მალევე რომ შეემატებოდნენ და მკვიდრ საყრდენსაც შეუქმნიდნენ პროექტის წარმატებულ გაგრძელებას.

ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა, რომ ერთ კრებულს სრულყოფილად აესახა თუნდაც დღევანდელი ირანული დრამატურგიის განვითარების ტენდენციები და საერთო დონე, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ ამ ექვს პიესასაც თვალნათლივ მიენიშნებინა სპარსული დრამატურგიის მრავალფეროვნება და მხატვრულ ძიებათა დაუცხრომლობა, უპირველესად კი დავერწმუნებინეთ:

— რა სასწაულები შეუძლია მოახდინოს თეატრმა ყველგან და, განსაკუთრებით, ამა თუ იმ მიზეზით ჩაკეტილი საზოგადოებრივი სივრცის პირობებში.

ასე გვიხსნის კარიბჭეს ამ სივრცეში შესაღწევად ეს ექვსი დრამატურგიული ნიმუში, რომელთაგან სოთბ ედ-დინის „სამასოვრო ფოტო“ ყოფითი იგავის ჟანრისაა, აქბარ რადის



„მინათა მიღმიდან“ და მოჰამად ჩარმშირის „მოტოციკლეტისტი რეზა“ ოჯახური დრამებია, ნაყმე სამინის „სიზმარი ცარიელ ჭიქაში“ კი ეპოქათა შორის ჭიდილის ფონზეა გამლლილი.

ამ მხრივ — ეპოქათა ჭიდილის გადმოსახედიდან — განსაკუთრებით დამაფიქრელია ბაჰრამ ბეიზის „დარტყმათა თავყრილობა“, ყველაზე სპეციფიკური კრებულში თავმოყრილ ნიმუშთა შორის და ამიტომაც მთარგმნელს დიდხანს ვერც გადაეწყვიტა მისი გადმოღება: იქნება თუ არა გასაგები და, შესაბამისად, საინტერესო ქართველი მკითხველისთვისაცო.

სპეციფიკურობა კი იმ უმწვავეს პრობლემას გამოუწვევია, ირანში წმინდანთა ჩვენება სცენასა თუ კინემატოგრაფში დიდხანს რომ იყო აკრძალული, მეტიც, ტაბუირებული, აქ კი ეს პრობლემა ფართო ისტორიულ-კულტუროლოგიურ კონტექსტში გააზრებულია.

პიესის მთავარი კონფლიქტი ისაა, რომ თეატრალური ჯგუფი დგამს წარმოდგენას მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფისა და შიიტთა პირველი იმამის ალი იბნ აბუ ტალიბის მკვლელობის თემაზე, ოღონდ ჯერჯერობით არ მოეპოვებათ შესაბამისი ნებართვა „ზემდგომი ინსტანციებიდან“ და, სავარაუდოდ, ვერც მოიპოვებენ.

პიესა პიესაში უკვე კარგად ნაცნობი მხატვრული ხერხია, მაგრამ როდესაც შთამბეჭდავად და დიდი ხელოვნებით შეასხამ ხორცს, აღმოჩნდება, რომ თურმე რაოდენ ამოუწურავი ყოფილა ამგვარი კომპოზიციური ქარგის შესაძლებლობანი და რა თავბრუდამხვევი ფორმერგის შემსწრენიც კი შეიძლება შევიქნათ, მითუმეტეს, როდესაც ბეიზივით სტილურ-ენობრივადაც განასხვავებ პიესის პერსონაჟებისა და პიესაში დადგმული პიესის გმირთა მეტყველების რეგისტრს. ერთი მხრივ ზეანეული, დეკლარაციული, ხატოვანი და ერთგვარად არქაული მეტყველება, მეორე მხრივ კი ჩვეულებრივი, ხშირად ჟარგონითაც საუბარი.

ეს გადასვლები ქართულ ვერსიაში ძალზე მოხდენილად მონაცვლეობს და არამარტო სიტყვაზე ვენდობით მთარგმნელს, რომ: ენის ეს სხვადასხვა რეგისტრი სინამდვილეში ეპოქებს შორის წარმოქმნილ უზარმაზარ ღირებულებათა და კულტუროლოგიურ კონფლიქტს წარმოაჩენს, — არამედ ხელშესახებადაც ვგრძნობთ.

პერსონაჟი მწერალი ჩიხში მომწყვედულა, რაკილა ნებას არა რთავენ წმინდანთა შემოყვანისას სცენაზე, და მაშ ძალაუნებურად უკეთური ადამიანები უნდა წარმოსახოს, ოღონდ... მათი სიავის კარემე, პრორტების პროპაგანდა რომ არ დაბრალდეს.

— შედეგი? როცა ცუდებს მათ სიკვდილს გამოაცლი, კარგები გახდებიან და მერე გაუგებარია, რატომცა უარყვოთ? ცუდები ზოგჯერ იმითაც ხდებიან კარგები, თუ კარგებს შევაქებთ, და ველარ გაარკვევენ, რატომ ეკიდებიან მათ მტრად და რატომ კლავენ. ამ სიტუაციაში კი, აბა, მწერალმა რა უნდა ქნას?

ჩიხში მომწყვედვა გულს უტეხს და გაოგნებული შეჰყურებს უკვე დაწერილ სცენებს, ან უკვე გაფანტულთ, რაკილა მათი შემართებელი ხაზი, მთავარი პერსონაჟის სახით, დაკარგული!.. და ორი იდეის თუ ურთიერთდაპირისპირებული ორი მხარის კონფლიქტი მთავარი პერსონაჟის არყოფნის გამო ცალმხრივი და არარეალიზებული გამხდარა. ამიტომაც საკუთარ თავს სხვა რა უწოდოს, თუ არა გაოგნებით გასავათებული.

ეს გადასვლები ქართულ ვერსიაში ძალზე მოხდენილად მონაცვლეობსო...

განსაკუთრებული სტილურ-ენობრივი სირთულეც წარმატებითაა დაძლეული და სხვა პიესების გარეგნული სიიოლის მიღმა ჩამალული დაბრკოლებანიც მარჯვედაა გადალახული, და სპარსულ დრამატურგთა ორიგინალური სამყარო ამთავითვე მთელი თავისი მხატვრული შთამბეჭდაობითაა განმეორებული იმ მიღდა-

რი ქართული ენით, რაც ლამის თვალსადახელმუა დაგვეკარგოს და ცალკეულ მწერალთა თავდადებული გარჯის ფასადლა ინარჩუნებს სიცოცხლესაც და იმ უჩვეულო მადლსაც, ყოველი ენის გულისგულს რომ შეადგენს და თავისი მუსიკაც თან დაჰყვება, ამ მუსიკის შეგრძნების, გათავისებისა და მკითხველისათვის გაზიარების გარეშე კი ყოველი მხატვრული ქმნილება — ორიგინალური თუ თარგმნილი — ადრე თუ გვიან გასაქრობადაა განწირული.

სწორედ ენის ეს მუსიკაცაა საგრძნობი პიესათა ამ რკალში. თითქოს ზედმეტი გახლდათ „თანამედროვე სპარსული დრამატურგიის“ თარგმანის ღირსებაზე ყურადღების გამახვილება და მიამბი მკითხველს შესაძლოა ეგონოს, რომ რა დიდი თავგამოდება სჭირდებოდა სპარსელ დრამატურგთა შემოყვანას ჩვენს ენობრივ სივრცეში იმ პიროვნების მიერ, ვის სახელსაც უკავშირდება **ყურანის** ჩინებული ქართული ორეულის შექმნა, რომ ალა-რაფერი ითქვას **საადი შირაზელის „გოლესთანზე“**, **იბნ ალ-მუკაფას „ქალილასა და დიმნას ნიგზზე“**, **ჯიბრან ხალილ ჯიბრანის რომანზე „იესო — ძე კაცისა“**, სპარსულ ხალხურ ზღაპრებსა თუ **ჯალალ ედ-დინ რუმის, სოჰრაბ სეფეჰრისა ან ფორუყ ფაროხზადის** პოეზიაზე, მაგრამ ყოველ მხატვრულ თხზულებას თავისი სამყარო აქვს და თავისი გასაღები სჭირდება, ასე რომ, გამოცდილება თავისთავად დიდად კი გშველის, მაგრამ იმდენსაც არა, რომ ადვილად გაგეხსნევიდნოს ესა თუ ის მწერალი, მი-თუმეტეს, ამ რანგის სპარსელი დრამატურგები, ირანული თეატრის დონე მსოფლიო მნიშვნელობისაა რომ აქციეს.

და ეს მაშინ, როდესაც თეატრის ისტორიის ხანგრძლივობით ვერ დაიკვეხნიან — ვიდრე ყაჯართა დინასტიის ერთი

ყველაზე გონიერი და გემოვნებიანი იერარქი, ნასრედ-დინ შაჰი, 1873 წელს საფრანგეთში მოგზაურობისას ევროპულ თეატრალურ წარმოდგენებსაც ნახავდა და სამშობლოში დაბრუნებისთანავე ტრადიციულ ირანულ სანახაობაში თანადროულ სამსახიობო ელემენტებსაც შეიტანდა, შიიტურ ისლამში დამკვიდრებული „შაბიჰეხანისა“ და „თა'ზიეს“ მისტიკური ანაბარა იყვნენ, თეატრალიზებული შესვენებით ალი იბნ აბი ტალიბისა და მისი ვაჟების — ჰასანისა და ჰუსეინის — მკვლელობებისა; და კიდევ „ყესესხანების“ ინსტიტუტიც ჩამოყალიბებულიყო, კაფეებსა და ყავახანებში ზღაპრებსა და ეროვნული ეპოსის „შაჰ-ნამეს“ ლეგენდებს რომ უკითხავდნენ თუ უყვებოდნენ თავშეყრილ საზოგადოებას.

ხელოვნების ისტორიისათვის ამ ყოველივეს უდავო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პროფესიული თეატრის დაფუძნებას კიდევ სხვა მოვალეობა ეკისრება სახელმწიფოს წინაშე და ამ მოვალეობის შეგნებითაა განმსჭვალული იმ ავტორთა შემოქმედება, რისი ნაწილიცაა „თანამედროვე სპარსული დრამატურგიის“ ეს კრებული, რომლის თავისებური შთამაგონებელიც მთარგმნელის მეგობარი და ქართული თეატრის ბრწყინვალე მსახიობი ნატა მურვანიძე აღმოჩნდებოდა და გიორგი ლობჟანიძე ამიტომაც უძღვნის მას ამ ნამუშავეს, რომელიც არაფრისდიდებით არ უნდა დარჩეს ამ კრიტიკული ჩანახატის ამარა და ჩვენმა ირანოლოგებმა, თუნდ იგივე თეა შურლიაი იქნება, მზია ბურჯანაძე თუ სხვანი, შესაფერისადაც შეაფასონ და ღირსეული ადგილიც მიუჩინონ ჩვენი მთარგმნელობითი ხელოვნების წარმატებულ ნიმუშთა მდინარეებში.

პაატა იაკაშვილი

ატლანტისის საიდუმლო ანუ ევროპის დაბადება

(ლიბანდის პროტოქარტიკული საფუძველი)

მე არაფერი ვიცი და არც არაფერს ვასწავლი, ვარდა სულ უბრალო რამისა — დასავა კითხვები და მათ პასუხი ვასცე.

პლატონი

სასურველია, ვიხელმძღვანელოთ ეპიგრაფად მოხმობილი დიდი ფილოსოფოსის ამ სიტყვებით გადმოცემული აზრით, როცა კიდევ ერთხელ ვცდილობთ საბურველი ავხადოთ იმ საიდუმლოს, რასაც ატლანტისის ჰქვია.

ატლანტისის შესახებ პლატონი მოგვითხრობს დიალოგებში „ტიმოოსი“ და „კრიტია“, ამასთან მეტად დაწვრილებით, მაგრამ თუ დავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მისი მონათხრობი აჩენს უფრო მეტ კითხვას, ვიდრე პასუხობს. ის ლაპარაკობს ერთი უძველესი ცივილიზაციის არსებობის შესახებ, რომელიც ოკეანეში დანთქმულა 11500 წლის წინათ. ეს თარიღი არღვევს კაცობრიობის განვითარების შესახებ არსებულ მეცნიერულ წარმოდგენას და, ბუნებრივია, ატლანტისის ამბის მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, ამიტომაც დიალოგების შეთხზვიდან განვლილი 24 საუკუნის განმავლობაში ატლანტისის თაობაზე ბევრი დაინერა — ტ.გატეფოსესა და კ.რუს ბიბლიოგრაფიაში მითითებულია, რომ 1920 წლისათვის 1700 ნაშრომი არსებობდა, სადღეისოდ კი 6000 მეტი უნდა იყოს — და ეს გასაკვირი არ არის, თუ თემისადმი გამოვლენილ ინტერესს გავითვალისწინებთ.

რას გვამცნობს პლატონი ატლანტისის შესახებ:

დიალოგებში „ტიმოოსი“ და „კრიტია“ ათენელი პოლიტიკური მოღვაწე, „ოცდაათთა ტირანიის“ მეთაური კრიტია მოგ-

ვითხრობს ბერძენი რეფორმატორის სოლონის მოგზაურობაზე ეგვიპტეში, სადაც მას საისელმა ქურუმმა (პლუტარქეს მიხედვით: სონქიმ) მოუთხრო კატასტროფებზე, რომელთაც არაერთხელ გაუნადგურებია დედამიწის მოსახლეობა და ამის გამო დავიწყებას მისცემია ათენის ქალაქ-სახელმწიფოს ძველი დიდება; ელაპარაკა იმაზეც, თუ რაში მდგომარეობს ეს დიდება; რომ დიდი ხნის წინათ ატლანტის ოკეანეში არსებობდა კუნძული, სიდიდით ლიბიასა (აფრიკა) და აზიაზე აღმატებული. ამ კუნძულზე მისმა უპირველესმა ღვთაებამ, პოსეიდონმა, დააარსა ატლანტისის ათი სამეფო კავშირი, რომელიც ისე გაძლიერებულა, რომ დიდი დაპყრობითი ომები უწარმოებია და დაუპყრია ლიბია ეგვიპტემდე და ევროპა ტირენიამდე (ჩრდილოეთ იტალია). ამათ შებრძოლებიან ძველი ათენელები, დაუმარცხებიათ, მათ კუნძულზეც შეჭრილან და აუგიათ ტროპაიონი (ძველი მტრისათვის წართმეული საჭურვილის დახვავებით აგებული), ატლანტისელთა მიერ დამონებული ხალხებისათვის მიუნიჭებიათ თავისუფლება, მაგრამ დაწყებულა არნახული მინისძვრები, წარღვნა და „ერთი საზარელი დღე-ღამის განმავლობაში“ ათენელთა ლაშქარიც მინამ შთანთქა და კუნძული ატლანტისიც ჩაძირულა ოკეანის ტალღებში.

პლატონმა დიალოგში „კრიტია“ დაწვრილებით აღწერა როგორც ადრინდელი ქალაქ-სახელმწიფო ათენი, ასევე ატლანტისის ძველი მეტროპოლია. შედარებით მეტს ამბობს ატლანტისის შესახებ, უფრო დაწვრილებით აღწერს ატლანტიკელთა, ვიდრე ეგვიპტელებისა ყოფას.

ეს აღწერა გაკეთებულია ერთგვარი სქემის მიხედვით და, ტექსტიდან გამომდინარე, პირობითად ხუთ ნაწილად იყოფა:

1. ძველი ატიკა და კუნძული ატლანტისი, — ღმერთების ხვედრი ტერიტორია;
2. ათენის ძველი პოლისისა და ატლანტისის სახელმწიფოს სოციალური და პოლიტიკური მოწყობა, რელიგია და რიტუალები;
3. ძველი ატიკისა და კუნძულ ატლანტისის გეოგრაფიული დახასიათება;
4. ძველი ათენისა და ატლანტისის დედაქალაქის არქიტექტურისა და ადგილმდებარეობის აღწერა;
5. ატლანტისელთა დამარცხების ზნეობრივი მიზეზების წარმოჩენა.

საინტერესოა, რომ ატლანტისელთა მთავარი ტაძრის აღწერისას პლატონი ამბობს, რომ „ნაგებობის გაფორმებაში კი იყო რაღაც ბარბაროსული“. ანუ მიიჩნევს, რომ ატლანტისელთა კულტურა უცხო, არაბერძნულია.

რა ფარული აზრი ძვეს დიალოგებში „ტიმოისი“ და „კრიტია“? მართალია, პლატონი საკმაოდ დანვრილებით აღწერს ყველაფერს ძველი ათენისა და ატლანტისის სამეფოსთან დაკავშირებით, მაგრამ აშკარაა, რომ დიალოგები, ერთი მხრივ, წარმოაჩენს წარსულის, გეოგრაფიული დახასიათების გაიდულებულ სურათს — სურვილს, დახატოს უაღრესად ნაყოფიერი და მდიდარი გარემო, — მეორე მხრივ კი ის ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების აღწერისას გადმოგვცემს თავის პოლიტიკურ შეხედულებებს, — იმას, რასაც, მაგალითად, წერს დიალოგში „სახელმწიფო“. ამასთან პლატონი მოგვითხრობს ორი აშკარად არქაული საზოგადოების შესახებ — კერძოდ, ძველი ათენის სახელმწიფოსთან დაკავშირებით ლაპარაკობს სამხედრო-გვაროვნული არისტოკრატიის თაობაზე, ხოლო ატლანტისელ მეფეთა რიტუალებში ჩანს ის ეპოქა, როცა ხალხებსა და ქვეყნებს მართავდნენ მეფე-ქურუმები. — მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ეს მას ხელს არ უშლის წარსულის ჩრდილქვეშ საკუთარი ხედვა შესთავაზოს მკითხველს.

პლატონი ამბობს, რომ დემოკრატიული წყობა ათენელთათვის დამახასიათებელი პოლიტიკური მმართველობაა. აქვე იძლევა იდეალური პოლისის მოსახლეობის რიცხვს — 20 ათასი კაცი. გამოთქვამს მოსაზრებას საზოგადოების შემადგენლობისა და სოციალური ფუნქციების დანაწილების შესახებ. საგანგებოდ გამოჰყოფს სამხედრო-მარგანიზებელ ნოდებასა და მისთვის აუცილებელ უანგარო სამსახურს. ამას გარდა, ფილოსოფოსი ყურადღებას ამახვილებს პოლისის მშენებლობაში მეცნიერების, კერძოდ, გეომეტრიის როლზე.

პლატონს მიაჩნია, რომ ძველი ათენისა და ატლანტისის სამეფოთა სახელმწიფო წყობა ღვთაებრივ კანონებზეა დაფუძნებული.

ატლანტისის წყობილება მონარქიულია და აქ პლატონი ძირითადად ასევე გამოთქვამს თავის შეხედულებებს მონარქიის თაობაზე.

ამ დიალოგებში აღწერილ პოლიტიკურ წყობილებათა მოდელებს თუმცა არქაულობის კვალი დაჰკრავთ, მაინც პლატონის ხედვის პრიზმაშია გადატეხილი.

სად მდებარეობდა კუნძული ატლანტისი?

ზოგს ეს კითხვა შეიძლება სრულიად ზედმეტად მოეჩვენოს, რადგან დიალოგში „ტიმოისი“ ზედმიწევნით ზუსტად არის მითითებული კუნძულის ადგილსამყოფელი. ლაპარაკია „ჰერაკლეს სვეტებს“ ანუ გიბრალტარის სრუტის იქით, ატლანტისის ოკეანეში არსებულ კუნძულზე (მოგვიანებით პლატონის ნათქვამს გაიმეორებს მისი მიმდევარი პროკლე. დიდი ფილოსოფოსის გაკლენა იგრძნობა სხვა მოაზროვნეებზეც, რომლებიც ატლანტისის ოკეანესა და იქ მდებარე კუნძულებზე წერდნენ — თეოპომპე ქიოსელი, პომპინიუს მელა, დიოდორე სიცილიელი, რუფუს ფესტუს ავიენუსი); თუ პლატონის ამ მოსაზრებას გაეიზიარებთ, მაშინ ატლანტისელთა კვალი ოკეანეში მდებარე კუნძულებზე, აგრეთვე ევროპისა და აფრიკის და-

საგლეთ სანაპიროებზეა საძებნი და ეძებდნენ კიდევ, მაგრამ ხელწასაჭიდი ვერაფერი ნახეს. ესეც არ იყოს, თუ გავიხსენებთ ვეგენერის კონტინენტთა დრეიფის თეორიას, მაშინ ატლანტის ოკეანეში ერთი მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის კუნძულისათვის (ასეთ ფართობს ანგარიშობს ატლანტოლოგი ნ. ჟიროვი და თავის გამოთვლებში პლატონის მიერ მოხმობილ ციფრებს ეყრდნობა) ადგილი უბრალოდ აღარ რჩება. საკმარისია დაგვხედოთ პანგეას რუკას, რათა დავერწმუნდეთ.

მრავალი ჰიპოთეზა გაჩნდა იმის გამო, რომ პლატონის მიერ მითითებულ ადგილას ატლანტისელთა კვალი ვერ მოიძებნა; 1492 წელს კოლუმბის მიერ ახალი კონტინენტის აღმოჩენამ ესპანელ ფრანჩესკო დე კოლუმბს ატლანტისის იქ აძებნიინა; ინგლისელი ფილოსოფოსი ფრენსის ბეკონი ატლანტისის ბრაზილიის ადგილას მოიაზრებდა; გერმანელი იეზუიტი ათანასე კირხერი ჯერ იზიარებდა პლატონის მოსაზრებას, შემდეგ კი ატლანტისს სამხრეთ აფრიკაში მიუჩინა ადგილი; შვედი მეცნიერი რუკბრეკი მიიჩნევდა, რომ ატლანტისის შვედეთის ძველი დედაქალაქის უფსალას მიდამოებში იყო საძებნი; კლოდ ოლივიეს ატლანტისის სამყოფლად პალესტინა მიაჩნდა; ფრანგი მეცნიერი ა.ბაი ატლანტისის შპიცბერგენის კუნძულზე უძებნიდა ადგილს; დელილ დე სელმა ატლანტისს კავკასიის მიდამოებში ეძებდა. ამას გარდა, ატლანტისის ადგილსამყოფლად მიაჩნდათ კოლხეთის საზღვაო აკვატორია, ყირიმი, სპარსეთი, კუნძული ცვილონი, ატლასის მთები, როგორც ამას აკეთებდა ბერლიუ, ან ლუი ფრობენიუსის მიხედვით, გვინეის ყურის ნაპირას ტოგოსა და ლიბერიას შორის.

ატლანტისის სხვადასხვა ადგილას უშედეგო ძებნას მოჰყვა ის, რომ ატლანტოლოგთა ნაწილი ისევე პლატონის მიერ მითითებულ ადგილს მიუბრუნდა. ასეთი შეხედულებისა იყვნენ ამერიკელი იგნატიუს დონელი და მისი მიმდევრები, რომელთაც შეიძლება ორთოდოქსი ატლანტოლოგები ვუნოდოთ, ამასთან ჩაძირული კუნძულის უშედეგო ძიებამ ისევე გაზარდა ატლანტისის გეოგრაფია: ქ.შულტენის აზრით, ის სამხრეთ-დასავლეთ ესპანეთში უნდა ყოფილიყო; ფ.გიდონის აზრით კი ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთის იმ ნაწილში, რომელიც ახლა ჩაძირულია. იურგენ შპანუტი ფიქრობდა, ატლანტისი ჩრდილოეთის ზღვაში უნდა იყოსო.

ლეგენდარული ატლანტისის ძიების პროცესში ატლანტოლოგებმა შეიმუშავეს მოთხოვნილებათა ნუსხა, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებლად მიაჩნდათ ატლანტისის არსებობის ადგილად ეგულისხმათ ესა თუ ის ტერიტორია:

1. იქ უნდა მოიპოვებოდა შავი, თეთრი და წითელი ფერის ქვები;
2. უნდა ბინადრობდნენ სპილოები;
3. შემორჩენილი უნდა იყოს კონცენტრული არხებისა და მიწაყრილების კვალი;
4. უნდა არსებობდეს ხარების მსხვერპლად შეწირვის ტრადიცია;
5. შემორჩენილი უნდა იყოს რაიმე კვალი 12 ათასი წლის წინათ მომხდარი ისეთი სტიქიური უბედურებისა, როგორიც არის მიწისძვრა, ვულკანის ამოფრქვევა ან წყალდიდობა;

ცხადია, ძნელია ისეთი ადგილის პოვნა, რომელიც ამ ნუსხის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, მაგრამ მეცნიერული ინტუიციით მოქმედმა ადამიანებმა მაინც შეძლეს მიახლოებოდნენ ატლანტისის ჭეშმარიტ ადგილსამყოფელს. XIX საუკუნის 50-იან წლებში ა.ნოროვმა ივარაუდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში კუნძულ ატლანტისის არსებობა; 1866 წელს ფრანგმა ფუკემ, ხოლო 1870 წელს ისევე ფრანგებმა — გომესმა და მამემ — გათხარეს კუნძულები ტირსა და ტირასია და დაასკვნეს, რომ აქ თავდაპირველად არსებობდა საკმაოდ მაღალი კულტურის მქონე დიდი კუნძული, რომელიც ვულკანურ ამოფრქვევას უნდა ემსხვერპლა; 1872 წელს ლუი ფიგუმ გამოთქვა მოსაზრე-

ბა, რომ ატლანტიის ეგეოსის ზღვაში გეოლოგიური კატასტროფის შედეგად დაღუპული კუნძული იყო და ეს კუნძული სანტორინი უნდა ყოფილიყო. 1909 წელს კ.ფროსტმა გამოთქვა აზრი, რომ პლატონის მონათხრობი ატლანტიის შესახებ კრეტის მინოსური ცივილიზაციის ანარეკლი გახლდათ.

თვით მინოსური კრეტის კულტურა არტურ ევანსმა აღმოაჩინა, რის შემდეგაც იმატა ატლანტიის მინოსური კრეტის გაიგივების მომხრეთა რიცხვმა.

ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა 1939 წელს ინგლისურ სამეცნიერო ჟურნალში „ანტიკვიტი“ გამოქვეყნებული სტატია და შემდეგ, 1948 წელს, საბერძნეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების სხდომაზე ცნობილი არქეოლოგის სპირიდონ მარინატოსის მიერ წაკითხული მოხსენება, რომელშიც ახსნილი იყო ეგეიდაში მომხდარი კატასტროფის შედეგად ატლანტიის ლეგენდის წარმოშობის მიზეზები.

მოგვიანებით, გასული საუკუნის 70-იან წლებში, ახალგაზრდა მეცნიერებმა ანგელოს გალანოპულოსმა და ედვარდ ბეკონმა საბოლოოდ დაამტკიცეს ეგეიდაში ატლანტიის არსებობა ანუ კრეტის მინოსურ ცივილიზაციასთან მისი იგივეობის საკითხი. მათვე აღმოაჩინეს სოლონის შეცდომა, რომ ამ უკანასკნელმა სწორად ვერ წაიკითხა იეროგლიფები და ვერ ამოიკითხა შესაბამისი ციფრები; კერძოდ, ათი ასად წაიკითხა, რის გამოც 1200 წლის მაგივრად ატლანტიის 12000 წლის წინათ არსებულ სახელმწიფოდ მიიჩნია. აქედან გამომდინარე, არასწორია ატლანტიის ფართობისა და მისი მოსახლეობის აღმნიშვნელი ციფრებიც.

ამას გარდა, ამ მკვლევარებმა დაადგინეს ისიც, რომ ჰერაკლეს სვეტები, აგრეთვე, ბევრი სხვა მითოლოგიური ადგილი ადრე ეგეიდაში იყო და შემდეგ ბერძნებს სხვაგან გადაუტანიათ.

ჩემი აზრით, მითოლოგიურ გმირთა მოქმედების ადგილების გადატანა გამოიწვია ბერძენთა გეოგრაფიული თვალსაწიერის გაზრდამ, რამდენადაც ფართოვდებოდა მათთვის სამყაროს ფარგლები, იმდენად გაფართოვდა მათი ღმერთებისა და გმირების მოქმედების არეალიც, სამყაროს ცენტრი კი ბერძენთათვის საბერძნეთი გახლდათ.

ყველაფერთან ერთად ისიც უნდა ვთქვათ, რომ კრეტაზე არსებობდა ხარის კულტი. კრეტასთან ახლოს სანტორინის კუნძულზე ნაპოვნია შავი, წითელი და თეთრი ფერის ქვები. სანტორინის წყლის ქვეშ მდებარე კალდერას გააჩნია კონცენტრული ფორმა, სანტორინზე კი ათასწლეულთა მანძილზე ხდებოდა ვულკანური ამოფრქვევები.

როდის და რის შედეგად დაიღუპა ატლანტიის?

მრავალი მოსაზრება გამოითქვა ატლანტიის დაღუპვის თაობაზე. ამის მიზეზი არის ის, რომ პლატონს არ დაუკონკრეტებია, რა მოხდა „ერთი საზარელი დღე-ღამის განმავლობაში“ და რის შედეგად დაიღუპა ატლანტიის, ამიტომაც ატლანტოლოგებმა ყურადღება მიაქციეს ძველი ხალხების მითოლოგიას, რომელშიც ლაპარაკია კოსმიური და მიწიერი წარმოშობის კატასტროფებზე, ძირეულად რომ ცვლიდნენ კაცთა მოდგმის ყოფა-ცხოვრებას. განსაკუთრებით დანტერესდნენ ბერძნული მითებით და პირველ რიგში ფაეტონის მითით. ამ გმირს მამა, მზის ღმერთმა ჰელიოსმა (კოლხეთის მეფის აიეტის მამა), დიდი თხოვნის შემდეგ ნება მისცა მისი ცეცხლოვანი ეტლი ცარგვალზე გაეტარებინა; ფაეტონმა ცხენები ვერ დაიმორჩილა, გზას გადაუხვია და ცეცხლოვანი ეტლი დედამიწას საჭიროზე მეტად მიუახლოვდა, ამის შედეგად ტყეებს ცეცხლი წაეკიდა, მდინარეები კი დაშრა. დედამიწის განადგურება რომ თავიდან აეცილებინა, ზეცსა ელვით განგმირა ფაეტონი და ბოლო მოუღო მზის ეტლის უაზრო ქროლვას. ფაეტონის სხეული მითიური მდინარის ერიდანოსის ტალღებში ჩავარდა. მისი დები, ჰელიადები, მდინარის ნაპირზე



ჩაძირული კუნძული ატლანტიის

ჩამწკრივდნენ და ძმა დაიტირეს; მათი ცრემლისაგან ქარვა წარმოიშვა, თვითონ ჰელადები კი ალვის ხეებად იქცნენ.

ეს პოეტური ამბავი საფუძვლად დაედო მრავალ მეცნიერულ ჰიპოთეზას, რომელთა მიხედვითაც ატლანტიის „კოსმიური კატასტროფის შედეგად“ დაიღუპა. მაგალითად, ატლანტოლოგი ა.ბრაგინი მიიჩნევდა, რომ ამის მიზეზი დედამიწასთან პირველი მთვარის შეჯახება იყო; — დღევანდელი მთვარე მეორეა და ის მოგვიანებით შეიძინა დედამიწამო...

სხვა თეორიის მიხედვით, პოლონელ ატლანტოლოგს ოტო მუკს მიაჩნია, რომ შეჯახების ობიექტი ასტეროიდი იყო და ეს ამბავი ძველი ნელთალრიცხვის 8499 წლის 5 ივნისის 13 საათზე მოხდა. ცხადია, მუკი ვერ ითვალისწინებს იმ მოსაზრებას, რომ სოლონმა სწორად ვერ შეძლო იეროგლიფების ამოკითხვა და თავის ჩანაწერებში ციფრები 10-ჯერ გადაიდებულად მოიტანა.

ბულგარული ასტრონომის ნ. ბონევის აზრით, დედამიწას ასტეროიდი კი არ შეეჯახა, 40 000 კილომეტრის მანძილზე ჩაუქროლა და ამას ოკეანეთა ისეთი მოქცევა-მიქცევა მოჰყვა, ატლანტიის ნალექავდაო.

რიგი მეცნიერებისა „კოსმოსურ კატასტროფას“ გამყინვარების უკუქცევას უკავშირებს, შეჯახების შედეგად დედამიწა თავისი ღერძიდან გადაიხარა და ამის შედეგად პოლუსები გადაადგილდა; მაგრამ, მოგესხენებათ, გამყინვარება რამდენჯერმე მოხდა და ის სულაც არ უკავშირდება კოსმოსურ კატასტროფებს.

მიუხედავად ამისა, ატლანტოლოგები მსოფლიო ხალხთა მითებში ჯიუტად ეძებდნენ კოსმიური კატასტროფის გამოძახილს. ასეთად მიიჩნიეს გვატემალის ინდიელთა ტომის კირეს მითოლოგიური ეპოსი „პოპულ-ვუხი“, რომელშიც ლაპარაკია ღმერთებისათვის პატივის არმიმგებ ადამიანებზე, რომელთაც ღმერთმა ჰურაკანმა წარლენა და ცეცხლის წვიმა მოუვლინა.

რაკი „ცეცხლის წვიმას“ თან წარლენა ახლდა, ატლანტოლოგიაში გაჩნდა სურვილი, საყოველთაო წარლენა კოსმიური კატასტროფისათვის დაეკავშირებინათ, მაგრამ სწორედ ეს აღმოჩნდა ძნელი, რადგან ბერძნულ მითოლოგიაში სულ ცოტა სამი წარლენაა — ოგიგოსის, დარდანოსისა და დევკალიონის — ამიტომ სცადეს, ყველაზე მასშტაბურად მიჩნეული დევკალიონის წარლენა დაეკავშირებინათ ფაეტონის მითისათვის. დევკალიონი პრომეთეს ვაჟია და კაცობრიობის მამად ითვლება. მოსალოდნელი წარლენის თაობაზე ის უკვე მიჯაჭვულმა პრომეთემ გააფრთხილა და ურჩია, კიდობანი აეგო. ამის წყალობით დევკალიონი და მისი ცოლი პირა გადარჩნენ. ზეცსა — ვინც წყლით მოსრა ცოდვილი ხალხი —

ცოლ-ქმარს ურჩია, მხარს უკან ქვეები გადაეყარათ. დევკალიონისაგან გადაგდებული ქვეებისაგან კაცები ამოიზარდნენ, პირასაგან გადაგდებულისაგან კი ქალები. ასე იქცა პრომეთეს ვაჟი კაცობრიობის მამად, მაგრამ ფაეტონის მითი ვერაფრით უკავშირდება დევკალიონს.

ნარღვის შესახებ მოგონება მსოფლიოს მრავალი ხალხის ფოლკლორშია შემორჩენილი, და საინტერესოა, რომ ყველა ეს მითი ერთი სქემითაა შექმნილი: ღმერთი ადამიანებს უგზავნის ნარღვს რაიმე დანაშაულისათვის, თუმცა არის მითები, რომლებიც მიზეზს არ ასახელებენ; ამასთან მითებში ყოველთვის არიან სამართლიანობით გამოჩენილი ადამიანები, რომელთაც ადრევე აფრთხილებენ ნარღვის თაობაზე და ისინიც იღებენ სათანადო ზომებს: აგებენ გემს, კიდობანს, ტივს, კანოეს, ან კიდევ თავს აფარებენ მთას, მაღალ ხეს, მცურავ კუნძულს, კუს ბაკანს, კიბორჩხალას, დიდ გოგრას ან ქოქოსის კაკლის ნაჭურჭს. თავის გადარჩენის მსურველებს ზოგჯერ, ასევე გადარჩენის მიზნით, თან მიჰყავთ ცხოველები, ფრინველები — ერთი სიტყვით, „ყოველი სულიერი“ — მცენარეთა თესვებიც კი. ნარღვის გამომწვევი თავსხმა, ან სხვა მიზეზით წყლის ადიდება, გრძელდება საკრალურად მიჩნეული დროის მანძილზე — 7 ან 40 დღე, ნახევარი წელიწადი. ჩანყნარების შემდეგ გემი ან კიდობანი მიადგება მთას ან კუნძულს; ხმელეთის საძებნელად უშვებენ ფრინველს ან მორიელს; ადამიანები იწყებენ ახალ, ცოდვებისაგან თავისუფალ ცხოვრებას.

ნარღვნას მთელი მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებში განსხვავებული მიზეზები ჰქონდა, თუმცა არის შემთხვევა, როცა სამყაროს ერთ კუთხეში მომხდარი ამბავი მჭიდრო კულტურულ ურთიერთობის შედეგად გავრცელდა ლიტერატურულ ძეგლად სხვა ხალხებში; ასე, მაგალითად: ევფრატისა და ტიგროსის შესართავთან, სპარსეთის ყურესთან დაბლობ ადგილას, — რომელიც ხშირად იტბორებოდა, — მცხოვრებ შუმერებში შეიქმნა მითი ნარღვის შესახებ. შემდეგ ეს მითი გადავიდა აქადურ კულტურაში, იქიდან — ბაბილონურში და ამ გზით მოხვდა ებრაულში, სადაც ბუნებრივი პირობების გამო ნარღვნა არც არასოდეს ყოფილა.

ნარღვის მითების გავრცელების მიზეზია ის, რომ შორეულ წარსულში ადამიანები ვერ ხსნიდნენ კოსმოსური და მინიერი კატასტროფების გამომწვევ მიზეზებს და ამას ღმერთების რისხვად მიიჩნევდნენ. ათასწლეულთა მანძილზე კაცობრიობა ან კატასტროფების მონმე იყო ან მის შედეგებს ხედავდა და, ბუნებრივია, მითოლოგიაში ასახავდა. ამ მითებიდან ატლანტოლოგთა ყურადღება მიიქცია კიდევ ერთმა — ეს გახლავთ ეგვიპტური თქმულება „გველის კუნძულის შესახებ“. ძნელი დასადგენია, სად ხდება აქ აღწერილი ამბავი, მენამულ თუ ხმელთაშუა ზღვაში, თვით ამბავი კი ასეთია: სპილენძის საბადოდან მომავალი გემი ქარიშხალმა ჩაძირა, გადარჩა მხოლოდ ერთ ფრიად ნაყოფიერ კუნძულზე გარიყული ექსპედიციის უფროსი. აქ მან ნახა უზარმაზარი, ოქროთი მოსილი გველი, რომელმაც მოუთხრო კოსმიურ კატასტროფის შესახებ, მისი ოჯახი რომ გაანადგურა. ბოლოს ისიც უთხრა, ამ კუნძულს მალე წყალი დაფარავსო. მალე ეგვიპტიდან გემი მოსულა და კუნძულზე გარიყული კაცი გადაურჩენია. ატლანტოლოგებს „გველის კუნძულის“ ამბავი კატასტროფის შემდგომი ატლანტისის გამოძახილად მიაჩნიათ. შეიძლება ამ ისტორიაში კვალადავინახოთ კოსმოსური კატასტროფებისა, რომელიც ასევე ციდან ატყვდება თავს ადამიანს ქვის წვიმების, ვულკანური ფერფლისა და მომწამლავი აირების სახით და კიდევ მინისძვრებით, რაც ვულკანური ამოფრქვევის თანამდევნი მოვლენაა.

რახან ჩვენ უკვე ვიცით, თუ სად მდებარეობს ატლანტისი ანუ კრეტის მინოსური სახელმწიფო, ამიტომაც მნიშვნელობა ენიჭება ეგვიპტეში მომხდარ კატასტროფას, რომლის თაობაზეც რამდენიმე მოსაზრება გამოთქვა სპირიდონ მარინატოსმა. მეცნიერის აზრით, ეგეოსის ზღვაში ვულკანური აქტიურობა დაიწყო მესამეულ პერიოდში და გაგრძელდა ახალი წელთაღ-

რიცხვის XX საუკუნის შუა ხანებამდე, კერძოდ, კუნძულ სანტორინზე მდებარე ვულკანი აქტიურობას ავლენდა 1956 წელსაც კი. მასადაამე, არსებობდა რეალური საფრთხე, რომელმაც იმსხვერპლა კიდევ უძველესი ევროპული ცივილიზაცია 3500 წლის წინათ. მეცნიერები ამ ამოფრქვევას უწოდებენ გიგანტურს, რადგან შეადარეს და დაადგინეს, რომ სანტორინის ამოფრქვევის თერმული ენერგია სამჯერ აღემატებოდა ინდონეზიაში კრაკატაუს ვულკანის ამოფრქვევის ენერგიას, რაც დედამიწაზე უდიდესად ითვლება. სანტორინის ამოფრქვევას შეეძლო გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინა არამარტო კრეტის მინოსური ცივილიზაციისათვის, არამედ მთელი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთზე მოეხდინა გავლენა: რამდენიმე დღე მზე არ გამოჩნდებოდა, ძალიან შორს გაიფანტებოდა მისი დამფარავი ვულკანური ფერფლი... მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ამ ამოფრქვევას მოჰყვა უზარმაზარი ცუნამი, რომლის შედეგადაც 100 მეტრის სიმაღლის ტალღა შეასკდა კუნძულ კრეტას. ს.მარინატოსის აზრით, ეს კატასტროფა უნდა მომხდარიყო ძველი წელთაღრიცხვის 1520 წელს. მაგრამ ორჯერ კიდევ გამოიჭრა ძალიან დიდი ვულკანური ამოფრქვევები და კრეტის მინოსურ ცივილიზაცია საბოლოოდ განადგურდა.

ვინ იყო ის ხალხი, ვისაც ატლანტისელებს უწოდებდნენ და რა ენაზე მეტყველებდნენ ისინი?

ბოლო ასი წლის განმავლობაში ატლანტოლოგები გულმოდგინედ ეძებდნენ დასავლეთიდან მოსული ცივილიზაციის კვალს ბასკებში, ეტრუსკებში, გუანჩებში, ბერბერებში, პელასგებსა და კარიელებში. ამ ძიებაში გასაოცარი არაფერია, რადგან, როგორც მოგახსენეთ, ატლანტისელებს მიიჩნევდნენ წარმომადგენლებად მსოფლიოს წინარეცივილიზაციისა, რომლებმაც გავლენა მოახდინა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ ნახევარსფეროში სხვადასხვა კულტურის წარმოქმნაზე. ამასთან ზოგიერთი ატლანტოლოგის მსჯელობა უკიდურესად ზედაპირულია და ტენდენციური, როგორც როჟე დევიზისა. ის ცდილობს, ზემოთ ჩამოთვლილი ხმელთაშუაზღვის ხალხების ერთმანეთთან და ატლანტისელებთან კავშირი დაამტკიცოს სრულიად არამეცნიერული, ე.წ. „ლინგვისტური“ ძიებებით, რამაც კურიოზულ შედეგამდე მიიყვანა; ლუდვიკ ზაიდლერი მიიჩნევდა, რომ ამავე ხალხებში მზის კულტის არსებობა ატლანტისის გავლენის შედეგი იყო; ფრენკ ჯოზეფის აზრით, გუანჩები, ეტრუსკები, ინდიელთა ტომი ნაჰუალტები და ბასკები ატლანტისელთა შთამომავლები არიან.

ზემოსხენებული მკვლევარები ორთოდოქსი ატლანტოლოგები არიან, მიჰყვებიან იგნატიუს დონელის შეხედულებას, ის კი ასევე უკრიტიკოდ იღებდა პლატონის ნათქვამს. მაგრამ ატლანტისის ადგილმდებარეობის დადგენამ — რაც საკითხის არაორთოდოქსული ხედვის შედეგი იყო — მართლაც შეუწყო ხელი ატლანტისელთა ნათესაობის კვალის აღმოჩენას ჩამოთვლილ ხალხებში. ამასთან, დამტკიცდა ისიც, რომ ევროპაში ატლანტისელები დასავლეთიდან კი არა, აღმოსავლეთიდან მოვიდნენ...

მეცნიერებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება, რომ ბერძენთა დასახლებამდე საბერძნეთში არსებობდა საკმაოდ განვითარებული წინარებერძნული კულტურა, რომლის მატარებელ ხალხსაც თავისი სამეტყველო ენა ჰქონდა. სიმონ ყაუხჩიშვილი ამ ენის მქონე ერთ-ერთ ტომად მიიჩნევს პელასგებს. პირველ რიგში, ჰომეროსის „ილიადაზე“ დაყრდნობით. პოემის მიხედვით, პელასგების განსახლების არეალი საკმაოდ დიდია, ისინი იბრძვიან დაპირისპირებული ბანაკის ორივე მხარეს; ამასთან ტროელთა მხარეზე ბევრი წინარექართველური ტომი იბრძვის. ნათესაურ კავშირს ამ ტომებსა და პელასგებს შორის ხედავდა სიმონ ყაუხჩიშვილი, ამის შესახებ წერდა მონოგრაფიაში „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“.

იმას, რომ პელასგები ბერძნებზე ადრე მოსახლეობდნენ კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთში, ნერს ბევრი ძველბერძენი ავტორი: ჰომეროსიც, პეროდოტეც, არისტოტელეც.

პელასგების ჰეგემონიას ჯერ აქველი ბერძნების, შემდეგ კი დორიელები შემოსევამ მოულო ბოლო. მათი ნაწილი ასომილირებულ იქნა, ნაწილი კი აიყარა და გადასახლდა იტალიაში, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ეტრურიას — ეტრუსკთა მიწას — უწოდებდნენ.

ცხადია, საინტერესოა, თუ საიდან უნდა მოსულიყვნენ პელასგები და მათი მონათესავე ხალხები კონტინენტურ და კუნძულოვან საბერძნეთში; ამის თაობაზე მეტად საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს რისმაც გორდეზიანი ფუნდამენტურ ნაშრომში „მედიატერანულ-ქართველური მიმართებები“.

იგი წერს, რომ „მტკვარ-არაქსის კულტურის“ დასასრულს, ძვ.წ. აღრიცხვის III ათასწლეულის ბოლოს, ამ კულტურის შემქმნელმა პროტოქართველურმა ტომებმა დაიწყეს მიგრაცია ერთი მხრივ შავი ზღვის ჩრდილოეთიდან შემოვლის გზით ბალკანეთის ნახევარკუნძულებისაკენ და შემდეგ ეგვიპტეში; მეორე მხრივ კი მცირე აზიის ნახევარკუნძულის გავლით ეგვიპტისაკენ; ნაწილი გადადის იტალიაში, სხვა ნაწილი აღწევს ესპანეთს. ეგვიპტეში პროტოქართველური ტომები საფუძველს უყრიან ე.წ. „შუა ჰელადურ კულტურას“.

მეცნიერის ეს მოსაზრება ლინგვისტური კვლევა-ძიებით არის დასაბუთებული. მაგრამ საჭირო იყო ამ მეცნიერული ნიაღვრების სათანადო გაგრძელება, უკანასკნელი არგუმენტების მოტანა. ეს გააკეთა ახალგაზრდა მეცნიერმა გია კვაშალავამ, რომელმაც მრავალი წლის ძალისხმევით შედეგად შეძლო 2006 წელს გაეშიფრა ე.წ. „ფესტოს დისკოს“ იეროგლიფური, 2011 წელს კი ხაზოვანი კრეტული დამწერლობანი. გამოიკვია, რომ ენა, რომელზედაც შესრულებული იყო ზემოხსენებული ნაწარმები, პროტოქართველური გახლდათ; აქედან გამომდინარე, რომ „მტკვარ-არაქსის კულტურის“ მატარებელი ხალხის ენა, რომლებმაც ეგვიპტეში მიგრაციის შემდეგ კრეტაში შექმნეს მაღალგანვითარებული მინოსური კულტურა, რაც ევროპული კულტურის საფუძველი გახდა, წინარექართველურია.

ახლა უკვე ვიცით, თუ საიდან მოვიდა ის ხალხი, რომლებმაც შექმნეს პლატონის ატლანტისის პროტოტომი კრეტის მინოსური სახელმწიფო და, აქედან გამომდინარე, ვინ იყვნენ ატლანტისელები.

როგორი იყო ატლანტისელთა კულტურა და მათ მიერ წარმოებული „კულტურათა დიალოგი“?

კვლავ მივუბრუნდეთ ატლანტოლოგთა მიერ ატლანტისის კულტურის ძიების პროცესს. ეძიებდნენ სხვადასხვა ადგილას. სიმართლე რომ ითქვას, ფროსტი და ბუკი ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამდეგს ამ კულტურას კრეტის მინოსურ კულტურასთან აიგივებდნენ, მაგრამ მათი შეხედულება არ გაიზიარეს ორთოდოქსმა ატლანტოლოგებმა.

ფრობენიუს ატლანტისის კოლონიის ნაშთად მიაჩნდა გვიწიის ყურის სანაპიროზე არსებული ბენინის კულტურა; ბ.ბო-გავესკი ასეთად კანარის კუნძულების გუანჩების კულტურას მიიჩნევდა; ბერტელო ატლანტისურიდან წარმოშობილად თვლიდა ბერბერების კულტურას.

ასეთი გახლავთ ორთოდოქს ატლანტოლოგთა ძიების ხასიათი, ოღონდ მათ მიერ მიითვებული კულტურები ნამდვილად არ ტოვებდა მსოფლიოს წინარეცივილიზაციიდან მომდინარის შთაბეჭდილებას...

ამ საკითხს შევხებით იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო მეჩვენებინა ორთოდოქს ატლანტოლოგთა მიერ ატლანტისის კულტურის ხედვის თავისებურებანი;

კრეტაზე ატლანტისის ცივილიზაციის პოვნამ მათი კულტურული მემკვიდრეობაც გვაპოვნინა.

მითოლოგიაში კრეტას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. აქ დაიბადა ზევსი. ამ კუნძულის მბრძანებელი იყო ზევსისა და ევროპეს ძე მინოსი, — კრეტას უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოს დამაარსებელი, კრეტული დამწერლობის შემქმნელი კნო-

სოსის გრანდიოზული სახლის ამგები და კანონმდებელი. მითის მიხედვით აქ, დედლოსის მიერ აგებულ ლაბირინთში, ბინადრობდა ხარისაგან (ზევისსაგან) ჩასახული და მინოსის ცოლის პასიფაეს მიერ შობილი მინოტავრი („მინოსის ხარი“).

ყველაფერ იმას, რაც მითებში აირეკლა, გარკვეული თვალსაზრისით, აქვს რეალური საფუძველი. ის, რომ ზევსის დაბადების ადგილად კრეტაა ცნობილი, დიდ მნიშვნელობას იძენს, რადგან მინიშნებაა, რომ ეგვიპტეში შეიქმნა ლმერთების ის პანთეონი, რომელიც მოგვიანებით დამკვიდრდა ბერძნულ რელიგიაში და მთელ მსოფლიოში პოპულარულია. აქ უნდა გავიხსენოთ ჰეროდოტეს ნათქვამი, ჩვენი ლმერთების დიდი ნაწილი, პოსეიდონის გარდა, ეგვიპტიდან პელასგებმა შემოიტანესო. ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, თუ არა კრეტელი პელასგები — ხალხი, რომელმაც უძლიერესი სახელმწიფო შექმნა, ააგო დიდი საზღვაო ფლოტი და ინტენსიური, მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტესთან. ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბერძნულ და, აქედან გამომდინარე, რომაული მითოლოგიის სათავესთან პელასგები მდგარან.

აქვე უნდა ითქვას, რომ პელასგებმა ეგვიპტური ლმერთები უფრო გააადამიანურეს და გააჰუმანურეს.

არტურ ევანსის მიერ ჩატარებულ არქეოლოგიურ ძიებათა შემდეგ კაცობრიობამ იხილა კრეტელ პელასგთა გასაოცარი კულტურა. უძველესსა და უდიდეს კრონოსის სასახლეში 3600 წლის წინათ არსებობდა საკანალიზაციო სისტემა. უამრავი ოთახისაგან შემდგარი ეს სასახლე ლაბირინთის შთაბეჭდილებას ტოვებს და მეცნიერები ფიქრობენ, რომ კრეტის მეფეთა ეს რეზიდენცია იქცა მითოლოგიური ლაბირინთის რეალურ პროტოტიპად. რაც შეეხება სასახლის მოხატულობას, მისი რეალისტურობა და ჰუმანური ხასიათი ხაზგასმული ოპტიმიზმით გამოვლინდა. მინოსური კრეტის პელასგი მოსახლეობა ძველი ნელთაღრიცხვის II ათასწლეულში ავლენს დიდ შემოქმედებით ენერგიას. საინტერესოა, რომ კრეტაზე აღმოჩენილი ცირკის შენობა, ხოლო თუ რა ხდებოდა ამ შენობაში, სასახლეთა კედლის მხატვრობა გვამცნობს: როგორც ჩანს, ეს იყო კრეტელ პელასგთათვის საკულტო ცხოველის, ხარის მონაწილეობით გამართული აკრობატული თამაშები (აკრობატები თავს ევლებიან გაქანებულ ხარს), ასე რომ, ევროპული ცირკის სამშობლოდ კრეტა შეიძლება მივიჩნიოთ, მაგრამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობისაა მსოფლიოში უძველესი თეატრის შენობა, რაც გვაფიქრებინებს, რომ თეატრი შექმნეს არა ბერძნებმა, არამედ კრეტელმა პელასგებმა, დაბოლოს, მინოსური კრეტის მკვლევართა აზრით, ხაზოვანი დამწერლობის უძველესობიდან გამომდინარე, ასობგერითი დამწერლობა უნდა შეექმნათ კრეტულ პელასგებს და შემდეგ მათგან გადაეღოთ ფინიკიელებს.

უდავოა, რომ კრეტის მინოსური სახელმწიფოს კულტურა საფუძველად დაედო ევროპულ კულტურას კრეტა პლატონისეული ატლანტისის პროტოტიპია, ამიტომ ის ცივილიზატორული როლი, რასაც ატლანტისელებს ანიჭებდნენ, ნაწილობრივ კრეტულ პელასგებს ეკუთვნით, ნაწილობრივ კი სხვა პროტო-ქართველურ ტომებს, რომლებმაც ევროპაში მევენახეობისა და მეღვინეობის, მინათმოქმედებისა და მელითონეობის განვითარებას შეუწყვეს ხელი.

XX საუკუნის 30-იან წლებში ქართული კულტურის წარმომავლობას ატლანტისობიდან ვარაუდობდა გრიგოლ რობაქიძე. იმავე საუკუნის 70-იანი წლებიდან ვვარაუდობდი ატლანტისის კულტურის პროტოქართველურ წარმომავლობას, მაგრამ ამის დამტკიცება მხოლოდ XX საუკუნის 10-იან წლებში შეეძლო. ისიც ქართველ მეცნიერთა ეპოქალური აღმოჩენების საფუძველზე. რისთვისაც მაღლობას ვუხედი მათ.

P.S.

უფრო დანვრილებით ინფორმაციას ატლანტისის თემასთან დაკავშირებით მკითხველი მიიღებს ჩემი მონოგრაფიიდან საგარაუდოდ ა.წ. მინურულს.

მანანა დოიჯაშვილი

„სხვა შენ არ არსებობს“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- სულიერი სიმარტოვე.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- ცივილიზებულ, განათლებულ საქართველოში.
- რა არის უმაღლესი ბედნიერება?
- ბავშვის დაბადება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- ვინი პუჭი, კარლსონი.
- თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?
- ილია ჭავჭავაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი.

ვილი.

- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- რემბრანტი, ბრეიგელი, ელ გრეკო, ვან გოგი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?
- სხვადასხვა დროს სხვადასხვა. მუდმივად: მოცარტი, შუმანი.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

- პროფესიონალიზმს, იუმორს, ინტელიგენტობას.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

- ჭკუას, ბუნებრიობას.
- რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

- სიყვარულის ნიჭი.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობა.
- თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

სხვა ადამიანად ყოფნის სურვილი არ მქონია.

- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- მიზანდასახულობა.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- გულწრფელობას, უანგარობას.
- თქვენი მთავარი ნაკლი?
- უაზრო ოპტიმიზმი, ზედმეტი პირდაპირობა, ფეთქებადობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

- როდესაც ყველა, ვინც გიყვარს, ცოცხალი და ჯანმრთელია.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

- იმის განცდა, რომ არავის სჭირდები.
- როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?
- უფრო ნიჭიერი.
- თქვენი საყვარელი ფერი?
- მწვანე, იასამნისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

- ია.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- პეპელა... (ხომ დაფრინავს)
- თქვენი საყვარელი მწერლები?
- ანდერსენი, ეგ ზიუპერი, მორუა, მარკესი, ბულგაკოვი.



— თქვენი საყვარელი პოეტები?

- რუსთაველი, ვაჟა, შექსპირი, პუშკინი.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- რომეოს ჯულიეტა.
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ალბერტ შვეიცერი, პაბლო კაზალსი, მარია იუდინა.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- მარიაამი.

— საყვარელი სახელები?

- ჩემი ოჯახის წევრების: გიორგი, ლევანი, თაკო, თინა, ტასო.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?

— გულგრილობას, უმადურობას, უნამუსობას, უსაფუძვლო ამბიციურობას...

— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

- იუდა.
- საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები ალტაცებისა?

— არცერთი.

— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?

- ყველა რეფორმას, რომელიც ადამიანის განათლებას და საზოგადოების განვითარებას ემსახურება.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდით?
- სიმღერის.

— როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?

- ხანდაზმული, საყვარელი ადამიანების გარემოცვაში, მაგრამ ტულეტში საკუთარი ფეხით მოსიარულე.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- გმადლობთ მოკითხვისთვის.

— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?

- ნუ განიკითხავ და არ განიკითხები.
- თქვენი დევიზი?
- „შენ — შენივე მოქმედება ხარ და სხვა შენ არ არსებობს“ — ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.
- თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- ფუჭად არ მომივლენიხარ ამ ქვეყანაზე.

გია ხოფერია

მეზობლის ჭადარი

აგერ, ახლახან ჩვენი უახლოესი მეზობლისა და მეგობრის, ვენერტელა რუსეთის, ძალიან მომცრო კრიმსკი თავისივე ბუნებამ რომ განირა, მთავრობამაც არხეინად რომ გადაიკვანტილა ფეხი ფეხზე და ათასობით ჩაძინებული ადამიანი შვიდმეტრიანმა წყალმა ჩალუსკუმებულ ღამეში ლოგინებინა რომ აატყვამბა-ლა, გული შემეკუმბა. რამენიარად გადავიტანდი იმ საცოდავების გაჭირვების გამო მიღებულ დარტყმას, მაგრამ იგივე ამბავი აქეთაც, საჩვენოსკენ, მეტ-ნაკლები წარმატებით რომ განმეორებულყო, საით გამარბენინებდნენ ჩემი დასიცხული ფეხები, კი იყო მწარედ საკითხავი, მაგრამ ვისთვის მეკითხა! თანაც იმსალამოს-ვე, თუ ცოტა მოგვიანებით, ყოვლისშემძლე ინტერნეტითა და არანაკლები შეძლების მქონე ტელევიზიით გვაცნობეს, რომ საქართველოშიც გვესტუმრებოდა დიდი შესაძლებლობის წვიმა ან უფრო აგრესიული დელგმა და ნკვარამი. სხვისი დარდი ხომ მქონდა და მქონდა (ახლაც მაქვს), მაგრამ ჩემიც რომ მიემატა, დამძიმებული გული უფროვე გამიფუჭდა. ვინ იყო მისი შემკეთებელი?!

როგორც იქნა გავათიე ის ღამე შავ-თეთრად. ერთი-ორ შემტევ სიზმარს ცოცხალი, მაგრამ დრამატული ფიქრებიც მიემატა და დილით ჩემი სამიოდე ღერი თმით ყალყზე ამდგარმა ცას კოინდრიან ეზოდან ფრთხილად ავხედე. მაინცა-დამაინც დამამინებელი ომის დაწყებას არ უჩანდა პირი იმუამად, მაგრამ კაცი თუ ხარ, კვერცხი რომ მოგადგება, მაშინ არ უნდა დაუწყო ბუდეს ძებნა (კვერცხი და ბუდე რალაცნაირად არ ეწყობა კაცს და კაცობას, მაგრამ გამოთქმა ასეთი და ავად ნუ გაიღიმებთ!).

განსაკუთრებით მაშინებდა ის, რომ ჩემი სოფელი თარაზოში გამოყვანილივითაა გასწორებული, სადმე ერთ გორაკსა და ბორცვს ვერ დალანდავ წამლად. ვთქვათ, შემოვიტია იმ წყალმა, იქ რომ იყო, იმაზე პატარამაც, სად მიდიხარ, რომელ მალლობს შეაშველებ თავს, სად აფოფხდები?! ავაშენებდი ერთ მთას ამგვარი მოსალოდნელი უბედურების ჯინაზე, ძალიან ჭკვიანურიც იქნებოდა, მაგრამ ამ ამბავს იმდენი ფული და ნებართვა დასჭირდება, დრო და ხანი არ გვეყოფა. ამასობაში ნავგლექკავს და გაგვანადგურებს მოახლოებული ტარტაროზი. იმას ახლახან ნახსენები არც ფული სჭირდება და არც სანებართვო ქალაქი. ამიტომაც არ გამოვა ამ გენიალური იდეის აღსრულება.

თუ მოინდომებ, გამოსავალი ყოველთვის მოინახება. საკაცობრიო გენში ზის ასეთი გამოცდილება. ღრუბლიანი ცის ყურებას თუ ცქერას, როგორც მერე გაირკვა, წინ გახედვა სჯობდა. ჩემი ჭიშკრის სიხლოვეს, სულ რალაც ოც მეტრში, თითქოს პირველად აღმოვაჩინე უზარმაზარი ჭადარი. რანაირად დგას იცი, ვაჟკაცურად! ეიქ აქვს, ეიქ კენწერო. ჩვენთან თითქმის ყველა ხე ნახრილია დასავლეთისკენ, იმდენად შეჩენილია მათზე რიონიდან მონაბერი ქარი (ჩემი ბიზნესი რომ ჩეიტანა ფოთში, იმაზე გეუბნებით!). ეს კი, ვაჰ და, როგორ არ უნდა გავიხარდეს, დგას ნამდვილ ვერტიკალურად. რამდენი წელია დგას ეს ოჯაქორი აქ და იმედის მომცემად თუ მომეველინებოდა უკიდურესი სასონარკვეთისას, ახლახან ვიგრძენი. ოცდაათ მეტრამდე მაინც იქნება აჭიმულ-ამტოებული. რა სჯობია მის ჩრდილში ანუ, ჩვენებურად, შტილში ჯდომას. მაგრამ ამ წუთში რა მეჩრდილებ-მეშტილებსა, სიმალღე და გადარჩენა მჭირდება. ძალიან მწარეა სული, ძალიან მწარე და იმ ფოთლოვანმა ცოტა არ იყოს დაწმენდილად გამომახედა თვალებში.

ეს მიგნება თუ აღმოჩენა ნამდვილად იყო გასახარი. ასე გაბადრული გაცოცხლებულ მამარქმსაც ვერ შევხვდებოდი, მაგრამ ჩემი საკუთრება არ იყო ის ჭადარი და სამართლიანად შევჩქვიფდი. მეზობელი უნდა გამომეჭირა კარგ გუნებაზე, რომ ჩემი იდეის განსახორციელებლად ნებართვა მოეცა.

ილბალზე ისიც გამოჩნდა. ჩვენი ეზოების გამყოფ მესერს მოადგა და სალამ-ქალამის შემდეგ უბედური რუსებიც გავიხსენეთ, ბედნიერი ქართველებიც, სპორტიც, მგონი ღამის შოუზეც დაეხარჯეთ ორიოდე სიტყვა, თუმცა ღრუბლიანობის თანდათან მომატება-ჩამუქებამ ორივეს აგვიბორძიკა ენა. მაინც არ ვაგტყდით და სოფლურად გავავრძელებთ საუბარი:



— ძალიან მოუხდება ყანებს, — თქვა მან.

— კი, წამოიდერება ცოტა, — ვთქვი მე.

— ბალახიც წამოვა, შეძლება საქონელი.

— აბა, რა.

— სულს ძლივს ვითქვამთ, აგრილდება.

— მაგიცაა, კი.

— დამსხვილდება ნაყოფი.

— მაგასაც იზამს.

— სიგრილეში აზროვნებაც გემატება ადამიანს.

— მეტი არაა ჩემი მტერი!

— მე მემატება და შენი არ ვიცი!

— კაი, მასე იყოს, მაგრამ იმ რუსებივით რომ დაგვტბოროს, სად წავიდეთ, მაშინ?

— მაგისტანა ჩვენთან მიდღემჩი არ ყოფილა.

— ვთქვათ მოვიდა.

— სად, ბიჭო, აქანე, ამ თთანოურში?! ამ ქვაში შენ გააჩერებ წყალს?! გავარჯარებული ყველაფერი, ხელათ შეინოვს მინა.

— ხომ არ გავინყდება ნაზღვაური რომაა აქაურობა და თითქმის ზღვის დონეზე ვართ ახლაც.

— მაინყდება თუ არა, მოსწრებული ვარ მაგ ამბავს?! არაფერიც არ მოხდება!

— ძალიან უპასუხისმგებლო განცხადებას აკეთებ, არ გკადრება ეს შენ!

— რატომ ვამბობ უპასუხისმგებლოს?

— ვთქვათ და უცებ მოვარდა, სად მიძვრები, თუ დაგახჩო, მერე შეინოვოს რამდენიც უნდა, ჩვენ რა, დავრჩებით ტიკებივით დაბერილები!

— ღმერთმა ნუ ქნას!

— რა შუაშია აქ ღმერთი! თუ გინდა იყოს! ხომ ქნა ერთხელ წარღვნა? კი ქნა!

— მერე განმეორებას ვინ დაუშლის, მეორე ღმერთი?

— მოვიფიქროთ რამე!

— მე უკვე ნაფიქრი მაქვს, გაგიმხელ და ჯერჯერობით არავის უთხრა.

— ქვა ვარ საყორე!

— შენი ჭადარი თუ გვიშველის, მაგხელა ამ არემარეზე არაფერია!

— რას ამბობ?!

— მართალს!

— კენწერომდე კი აქვს ისე მსხვილი ტოტები, გადაყვივი მაგის გაზრდას.

— კარგად მაქვს შეთვალეერებული.

— მერე შენ რა გინდა?!

— რა მინდა?

— ხო, რა გინდა?

— რადა, ორი ადგილი, ეგერ, ე, მარჯვენა მხარეზე, ჩემთვის მინდა იყოს წინასწარ დაჯავშნული, ცოლსაც ავიყვან ზედ, თუ მოვასწარი... დანარჩენი ადგილები შენი იყოს, მრავალსულიანი ხარ.

— მეზობლობაში ჩხუბი არაა სარგებლობის მომტანი, მაგრამ ისევ მეზობლურად გეუბნები, ორ ადგილს ნამდვილად შეგახვედრებ, რახან ამ ჯანსაღი იდეის პატრონი ხარ, მაგრამ ჯერ მე მოვინიშნავ — მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ — საიმედო ადგილებს და რაც კი დარჩება, შემდეგ შენი იყო.

— არც მავაზე ვიჩხუბებ, მაგრამ ეცადე კენწეროსკენ მომახვედრო.

— ვეცდები.

კაი მოღამებულზე ეს ჩემი მეცეცხლური ვითომ მაღულად, ვითომ ვინმესგან თვალუცემლად მიადგა საკუთარ ჭადარს, მიაყუდა ზედ აქა-იქ საფეხურებგამოტოვებული კიბე და ნელ-ნელა ამაღლდა ვერტიკალურად კენწეროსკენ. კარგია ამაღლება გადარჩენისთვის, საამო სიოს დაბერვა იცის ამ დროს შემოლიტინებამ გულსისხლძარღვეულში, შეიძლება „მერანიც“ კი თქვა ზეპირად, თუ იცი, მაგრამ ჯერ აუცილებელია იმ სანუკუკარი ადგილების მონიშვნა, მართლა რომ საიმედოდ დასკუბდები და მართლაც რომ გადაგარჩენს, თორემ რა ეშმაკად გინდა მერყევი და მოქანავე ადგილი, თუნდაც კენწეროსთან, თუნდაც ყველაზე ამაყ მწვერვალთან. ჯაყყით მითალ-მითალა ამ ხეირიანმა თავისი და თავისიანების სანინასწარო განშტოებანი და მაშინ გონების რომელიღაც განათებულობაში კარგა ხვავრიელი აზრი გაუღვივდა საქმოსნური ანუ ბიზნესური გამინაარსების. ადგილის მეტი რა იყო იმ დალოცვილ ჭადარზე და უბედურების მოახლოების შეგრძნებისას ვინ ოხერი დაიხვედა უკან, რა მოცულობის ფულიც იქნებოდა საჭირო, სასიცოცხლო ადგილის მოპოვებისთვის, არ გაეცა, თუნდაც წინასწარ არ დაებანდებინა, ცხრაფა ტყავი გაეძრო თავისი, სხვისიც, შეენგრია და შეელენა ქვეყნიერება, ოღონდ უმნიკვლო და სპეტაკი სული შეენარჩუნებია უჯანსაღესი ხვალისთვის. ამგვარ სასიხარულოზე აფიქრდა ამაღლებული მეცეცხლური და ბედნიერების გამოძახებელი ბუსუსებიც გამოეფინა ტანზე. ცნობისა და განცხადების მოყვარული უთუოდ ჩამეძიება, საიდან უნდა ვიცოდე, ჩემი მეზობლის ტვინი რა განამანაიშია ჭადარზე, თანაც გაგანია შუღლამისას, მაგრამ დაუწყნარებ მას ნერვებმოშლილობას იმით, რომ, ჯერ მას, როგორც ეტყობა, წყალი არ შედგომია და არ იცის, საშინელი სისოვლისას რაოდენ დიდი ვაფაციცება ეწვევა ხოლმე ადამიანის გონებას (ეს დაახლოებით იგივეა, მგელი რომ ეწვევოდ ზამთრობით ხმელ ნიფელს!.. გაანძირე თავი, სულ ნუ დაიბნევი!). ასეთი გონება ხმაურიანია და მე შენ, რომელიღაც ვინმეს ყრუ ხომ არ გგონივარ!

კარგა ხალისიანი მოლოდინი ჩაუსაფრდა ჩემს გვერდით ძმას სააზროვნო ბუნაგში და ჭადრიდან ფრთხილად ჩამოსხლტომისას, ორჯერ თუ სამჯერ, ამ სიხარულის გამოძახებულობით პირველი ხელი მეორეს, მომუშტულს, დაახმარა და იდაყვიში, მოსახრელი რომაა, იქა, მძლავრად ამოარტყა და ზეცისკენ განმეორებითად და კიდევ განმეორებითად გაგზავნა ის შემუშტულ-შემუჭულობა.

მართალია, დაცარიელებულია ჩვენი ქვეყანა და მათ შორის ჩემი სოფელიც. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აუტყდა ყველას მსოფლიოში მოგზაურობა, ვითომ ამ მსოფლიოს ვინმე გვართმევდა, მიჰქონდა სადმე, მაგრამ ვინც ეს მოგზაურობანი ვერ გავარიგეთ, გულდანყვეტილები კი დავრჩით, გამოვიცქირებით ნაცარში კოვზ (ალუმინის ან სპილენძის) ჩავარდნილებივით, თუმცა ფარ-ხმალი არ დაგვიყრია (არ გვექონდა და მიტომ!), არ გაგვჩენია სააზროვნოში მატლები და აგერ, ამ უბედურებას რომ გვიქადაგებდნენ, წარლენა მოდისო, ჩვენი თვალები ჩვენივე გავახილეთ და ვიდრე ჭადრის პატრონი შემოგვთავაზებდა თავისი ბიზნესმენური გეგმის შინაარსს, იქეთკენ ვეახლეთ და ჩვენივე მიხვედრილობა დავადასტურეთ.

მეზობელმა ზეცას ნამდვილად რომ შესტყორცნა მუშტები, მაშინ ნახევრად მოღრუბლულობა იყო. აქა-იქ ანათებდნენ იმედის ვარსკვლავები, მაგრამ რა დაძინებდა ჩემი ჩათვლით დანარჩენ სამეზობლოს, ოდნავ თვალის ნაბლიტვისასაც საშინელ ღრინაცელსა და სიკვდილის ერთდროულ ნახტომს რომ ვხედავდით.

ჭიშკარი ხეირიანად არ ჰქონდა მიკეტილი ჭადრის პატრონს, დაბალი ხრინინანი ხმით უქნიდან რომ შემოესმა:

- კონოვიჩი! კონოვიჩი ხარ, ხომ?
- არა, მამაჩემიჩი!
- კონოვიჩ, გენაცვალე, რაფერ გამიხარდა, ძახილი რვარ ამატეხი ამ შვალამეზე! ღამე, ხომ იცი, შორს მიდის ხმა და მთელი სამეზობლო გეიღვიძებდა, შენთან იმფერი საქმე მაქვს, არ მინდა, სხვა რომ დემესწროს!
- რა იყო, ცეცხლი გიკიდა?
- ვარესი! ვილუპებით, გონია, და შენს იქით გზა ჩაკეტილი ყოფილა, ვერ წავალთ იქით!
- რას ბუჭტურობ, თუ იცი!
- იქნებ მართლა ვერ ვამბობ დალაგებულად, წამახდინა ნერვებმა, ჩემს ბოვებს, წყალზე ატივტივებულად რომ წარმევიდგენ, მაგრამ გამინათდა ეს ჩაბნელებული გონება ორი საათის წინ და ერთადერთ საშველს მივაგენი და აგერ ვარ ახლა შენს კისერზე ჩამოკონიალებული!
- მე რა უნდა გიქნა!
- შენ კი არა, შენმა ჭადარმა უნდა მიშველოს! შენგან მხოლოდ ნებართვა მჭირია!
- რაფერ უნდა გიშველოს?
- შევალთ ზეთე! მაგი ჩემს ბავშვობაშიც ამხელა იყო, დიდა და ღონიერი, ვერ მოთხრის გაგიჟებული წყალიც კი!
- წყალი მოთხრის თუ არა, რომელიღაცა ხარ შენ.. უი, ცენცერე ყოფილხარ! ვინ გკითხავს და ვინ გეკითხება! შეხვალ კაია და ნებართვა რომ გჭირდება, მთლად კაი!
- მაგას გეკითხები სწორედ, კონოვიჩ, შენი როა მაგ ხე, კარგად ვიცი და ნებართვა მინდა!
- ბეერი მყავს შემწუხებელი, ძალიან ბეერი! ახლა ვერ დეითვლი და უთენიაზე თუ მოხვალ, შენითაც, დამოუკიდებლადაც ქე გადათვლი, რამდენი ტოტია ზედ და სულ რამდენი უკანალის მოსათავსებლად იკმარებენ ისინი. ბეერისო, შეიძლება კი მითხრა, რომ დაითვლი, მაგრამა შემწუხებელიც არანაკლებია.
- ნუ გამიჩენ, ახლა, გოუჩენელს, არც ვითვლი და არც არაფერი, შენი მეზობლური ბაგესალოცავიდან ჩემთვის სასარგებლო სიტყვა რომ ამევიდეს, იგი მინდა მე, მითხარი მოჭრილ მონყვეტილად, კაის არაფერს მიპირობ?! შენგან მეოთხე მოსახლე ვარ, ესეც გეითვალისწინე.
- მაგის შესხენება რად მინდა, ისედაც ვიცი. მოგიხერხებ რაღაცას, არ დაგტოვებ წყალში.
- მაგი არაა გარკვეული პასუხი! შენ რაია, პირველად ხვარ მიყურებ! რაღაცას მიმალავ და მეხათრები, შემჭამა ეჭვმა, გუშინდელი ხვარ გგონივარ, რას ღრნი, თუ იცი, გასჭერი და მომიღე ბოლო!
- ქვედა ტოტზე მაქვს ერთი ადგილი დარჩენილი. ნუ გეშინია, მინიდან ათი მეტრითაა დაცილებული, მაგხელა წყალი რავა იქნება, მოგწვდეს.
- ბიჭო, შენ, ეტყობა, მართლა ვერ მიცანი, ან ტვინი გაქვს არეული. სულ ქვედა ადგილს რომ მთავაზობ, თანაც ერთს, ჩემი ოჯახის შემადგენლობა დაგავინყდა?! ბოვებთანად რვაი ვართ. მე რომ დავჯდე იმ ბოლოზე, შვიდი რაფერ ჩვეიჯინო კალთაში, პატარა აზრს არ ატან ლაპარაკს?
- აზრსაც ვატან და სხვა რამესაც, ამ ჭადრის დემოგრაფიული მდგომარეობა ამჟამად ასეა და ის ერთი ადგილიც არ დაკარგე, გირჩენია და მირჩევია შენთვის.
- მაგ ინფორმაცია დავიმახსოვრე, მაგრამ ის მაინც მითხარი, მეოთხე მეზობელი, რა მნიშვნელობა აქვს მარჯვნივ იქნება თუ მარცხნივ, ითვლება თუ არა ახლობლად, რაც თავი მახსოვს, ერთმანეთისთვის არაფერი გავგიფუჭებია, გველის ნაკბენივით რომ გამიხსენო, ითვლება თუ არა, და თუ ითვლება, ჯერ კიდევ გათენებული არაა და ამ ნკვარამეთში, ვინ ჯანდაბამ და ამდენმა ჯანდაბებმა რანაირად მომასწრეს შენამდე, და თუ მომასწრეს, ყველა ჩემზე ახლობელი რაფერ შეიქმნა?
- რატომ მაგდებ, ცენცერა, სინდისზე! ახლობლობა, ძმაცაცობა, მეგობრობა და ნათესაობა ჩემთვის რა, უცხო ხლია?! დღეს, ძმაო, ტექნიკა იმხელაზეა წასული, ჩემთან დაკავშირებას

სულ ნამებში ვერ მოახერხებდნენ თუ რა! მოახერხეს და უარი მეთქვა?! შენ რომ გამოგეღვიძა, სხვამ მაშინ დეინყო ჩაძინება!

— ბიჭო, ამ ჭადარზე, დოუთვლელად რომ გითხრა, ასი კაცი მაინც დეეტევა და ამდენი ვინმე ჩვენს ქუჩაში სად მონახე?

— ასი რა ამბავია, გადატვირთვას ვერ დავუშვებ, ტოტები რომ ჩამოტყდეს, დევილუპები!

— კაი, მოვაკლოთ, თუ გინდა, ოცი, სადაა ამდენი ამ ქუჩაში, მე მყავს მხოლოდ რვაი და მორჩა, დანარჩენები, თითო და ორ-ორი კინკილაა, თანაც მჩატეა ყველა, მსუქანს ვერსად ნახავ, ერთხელ ჭამენ დღეში.

— ცენცერა, შენ ინტირიგანობა ხვარ დავინყია, არ მომშორდები და არ ნახვალ შენს სახლში?

— არაფერი არ დამინყია მე, ხმიზა არ ამანევიო ახლა, ვხვდები, რაღაცას რომ მიმაღავ, ცუდი სიტყვები არ გამომტყუო, ეს ჭადარი, შენი კია, მარა ერთი სიტყვა ვიცი უტყბოური, ექსტრემალური, და ამ სიტყვაში აზრი რომ დევს, ისეთი აზრის გამომწვევი მდგომარეობა როცა შეიქმნება, სამხედრო-საომარის არ იყოს, ხომ ხედავ, ვართ პატარა საქმეში ჩახედული, ჭადარი კი არაა, მაგაზე დიდი და განსხვავებული რამე ხდება საერთო შემართებისას.

— საერთო კომუნიზმი იყო ადრე და იმას მიაკითხე, ეს ჭადარი ჩემია და ვისაც მინდა იმას ავუშვებ ზედ, გამომივიდა ეგი ახალი დროის რეფორმატორი!

— მაგ ჭადარი, აშუამინდელი მძიმე მდგომარეობის გამო, მთელი ქუჩის საკუთრებაა, ვისაც გინდა ვკითხოთ, თუ გინდა, პარლამენტს!

— შენ რამხელა გული გქონია, ბიჭო, ნელან მთხოვდი და ახლა მანვები?!


- ვილუპები და რა ვქნა?!
- ესე იგი, ერთი ადგილი გქმარა!
- არაფლის დიდებით!
- რა მოგხერხო და რა გიყო, ისე მაქვს გონება გადაღლილი, ვერ მომიფიქრებია, არადა ზედა ადგილები ყველა დაჯავშნულია.
- დაჯავშნული რას ნიშნავს?!
- ყველაფერ ანგარიშს შენ ხომ არ ჩაგაბარებ, დაჯავშნული არ იცი რაა, ბე აქვთ გადახდილი!
- ერთის გარდა ყველა ადგილი გაყიდე ხომ?
- ბოლო სიმართლე თუ გინდა ასეა, მაგრამ...
- რა მაგრამ?

— შენი ახლობლობის გულიზა ერთი-ორი არ მომდის თვალში და იმათ ამოვადებ, კიდეც რომ გავილახო, წავალ რისკზე, ნაცარს მივიყრი სახეზე და შენ გადაგვამ ცოლშვილიანად ქვემოდან მეოთხე ტოტზე მარცხნივ ან ჩრდილო-აღმოსავლეთით, რო ვინცობისა დაქცევის მერე მზიანობა დაინყოს, სიცხე რომ არ შეგანუხოს.

— ნამეტანი ჯიგარი ხარ! კი დამლაღე, მარა აღარ ვჩივარ, რახან საქმე გეჩიარხა, ჩემგან რამდენი იქნება საქირო!

— საბოლოო ფასი ჯერ წესიერად არ დამიდგენია, ბეს კი ვლებულობ, მაგრამ გადარჩენის შემდეგ სანამდე წავა ეს ამბავი წინასწარ არ ვიცი. მოკლედ რომ გითხრა, დღეების რაოდენობის მიხედვით დავინგარეშებ თითო სულზე ვის რა მოგიწევთ.

- ახლა რა ვქნა?
- გავარდი და ბე მომიტანე, იმათ, გაგდებულებს, რომ დაუბრუნო იმდენი მაინც, თორემ შენგან ამასაც არ ავილებდი, არ გენდობი თუ რა!
- რამდენი მაინც!
- ცოლ-ქმარს ას-ასი დოლარი მოგიწევთ, სიდერის, კაი, ოთხმოცი დოლარი იყოს, ასაკოვანია რაც უნდა იყოს და პატარა წონის, ბოუშების კაპიკი არ მინდა, ძალიან მიყვარია მაგენი მე!
- ლარი არა, ხომ?
- რაც ვთქვი, იმის შესაბამისი კი, შენზა კი! იცოდე, არ დამლუბო და შენი თავიც არ დაილუპო, ვინმესთან კრინტი არ დაცდეს, თორემ პირველ რიგში შენი საქმე გაფუჭდება გამოუსწორებლად!



მხატვარი ოლესია თავაძე

— მიქარავ?!
— აგერ დაგელოდები თხუთმეტ წუთს, აბა, გავარდი!
— რათ მინდა მაგდენი!..
წინასწარი გადარჩენით დაკმაყოფილებული ცენცერა ჩემად გაილაღა ლამეში და სასიამოვნო ნერვიულობის გამოსახატავად რამდენჯერმე შეუსტვინა კიდეც რომანტიკული ელფერობით. იგი კაცი იყო და ნამდვილად ეამაყებოდა ცოლ-შვილთან ხელცარიელი თუ ტვინცარიელი რომ არ ბრუნდებოდა.

მეცეცხლური კონოვიჩი ანუ იგივე ბურკალია სახლში ახლოს, ეზოშივე, დაელოდა ცენცერას, ერთი თვალის წადება მილიონს ერჩია თუნდაც ასი დოლარის მომლოდინეს, მოინადინა კიდეც ცოტაოდენი მიძინება, მაგრამ ნახევრად გაბედულად და ნახევრად შეთამამებულად, რომ ვერ გაარჩევდი ვისი ხმა იყო, გამოიხმეს ეს მომავალი ბიზნესმენი.

თუ ბიზნესი და საქმე გინდა, ფეხზემიძინებულსაც არ უნდა შეგეზაროს უკეთესობისკენ მიბრუნება, თუა ის უკეთესობა. ამანაც შეატრიალა საკუთარი მძიმე კორპუსი და უკვე მომზადებული პასუხით ანუ მოურიდებელი ბიზნესგარიგებით გაეგება შეცნობილ ხმას, თუმცა მაინც თქვა:

- რომელი ხარ? რატომ მანუხებ ამ ბნელში?
- ბნელი და უბედურება ნარამარა დაგვტრიალებს თავზე უზარმაზარი ყვავივით. ახლა დამჭირდი მაინცდამაინც და რაფერ არ შეგანუხო, კეთილი ვარ შენი, კაკიე!
- მერე რა მოხდა, შე კაცო, უცხო ხმით რომ იძახი, შემამინე!
- ნართმეული მაქ საკუთარი ხმა, იმდენი ვინერვიულე!
- რა იყო, კაკია, ცოლი ხვარ გაგეცევი, რამ აგიბავუნა გული?
- ქვეყანა რომ იქცევა, შენამდე არ მოუღწევია ამბავს?!
- ვიცი, ვიცი, მარა დეიქცეს თუ უნდა, თავს ხვარ მევიკლავ მაგისთვის!
- ბიჭო, სალადაოდ გვცალია ახლა, კარზეა მომდგარი წარღვნა!
- მე რა უნდა ვქნა?
- შენ რაც გინდა ის ქენი, ოლონდ სამი ადგილი უნდა გამიჩალიჩო, არაფერზე ვიხვე უკან!
- შენ ცოტა ვერ ხარ, ხო იცი! რომ მელაპარაკები, სულ არ ფიქრობ?

— კიდევაც ვფიქრობ და კიდევაც ვაზროვნებ, არ დეიხიო უკან, სამი მინდა სულ, მხარეს არა აქვს მნიშვნელობა! ნელან გისმენდით შენ და ცენცერას!
— შენს უკან კიდეც ხვარაა ვინმე დამალული?
— კი, არიენ!..მეტი საშველი არაა, თვარა რავა შეგანუხებდით! ბურკალია, არც მე ვიცი და არც სხვამ, პირველად თავის ცხოვრებაში რატომ ჩაფიქრდა ღრმად, თუმცა ეს ჩალრმავება

დიდხანს არ გაგრძელებულა და კაკიეს, მის უკან ჩუმად მდგომების და თითქმის მოახლოებული ცენცერას გასაგონად წარმოთქვა:

— მაცალეთ ერნამა თვალის წახუჭვა და რავარც კი გათენდება, პირველ რიგში, მეზობლებს გაგინყობთ ხელს, თავიდან დევიწყებ გადანაწილებას!

— ვარ გათენდეს? — მაინც იკითხა კაკიამ.
— ხვალ აუცილებლად გათენდება, მერე არ ვიცი!
— კაი მაშინ, ორ-სამ საათს რავა არ მევიცდით!..

დილით არაუშავს დანმენდილი ჩანდა ბურკალიას გადაღლილი თვალები. პატარა-პატარა შეცინებებიც მიუხტოდა დაკვირვებულ ლოყებზე. დაკვირვებულობას უფრო ქალზე იტყვიან, მაგრამ ზოგჯერ ლოყებმაც არ იციან კაცისა და ქალის გარჩევა. მთავარი, რა თქმა უნდა, ეს დაკვირვებულობა არ იყო, მაგრამ იგი ნიშანს იძლეოდა ბურკალიას შესაძლო გაბედნიერებისა, რომ თავისთვის მდგარი, ცადაზიდული და ამყი ქადარი, რომ გჭირდება, იმიტომ, სხვაგვარად კი არა, შემოსავლის ამწვანებულ წყაროდ იქცა, თანაც სულის მისწრებაზე, რამდენადაც იტყვის მოხერხებული ენა, სწორედ სულის მისწრებაზე, წარღვნის დაწყების წინ.

ამ აკვირვებულს ხელში ავტოკალამიც ეჭირა და მოგრძო ფურცელიც, ალბათ სამეზობლო სიის შესადგენად, ხოლო ფეხებთან დაყრილი თეთრი ზორტები ასევე გარკვეული დანიშნულებით მოეტანა და მალე საქმესაც შეუდგებოდა.

ამასობაში ზეცად მოქუფრულობამ მოიმატა. ჩამუქდა ზეცის ჩრდილოეთი ფერდობი. ქარიც საშიშრად აპირებდა ამოქსინებას. მოდი და ნუ აგინიკნება ნერვები, ნუ შეგიფრიალდება ერთი მუჭა გული, თანაც გამოცხადებული თუა სინოპტიკური სიციფდე და ნელ-ნელა ატყობ კიდეც, რომ სხვას, ადრინდელს, თავი დავანებოთ, თუ გინდა, ამჯერად ნამდვილდება ამინდის გამომცნობთა მიხვედრილობა.

— შენ არ გადახვიდე გარალმა, არა, პოდნოსით მოგართმევენ ადგილებს, დამიჯექი სახლში! — ნამისისინა მსუსხავად მეუღლემ, — ვერ ხედავ, მგელტაცობი რომაა! ამ ბოვშებს რამე რომ მოუვიდეს, დღეი ვარ მოგერიო, ღამე მოგახერხავ კისერს!

— მე ჩანყობილი მაქვს საქმე და დოუნეი ღამას!
— მასე გეგონა გაზზეც, მარა მარტვა შენ გამოგტოვეს, გამოგისვეს!

— მოკეტავ თუ მოგაკეტო!
— რა იცი შენ მეტი!

ქალის გადენილობით არა, მაგრამ თავადაც მქონდა სურვილი გამეგო, ჩემი იდეები რამდენად მსხმოიარობდა სამეზობლოში და ნელ-ნელა, თითქოს ბაბიურშიც არ ვიყავი, გავემართე მათკენ.

ალყაში იყო მოქცეული ბურკალია. იგი თავის ჭადარივით იდგა სამეცხლურროში და ამაყადაც გამოიყურებოდა.

— რას აკეთებთ, ჩემო შეშინებულო ძმებო? — მისვლისთანავე მივმართე მონადინებულებს, — არ დაახროთ მაგ კაცი, ჰაერს ნუ უხშობთ!

— რას ქვია ვახრობთ, ამყამად ბურკალიე ოქროა ჩვენთვის! — წამოიგრძელა კისერი სალამურამ.

— რას მელაპარაკები!
— მოთავებულ სიმართლეს!
— რას შობი, ბიჭო, ამდენხანს! — თავად ბურკალიამ ასძახა ხეზე ასული სიმონას.

— რას ვშვები და იმას... რას უნდა ვშვებოდე, ვითვლი!
— ნელა ქენი, არ ჩამოვარდე, ახლა ვის აქვს შენი ტირილის თავი!

— ნელა ვითვლი, მაგრამ სამჯერ შემეშალა.
— მაგას არ გეუბნები!.. დიდი ამბავი, თუ შეგეშალა, მოსალოდნელიც კი იყო შენგან, მაგას არ გეუბნებითქვა, ნუ დახტინხარ თავივით, არ ჩამოვარდე თვარა სული არ დაგყობა ძირამდე!

— რა ჩამომადგებს!

— კაი! რა ქენით, ყველამ მიკარნახეთ თქვენი თავი? შენ, ხოკორა, სასაფლაოდან პერერივზე გამოსულივით რომ იყურები, რამდენი გინდა?

— ორი.
— ორი რაფერ გეყოფა, ორი ანეტას და ბოვშს ჭირდებათ, შენზე არ ფიქრობ?
— წყალს ნოულივარ მე! ფული არა მაქ!
— ნაგილებს კიდეც! ავიშვებ ნისიად.

ჭადარზე ასული სიმონა სიმონას ძე სიმონაშვილი როგორც იქნა ჩამობობლდა, რატომღაც შარვალი დაიფერთხა და ყველას, უფრო კი ჭადრის პატრონს, ომახიანად მოახსენა:

— აღმოსავლეთისაკენ გაშვერილია თორმეტი ტოტი, დასავლეთისაკენ — თოთხმეტი, სამხრეთისაკენ — რვა, ხოლო ჩრდილოეთისაკენ — შვიდი. ერთია ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და ორი სამხრეთ-დასავლეთით.

— მართალია! — დაუდასტურა ბურკალიამ, — განაგრძე!
— ესე იგი, სულ მოცემულობაში გვაქვს ორმოცდაოთხი ტოტი. მყარად, საიმედოდ ჩამოჯდომისათვის ვარგისია ყველა. გამორიცხულია მოსალოდნელი მოტენილობა, მარა, ჩემი ჭკუით, უკანალთა რაოდენობით არ უნდა მოხდეს ტოტების პერეგრუზკა...

— ცოტა კულტურულად რომ გეთქვა, ძალი გიკბენდა! — მიახალა კაკიამ.

— შენ მიგაკვდა ძალიცა და ღორიც! ჯერ ერთი, მითხარი, რით ჯდება იმ ტოტზე და, მეორეც, უკანალის მაგივრად ტრაკი მეთქვა, შე მართლა ტრაკო?

— მიდი, მიდი გააგრძელე, ნუ უყურებ მაგას! — ნახევარმბრძანებლურად თქვა ბურკალიამ, თან გონება-ფიქრში ასიანებს ითვლიდა.

— დიხაც განვაგრძობ! ვამბობდი და ვიმეორებ, არ უნდა მოხდეს ტოტების პერეგრუზკა, მარა თითულ ტოტზე ოთხი, კაი, ვიტყვი კულტურულად, ოთხი ადამიანი თავისუფლად მოთავსდება მძიმე, ხოლო ორ-ორი ბოვშიც რომ დეიმატონ, ატვეჩაი ვარ, არცერთი არ მოტყდება, ესე იგი, ყველა ადგილს თუ ავითვისებთ, ასორმოცდაათი-ასამოცი კაცი შევა ამ ჭადარზე.

— მაგდენს ვერ გავრისკავ! — წამოიძახა ბურკალიამ.
— მაგდენს მაინც არა ვართ! — ერთად თქვა რამდენიმემ.

— ეჰ, ახლა არ ვართ, თვარა ათი წლის წინ სამი მაგდენიც ქე ვიყავით, გაკრეფილია თელი ქუჩა თურქეთსა და საბერძნეთში! — ჩაერია სამეზობლოს საქმიანობაში მაკრინეს დედა.
— იტალიამიც! — რატომღაც იყვირა სერესკელამ, — ჩემი ქალიშვილი იტალიაშია უკვე რამდონი ხანია!

— ე, ბიჭო, მაცალეთ, ნუ გადადით საერთაშორისო თემაზე, ჩემი გასაჭირიც მეყოფა! ზნაჩიტ, მთელი ქუჩა ვეტევით, მაღლობა ღმერთს, რამდენი ვართ სულ სიაში? ჩემი ჩანერილობით ას რვა. ხომ არ გამოგვრჩენია ვინმე? ხმას არავინ იღებს! თავი ვინმეს ხვარ შეუკავებია? ისეც არავინ ხმანობს! აბა, ჩემგან სანდოობით დანიშნულო კეტეტილა კასირო, მიხედე საქმეს! შემოგვადგა უკვე ქუფრი, ჩქარა მეითავე მა საქმე და მერე დაგირიგებთ ოჯახის პატრონებს ჩემი თეთრი პროსტინის დაჭრილ ზორტებს, რომლებზეც ჩემივე ხელით დავსწერ დიდი ასობით თქვენს სახელებსა და ადგილთა რაოდენობას, თანაც მითითებული იქნება ტოტის მიმართულება და მისი ნომერი.

კეტეტილა ნამდვილად დასაქმდა. იგი მოჭუჭყურე კაცი იყო, მაგრამ ახლა არ აჭუჭყურებდნენ, ბეს გადახდა თითქმის არავის შეურჩენია.

ამასობაში ბურკალიამ იგივე სიმონა და კიდეც ორი შავტუხელა ბიჭი შეაგდო ჭადარზე და ტოტები დაანომრინა ანუ კარგად გალესილ ჯაყვებით ამოჭრეს ნომრები, ჭადარზე განსაკუთრებით იოლია ასეთი ციგნობა.

შეუგნებელი კი არ ვარ, ასეთ განამანიაში მყოფ თუნდაც მეცეცხლურს უხერხულობას როგორ ვაკადრებდი, მაგრამ ჩემი აზრითა და შეხედულებით, ცოტაოდენი მოცალეობა რომ შე-

ვატყე, მიგუახლოვდი, ხელმკლავი გამოვდე და გუშინდელი თუ წინაღონდელი ჩვენი პირობა შევასხენე წესიერი მორიდებით.

— მაგი არ ვიცი მე! მე არ ვიცი მაგი! ნუ გამიბლატავდებით ახლა აქანე! საერთო ჭირი მოგვდგომია, ვწყდებით მგონია! ვის გოუგონია აქანე წინასწარი ჩანყობა-მონყობა! აგერაა, ბატონო, ცოცხალი რიგი და კეთილი ინებეთ და ჩადექით ამ რიგში! მაგი არ ვიცი მე! მე არ ვიცი მაგი!

— ნადი შენი!..

მაგრად მომივიდა გული, მაგრამ ძალიან ახლოს იყო მოქუფრულობა და იმ ორი სიტყვის მეტი არაფერი მითქვამს.

კეტეტილა კასირმა მალე ამოიტრიალა ფულით გაბუყუნებული ჯიბე ბურკალიასთან და დანაკლისი რომ არ აღმოაჩნდა, შექება დაიმსახურა. ამასთანავე მან ჯილდოდ მიიღო პირველი ზორტი საკუთარი სახელდანიერლობით და ჭადარზე მიდგმულ კიბეზეც პირველი ავიდა. ეს ამბავი ვინმემ უბრალო მიღწევად არ მიიჩნიოს, პირველობა ყოველთვის იყო და რჩება ლამაზ კამორჩეულობად, თანაც აქ, ამ ძნელ მოსალოდნელობაში კენწეროსკენ თუ მივიჩვენებთ საგადასარჩემო ადგილს! მეორე ან მესამენაირად ამ ადგილს სუპერ ლუქსი ჰქვია და შენი დოკლაპობით, ერთ შემთხვევაში, თუ არ გადმოვარდი ანუ ჩაგეძინა და გადამფრენ სიზმარს თუ არ გადაჰყევი, მეორე მცდელობით, რიონიდან შემონაბერმა ქარმა ჭადრის კენწერო სანაწეროდ თუ დაგირხია და ბუნებრივი შემოტევის ყოვლისშემძლეობამ ერთ წამს მაინც გაგხადა უმწეო თვითმფრინავად, და მესამედაც, მოვარდნილმა ღვარცოფმა შენამდე თუ არ ამოინია, თუ არ მოგიტაცა მღვრიე და შეუტნობი მრისხანე აგრესიულობით, აუცილებლად გადარჩები და შენს პირველობას ფასი დაედება ცარიელ ქვეყანაში. ამიტომ არაა ეს პატარა ამბავი და ამიტომაც დაწყდა ყველას გული, თვითონ რომ არ იყო კეტეტილა და სხვა რამ იყო!

რახან ეს რთულად აღსაქმელ-გასაგები წინადადება გავასრიალეთ, ახლა ობიექტივი სხვა მხრივაც დავატრიალოთ.

ისევ გაკეთდა ცოცხალი რიგი ცოცხლებისგან. ყველას ნელ-ნელა ჩაბარდა ბურკალიას ზეწარზე მონახევი ზორტი და მალე ჭადარი იგი შეიმოსა მოფრიალე სახელ-გვარებით. დაბეჯითებული წესიერებითა და მათემატიკური განაგარიშებით შესყიდული ადგილები თავთავიანთ პატრონებს ელოდებოდნენ და იხილეს კიდევ ისინი. ჩემი რამდენიმე დასაჯდომიც ერია მათ შორის სამხრეთ-დასავლეთის ტოტზე და უკვე გახალისებულ გულს კიდევ უფრო მიხალისებდნენ. რა მქონდა სამდურავი! თითქმის გადარჩენილი ვიყავი და ორიოდ გროშის წედან არაკანონიერად გაცემისათვის დავიტოვებდი ერთადერთ გულში ადამიანის გამანადგურებელ ბოლმას?! ფულს არ ნაკიდებია ცეცხლი?! რა ეშმაკად მიინდა (თუ მაქვს!) კარზე მომხტარი უეჭველი სიკვდილის წინ!

გალამაზდა და გაფერადოვანდა ჭადარი ამდენი ჭრული ადამიან-ადამიანურობისა და გაზორტიანების შედეგად. გალამაზდა, გამშვენებდა, მაგრამ რახან ჯერ კიდევ შორი-ახლოს არავითარი საშინელი ფერადოვნება არ შეიმჩნეოდა, ბურკალიას უწყინარი მითითებით მოსიყვარულე მეზობლები ჩამობრძანდნენ ახალშექმნილი სიმალეებიდან. ზემოთ მხოლოდ საიმედო ადგილები და მათი პატრონების ზორტოვანი სახელი და გვარები დარჩა.

— გაიარ-გამოიარეთ, ჩემო მშვენიერებო, ჩემო ტკბილებო, ეს ჩამავებული ღრუბლები არ ჩანან მაინც(დამაინც მანყინარი! — დაიშაქრა ჩაფულიანებული ბურკალია.

— კაი, დავიშლებით და გავიარ-გამოვიართ, პატარა საქმესაც ქე მივხედავთ, გულზე კი არ დევიწყობთ ხელებს, მარა რო ვინცობისაა უცებ წამოგვეპაროს ის კვდარძალი, სად შევძვრეთ და სად შევეტევი! — სავსებით კანონიერად იკითხა ჩემგან მეოთხე მოსახლემ.

— დედა, ბიჭო, გადამრევთ მე თქვენ! ყარაულად მე ვიქნები აქანე, არც ჩამეძინება და არც სხვა რამე, დუდუკი მაქ, აგერ, ხმამალა ასაყვირებელი და იმნამსვე ჩაგებრავ! გამოქ-

ცევით, ახლა, ბიძია, ქე გამეიქეცით თქვენით, ძან შორს არ გადეიკარგოთ!

— მართლა ჩაბერავ? — სანყლად იკითხა კაკიამ.

— აბა, რას ვიზამ, შე ჩემის ვართაპედია (და არა ვიკიპედია), პირველად მაბარია ცხოვრებაში ამდენი ხალხი და ამ მეთაურობას რავა დავამთავრებ შერცხვენილად!

— ჩაბერავ კი არა, იგი კიდო! — ისევ წამოვიდა ბურკალიას გასანწყენებელი ხმა.

— ვინც არ ჩაბეროს, არ დამაგინებოთ ახლა! — გაპილპილდა ბურკალია, მაგრამ ინტელიგენტურად მოიზღუდა თავი და გამართული ქართულით თქვა:

— თქვე ჩემისაებო, მაგი კი არა, აქედან ორ საათში, გამაფრთხილებელ ჩაბერვას გავაკეთებ, ერთი არ დააკლდეთ, ყველანი აქ მომსავდით დიდიან-პატარაიანად, რეპეტიცია უნდა გავიაროთ! სიკეთეს სიკეთეს ვამატებ და თითო ჩამადანი ხარახურის წამოლება შეგიძლიათ, შვილებს ვფიცავარ, თუ გითხრათ რამე!

— მაშინ კაი, და ბოდში! — ჩალუნეს თავი დაეჭვებულვებმა.

მეზობლები გაიფანტნენ. იდგა ჩაფიქრებული ჭადარი თავისი მწვანე ფიქრით და ვერ გაეგო, რა უნდოდა ამ ხალხს, რას გადახტოდნენ მაიმუნებით მის ტოტებზე, რატომ იჩიქებოდნენ, რატომ გააზორტიანეს. ფრიალებდნენ სახელები, ფრიალებდნენ გვარები. მეტი სიფართოვისთვისა და კადრის გამომსახველობისთვის ესენიც გამოვაცხადოთ, ზოგიერთი მაინც, სად გვეჩქარება. ჩემი კი იცით და ასე ეწერა — გასცა ბურკალიამ სამი ადგილი, გფარავდეთ ღმერთი! სამხრეთ-დასავლეთის გაშვერილობა, მეორე ტოტი. ვინც შეედავოს, ჩემთან ექნება საქმე. იქვე მომცრო ასოებით მიენერა — რას მებღვირებოდი, მაგისი! ხვაშიადი არ დეიტოვო ჩემს გასალანძლად, ახლა ამფერი ცხოვრებაა და დროის შესაფერისად ვიქცევი!

ჩემს გვერდით ბიქტორიე შუშუს სახლობას შემოეჭირებინა ტოტისთვის ზორტი. თეთრზე წითლად ეწერა: მეტი მალლა ვერ ავიშვებ, ჩემო ბიქტორ, ვიცი, შენს ყუყუნას წნევა რომ აწუხებს და არ მანყობს, ძირს გადმოხედვისას გულის ფრიალი შეეყაროს. დანარჩენი რა გითხრა, გადაგარჩინოს უფალმა, მე ჩემი გავაკეთე!

ჩრდილოეთის გაშვერილობაზე კაკიეს ოჯახს ჰქონდა ადგილები მოკავებულნი. ზორტზე მკაფიო გამოყვანილობით ეწერა: კაკია, ამ ზორტის ხელში ალებისას და შენი სახელის აკურატულად გამოყვანისას ჩვენი ძველი ძმაკაცობა გამახსენდა, არ ხარ შენ თლა გლახა ბიჭი, მარა ხანდახან არევა იცი! მე დავმხჩვალყო იმ წყალში (თუ მოვარდა მაშინ!), ეგ შენი მინუსი ამჟამად თუ გამეთვალისწინებო! ჩრდილოეთი მიზა მოგეცი, რომე ვინც ხართ სახლში, ყველა სქელები ხართ და ტოტო იმ მხარეზე ფსხვილი, გლახად არ დაგენძრეს რამეებისას, ვინმე არ გადმოგივარდეს, თვარა ჩემი ბრალი არ იქნება! მეტს არ გავაფრთხილებ!

კიდევ იყო რამდენიმე გულისამაჩუყებელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ზორტოვანი ჩანაწერი. შენ რომ მოიხიბლები, იმას გადმოვწერ:

„ტასია, გოგო, შენს გარდაცვილ ქმარს გაფიცებ, მითხარი, კიდევ მემდური? რა ვქნა, ვერ წავაშველე ხელი! მვისპო ჩემი ხელი! რაც საჭირო იყო სხვა ადამიანისთვის (შენ ჩემთვის სხვა არა ხარ!) ჩემგან, მიდღემჩი დროზე ვერ ვაკეთებდი! ჩამოვრჩი და ჩამოგეცალე! არ ვიმართლებ თავს!.. ახლა მეწლევა საშუალება (გამიმართლა!) და გვერდში ამოგიდგე! ჩემების ქვემოთ მოგინევს მოსახლეობა. არ დამზრახო ბესთვის! დანარჩენი მერე ვნახოთ!“

აღმოსავლეთის მიმართულების ერთ-ერთ მოფრიალეზე ეწერა:

„ბურკალიამ დაწერა: ქიშვარდის ეკუთვნის ამ ტოტის ოთხი ადგილი. მისი ქალიშვილი ვენერა შესაძლებელია ჩემი რძალი გახდეს. ნარლენის მშვიდობიანად მოთავების შემთხვევაში სრაზუ ვიხდი ქორწილს. შენთან ვარ, ჩემო ქიშვარდი!“

ბურკალის თავისი ზორტიც მიემადგურებინა საკუთარ ჭადარზე. პირველკლასელის გაუნაფავი ხელით ის ზორტი გვატყობინებდა:

„ეს ტოტი ჩემია, ამ ჭადრის პატრონის! მეტი მე არ მჭირდება! თუ ვინმეს შეგცოდნის რამე, მაპატიეთ! ამ მწერლობისას არხეინად ვარ!“

შორიდან ოდნავი დაძაბულობის გუგუნით მოისმა. როგორც მალე გაიკვია, ის გუგუნის საბარგო მატარებლის არაორაზროვანი ხრიალ-ხრიგინი ყოფილა, თუმცა ამის გარკვევამდე ჭკუიდან კინალამ შეშალა ისედაც დაზაფრული მეზობლები. ხრიალ-ხრიგინი ნელ-ნელა მოიწვედა შორიდან და ამათ იფიქრეს შავი ზღვა თუ მოგუგუნობსო, და იმნამსვე, ერთმანეთს არ უხედავდნენ, არც მთლად თავისიანსაც, შვილს რომ ეძახიან, იმასაც, ისე მოპლეტეს ჭადრისკენ. გამოქცეულობა ნამდვილად სპორტული მონაცემების აღმოაჩნდათ, მაგრამ ხეზე ასვლისას უსაშველო „პრობკა“ წარმოიშვა, ნატალიეს ბებიამ ვერაფრით აითრია მონყევტილი ნელი პირველ ტოტამდეც კი და სამარტლიანი შეკურთხებანიც დაიმსახურა. სულ ბებერი და ძველი მელა უძახეს თვალზე და გულაფრიალებულმა ადამიანებმა, მაგრამ ის მაინც ვერ ითრევდა და ვერა. ივაჟკაცა ბესოიის ბიჭმა დემურამ და ნამში თავს ზემოთ მოექცა ნატალიეს ბებიას, სწვდა გამომხმარ ბეჭებში და სხვათა ანუ მრავალთა გასახარად ააპორწიალა ჭადროვან შემადლებულობისკენ. გაიხსნა ვერტიკალური გზა, თუმცა აქა-იქ მაინც იქმნებოდა ზემოთ ნახსენები „პრობკა“ და მეზობელმა მეზობელს რომ არ უნდა შეკადროს, ისეთი გამაღიზიანებელი ლექსიცა, მაინც იღვრებოდა დაძაბულ სივრცეში. მაგრამ რა! სიტყვებმა დაკარგეს ძალა და გავლენა, ვინ მოგიხედავდა უკან, თუნდაც ყველა ბრუნვაში მოგესხენიებინა მისი ყველაფერი, ენობრივი აქოთებულობა შეგრჩებოდა მხოლოდ და ტყუილად მოიჭრიდი თავს სიგრძე-სიგანეზე.

ახლოვდებოდა და ახლოვდებოდა ხრიალ-ხრიგინი, ივსებოდა და იხუნძლებოდა ბურკალის ჭადარი და როგორც იქნა უკანასკნელი გადასარჩენიც მოთავსდა წინასწარ მიჩენილ საკამზე. ჩაიხრიგინა როგორ იქნა ბათუმიდან წამოგორიალებულმა ცარიელმა ცისტრინებმა, გაუტია აზერბაიჯანისკენ. გასუსული უსმენდნენ ამ უნიკალურ მუსიკას მოჭადრებები და როგორც კი დარწმუნდნენ თავიანთ გაბითურებაში, წყევლეს და წყევლეს სწრაფად მიმგორიალე ორკესტრი. ნატალიეს ბებიამ თავსაფარიც კი მოიძრო და შელადა და უფრო დიდი სიმალისკენ — ღმერთო და მამაზეციერო, შენი ძალის ჭირიმე, გვედრები ამხნის ქალი, მაგენს გადოუშენე პატრონი და აწი არ გამოახრიგინო მაგენი აქეთკენ!

კაცმა რომ თქვას, ცული საქმე არ გაკეთებულა, წესიერად თუ დაუკვირდები, ნამდვილი რეპეტიცია გამოვიდა, მონდომებულნი, სპორტულად სანახაობითი, სულ რაღაც ჩვეულებრივ ათ წუთში, მიუხედავად ხელისშემშლელი ბარიერებისა, ყველა მოყურდა თავის ადგილზე და სიცოცხლის შენარჩუნების ნაღდი შანსი მიეცა. ასეთი შეგნება-გაგებით მიმართა მატარებლის მაგინებელ ხალხს ბურკალიამ და ისინიც, იმნამსვე გადასხვაფერებულნი, მოიხიბლნენ გონიერი სიტყვით და მიწაზე ჩამოლაგებისთანავე ხმაამოუღებლივ გაუტიეს თავთავიანთი მიტოვებული სახლებისკენ.

როგორც იქნა მოსადაამოვდა, დაღამდა კიდევ. ნერვებმოშლილობით დაღლილ ქუჩას ჩაეძინა. მეც ვერ გავუძელი თავლებნაბლიტულობას და გავუტიე უფასო მოჩვენებებისკენ. ბურკალია ნამდვილად ჭკვიანი კაცი იყო და ძილის წინ მანამდე სარდაფში მოძიებული ძველთაძველი პროფექტორი ამოათრია, შეამონმა და მისი სიცოცხლისუნარიანობით გახარებულმა საიმედოდ მიანათა უმველებელი სინათლე ჭადარს...

ღრუბლიანობამ იმ ღამისას მართლაც საგრძნობლად მოიმატა. გაძლიერდა დასავლეთის ქარიც. აყანყალდა შავი ზღვა. უფრო და უფრო შესქელდა ზეცას აფარებული სიმავე, რომელიც საცაა გასკდებოდა და ნიაღვრად დააცხრებოდა ქვეყანას.

მაინც ეძინა ნარეპეტიციებ ხალხს. სიზმრებში დაბორიანლებდა. ქუჩაში კი უზარმაზარმა სატვირთო ავტომობილმა შემოანათა, ნელ-ნელა უკლო სიჩქარეს და ჩვენს ნაცნობ ჭადართან შეჩერდა. სწორედ მაშინ მოალო სიმავემ პირი. ნამოვიდა, მაგრამ რა ნამოვიდა. წვიმა და თქემი ვის არ უნახავს, მაგრამ ამისთანა გადარეულობა ძნელი შესასწრებიცაა და დაუჯერებელიც.

სატვირთოს ტენტგადახურულ ძარადან ადამიანები ხტებოდნენ და პირდაპირ ჭადრისკენ გარბოდნენ. ეს ჩამოხტომა-გადარბენა მალე დამთავრდა, თუმცა ჭადარი აივსო და სხვისი ადგილები სხვებმა დაიკავეს. მოძღვრებულ წყალვარდნილობას ელვა-ჭექაც მოჰყვა. ზანზარება იქაურობა. ჩაქვრა ბურკალის პროფექტორი, სამაგიეროდ ქუჩის ბინადრებს გაელვიდათ. არავის მოუძებნია ბარგი-ბარხანა. თავპირისმტერევიტ გამოკურცხლეს ჭადრისკენ.

პირველი პავლიი ხვლეპიე ჩამოეპორწიალა ქვედა ტოტს და ის იყო ტანი უნდა აეზიდა, ვილაცამ ფეხი დააჭირა თითებზე, შეცბა და შეშინდა მონდომებული მამაკაცი, თანაც ეტიკინა საკუთარი თითები და გამწარებული ძირს ჩამოხტა.

ახლა ბესოიის მარდი ბიჭი ჩაეჭადა ტოტს, მასაც დაუჭექქკეს თითები. იბლავლა ბესოიის ნაშიერმა და ისიც პავლიის გვერდით აღმოჩნდა.

ამასობაში მთელმა ქუჩამ მოიყარა თავი. რა თქმა უნდა, მეც იქ ვიყავი ოჯახის სრულუფლებიან წევრებთან ერთად.

- რატომ არ ადიხართ, რატომ? — იყვირა ბურკალიამ.
- კიბე მოუპარია ვილაცას! — ვთქვი მე.
- მე კი თითები დამიჭექქკეს! — ზღუქუნებდა ბესოიის ბიჭი.
- ვინ? ვინ?! — გავიკვირვეთ.
- რა ვიცი მე! პირველი ტოტის იქით ვერ წავედი, ფეხი დამაჭირა ვილაცამ! — პავლიამაც თქვა თავისი სათქმელი.
- რა ხდება ნეტავი? — შემომხედა ბურკალიამ.
- ვილაცაა ხეზე, უცებ უნდა გავარკვიოთ, რა ხდება, თორემ კოჭებამდე მიწვეს უკვე წყალი! — ვთქვი ისევ მე.

ჩემმა მიხვედრილობამ, ძნელი შესამჩნევი იყო იმ კუნაპეტში, რამდენად შეაფერადა თანამეზობელთა თუ თანამებრძოლთა ლოყები, მაგრამ შიშთან ერთად გამეხებაც რომ იყო მოსალოდნელი წყალში ჩამდგართაგან, ნამდვილად არ გაუვიდოდა წყალი.

— ვინე, ვინ სიკვდილებია ასული და შეფრთიანებული ჩემს ნასიმწარებზე, ჩამომიგდეთ ძირს და ჩემივე ხელით და ჩემივე დანით გამოვფუშავ ამ მღვრიე წყალში! — ვერ გავარკვიე, რომელი ქალი იმუქრებოდა, მაგრამ სამართლიანად კი იმუქრებოდა.

— დიდუ, რამდენი ყოფილან! საიდან მეეთრიენ ნეტაი, ამგენს გოგუნყდათ პატრონი! — სახლიდან წამოღებული და ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი ფანარი შეანათა ჭადარს ხელებდაჭექქყილმა პავლიის ბიჭმა და თან ისეთი ათსართულიანი გაუშვა, ხუთი წუთის განმავლობაში მყარალი სუნი არ მოშორებია იქაურობას.

— რა ვქნათ, რა! ვერ ხედავთყენ, წყალი ჩუმალად რომ იმატებს, ამოცილდა კოჭებს, ჩამოვყაროთ მაგენი, ვინცხეებია ძირს, თვარა ცოტა ხანში დედა გვეტირება! — იღრიალა დემურამ.

როგორც იქნა ჩავთვალე საჭიროდ, დამენყო სრული აქტიურობა, უკვე ავსებული იყო მოთმინების კასრი და პავლიის ბიჭზე უფრო დიდი ფანარი შევანათე ჭადარს.

— მე რას მანათებ მაგ აბრჭყვიალელებულს, მე ვარ დამნაშავე თუ რაი! — დაიყვირა ჭადარმა, — მე თქვენ გელოდებოდით, თქვენს გადასარჩენად რომ ვიდექი აქ, ასე მიწოდდა და არსად წავსულვარ, რას მანათებ თუ იცი!

— შენ კი არ განათებ, იმათ ვანათებ, მოსველებულ უკანალებზე ვანათებ, მაგრამ ჩვენებურად რომ ვთქვათ, ღამის მოძალადეს ტრაკით რას იცნობ, რას გამეიცნობ, რომელია დედალ-მამალი!

— დიდუ, რამდენი ყოფილან! საიდან მეეთრიენ ნეტაი?!
— ამჟამად მრავალხმობიანი იყო ჩემს შენათებულზე ნყალ-გარეული პროტესტი.

— რავე გატრუნულან, შენაციები გოჭებოვით, ახლავე ჩამოვადებ რამდენიმეს ჩემი ხირით! — გააქტიურდა კაკიეც.

— არ ქნა მაგი, ფოთლები მომწყდება, ამათი ჩამოვადება რომ მიწოდეს, ერთს შევხვანცალაღები და ყველანი ჩამოიფერთხებიან! — იყვირა ჭადარმა.

— ვინ ხართ მაინც, ვინ, ერთხელ მაინც თქვით! — ამჟამად მე ვიყვირე.

— ამათ ახლა ისე აციებთ, ვერც ლაპარაკობენ. მე ვიტყვი მათ მაგიერ ვინც არიენ. მაჩუქეთ ორი ნუთი, ზემოდან დამირეკეს, ჯერ-ჯერობით ნყალი არ მოიმატებს და გოუძელით მაგ პატარას... ესენი ჩვენი სახელოვანი მამულიშვილები არიენ. ესენი თუ არ იქნენ, ჩვენს არსებობას რა აზრი აქვს, ამათშია ჩვენი ტვინი და გონება, თქვენ რაც იცით ერთად ყველამ, ერთ-ერთმა ამათგანმა ბარეორჯერ მეტი იცის... აგიტაციობს ჭადარი.

— რა იცის ნეტაი, რაი!... ფიქრობთ ქვემოთ.

— დახაჯე, მეტი იცის! და ერთმა თუ თქვენზე ბარეორჯერ მეტი იცის, ა, აგერ, დევითვალე ყველეი ერთად, ორას ოთხი კაცქალია, და ორას ოთხი ბარეორჯერ რომ გადაამრავლო, იცით, თქვენ, რას მივიღებთ? არ იცით! — ისე აგიტაციობს ჭადარი.

— რა იციან ნეტაი, რაი! — ისევე ფიქრობთ ქვემოთ.

— დიდი ამბავი, თქვენ თუ ნაგილოთ ნყალმა! შორს არ ნავილებთ, თქვენს ორლობებსა და ბურღუბებში გეჩხირებით, ზოგი აქეთ დარჩებით, ზოგი იქით, ასეთია ცხოვრება. ამათი გადარჩენა კი აუცილებელია, ესენი დედო არიენ ერის გამრავლების, ხარისხიანი გამრავლების, საექსპორტო გამრავლების, ფულის სესხება-დახარჯვის გამრავლების, თქვენ რომ ვერ მოიფიქრებთ, ისეთი ტყუილ-მართალის გამრავლების, ესეც საჭიროა მართალ ქვეყანაში... ესენი დედო არიენ გაზაფხულის მოყვანის, ბალახის ამოხასხასების, კოჭინების დაბადების, ვაუჩრების დარიგების... თქვენ რა შეგიძლიათ, თქვე დოყლაპიებთ, თქვენ, რაცხა ბალანეს მტკაველა შემოშხულიდა წელმოწყვეტილობით და იმას შეუშინდით, წესიერად მაინც დამანახა თქვენი დაფეთებული სიფათები! აი, ნახეთ როგორი მრავალფეროვანი და გულის ამარჯუბელია, თქვენს წინარე ადგილებზე ჩასულდგმულებულთა აზრი, გონება და წეროვანება. მაგალითად: ჩემს წვერთან გადაბდილებული ქალი რომ წამოწოლილა, მისივე თითებით ჩემსავე წვეროვანზე შემოხვეული ლენტი გვაუნყებს: „ერის სითბოსა და სიცხის ამწე-დამწევი პარტია“. მეორე ხაზზე შედარებით წვრილად ნაუნყებია — „არ შეიძლება ერთი მუდმივ ანუ უცვლელ ტემპერატურაზე იმყოფებოდეს!...“ მარჯვნიდან მეოთხე ტოტზე ვაუბატონი რომ ჩამომჯდარა, იგი სასწაულებრივი მიგნება თუ აღმოჩენა ჩვენი ქვეყნისთვის, მართალია ცოტა ენა ეტეტკვება ლაპარაკისას, დიახ, ლაპარაკისას, მაგრამ როგორც თქვენ გაგდით ახლა ნყალი, მის ნაწერსაც ისე გაუდის, სხვაგვარად როგორ იქნება მამულიშვილი! დიდი ტრანსპარანტი აქვს მოტანილი ამ ბედნიერს და თუ რამე გავარკვიე, ახლავე ამოვიკითხავ. აი, ოქროვანება: „მე ვარ ზურიკო (კოსმოსას ძალდი კი არა! კოსმოსას ძალლსაც ჰქვია ზურიკო. რა ვუყოთ, მერე!), ზურიკო სურამელი, ჩანაკირი ზურიკო, კირიანი, კირით გათითხნილი, ისევე შემზადებული თქვენი გადარჩენისთვის. მაგრამ ფილოსოფიურად რომ ვთქვათ, მართლა ვისი გადარჩენა ჯობია, ჩემი თუ თქვენი??? კარგად იფიქრეთ, რას ნიშნავს ეს სამი კითხვის ნიშანი!...“ ვაი, დედიკო, დედალო ჭადარო, მაგრამ ამაზე ბოლოს ვიფიქრებ. ახლა მარცხნივ მივიხედოთ, ხედავთ რაფერა განოლილი ტოტზე სასიამოვნო არსება წეროვანი ლენტი? ზედ წერია: „მე ვარ თქვენი თავი, კისერი, წელი, მისი ქვემოთა და ფეხები. აბა, რას უნდა გეშინოდეთ!“ იფ! იფ!.. ეგე რომელია, კიდევ რომ ხვანცალობს, ერთი საათია ვერ მოერგო საბუდარს. უი, ჩვენი ის ყოფილა, ის, ის, სახელსა და გვარს რომ ვერ გაუმხელ, თუმცა რიხიანად კი უწერია: „ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ შენთვის მოვკვ-

დები, შენზედვე მგლოვიარეო“, სადაა ახლა აკაკი?! ამას კი მოუტყე... კეთილებს!.. ბუდლოზერას აზრიც გინდათ? რა ეშმაკად გინდათ. კაი, გეტყვით. მოკლედ უწერია: „მინაქე! ჩაქოლე! შეჭამე!“. ვინ და რატომ, უცნობია. ისე მოშიებულზე რომაა დანერილი, არ უნდა ლაპარაკი. ყველაფერს ვინ ნაიკითხავს ამ ყიამყრალეთში, მაგრამ მინისტრებსაც გადავხედოთ ცალი თვალით მაინც. ამათ შემოველოთ და ჩაეხუტოთ ჩემი ფოთლები. დედა, რა მორცხვები არიენ, რა მორცხვები, სად შეკუჭენ ის ლენტები, ყველა ფოთლოს ვაპაჭუნებ და მაინც ვერ ვხედავ. ოო, რა გამაღიზიანებელი, მაგრამ ათასმაგად დასაფასებელია, თუნდაც ასეთ ნერვებმოშლილ ლამეში ჩაფლული თავდამბლობა, მხოლოდ განათლების მინისტრი იყურებოდა ყოჩაღად და აფრიალებდა გულდასმით გამოყვანილი ნინადალებს: „კონკურსები გადაარჩენს საქართველოს. სულ უნდა ვიკონკურსოთ და ვიგამოცდოთ, სულ და სულ. გავაგდოთ შტერები, მოვიყვანოთ გენიოსები!“ ეს გენიოსები სად ყავთ დამალული, ვერ გეტყვით, მაგრამ რომ ყავთ, ფაქტია, ტყუილს ხომ არ იკადრებს ამხელა კაცი?!...ერთი დეპუტატის ფიქრსაც გაგიმხელთ, ნამვილად ფიქრს, წერის თავი იმას არა აქვს და ფიქრით მაინც იფიქროს: „თქვენ გაგიმარჯოთ, ხალხო, ღმერთმა, მართალია, შეცდომით ამირჩიეთ, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა მეორეს არჩევას, ისიც შეცდომა იქნებოდა, მე გამიმართლა და ამიტომ გაგიმარჯოთ, სხვა თვარაფერი, ახლა მაინც ხომ ვრჩები ცოცხალი, ხელფასი მინარჩუნდება, საგვარეულო ისტორიაში გამორჩევა და კიდევ ვინ იცის, რამდენი სიამოვნება, თქვენც რომ გიყურებთ, მსიამოვნებს. მართალია თქვენი გადარჩენა არ შემიძლია, არ ვიცი, როგორ გავაკეთო ეს და მიტომ, მაგრამ რომ გიყურებთ, მსიამოვნებს, თუნდაც გულანანად რო მაგინებთ, არის ამაში ნამვილად ვაჟკაცური. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ მაგ გინებთ თქვენს ენას იფუჭებთ, მე კი ვარ აგერ, წესიერად მოყურებულო...“ ასე, გაგიმართლათ, თქვე რეგენებო, ერის დედო რომ გადარჩა თუ გადარჩება, ამაზე დიდი ბედნიერება, მსოფლიოში რამდენიმე ერს თუ ერგო, გილოცავთ და გილოცავთყენ!!! — არ ცხრებოდა ჭადრობრივი აგიტაცია.

ჩვენ, რაც უნდა იყოს ან ყოფილიყო, ადამიანები ვიყავით, და პირველხმობით ენა ჩავვივარდა. რა გვექნა, ქვევიდანაც გვიტევენ და ზემოდანაც, ქვევიდანაც გვეშინოდა და ზემოდანაც (შენაც ვერაფერს იზამდი, უღვაშებში რომ გეცინება ბუხართან მისკუპულ კატასავით! რას მიხედ-მოიხედე, შენ გეუბნები, შენ, შე...), გვერდიდან ქარი უბერავდა კიდევ და, მიდი, იმამაცე, თუ ბიჭი ხარ! მაგრამ, ბაღებმა რო დინყეს გაბმული ჭყავილი, დარჩენილი თბილი სისხლი სულ ჭუილ-ჭუილით ნავიდა თავისკენ და კინალამ გარეთ რო უნდა გამოეჟონა, ყველაზე მეტად გაფაციცებულებმა, ოთხმა თუ ხუთმა, ვიფთქეთ:

- შენ გუშინ ჭადარი იყავი და ადღე ტელევიზორი ხარ?
- ამჟამად ორივე ვარ!
- მა ხალხი შენ დეიბარე?
- მე არავინ დამიბარებია, მე ბურკალიის ვარ, წელან თქვენ გელოდით და ეგენი შემომასკუბდნენ ჭილყავებოვით.
- რატომ შემოისკუპე მერე, ახლავე მოგჭრით ძირში! ვილუბებით და სიკვდილის წინ შენ კი არა, ტანკს შევუვარდებით!
- ფეხებსაც, უკაცრავად, ტოტებსაც ვერ მომჭამთ, ბურკალიამ გაგყიდათ, ბიძია, თხასავით, ამგენიდან ათჯერ მეტი ეილო და ჩემთან რა ჩემი ტოტები გინდათ!
- ვინა, ვინა?!
- ბურკალიამ!
- სად აგდია, ბურკალიე... ბურკალიე სად აგდია?

ჩვენს ხმას სხვებისიც მივმაცა, კაი მაგარი მოსაძიებელ-მოსაძებნი გუგუნი გამოვიდა, რაფერი თუ იცი, პარავოზი რო აგუუნებდა ადრე, იმფერი, მაგრამ ვინ მიანვნებდა ხმას ბურკალიას, იგი სადღაც უფრო მაღალი ჭადრის შიდა მიდამოებში იჯდა ჩალიმებულად და რაზეც შეიძლებოდა, იმათებზე ვეკიდეთ.

27 აპრილი, 2014
(როდის დავინყე, არც მახსოვს)



მწერალი დრო-ჟამის შვილია. დრო გამოაწრობს და გამოაბრძმებებს „შვილს“ იმისათვის, რათა მან გამოხატოს „მშობლის“ სახე. წესს გამოწაკლისი არ აქვს. მამუკა ნიკლაური ჩანანერების წიგნში „გაუფილტრავი ფიქრები“ წერდა: „მე 1938 წელს ვარ დაბადებული. ეს იყო დრო რეპრესიებისა, დრო შიშისა და კანკალისა, დრო დახვეწებისა და გადასახლებისა; ეს იყო დრო ეკლესიების ნგრევისა, მღვდლების გაკრეჭვისა და ღმერთზე კომუნისტური შეტევებისა...“ ის ამქვეყნიდან იმ დროს წავიდა, როდესაც ყველაფერი ლამის ისტორიასაც დაეიწყებოდა, ოღონდ ერთი რამ დარჩენილიყო — შიში. დაკარგვის შიში. იკარგებოდა სიტყვა, იკარგებოდა სინდისი, იკარგებოდა მინა-წყალი და მამუკა ნიკლაური ამას უყურებდა უკანასკნელი გულშემატკივრის თვალით, გულშემატკივრისა, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა, რა იკარგებოდა, რა აღარ აღსდგებოდა, რა ვეღარ დაიბრუნებდა სიცოცხლეს. სიტყვა და სამშობლო. ეს ორი ცნება ჰქონდა ცხოვრების ლაიტმოტივად. მისი ბრძოლის მოტივი და მოტივაციაც ეს იყო. ბედთან ჭიდილში გალია სიცოცხლე. ჩვენ გვახსოვს მისი შემართება, უშიშარი, მეტროლი სიტყვა სამშობლოს ღირსების გადასარჩენად მაშინ, როდესაც ქვეყანა თავისუფლების პირველ ნაბიჯებს დგამდა; გვახსოვს მისი ცხარე, უშეღავათო პოლემიკა თავისუფალი ლექსის გადასარჩენად, საერთოდ, ქართული ლექსის პრესტიჟის დასაცავად.

მან დატოვა თავისი ხმა — ტკივილიანი და ღრმა განცდებით აღსავსე ლექსი, რომელსაც არასდროს მოაკლდება მკითხველი, რადგან მისი ავტორი დრო-ჟამის შვილია, დრო-ჟამის გამოხმატველი.

მამუკა ნიკლაური

სიზმარში ვნახე სიკვდილი

გათენდა. გაიღვიძეს ფრინველების ფრთებმა.
 გათენდა. გაიღვიძეს მინდვრებმა და მთებმა.
 გაიღვიძეს აზრებმა, გაიღვიძეს ბაზრებმა.
 გაიღვიძა ცამ, გაიღვიძა გზამ.
 გაიღვიძეს ჭორებმა, გაიღვიძეს ქორებმა...
 მარტო მე ვერ ვიღვიძებ — ჩემი თავი მარწმუნებს,
 რომ სიკვდილი მოვიდა, შავეთისკენ გავცურე;
 მარწმუნებენ, გეყოფა, რაც აქამდე ინვალი...

ხატობაა, სახატო კურატები მიჰყავთ,
 ლამაზ ცხენებს კაზმავენ ლამაზ უნაგირებით,
 ყველა მიდის, მე ვრჩები, მარტოდმარტო ვრჩები;
 მიიმღერის სალომე სოფლის შარავზაზე
 ეს ზედაც არ მიყურებს, მე ხომ უკვე მოვკვდი?
 ეს პაპა ათილაა! გამარჯვება, პაპა! —
 ყურს არ მიგდებს, ან რა ქნას — მე ხომ უკვე მოვკვდი!
 ვწევარ, ვფიქრობ, სიკვდილი მსიამოვნებს კიდეც
 მე თუ მკითხავ, სიკვდილის სულ არა გაქვს შიში,
 როცა უკვე მკვდარი ხარ და სიკვდილთან წევხარ.
 ცოცხლებში კი ჭიფხვავა, როგორც იყო უწინ —
 ისმის ჩხუბის გნიასი, ჭურჭლის ლანალუნი...
 აქ კი სხვა განცდება და სხვა გული გიცემს...
 და ტკბილია სიკვდილი, როცა გვერდით გინევს.

გამოქვაპული

დღე — თეთრონი გაფრენილი, ღამე — ზანტი ხარ-კამეჩი,
 მიდის ჟამი და გადადის დღე ღამეში, ღამე — დღეში.
 ...
 აი, აქ იყვნენ... ცეცხლს ანთებდნენ... მერე წავიდნენ.
 ახლა კი ჩვენ ვართ ამ გაბოლილ გამოქვაპულში —
 ქარებს და წვიმებს, ალ-ქაჯებს და მტაცებელ მხეცებს
 გამოვექეცით და ამ ჭერქვეშ შემოვიხიზნეთ.
 ახლა ჩვენ ვხატავთ ჩვენს ცხოვრებას ამ შავ კლდეებზე,
 გაფრენილ ირმებს და კოსმოსურ ხომალდებს ვხატავთ.
 აქ სხვები იყვნენ, სხვა მღეროდა, სხვა გაჰკიოდა
 და კლდე-კედლებზე სხვისი ცეცხლის ენები თრთოდნენ
 და... ახლა ჩვენ ვართ, ვიდრე სხვა მოვა.
 ფილოსოფიის გიგანტები ისხდნენ ამ ცეცხლთან
 და პოეზიის გიგანტები ქსოვდნენ აქ ლექსებს,
 როგორც ოცნებებს, სიზმრებსა და მფრინავ ხალიჩებს.
 ბჭობდნენ ჟამისგან დაუნდობლად დასმულ კითხვებზე...
 ...ახლა ჩვენ ვართ და ჩვენი კვამლი ადის აქედან.
 ბევრს ნუ ყაყანებთ „ახლებურად მოაზროვნეო“;
 თავს ნუ დაგვიყვით, სამყარო ნუ გევიწროვებთ —

ჟამი იტევდა დიდ ომებს და ეპიდემიებს —
 თქვენც დაეტევით, თქვენც გეყოფათ სივრცე საფრენად.
 „ინტეგრაციის მეფეებო“, თქვენც დაეტევით!
 ...
 დღე — თეთრონი გაფრენილი, ღამე — შავი ხარ-კამეჩი,
 მიდის ჟამი და გადადის დღე ღამეში, ღამე — დღეში!

ალვისხეაბი

...დაანებეთ სიჩუმე სასაფლაოს ალვებს —
 სულ რომ ეოცნებებთ, ცაში როდის ავლენ.
 დაანებე, უსმინონ მტრედი როგორ ჩივის,
 ცაზე როგორ მიცურავს წეროების ტივი;
 დაანებე, უსმინონ დილის ჟივილ-ხივილს,
 სიზმარში ისარივით შემოსროლილ ყივილს,
 სასაფლაოს შავ ქვებზე შავი წვიმის თქრიალს,
 სასაფლაოს ჩიტების თავანყვეტილ ფრიალს,
 ერთმანეთით დათრობას, ერთმანეთში სრიალს;
 დაანებე ღრუბლები — ზეციური ფრესკები —
 უფლის ხელით ნაწერი უძველესი ლექსები...
 ...
 დაანებეთ სიჩუმე სასაფლაოს ალვებს —
 სულ რომ ეოცნებებთ, ცაში როდის ავლენ...

სისხამი დილა

ყივის მამალი. რეკს საათი. ყვირის საყვირი.
 ადექი, წადი. მოუთმენლად გელოდებიან:
 კანცელარიის „პაპკები“ და ტელეფონები,
 მომსვლელ-წამსვლელნი, ზემდგომები და ქვემდგომები...
 ადექი, წადი, გელოდება სისხამი დილა,
 დღე გელოდება თავის წესით და თავის რიგით —
 ვირის ავშარით, ვირის კეხით, ვირის საპალნით.
 როგორ მინდა, რომ არ მივიდე, სადაც მივივარ! —
 ნეტავი ახლა ქალაქგარეთ ვიკრიბებოდეთ
 და მივდიოდეთ ქსნის ჭალებში სახეტიალოდ;
 ნეტავ ეს დილა სალომესკენ მიმაქროლებდეს,
 ის მიმელოდეს აპრილივით ალამპრებულად;
 ნეტავი ახლა გზას ვეძებდე დანისლულ მთებში
 და ბილიკივით მამხნევებდეს მწყემსების სტვენა;
 ნეტავი ახლა არნივივით დაფრენდე ცაში,
 ბანზე შემდგარი სალომე კი თვალს მაყოლებდეს.
 — ადექი, წადი! — კარზე მძიმედ აბრაზუნებენ
 კედლის საათის ისრები და ციფერბლატს ხრავენ.
 უნდა ნახვიდე! სხვა გზა არა გაქვს!
 უნდა ნახვიდე და შენი თავი
 განაძიგნავად უნდა დააგდო
 კანცელარიის გაუძლომელ და ბოროტ სკამზე.

...რომ უტკივილოდ შევეყნოდი უსასრულობას...

— სად ვცხოვრობ?
— ფიქრში,
ფიქრის ზღვაში, ფიქრის მორევში.
დღეს ფიქრად იქცა, ჩემმა გზებმა რაც კი გაცვითეს,
დღეს ფიქრად იქცა, რაც ჩანაცრდა და ჩაიფერფლა;
დღეს ფიქრად იქცა, რაც მგორავი ქვით ჩაიქოლა...
აი, აქ ვცხოვრობ — ნამსხვერველებში და ნანგრევებში,
აი, აქ ვცხოვრობ — ამ ნაქცულ მუხაზე ვზივარ.
თავისი წილი წაიღეს უძილობით გაფატრულმა ღამეებმა;
თავისი წილი წაიღეს ამოხაპულმა ქვევრებმა და ორშიმობებმა;
თავისი წილი წაიღეს ჩირაღდნებივით მობრიალე
სიყვარულმა...

აი, დაკეცა ფრინველმა ფრთები
და ნისლში გაქრა,
ჩაეფარა და ჩაიკარგა ნისლის წიაღში.
ფრენა დასრულდა.
გაჩაღებული ცეცხლიც ჩაქრა და ნაცრად იქცა.
— სად ვცხოვრობ?
— ფიქრში,
ფიქრის მტვერში, ფიქრის ნაცარში.
...გასავლელ გზებზე დაიფინა ფიქრის ბუმბული,
ფიქრის ჩალა და ფიქრის ვარამი...
— ვინაა ნეტავ?! — ჩემკენ მოდის, მიახლოვდება,
მეჩურჩულება, მეფერება და მიფრთხილდება.
რომ უტკივილოდ შევეყნოდი უსასრულობას...

ჩემო ჩავლილო სიყვარულო, მტკვარი გიხსენებს!

პაემანია მტკვრის ხეობაში —
მინის სიღრმიდან ამოსული მთვრალი მდინარე
ციდან ჩამოსულ გაზაფხულს ხვდება.
მთვრალი მდინარე ჯებირებს ანგრევს,
ველარ ეტევა და გადადის ნაპირებიდან.
დულს გაზაფხული, დულს, ძარღვებში ველარ ეტევა
და ძარღვებს ხეთქავს;
ჩემო ჩავლილო სიყვარულო, მტკვარი გიხსენებს!..
სალამი, დიდო ალელუებავ და ადიდებავ,
სალამი, მწვანე ჯეჯილების აელვარებავ,
დიდო ალენვაგ, აგრგვინებავ და აზვირთებავ!
ჩემო ჩავლილო სიყვარულო, მტკვარი გიხსენებს!..
ყველანი მოდით შეყვარებულ მტკვრის სანახავად!
შეყვარებულმა გაზაფხულმა კაბა გაფინა!
მოდით, ვისაც კი სიყვარული არ განგიცდიათ
და ვინც არ იცით, რა სული დულს ამ ხეობაში!
მოდით ყველანი, წყალდიდობა ვიდრე ჩაივლის,
ვიდრე სერებზე გადაივლის სტვენით მაისი.
...ჩემო ჩავლილო სიყვარულო, შენ აქ რა გინდა?!
ჩემო ჩავლილო სიყვარულო, მტკვარი გიხსენებს!

ღამის სულჯის მიკატიქვა

ახლა ძალიან მარტო ვარ, მარტო.
მარტოდმარტო ვარ უსასრულო სიმარტოვეში.
შემოდით სახლში, ღამეულო მოჩვენებებო,
შემოდით სახლში, ღამურებო და აჩრდილებო —
უსახლკაროდ დარჩენილო ღამის სულებო,
შემოდით სახლში, მარტოსულის შეკვივლებო,

ტყეების ხმებო, მთების ხმებო, მდინარის ხმებო!..
შუა სუფრაზე დოქი ჩავდგათ არაყიანი,
ირგვლივ წვრილ-წვრილი სასმისები შემოვფრთხილოთ
და ვთქვათ შავეთის ბინადართა შესანდობარი
(ნამოვდგეთ ფეხზე);
და ვადღეგრძელოთ გაზაფხული — ახლა რომ დგება,
(ნამოვდგეთ ფეხზე);
და ვადღეგრძელოთ ის მზექალი, ჩვენ რომ გვიყვარდა
(ნამოვდგეთ ფეხზე);
და განვადიდოთ ხვთისშვილები — მაცილთან მბრძოლნი
(ნამოვდგეთ ფეხზე);
მოდით, ვახსენოთ ეშმაკების გაუტეხლობაც.
ამდენი ხანი რომ ვებრძვით და არა ტყდებიან
(ნამოვდგეთ ფეხზე)...
მივაჯახუნოთ ჭიქა-ჭიქაზე, ცრემლი-ცრემლზე,
კენესა-კენესაზე,

მივუჯახუნოთ ჭიქა სიბერეს —
გაცვეთილ კბილებს, გაცვეთილ თმას, გაცვეთილ სმენას
ვიდრე სიკვდილი გაგვირეკავს წინ ნახირივით —
შევეხმიანოთ ერთიმეორეს — ფიქრებით მაინც შევეხმიანოთ.
...ახლა კი წადით ყველანი და მარტო დამტოვეთ,
სიმარტოვესთან მარტოდმარტო დამტოვეთ ისევ.

სანოლი

შემოვადნიე!.. გარეთ დარჩნენ მდევარი მგლები.
ჩემს ჭერქვეშ ვარ და ჩემს ჯადოსნურ ლოგინში ვწევარ.
აქ შეიძლება, ჭრილობებიდან
ამოვიცალო ისრები და დანის პირები;
აქ შეიძლება, ჩემივე თავი
გავასამართლო უსასტიკეს გასამართლებით
და ულმობელი განაჩენი გამოვუტანო;
აქ შეიძლება, რომ სიტყვები ქვებივით დაფშვანა —
კბილებში დაფშვანა და ჩემს თავს ვუთხრა:
— თუკი ბრძოლაა, უნდა იბრძოლო,
თუ დაგარტყამენ, უარესი უნდა დაარტყა,
სისხლი — სისხლის წილ, გული — გულის წილ,
სული სულის წილ უნდა გაცვალო...
აქ, ამ სანოლში, შეიძლება, ვიტყვი კიდევც.
თუ გავიხსენე, როგორ მწარედ მცემდნენ სახეში
და იმ ცრემლებით ჩემი თავი გამოვიტარო;
...დილით კი ვდგები,
ძველ ტკივილებს ვტოვებ სანოლში
და მივალ ახალ ტკივილების შესაგროვებლად.
ჯადოსნურია ეს სანოლი — ტკივილებს იშრობს,
ყველაზე მწარე ტკივილებსაც აყურებს იგი.

ჯადოსნური ხალიჩა

ეს ხალიჩა მეოცნებე თაობებმა მოქსოვეს,
სიყვარულისა და სიცოცხლის ფერებით შექმნეს.
რას ინატრებ, რომ ზედ არ იყოს ამოქარგული —
მზე გინდა? — მზეა.
მთვარე გინდა? — მთვარე ქათქათებს.
ფერების დიდი ზომიზიმია ამ ხალიჩაზე —
თეთრი, წითელი, მწვანე, ცისფერი...
ფრთებით დაფრინავს, დალივლივებს, დაქარდაქარობს...
როგორ შორია სალომემდე, როგორ შორია! —
ჩვენ შორის უცებ აიშართა სიკვდილის ღობე.
შორია, მაგრამ ჯადოსნური ხალიჩისათვის
არაა შორი — არ არსებობს მისთვის სიშორე.

მიდი, გაფრინდი ამ ხალიჩით სალომესაკენ —
 აუფრინე და ჩაუფრინე სალომეს ფანჯრებს.
 ასე იფრინე და თავსაც ნუ გამოუტყდები,
 რომ შენი „ავი ქალბატონის“ დანახვას ცდილობ...
 გინდა? — გაფრინდი მოჟიკუიკე ვარსკვლავებისკენ,
 შენც ააღწიე ცადატყორცნილ სალომეს სულთან
 და იტივტივე მის თვალებში — ჩადნი და ჩაქრი;
 გინდა? — ჩაფრინდი უკვე ჩავლილ მაისისაკენ,
 გინდა? — ჩაფრინდი, ფესვებივით ჩადი ქვესკნელში
 და ფესვებივით ჩაეხლართე სალომეს ხსოვნას.

ჩაკეტილ კართან

სიყვარულს ეძებ?! — სიყვარული აქ აღარაა!
 ამ ხიდან უკვე ჩამოყრილია
 ვარსკვლავები და ფარშევანგები.

...
 სულ ჩაინავლა — რალა დარჩა იმ სიმწვანიდან!
 სულ ჩაიფურცლა — რალა დარჩა თეთრი ვარდისგან!
 ბუ შეჰქვითინებს ფეხშიშველ და ტანშიშველ ხეებს,
 ბულა ვიშვიშებს ღამისაგან გათანგულ ტყეში...
 აღარც — ამვლეღი, არც — ჩამვლეღი! —
 ამ გზებზე მხოლოდ ქარებილა მოგზაურობენ —
 ქარის ხმა ძვრება ჩაკეტილი კარის ღრიალიდან:
 — კარი გამიღე, გვედრები, გამიღე კარი!..
 მაგრამ სადაა კარის გამღები —
 იქით შენ ხარ და აქეთ მე ვარ გაოგნებული,
 უხილავ ხელით ჩაკეტილ კარს ვინლა გააღებს?!
 ღამაში იყო ჩვენი დილა —
 გველის კვერცხივით ღამაში და კრიალა იყო,
 მერე კი... მერე იმ კვერცხიდან გველი გამოძვრა.

...
 სიყვარულს ეძებ?! — სიყვარული აქ აღარაა!
 ამ ხიდან უკვე ჩამოცივალა
 ვარსკვლავები და ფარშევანგები.

ჩიტავის ფასი

თქვენ — ვისზეც ფულის დიქტატურამ აღმართა ხელი,
 თქვენ გეკითხებით:
 — რა ღირს ის წამი,
 ჩიტი რომ უსტვენს ხეივანში თავდავიწყებით
 და ჩემი ცხრა წლის შვილიშვილი
 იმ სტვენას ბაძავს?..
 თქვენ იღიმებით —
 ჯერ სიცილი არ წაგსკდომიათ;
 თქვენ ეჭვით მიმზერთ,
 ჯერ არ გითქვამთ — შეიშალაო;
 თქვენ მხრებს ირჩავთ გაკვირვებით —
 რას კითხულობსო?!
 ...მე კი კვლავ „გიჟივით ვერეკები“
 და ჩემსას ვამბობ...
 ...
 — კიდევ კარგი, რომ თქვენ ჩიტების ფასი არ იცით,
 კიდევ კარგი, რომ გაზაფხულის დადგომის ფასი
 და მთვარიანი ღამეების ფასი არ იცით!

თორემ აქამდე იყიდით და წაგვართმევდით
 ღამაზ ფრინველებს — გაზაფხულის ფრთიან ყვავილებს.
 მთვარესაც ციდან ჩამოხსნიდით და ჩაამწყვდედით
 რკინის სეიფში, რომ ცაზე არ „ეხეტილა“
 და ვერასოდეს შეხვედროდა შეყვარებულებს.

სევარიონ ნადირაძე

* * *

თქვენ როგორ ფიქრობთ, აუგი მეთქმის?
 სარკმელში ფიქრობს დღე უპასუხოდ,
 მე ყოველ დილით მზეს მჩუქნის ღმერთი,
 მეტი რა გინდა კაცს, რომ გაჩუქონ?!

ბილიკს მივყვები ისევ და ისევ,
 ფიქრი მაქვს საგზლად - სადღელამისო,
 მე ღმერთი ზეცას ვარსკვლავით მივსებს,
 სხვა უკეთესით რითი ამივსოს?!

ათასი ჩიტის გალობა ისმის,
 არ ჩაუვლია მწყემსს უტარიგოდ,
 ღმერთი უთვალავ ყვავილებს მიზრდის,
 და ბედნიერი როგორ არ ვიყო?!

თქვენ როგორ ფიქრობთ, აუგი მეთქმის?
 სარკმელში ფიქრობს დღე უპასუხოდ,
 მე ყოველ დილით მზეს მჩუქნის ღმერთი,
 მეტი რა გინდა კაცს, რომ გაჩუქონ?!

* * *

თეთრი ეფვანი
 აათრთოლა
 უკვე ენძელამ,
 სოფლის დედალმა
 მამალს სამჯერ
 უთხრა — არაო...
 მზე ამოვიდა,
 და გვირილამ
 ჭრელი ჰეპელა
 თითებში ისე
 დაიჭირა,
 როგორც მარაო...

* * *

ისევ ვტრიალებ
 იდუმალ წრეში,
 სურვილი ისევ
 ვერ ავისრულე
 და სულს ყოველი
 ახალი ლექსით
 სხეულისაგან ვათავისუფლებ...

შეამდგომა

ისევ ამინდები
 დგება რუხი,
 ვაზი ჩამოკრიფეს
 სადაფუბად,
 წვალობს შემოდგომაც
 — ოქროს კრუხი,
 ფოთლებს რომ ასწავლოს
 გადაფრენა...

წარსულს ჩაბარდება
 მწვანე მითი,

ფსიქოლოგიური მეტაფორა. არსებობს ასეთი ცნება? ალბათ არსებობს. ყოველ შემთხვევაში, თვალდათვალ ვხედავთ რაღაც ასეთს. არის საგანი — ჩნდება ცნებაც, ასოციაციურად, შინაგანი კარნახით, იმის ასახსნელად, თუ როგორ ბადებს განწყობილება პოეტურ ფიგურებს.

სოსო ნადირაძის ლექსები ფსიქოლოგიური მეტაფორებისგან არის შექმნილი. ჩნდება სულიერი მდგომარეობა, წამოიშრება ფსიქოლოგიური ხატი და იბადება მისი სიტყვიერი გამოხატულება, ინერება ლექსი. მაგალითად, „შემოდგომა“, განწყობისა და ვიზუალის სინთეზი: „ისევ ამინდები დგება რუხი, ვაზი ჩამოკრიფეს სადაფებად, წვალბებს შემოდგომაც — ოქროს კრუხი, ფოთლებს რომ ასწავლოს გადაფრენა...“

სიცოცხლის სუნთქვა ისმის ცხადად. მშვენიერი გალობს არსებობის ზღაპარს, რომელიც თუ არ ირწმუნე, ვერ გაიგებ, ვერ მოისმენ, შენამდე არ მოვა.

ცხადი შეგრძნება აჩენს შეგნებას, რომ ღმერთმა სამყარო შენთვის შექმნა. პირადად შენთვის ამოდის მნათობი, შენთვის თენდება, შენთვის სტვენს ჩიტი.

სიცოცხლეს აქვს წესრიგი, ჰარმონია, დიალექტიკა და ყოველივე ეს თავის არსებობას ადამიანის ცნობიერებაში ადასტურებს. რა თქმა უნდა, არსებობს ყოფიერების მეორე მხარეც, მეორე ნაპირი, რომელიც ისევე იმსახურებს შეცნობას, როგორც პირველი, ყოფნის რეალური ნაწილი.



ხეებს ვაყურადებ
ნოტებიანს,
მალე ოქროსფერი
დედა ჩიტი,
ფოთლებს წამოაფრენს
ტოტებიდან..

* * *

სულ ახლოს არის და სულ ცელს ლესავს,
ხუთ ნოტს გამოსცემს სი, ლა, ფა, დო, რე-ს
არც ოკეანე, არც მთა, არც ზეცა,
სიკვდილთან ერთი სუნთქვა მაშორებს...

მეც გზას ვადგავარ ასჯერ გაცვეთილს,
სადაც ვაჟები ისევე ვაჟობენ,
არც ოკეანით, არც მთით, არც ზეცით,
სიკვდილს კვლავ ერთი სუნთქვით ვაჯობე...

თოვლი და ყვავი

ვის დაეკარგა ნეტავი ნოტი,
ან ეს ამდენი ჩრდილები ღამის,
ხანდახან თოვლი იმიტომ მოდის,
რომ უფრო შავი გამოჩნდეს ყვავი...
რა, თუ არ მოგვწონს ჰანგი და ფერი,
თუ არც ბგერაა სუფთა და სწორი,
ხანდახან ყვავი იმიტომ მღერის,
რომ უფრო თეთრი გამოჩნდეს თოვლი...

ჩრდილში

ჩვენ არ ვიფარებთ ტრაქტატებს ნილბად,
ჩვენ არ ვუტოვებთ მტერს ღია კარებს,
ამიტომ ვრჩებით ყველაფრის მიღმა,
ყველაზე ჩრდილში, ყველაზე გარეთ...

ქართული გულით მივივივართ ისევე,
და რადგან ლექსის ვალმერთებთ რეფრენს,
ზურგით ვატარებთ დავესლილ ისრებს,
ფეხისგულელებით შხამიან ეკლებს...

მზე — ურმის თვალი მაინც მიგორავს,
დაგრძელებულან მწუხრის ჩრდილებიც
და დაწრეტილნი სტრიქონ-სტრიქონად
მამულის მტვრიან გზებზე ვიღვეით...

ჩვენ არ ვიფარებთ ტრაქტატებს ნილბად,
ჩვენ არ ვუტოვებთ მტერს ღია კარებს,
ამიტომ ვრჩებით ყველაფრის მიღმა,
ყველაზე ჩრდილში, ყველაზე გარეთ...

* * *

წვიმა დესანტია,
ტყეში იმალება,
მაგრამ მოსჩანს სოკო,
წვიმის პარაშუტი...

* * *

სამჯერ წავიკითხე
გუმინ მოპასანი,
მერე მოვუსმინე
ჰანგებს — ბონა სერა -ს
მინამ დაიჭირა
სოკო ქოლგასავით,
როცა გვარიანმა
წვიმამ დაასველა..

* * *

მთელი ღამეა
ჩემს სოფელს სძინავს,
მივჩერებივარ
ღრუბელს ირიბად
და სოკოსავით
იზრდება წვიმა
მინის ნოტიო
ზედაპირიდან...

შემოდგომა დაიღალა

ზღვა დილიდან აფერადებს აფრებს ლილით,
ბავშვობიდან ჰყვარებია როდენს ბია,
და ფოთლები ტოტებიდან აფრენილნი,
ჩიტებივით მინდორ-მინდორ გროვდებიან...

ასავსავებს მეძებარი “გადა” ენას,
სიცივესაც მოეძალა აპათია,
თბილ ქვეყნებში უნდათ ფოთლებს გადაფრენა,
ზამთარი კი თოფს უმიზნებს საფანტიანს...

კვლავ თოვლიან ამინდებზე გვაფრთხილებენ,
სველ ტოტებზე გადაკიდებს ქარი ფრაზებს,

წეროებმაც ოქროსფერი მარხილებით
შემოდგომა თბილ ქვეყნებში გაიტაცეს...

ზღვა დილიდან აფერადებს აფრებს ლილით,
ბავშვობიდან ჰყვარებია როდენს ბია,
და ფოთლები ტოტებიდან აფრენილნი,
ჩიტებივით მინდორ-მინდორ გროვდებიან...

სამიზნი

ისევ დაუცველს ვგავარ სამიზნეს,
წონასწორობას ვიჭერ ხერხემლით,
ქარს შეუძლია სულშიც ჩამიძვრეს,
მე თითებიტაც კი ვერ ვეხები...

რას იზამ, ძმაო, მუდამ ასეა,
დუმს იარაღი პაპისეული,
ქარის გამჭოლი მზერით სახსეა
თოვის ლულის წინ მდგარი სხეული...

ვგრძნობ ნაბიჯების კლავიატურას,
ეს მუსიკაა — ქუჩის ნაწილი...
მე ძველებური ქუდი მახურავს,
ქარს კიდეც ისევ უჩინმაჩინის...

საჭვრეტად ისევ სარკმელს ავირჩევ,
სივრცე სარკეა, მე კი ცდომილი
და ვზვერავ ფოთლებს — მფრინავ ხალიჩებს,
სადაც ქარია ნამონოლილი...

ნეტა ეს ოქრო ამანონინა,
ვალე სარკმელს და ვიჩენ სიფრთხილეს,
ახლა ფოთლებზე წამონოლილმა ქარებმა
თავზე გადამიფრინეს...

ვერ გამიგია ეს რა შფოთია,
ანდა რა ჰქვია ასეთ არსებას,
ასე მგონია ქარი ფოთლიდან
ჩემს ქვაფენილზე დაენარცხება...

ეს მირაჟია, ვგრძნობ მალე მოთოვს,
გადაარქმევენ ქუჩებს სახელებს,
მე ხელს მოვკიდებ დაცემულ ფოთოლს
და ფრთხილად ფეხზე წამოვყავნებ...

* * *

თვლემენ ვარსკვლავები სიზმრით გართულები,
მთვარე ხიზანია, როგორც მუჰაჯირი,
ისევ მინათებენ ლექსის ნათურები,
ლექსის კიბეებს და ლექსის მოაჯირებს...

ჰგვანან ბილიკები ზღაპრებს ღრუბლებჩავლილს,
ყველა ლერწმს და მტევანს ფოთლით გრძნობენ მთები,
ცასთან საუბრობენ ლექსის ჩუმი კვამლით
ლექსის ბუხრები და ლექსის თონები...

გზაა უსასრულო ფიქრი ქარამების,
და რომ განვიცადო თრთოლვა ნეონების,
უნდა გავიარო ლექსის ქალაქები,
ლექსის გაზონები, ლექსის შენობები...

თვლემენ ვარსკვლავები სიზმრით გართულები,
მთვარე ხიზანია, როგორც მუჰაჯირი,
ისევ მინათებენ ლექსის ნათურები,
ლექსის კიბეებს და ლექსის მოაჯირებს...

ამბოჯე

ასე ამბობენ — ლექსის კაცი ვარ!
ამ ბებერ გულში შენთვის ვგალობდი
და ყველა სიტყვა რადგან გაგიცვდა,
მაინც მიყვარხარ შენი ჯვალოთი,

გათენებიდან ერთად ვირთვებით,
ერთად ვხარობთ და ერთად ვლონდებით,
გახუნებული სხვისთვის რითმებით,
ჩვენთვის ძვირფასი, ძველი კონკებით...

გამოუხსნიათ ჭორებს ფანჯრები,
აგდევნებთან ურცხვი ბგერებით,
რაც უფრო გაცვდა შენი ლანჩები,
უფრო მიყვარს და ველარ ველევი...

ასე ამბობენ — ლექსის კაცი ვარ!
ამ ბებერ გულში შენთვის ვგალობდი
და ყველა სიტყვა რადგან გაგიცვდა,
მაინც მიყვარხარ შენი ჯვალოთი,

მე დამაგუბეს

მე დამაგუბეს და ახლა ტანზე,
ჩვეულებრივი ხავსი მედება,
მესვრიან კენჭებს და ვტოვებ ხაზებს,
სიურეალურ შემოქმედებას...

ჩვენი მარტივად იცვლიან როლებს
აუღელვებლად, როგორც იციან,
მესვრიან ქვებს და ითვლიან რგოლებს,
ფსევდობსტრაქტულ კომპოზიციას...

რად გამახსენა ჭაობმა ბროდსკი,
ან ამ შეხვედრას ნეტავ რა ჰქვია?!...
მესვრიან ლოდს და იზრდება ბორცვი,
ფუტურისტული ეპიტაფია...

მე დამაგუბეს და ახლა ტანზე,
ჩვეულებრივი ხავსი მედება,
მესვრიან კენჭებს და ვტოვებ ხაზებს, ს
იურეალურ შემოქმედებას...

ვუყვარვარ

ვუყვარვარ? — არა?! — ისმოდა მარში,
მერე ღრუბლებმაც წამოიტირეს,
და გაზაფხული ფანტავდა ქარში
ლამაზი ქალის თითებს — გვირილებს...

მეც დავადექი ამ ბილიკს მტკიცედ,
გარშემორტყმული ჭრელი ჩიტებით
და გვირილები დავკრიფე ისე,
როგორც ლამაზი ქალის თითები...

ინა არჩუაშვილი

შემობრუნება

სხვები ასეთ რამეებზე ადვილად წერდნენ. ჰანას არ ეიოლებოდა. პარკის შუაგულში, სხივისებურად გაშლილ გარეგნობიდან შეხედნენ ერთმანეთს — ნითელქვიშაგადარეცხილ პატარა მოედანზე. თუმცა ძირს არც დაუხედავს ჰანას, ხან გვერდზე იყურებოდა როცა ელაპარაკებოდა, ხან თვალებში უყურებდა, ქორის თვალებში, მაგრამ ახლა ნამდინარე-ნაბახუსევსა და ოდნავ ამღვრეულში. ის ჩვეული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პენიც, რომელიც სოლიდურ ასაკშიც უნარჩუნებდა ახალგაზრდულ იერს, თითქოს სადღაც გამქრალიყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაინც ისევ ის იყო, — ძველებურად ხიბლიანი და საინტერესო, საკუთარ თავში დარწმუნებული თამამი ღრინაკალი.

— განუხებ? რამე თუ ის? ვარჯიშობ? — ჩვეული უშუალოებით ჰკითხა ჰანას.

— ხმაც სახელივით სულ მუდამ ახალგაზრდული რომ აქვს! — გაიფიქრა ჰანამ, პასუხით კი, ცოტ-ცოტა ყველაფერიო, უპასუხა და ცოტა დაიმორცხვა. მერე ჯანმრთელობაზე დაინწყეს ლაპარაკი, როგორც საერთოდ დილით მოვარჯიშე ადამიანებს სჩვევიათ. უფრო ის ლაპარაკობდა, ჰანა კი უსმენდა.

— მაჩვენე აბა, როგორ დარბიხარ, — მოულოდნელად თემა შეცვალა კაცმა და თვალებში გაყრილი მზერით ლამის კეფა გაუხვრიტა.

— როგორ თუ როგორ? — დაიძაბა მის უცნაურ თხოვნაზე ჰანა.

— მე ადრე სპორტსმენებს ვავარჯიშებდი და რაღაც გამეგება ამ საქმისა; ვიცი, როგორ უნდა დატვირთო სწორად კუნთები და ეგეთი რამეები, რჩევას მოგცემდი...

— ააა! ძუნძულით, უფრო ძუნძულით დავრბივარ და ძირითადად იოგას ვარჯიშებს ვაკეთებ, სხვა ვარჯიშებსაც, რაც გამახსენდება, — შვებით ამოისუნთქა ჰანამ.

— ჰოოოო! — გააგრძელა იმანაც ჰანასავით და ქათქათა კბილები გამოაჩინა. მერე ისევ წელანდელ საუბარს დაუბრუნდა — ახალგაზრდობაში მოტეხილი ლავინის ძელის ამბის მოყოლა დაიწყო. ისე ცოცხლად ყვებოდა, ჰანას ერთიორჯერ ტკივილმაც კი გაჰკრა ნაოპერაცივე მხარში. აქამდე სულ არ ფიქრობდა, მაგრამ ახლა, ის რომ ყვებოდა, რაღაც-ნაირად თვითონაც მოუნდა რამე ეთქვა გადატანილ ავადმყოფობაზე და კაცის თანაგრძნობა დაემსახურებინა.

თავიდან შეეცადა, რაც შეიძლება უდარდელად ელაპარაკა, თითქოს დიდი ხნის მივიწყებული ჰქონდა ეს ამბავი და ახლა მის მონაყოლზე შემთხვევით გაახსენდაო, მაგრამ რამდენიმე წინადადების შემდეგ მღელვარებისგან ხმა ისე აუთროლოდა, სასწრაფოდ მოამთავრა სათქმელი.

— ერთი გემრიელი წამორტყმა და გამოფხიზლება გინდა შენ, მეტი არაფერი, — უთხრა სიცილით კაცმა და, ვიდრე ჰანა ნათქვამს გაიაზრებდა, მოულოდნელად თეძოსთან ახლოს, თითქმის გავაზე, მართლა შემოჰკრა რბილად თავისი უხეში ხელი.

ცალკე მომხდართ, ცალკე თვალსა და ხელს შუა გამოხალისებული, ლამის ბიჭად ქცეული კაცის შემხედვარე ჰანა რამდენიმე წამი გაოგნებული იდგა, მერე კი, თვითონაც ვერ გაეგო რატომ, კაცს გადამდებ სიცილში აჰყვა. გულიანად იცინოდნენ, ის ისეთი სიცილით, მარტო მან რომ იცოდა — თამამი, გლახურად ურცხვი და მოურიდებელი; მამრის კმაყოფილება იგრძნობოდა მის სიცილში, იმ მამრისა, რომელიც ქალმა მიუშვა იმის გასაკეთებლად, რაც ჩაიღინა — ჰა-

ნა კი მოზღვაებული, თითქოს საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის წლობით ნაგროვები, ლამის ისტერიკაში გადასული არასაჭიროდ ბევრი სიცილით; იცინოდა მანამდე, სანამ ამ სიცილ-სიცილში გაახსენდებოდა, რომ უკვე რამდენი წელია მისმა სხეულმა კაცის ხელი არ იცოდა, არც სათავისო მზერა, არც გაცივნება... და უცებ ჰანას ისე შეებრალა თავი, რომ კინაღამ იქვე, კაცის თვალწინ ატირდა; უნდოდა, მაშინვე, სიტყვის უთქმელად გასცლოდა იქაურობას, მაგრამ თავაზიანობას ვერ უღალატა. ჩუმი, მიმქრალი ხმით დაემშვიდობა ახლა უკვე თავისი უეცარი გარდასახვიტ გაოცებულ კაცს და პასუხს აღარ დალოდებია, ისე გაუყვა სირბილით ნაწვიმარ ბილიკს.



ფეხის ხმაზე მიხვდა, რომ კაცი ოდნავ მოგვიანებით გაიქცა — საპირისპირო მხარეს! ასე იყო ყოველთვის. ჰანას „კაცებს“ დიდხანს არასოდეს უვლიათ ჰანას მიმართულებით; შეხედებოდნენ დღევანდელივით რომელიმე დიდსა თუ მომცრო „მოედანზე“, დარჩებოდნენ მასთან რამდენ ხანსაც მოუნდებოდათ და მერე, მეტ-ნაკლები სინდისის ქენჯნით, უკანმოუხედავად გარბოდნენ — ზურგებით, ზურგებით, მშობარა და მხდალი ზურგებით! ის კიდევ, გამოუცდელი, პატარა ჰანა... თვალები ელლებოდა მათკენ ყურებით; შტერი, სულელი გოგო! სძულს ჰანას ის დრო, როცა მათ გამო ცრემლებს ღვრიდა! თუმცა ეს ძალიან ადრე იყო, მანამდე, სანამ ისწავლიდა, რომ უკან აღარ უნდა მიეხედა, ხოლო როცა ისწავლა, უკვე ისინი უყურებდნენ ჰანას ზურგს — კედელივით მტკიცეს, ამაყად, გამართულად მიმავალს, რომელსაც ვერცერთი თბილი სიტყვა და მზერა ველარ შემოაბრუნებდა მათკენ. მერე ამ ეტაპმაც გაიარა. შურისძიებით გართობა მოებზრდა ჰანას და მისი ყოფა სხვა აღარაფერი იყო, თუ არა ზურგებს შორის ჩამდგარი დროისა და მანძილის ზრდისთვის თვალის ურეაქციოდ მიდევნება. კარგად რომ დაფიქრდეს, ალბათ ვეღარც გაიხსენებს, ბოლოს როდის შემობრუნდა მისკენ კაცი.

და ახლა სწორედ ამ მოულოდნელმა და უხერხულმა შემორტყმამ ჰანა თითქოს გამოაფხიზლა და მიახვედრა, რომ მოებზრებოდა ზურგით სიარული — უფრო სწორად, ამდენი წელი ერთ ადგილზე გაყინული, უმოძრაო დგომა — თავისი, მათიც. „შემობრუნება მინდა!“ — თითქოს ვინმესგან შველას ითხოვდა, მუდარასავით ნამოსცდა ჰანას და სირბილისა და მღელვარებისგან თანაბრად ქანცგანყვეტილი, იქვე, გვერდზე გადახრილ ცაცხვის ხეს სულის მოსათქმელად მიესვენა. სახლამდე გზა ისევ ძუნძულით გააგრძელა. თან ცდილობდა აღარ ეფიქრა მომხდარზე, არც წარსულზე.

„თეთრად უნდა შევლებო“, — თქვა ტუჩების უხმო მოძრაობით, როცა თავისი ბინის ნაცრისფერი კარის საკეტში გასაღებს ატრიალებდა. არ დახრილა, სპორტული ფეხსაცმელი ესევე, თასმებშეუხსნელად, ქუსლებით გაიძრო, კაპიუშონიანი ქურთუკი სავარძელზე მიაგდო და კომპიუტერს მიუჯდა.

„შემობრუნება“ — აკრიფა სათაური „ბოლდით“, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რამეებზე წერა არასოდეს ეიოლებოდა ჰანას, ახლა დანამდვილებით იცოდა, რომ ყველაფერი გამოუვიდოდა.

„შემობრუნება“ — აკრიფა სათაური „ბოლდით“, და მიუხედავად იმისა, რომ ასეთ რამეებზე წერა არასოდეს ეიოლებოდა ჰანას, ახლა დანამდვილებით იცოდა, რომ ყველაფერი გამოუვიდოდა.

ამინ არ-რეიჰანი (1876-1940) — სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის აღიარებული კორიფე, XX საუკუნის დასაწყისის „ნაპ-დას“ (კულტურული აღორძინების) არაბული მოძრაობისა და მისი განუყოფელი ნაწილის — ე.წ. მაჰჯარის (ამერიკაში სირიულ-ლიბანური ემიგრაციის) ლიტერატურის მთავარი ფიგურა ჯიბრანე ხალილ ჯიბრანეა. მათ არაბული ნაციონალიზმის იდეის სათავესთან მდგარი ინტელექტუალი და დიდი მოაზროვნე, ამერიკაში არაბი მწერლის პირველ ინგლისურენოვანი რომანის „ხალილის ნიზნის“ (1911 წ.) ავტორი, ჯიბრანთან ერთად კორიფედ აღიარებული არა მხოლოდ ლიბანში, მათ არაბულ სამშობლოში, არამედ სწორედ ამერიკაში. განსაკუთრებული ფიგურაა ქართული არაბისტიკის სკოლაშიც — არაბული ლიტერატურის ქართულად მხატვრული თარგმანის პროცესი აკადემიკოს გიორგი ნარტიშვილის მიერ სწორედ ამინ არ-რეიჰანის შესანიშნავი თეორიული ლექსით: „განმკურნა მე, სვეის ქალღმერთო“ დაიწყო, რომელიც 1945 წელს ჟურნალ „მნათობის“ ფურცლებზე აკადემიური წინასიტყვაობით დაბეჭდა. ამინ არ-რეიჰანის პროზის პირველი ქართული თარგმანი (ესეი „მწერლები“) ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ შესთავაზა ქართველ მკითხველს (2007, №11), მთარგმნელი ღარაჯიან გარდავაძა.

ამინ არ-რეიჰანი

რა არის ბედნიერება?

რა არის ბედნიერება და სადა იგი? ნუთუ ის კეთილ საქმეებშია? ან იქნებ უმნიშვნელო ცხოვრებაში, რომლითაც მცირედნი თუ ცხოვრობენ? იქნებ ბედნიერება ნამდვილ, უანგარო მეგობრობაშია? ან იქნებ იზოლირებასა და განმარტობაში? იქნება ჯანმრთელობაშია ბედნიერება, ან დოვლათში, ან სახელგანთქმულობაშია თუ დიდებაში? იქნებ სიყვარულშია და წესიერ ოჯახურ ცხოვრებაში? და თუ არცერთ ამთგანში არაა, მაშ სადაა? ნუთუ სამარეშია ბედნიერება? ან იმ ზმანებებში, ძილში რომ გვეწვევიან და, ვიდრე მოგვეახლებიან, უკვე ქრებიან?

სულაც არა! ბედნიერებით ეს სამყარო ისეა გაჯერებული, როგორც ჰაერით! ლამის ვთქვა, ბედნიერებაა, მთელი ძალით ჩაისუნთქო სუფთა ჰაერი და ყოველდღე საათობით ფეხით იარო მინდორ-ველებში, იბანავო ყოველ ტბაში, რომელსაც კი გადააწყდები, რათა მგლის ჯანმრთელობა შეიძინო, ან სულ ცოტა ხბოსი მაინც! თუმცა ეს უფრო მხოლოდ კეთილი საშუალებანია, სწორი და ყველაზე მიახლოებული გზები, რომელთაც კი შეუძლია ადამიანი მიიყვანოს ბედნიერებამდე. რაც შეეხება თვით ბედნიერებას, ის საქმის მკეთებლის მიერ თავის საქმეში სრულყოფილების მიღწევას, საკუთარი თავის სრულად მიძღვნას მისთვის! ბედნიერება საქმის კეთებაშია, განსაკუთრებით კი ისეთი საქმისა, რომელიც გონების დაძაბვასა და გამომგონებლობას მოითხოვს! ბედნიერება ის სიტკობეა, ადამიანი თავისი საქმის სრულყოფამდე მიყვანაში რომ ნახულობს; ის სიამოვნებაა, მხატვარი თავისი ტილოს ხატვაში რომ პოულობს, მოქანდაკე — თავისი სკულპტურის გამოკვეთაში, პოეტი — ლექსის წერაში, მწერალი — ეპისტოლეს ხატვანად თხზვაში, მუსიკოსი — მელოდიის შექმნაში და მეცნიერი — მეცნიერული ჭეშმარიტების აღმოჩენაში, მენაღე — ფესვანდლის შექრვაში და თერძი — სამოსის თარგმე მოჭრაში, გლეხი — მინდვრის თესვა-მკედა და ა.შ.

ყოველი საქმე, რასაც კაცი ხელს მოჰკიდებს, ღირსეული და წმინდაა იმ პირობით, თუ მიჰყვება ენერგიულად, კეთილსინდისიერად, საქმის ცოდნითა და სიბრძნით. ჩემი აზრით, დურგალი, რომელიც ლამაზ საწერ მაგიდას ამზადებს, იმ ლიტერატორზე უფრო პატივსაცემია, ვისაც სასარგებლო საქმის კეთება არ გამოსდის. აირჩიე კეთილშობილური საქმე და სრულჰყავი, როგორც კი შეგიძლია! მისდღე პატიოსნად, დაბეჯითებით, მტკიცედ! არ გინდოდეს ბინიერი ბედნიერება, — რასაც ხალხის მასები ეძიებენ; ის ბედნიერება, რომლის დევნასაც რევგენი ძალ-ღონეს შეაღვეს და საბოლოოდ ისე კვდება, ბედნიერებისგან მაინც შორსაა!

ეს აზრები დაწერიე და გამოაქვეყნე თუ არა, მომივიდა მასზე მკითხველთა გამოხმაურებანი ბევრი შენიშვნითა და საწინააღმდეგო აზრით, ოღონდ გონივრული აზრი მათგან ორ წერილში იყო გამოთქმული — გადამდგარი ჟურნალისტისა და მოხეტიალე

მღვდლის. ეჭვი არ მეპარება, რომ ჟურნალისტმა ჟურნალისტობა მიატოვა, რათა ბედნიერებას მიახლებოდა და მღვდელიც თავისი მონასტრიდან ამქვეყნად ბედნიერების საძიებლად გამოვიდა. იმდენად, რამდენადაც მღვდლის საქმიანობა მომგებიან ხელობათა და პროფესიათა სფეროს არ განეკუთვნება, მისი პროტესტი სწორედ რომ შესაფერი იყო, როდესაც მწერდა: ჭეშმარიტი ბედნიერება ისაა, სადაც ადამიანი თავის შემოქმედთან ერთობას აღწევს, გულისხმობს მარხვას, ლოცვასა და ღვთისმომშობას. ბატონი მოძღვარი რომ დაფიქრებულიყო და კრიტიკული თვალთ ჩარმავებოდა იმ კანონზომიერებას, რომელზეც მივუთითებდი, დარწმუნდებოდა, რომ თუმცა სიტყვა-სიტყვით ერთმანეთს არ ვემთხვევით, მაგრამ სულიერად ვეთანხმები მას! ძლიერ მომწონს ადამიანის ერთიანობა მის შემოქმედთან, მაგრამ რომ ეკითხათ ჩემთვის და ბატონი მოძღვრისთვის, შემოქმედი როგორ გვესმის, მაშინ ერთმანეთს ველარც დავინახავდით და ველარც გავუგებდით რამეს იმ სიშორის გამო, ჩვენ შორის რომაა!



მე იდეალისტი ვარ და არა მატერიალისტი! ჩემ გარშემო მეტაფიზიკურ ბუნებაში ღვთიური არსის ნაწილაკს ვხედავ, რომლის თავდაპირველ წყაროს უფალს ან შემოქმედს ვუნოდებთ. რამდენადაც იზრდება და ვითარდება ადამიანი, იმდენად იზრდება მის თვალში მისი გარემომცველი ბუნების სილამაზეც. ფილოსოფოსი რაც მეტად შეისწავლის ბუნებას, მით მეტად უახლოვდება ამ ბუნების ყოველ ნაწილში გამეფებულ საყოველთაო კანონს. ეს ის სიახლოვეა კანონზომიერებასთან, რასაც მე და პატივცემული მოძღვარი „ადამიანის საკუთარ შემოქმედთან ერთობას“ ვეძახით.

რაც შეეხება გადამდგარ ჟურნალისტს, ის მიიჩნევს, რომ ბედნიერების ჩემეული დეფინიცია ნაკლებოვანია, რაკილა ვამბობ, რომ ის ნიშნავს საქმის მკეთებლის მიერ თავისი საქმის სრულყოფას და ამ საქმის მოთმინებით, დაბეჯითებით და სიხარულით, დახელოვნებითა და სიბრძნით კეთებას! გონიერი კაცი, — ვინც დაფიქრდება ცოტას და ამოიკითხავს იმას, რაც სტრიქონთა შორის იმალება, — დაინახავს, რომ მე ლამის ამქვეყნად ბედნიერების არსებობას უარყოფ, და ეს მას მერე, რაც მრავალი წელი ცეცხლის ალზე ჩირაღდნით ვეძიებდი მას! ლამის პატივცემულ ჟურნალისტს დავეთანხმე და ვთქვა, ბედნიერება, — თუკი დაუშვებო, რომ არსებობს, — არის კონკრეტულად ესა და ეს-მეთქი! მას მერე, რაც ბედნიერებას ჩემ გარშემო ვეძებდი, აღმოვაჩინე, რომ ჭეშმარიტი ბედნიერება ისაა, რაც ჩნდება და იზრდება ჩვენ შიგნით, სულში! მე იმას ვწერ, რაც თვითონ გამოვცადა!

თუკი კაცი თავის ძალისხმევას ქონების მოხვეჭას შეაღვეს და ცხოვრებას რამე სახის საქონელზე მონოპოლიის მოპოვება-

ში გაღვივდა, რათა ბოლოს მასზე თქვან, ის „შაქრის, ქვანახშირის ან ბამბის მეფეაო“, საკითხავია, განა იქნება ბედნიერი?! როტ-შილდსა ან როკფელერზე მდიდარიც რომ გახდეს და დაავადებული კუჭი და სხეული ფილტვები ჰქონდეს, საკითხავია, განა იქნება ბედნიერი?! სხეულითა და გონებით ჯანმრთელიც რომ იყოს და დიდი ფული და ენერჯიაც ჰქონდეს, მაგრამ სიყვარულსა და თანაგრძნობას იყოს მოკლებული, საკითხავია, იქნება კი ბედნიერი?! კარგი აღზრდა და ჯანმრთელობა, ფულიც რომ ჰქონდეს და ის ღირსებანი კი აკლდეს, ოჯახის ბურჯსა და საყრდენს რომ შეადგენს, საკითხავია, განა იქნება ბედნიერი?!

გარკვეულწილად ვეთანხმები იმ ყოფილ ჟურნალისტს, რასაც ცხოვრების სიმარტივესა და უბრალოებაზე ამბობს, მაგრამ უარყოფ იმას, რომ დიდება, ცნობადობა და აღმატებულობა მოკრძალებულობითა და მცირედით კმაყოფილებით დამშვენებული და სულიერი ძიებებით დაგვირგვინებული უბრალო ცხოვრებით არასდროს მოდის! ფილოსოფოსთა და ბრძენთაგან ის, ვინც იყო მოკრძალებული და მცირედით კმაყოფილი, ხომ უდავოდ გახლდათ ბედნიერი!

რამდენადაც მცირედით კმაყოფილი და მოკრძალებული ვარ მატერიალური საფუძვლის მიმართ, იმდენად მომთხოვნი ვარ ზეციური სულიერების მხრივ. ჩემი სული მეტს ითხოვს, ვიდრე ჩემი კუჭი, ჩემი გონება კი უფრო მეტს, ვიდრე ჩემი შეგრძნებანი! რაკი ჩვენი საუბარი ჭეშმარიტ სულიერ ბედნიერებას შეეხება, საჭიროა ვილაპარაკოთ ფილოსოფოსებსა და ბრძენ ხალხზე, რამეთუ ჭეშმარიტი ბედნიერება მხოლოდ იმ უბრალო, სუფთა ცხოვრებაშია, მათ რომ იცხოვრეს! აქვე უნდა მოვიხსენიოთ ისიც, რომ არის ამქვეყნად კაცობრიობის დიდი ფენაც, ბედნიერებაზე არასდროს რომ არ უფიქრია! ეს ხალხი ისევე მუხლჩაუხრელად შრომობს, ჭამს და სძინავს, როგორც ისტორიის გარდასულ ეპოქებში მცხოვრები მათი მამა-პაპანი.

დიდება, რომელსაც მხედართმთავარი გამარჯვებებში ნახულობს, წარმავალია! სახელგანთქმულობა, მწერალი რომ მოიხვეჭს, ილუზორულია! ფუფუნება, მდიდარი თავის ქონებაში რომ პოულობს, ვინრომასშტაბიანია! ნეტარება, ლატაკი მცირედით კმაყოფილებასა და ოჯახის სიყვარულში რომ პოულობს, გაქრება, როგორც კი ის გამდიდრდება; ან დამცირებასა და მონობაში გადადის, თუკი ლატაკად დარჩება. ხიბლი, შეყვარებული რომ სიყვარულში ნახულობს, უმეტესწილად მომაკვდინებელი შხამია — შეყვარებულთა გზა სისხლითაა მორწყული! ხოლო ჭეშმარიტ ბედნიერებას, ზოგადად, საქმის მკეთებელი პოულობს თავის საქმეში! აი, მაგალითად, მხატვარი რომ ხატავს და ტკბება თავისი ლამაზი ტილოთი! მაგრამ ეს ტკბობაც როდი გასტანს დიდხანს! მხატვრის გატაცება თავისი სურათით შესაძლოა გაგრძელდეს ერთი ან ორი კვირა, ერთი ან ორი თვე, მაგრამ როგორც კი გაივლის ეს გრძობა, ქრება ბედნიერებაც! ამრიგად, მან უნდა განაგრძოს მუშაობა, მისდიოს ხატვას და ხატოს სხვა სურათი, რათა ტკბობა მისი საქმით იყოს განუწყვეტელი! ეს განუწყვეტელი ტკბობაა, ჩემი აზრით, თვით ბედნიერება!

ნამდვილად ვიცი, რა სიტკბოების მომნიჭებელია სიყვარული! და ნუ მელაპარაკები ქალზე, არამედ ის მითხარი, შეყვარებულნი ერთმანეთთან კავშირს ისევე მოუწყვეტელივით რომ აგრძელებდნენ, როგორც მხატვარი ხატვასა და პოეტი კი ლექსის წერას, შედეგად რა გვექნებოდა?!

მაგრამ რას გულისხმობს ეს ყოფილი ჟურნალისტი, როცა ამბობს, ბრძოლა არსებობისთვის გამორიცხავს მცირედით კმაყოფილებას, თავშეკავებულობას, ასკეტიზმსა და ცხოვრებისეულ გაჭირვებას?! მისი სიტყვებით, ცხოვრებისეული ბრძოლა და პატივისა და მაღალი მდგომარეობის მოთხოვნილება ეწინააღმდეგება მოკრძალებულ და ასკეტურ ცხოვრებას. განა სახელგანთქმულობა არ ეწვია იმ ფილოსოფოსებს, რომელთაც იგი იხსენიებს, მიუხედავად მათი მოკრძალებულობისა და უბრალო, უპრეტენზიო ფილოსოფიური ცხოვრებისა?! ამ ბრძენმა ხალხმა თავიანთი ბედნიერება საქმეში ნახა

და არა ამ საქმის მატერიალურ რეზულტატში! მილტონმა ამქვეყნიური ბედნიერების დიდი დოზა ბრწყინვალე ლექსთა წერაში ჰპოვა, მაგრამ ამ ლექსების მიყიდვა გამომცემელთათვის მხოლოდ მწუხარებითა და სევდით ავსებდა. ლექსის წერისას მილტონი თავის საწუხარს იფიქრებდა, ხოლო როცა პოემას “დაკარგულ სამოთხეს” მორჩა და უმნიშვნელო ფასად, სულ რაღაც ხუთ ფუნტად გაყიდა, კვლავ წერას მიუბრუნდა და წერა და წერა ლექსები. ასე პოულობდა ბედნიერებას საკუთარ საქმეში და არა მის მატერიალურ ნაყოფში! ბედისწერას პოეზიის განუწყვეტელი წერითა და შემოქმედებითი წვით ერკინებოდა! ასე იყო აბუ-ალაყ და ბევრი სხვა პოეტიც.

ჩემთვის ცხადია, რომ ყოფილი ჟურნალისტი ძალიან არის ფულის დაგროვებით დაინტერესებული, ამიტომაც ამეტებს, მოგებასა და შემოსავლებს არსებობისთვის ბრძოლას რომ უკავშირებს! ამგვარ ბრძოლასთან კავშირში მე თვითონ ვერანაირ სიბრძნეს ვერ ვხედავ! ცხოვრების მიზანი უფრო მაღალია, ვიდრე მისი შემოსავლერა დინარებითა და დირჰემებით! ცხოვრების ყველაზე აღმატებული, უზენაესი მიზანი ისაა, რომ ადამიანმა სრულ ჰარმონიაში იცხოვროს ბუნებასა და მის კანონზომიერებებთან! რა მოაქვს ამქვეყნიურ აღმატებულებასა და პატივს, გარდა ცრუ დიდებისა?! მამ მოდი ვეძიოთ ის სიმაღლე, რომელიც სულთან ჰარმონიაშია; სიმაღლე, რომელიც ადამიანს მიანიჭებს ბუნების წინააღმდეგობათა და ჰარმონიის, ადამიანურ და ზეციურ საქმეთა წვდომას; სიმაღლე, რომელიც ყურში ჩაგჩურჩულებს, რომ შენ ამ დიდებული კოსმოსის სასარგებლო ნაწილი ხარ, როგორც უნდა იყოს შენი ადგილი და მდგომარეობა მასში!

ჩვენი თანამედროვე ცივილიზაცია დღედაღამ განუწყვეტელ მუშაობას ემყარება. მაგრამ რას ემსახურება ეს მარადიული მოძრაობა?! არის კი მასში ჭეშმარიტი ბედნიერების ნამცეცი თუნდაც ერთისთვის ათასობით ლატაკიდან, თავაუღებლად რომ მუშაობენ, ოფლსა და სისხლს ღვრიან საარსებო საშუალების საშოვნელად?! ან თუ არის მასში ჭეშმარიტი ბედნიერების ნამცეცი იმ მდიდართათვის, რომელნიც უზარმაზარ ქონებას აგროვებენ და ამ ბრძოლაში უბედურნი კვდებიან?!

საშინლად მიშლს ეს მოძრაობა! თანამედროვე ცივილიზაცია ხელს უშლის ადამიანს იაზროვნოს, ჭამოს, იძინოს ისე, როგორც საჭიროა! ჩემი აზრით, კვირის განრიგი სრულიად შესაცვლელია და თავდაყირა ამოსატრიალებელი! საჭიროა სამუშაოს ვუთმოდეთ ერთ დღეს და დასვენებას კი — ექვს დღეს. დასვენება, რომელსაც ვეძიებ, ჭალაში, ხის ჩრდილში მძინარე სპილოს დასვენება როდია, არამედ — პოეტი, ბრძენი, მხატვარი თუ სკულპტორი რომ ნახულობს თავის ძიებებსა და შემოქმედებით ნვაში; დასვენება, რომელიც გზას გიკვალავს და მიჰყავხარ ამ კოსმოსის მიღმა, უხილავი სამყაროებისკენ, უფლისკენ!

ბედნიერია, ვინც აზრი ბუნების სარკედ აქცია! ბედნიერია, ვინც იდეური, სულიერი, პოეტური ცხოვრებით იცხოვრა და არა მინიერი, პირწმინდად მატერიალისტური ცხოვრებით! ასეთი ადამიანი მდიდარია გონებრივად და სულიერად! იგი მთლიანად დაგითმობდა მსოფლიო ქონებას, მის მფლობელობაში რომ ყოფილიყო, და გავიფიქრებ ველად, რათა დამტკბარიყო იმ ყველაფრით, რაც კი ბუნებას მოუზღადავებია თავისი სულიერი შვილებისთვის! როდესაც წვიმაში მივაბიჯებ, ასე მგონია, წვიმის ყოველი წვეთი მარტოდენ ჩემთვისაა გამოგზავნილი! მივიღებ ამ წვეთებს სულისმიერი ხელით და ამავე ხელით ვუბრუნებ იმ მიწასა და ზღვებს, რომელთადაც საბოლოოდ მივიქცევი! სულისმიერი ხელს ჩამოსართმევად ვუნვდი მკითხველს, მენაღე იქნება თუ პოეტი, და ვთხოვ, რომ გამისხენოს, როცა გვერდზე გადადებს თავის სამუშაო ინსტრუმენტებს და საკუთარ ნამუშევარს კმაყოფილების, სიხარულისა და აღტაცების თვალთ შეაცქერდება.

არაბულიდან თარგმნა
დარეჯან ბარდავაძე

თემურ გაბუნია

დიდი ამერიკული რომანი

მარკ ტვენმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაზეც. ჰემინგუეის მიაჩნდა, რომ თანამედროვე ამერიკული მწერლობა მთლიანად მარკ ტვენისგან იყო გამოსული. უილიამ ფოლკნერი თავის საყვარელ ლიტერატურულ პერსონაჟებად ასახელებდა ჰექლბერი ფინსა და ჯიმის. მკვლევრები გარკვეულ პარალელებსაც ავლენენ სელინჯერის რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — პერსონაჟ კოლდენ კოლფილდსა და ჰექლბერი ფინს შორის. მოგვიანებით „ჰექლბერი ფინის თავგადასავალს“ დიდი ამერიკული რომანიც უწოდეს. ბუნებრივია, ყოველივე ზემოთქმულის ფონზე, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ეს ნაწარმოები, რათა უკეთ გავიგოთ, თუ რა თავისებურებებით გამოირჩევა და რა გავლენას ახდენს მკითხველზე.

I მარკ ტვენის სიზლი

მარკ ტვენის რომანებზე ბავშვების აღზრდას ნებისმიერი ზესახელმწიფოს მესვეურები ინატრებდნენ, რადგან ტომისა და ჰეკის მიმბაძველი ბავშვი მშვენიერი სპეცრაზმელიც გამოვა და მზვერავიც, პოლიტიკური ლიდერიცა და საიდუმლო ორგანიზაციის წევრიც, რომელსაც ოჯახის ამონყვეტის მუქართაც კი ვერ აიძულებენ გათქვას მტრისთვის საჭირო ინფორმაცია. ბუნებრივია, ამას საბჭოთა კავშირშიც ხვდებოდნენ და კლასგარეშე, არდადეგებზე წასაკითხ ნიგნთა შორის პირველ რიგში მარკ ტვენის რომანებს ასახელებდნენ, ალექსანდრე დიუმას „სამ მუშკეტერთა“ ერთად. ამ მწერალთა ნაწარმოებებში კომუნისტებს, ალბათ, ისიც ხიბლავდათ, რომ მათში არ იყო საუბარი ღმერთზე, ეკლესიაზე... და თუ იყო, პირიქით, უარყოფით კონტექსტში... მარკ ტვენის პერსონაჟები ამარჯობდნენ რელიგიას, ბიბლიურ პატრიარქებს, მონარქიის იდეას, ფეოდალურ აზროვნებას. ალექსანდრე დიუმას მუშკეტერები კი თვით კარდინალსაც არ ეშუებოდნენ, გამუდმებით უპირისპირდებოდნენ, ამასხრებდნენ... კომუნისტები ამაზე უკეთესს რას ინატრებდნენ? თვითონაც მთელი იდეოლოგია ხომ სწორედ ღვთის გმობაზე ჰქონდათ აგებული? ამიტომ გამორჩეულად უნდა მოსწონებოდათ მარკ ტვენიცა და ალექსანდრე დიუმაც, რომლებიც იმას ქადაგებდნენ, სიყვარული და ერთგულება ღმერთისა და ეკლესიის გარეშეც შესაძლებელიაო. საბჭოთა კავშირში უამრავ ფილმს იღებდნენ ამ მწერალთა ნაწარმოებებზე, მაშინ, როდესაც, თვით 80-იან წლებშიც კი, ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტას“ კუსტარულად აკინძული ქსეროასლები სანთლით საძებნელი იყო და რიგში უნდა ჩამდგარიყავი, რომ როგორმე წაგკეითხა. აი, ასეთ სახელმწიფოში ვცხოვრობდით. სკოლის პროგრამიდან ამოღებული იყო ყველაფერი, სადაც უფლის სახელი იყო ნახსენები. პედაგოგები ლამის შოთა რუსთაველის ნაცვლად გვიხიდიდნენ ბოდიშს, ღმერთის, შემოქმედის ხსენებით იმიტომ დაინყო „ვეფხისტყაოსანი“, რომ თავის ეპოქას ხარკი გადაუხადა. ეს რომ არა, შესაძლოა პოემას ჩვენამდე არც მოუღწია, რადგან ეკლესია ისედაც დევნიდაო. სასწავლო პროგრამიდან ამოღებული იყო დავით გურამიშვილის სასულიერო ლირიკა, იაკობ გოგებაშვილის „ბიბლიური ისტორია“, „ლეგენდები ქრისტეზე“ და სხვა...

არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში გახლდათ მწერლობა, კომუნისტები განსაკუთრებულ პრივილეგიებულ მდგომარეობაში ამყოფებდნენ იმ მწერლებს, რომლებიც რაიმე უხამსობას დააბრალებდნენ წმინდანებს, სასულიერო პირებს გააბიზბრებდნენ, ან საკუთარი ნაწარმოებებიდან მთლიანად

ამოგადებდნენ რელიგიურ თემას. ასეთ მწერლებს გარანტირებული ჰქონდათ მრავალტომიანი გამოცემები, მყუდრო კაბინეტები, აგარაკები... გარდაცვალების შემდეგ მათ სახელს არქმევდნენ ქუჩებს, სკვერებს, მოედნებს და თვით ქალაქებსაც, რისი ნათელი მაგალითიცაა ძველი რუსული ქალაქი ნიჟნი ნოვგოროდი — ყოფილი გორკი...

თუმცა დაუბრუნდეთ ისევ მარკ ტვენს, რომელიც ძალიან პოპულარული იყო ორივე ზესახელმწიფოში — ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და საბჭოთა კავშირშიც, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში. რით იმსახურებდნენ მისი რომანები ესოდენ მოწონებას? დავიწყოთ იმით, რომ მარკ ტვენის სტილი იყო საოცრად მარტივი, სასაუბრო ენასთან მიახლოებული, თხრობა კი — საინტერესო და დინამიკური, ასე რომ, მის ნაწარმოებებს თავისუფლად წაიკითხავდნენ და მოიხილავდნენ ხალხის ფართო მასები და, რაც მთავარია, ბავშვები; გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალიცა და მისი პერსონაჟებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილი მონარქიისა და რელიგიისადმი, რასაც ძალიან უნდა მოეხიბლა მსოფლიო რევოლუციების ფონზე გაჩენილი ათეისტურად მოაზროვნე მკითხველი და, რაც უმთავრესია, მარკ ტვენს ჰქონდა რაღაც ისეთი, რითიც ალაფრთოვანებდა ნებისმიერი ეროვნებისა თუ ასაკის ადამიანს — ის ხატავდა ბავშვებს, რომლებიც არა მხოლოდ თვითონ იყვნენ თავისუფალნი, არამედ საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად იბრძოდნენ ერთი არაფრით გამორჩეული ზანგის, და თანაც არცთუ ისე ახლობლის, მონობიდან დასახსნელად. თანდათანობით მკითხველისთვის ჯიმის გათავისუფლება იქცა რაღაც საკრალურ აქტად, ტომი და ჰეკი კი იმ გმირებად, რომლებსაც უნდა დაენგრათ ძველი ძალმომრეობით სავე სამყარო...

თავისუფლებას, აი, რას უმღეროდა მარკ ტვენი! თუმცა მის შემოქმედებაში იყო მთელი რიგი უცნაურობანიც, რომელთა შესახებაც მიგვანიშნებდა ბერნარდ შოუ. მაინც რომელ უცნაურობებზეა საუბარი და რა იყო მათი არსი? ამ კითხვებზე პასუხი სწორედ დიდ ამერიკულ რომანში უნდა ვეძებოთ.

II მწერალი, რომელიც ჩამოხრჩობას გადაურჩა

მწერლები ხანდახან ძალიან უცნაურ შეხედულებებს გამოთქვამენ ერთმანეთზე. ერთ-ერთ ასეთ გამონათქვამად შეიძლება მივიჩნიოთ ბერნარდ შოუს მოსაზრება მარკ ტვენის შესახებ: „ის ისე გვიხატავს ყველაფერს, თითქოს ხუმრობდეს. ამგვარად აჩვენებს ხალხს, ეს რომ არა, შესაძლოა ჩამოეხრჩოთ კიდევ“. შოუს ამ უცნაურ გამონათქვამში არის ჭეშმარიტების მარცვლები, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან დიდი ადამიანები უმიზნოდ არ ისვრიან სიტყვებს. მაინც რა არის შემამოფოთებელი ტვენის შემოქმედებაში? რომ გავერკვეთ, რაზეა საუბარი, გავიხსენოთ მისი „ჰექლბერი ფინის თავგადასავალი“. მართლაც, თამაშ-თამაშით, იუმორისტულად რომ არ გადმოეცა ავტორს თავისი სათქმელი, ხალხი, ალბათ, ლინჩის წესით გაასამართლებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ რომანში უცნაურ და, შეიძლება ითქვას, შემზარავ მოვლენებზეც კია საუბარი. ლოგიკურად რომ გავიხსენოთ ნაწარმოების შინაარსი, შეიძლება დავეჭვდეთ კიდევ, მწერალი ბოროტად ხომ არ ხუმრობსო.

მოგახსენებთ, რომანის ერთ-ერთი მთავარი თემა გაქცეული ზანგის, ჯიმის, გადარჩენაა მონად გაყიდვისგან. რამ აიძულა მის უოტსონი ჯიმისთვის ახალი პატრონი მოეძებნა? მას ეს აზრი თავში არც კი მოუვიდოდა, რომ არა ტომ სოიერის ერთი ვითომდაც უწყინარი ოინი. ზანგს, რომელიც სახლს დარაჯობდა და უნებლიეთ ჩაეძინა, ტომმა ქუდი მოხადა და ზემოთ, ტოტზე ჩამოკიდა. საგულისხმოა, რომ თავდაპირველად მძინარე ჯიმის მიბმა სურდა ხეზე, მაგრამ ჰეკმა გადააფიქრებინა: „ნუ იზამ, გაიღვიძებს, აურზაურს ატებს და გაიგებენ, რომ შინ არ ვართო“. ტომმა მძინარე ზანგი, გარკვეული თვალსაზრისით,


მართლაც უფრო სწორად **მონუსხა**, რადგან გალვიძე-ბულმა ხის ტოტზე ჩამოკიდებული ქუდი რომ იპოვა, იფიქრა, ავმა სულელებმა მომაჯადოვესო. ჯიმი მისი ეპოქის, მონობაში აღზრდილი ზანგების მსგავსად, ცრუმორწმუნე იყო. ამ უცნაური შემთხვევის შემდეგ კი ქადაგად დავარდა, ამტკიცებდა, ეშმაკი გამომეცხადაო. საბუთად ის ხუთცენტიანი მოჭქონდა, მოპარული სანთლების ნაცვლად რომ დაუტოვეს. „ეს თილისმა ეშმაკმა საკუთარი ხელით მომცა და მითხრა, ამით ვისაც გინდა მოარჩენ და როცა გინდა, მაშინ გამოინვევ ავ სულს, ოღონდ ერთი რამე უნდა უთხრაო. მაგრამ იმას აღარ ამბობდა, რა იყო ის „ერეთი რამე“. ზანგები ყოველი მხრიდან მოდიოდნენ და, თუ რამ ებადათ, ყველაფერს ჯიმი აძლევდნენ, ოღონდ ეს ხუთცენტიანი ენახათ. თანაც ახლოს არ ეკარებოდნენ, რადგანაც ეშმაკის ხელშია გამოვლილიო. აქაოდა ეშმაკი მყავს ნანახიო... ჯიმი ისე მოჭქონდა თავი, რომ მოსამსახურედ სულ აღარ ვარგოდა“.

ამრიგად, ჯიმის გაუბედურებაში (მონად თუ გაყიდდნენ, ცოლ-შვილს დაკარგავდა) მთავარი დამნაშავე სწორედ ტომ სოიერი იყო. მძინარე დარაჯისთვის ქუდი რომ არ მოეხადა და მოპარული სანთლების ნაცვლად ხუთცენტიანი არ დაეტოვებინა, ცრუმორწმუნე ზანგი ქადაგად არ დაეცემოდა და, შესაბამისად, გაყიდვასაც არავინ დაუპირებდა. საგულისხმოა, რომ ის სანთლები ტომს თავისი მეგობრების „ყაჩაღად კურთხევისთვის“ სჭირდებოდა „ავი სულელებით საესე სახლში“ ან სულაც სასაფლაოზე.

როგორ წარიმართა შემდგომში ჯიმის ბედი? მან და ჰეკმა უამრავი ხიფათი გადაიტანეს, როგორმე ჩრდილოეთი შტატებისთვის რომ მიეღწიათ, სადაც ჯიმი თავისუფლებას მოიპოვებდა, თუმცა, სამწუხაროდ, მეგობრებმა სურვილის შესრულება ვერ შეძლეს, რადგან ზანგი შემთხვევით ატორლიალბებულმა თანამგზავრებმა (მეფემ და ჰერცოგმა) 40 დოლარის საფასურად გასცეს. შეპყრობილ მონას, ღვთის წყალობით, ტომ სოიერის ნათესავის, ფელსების სახლში ათავსებენ... და, აი, ტომი დეიდასთან ჩადის, მან უკვე იცის, რომ გარდაცვლილმა მის უოლტერსმა ჯიმი მონობიდან გაათავისუფლა — ანდერძის საფუძველზე, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ ტუსაღს ეს ბედნიერება ახაროს და ტანჯვა შეუმსუბუქოს, პირიქით, უამრავ თავსატეხს უჩენს. ტომი ადგენს გაქცევის გეგმას, მას თავი სათავგადასავლო ლიტერატურის კითხვისას აკრეფილი უამრავი სისულელით აქვს გამოტყეპილი. ნისქვილის ქვაზე, რომელიც ქოხში გამოკეცილ ჯიმი მალულად შეუტანეს, ტომ სოიერი რალაც ნიშნებს აჩხაპინებს, თან ავალდებულებს გველებთან, ობობებსა და ვირთავებთან ეძინოს, რომლებიც ასევე ფარულად შეუყვანეს.

გაქცევის წინა ღამით ტომმა „სისხლით თავის ქალა და გადაჯვარდინებული ძვლები დახატა“ და სადარბაზოს კარზე მიაკრა, მერე კი ჰეკთან ერთად უკანა კარზე კუბოს სურათიც მიაბარა. სოფლებს ჰგონიათ, რომ ზანგს 12 კაცი ეხმარებოდა. გაქცეულ ტომს კანჭში ტყვია ხვდება და, ბუნებრივია, დროებით კოჭლებს აი, რამდენი ე. წ. სატანისტური სიმბოლიკა დაახვავა ავტორმა: ნისქვილის ქვა, გველები, ცალი ფეხით დაკოჭლებული ტომი, თავის ქალა და ძვლები, კუბო და ზანგის გამათავისუფლებელთა სავარაუდო ციფრი — 12. საგულისხმოა, რომ ეზოთურული საძმოების რიტუალებშიც 12 და მეცამეტე ფიგურირებს, რომელსაც ახალ წევრად მიღებისას კუბოში აწვენენ. ბუნებრივია, ისმის კითხვა, საითკენ მიდის თხრობა? რა საჭირო იყო ისედაც უკვე გაათავისუფლებული ზანგის გამოსახსნელად ასეთი აურზაურის ატყუა? ან რაზე უნდა მიგვიანიშნებდეს ეს მაგიური სიმბოლიკა?

რა თქმა უნდა, მარკ ტვენისთვის ეს შეკითხვები არავის დაუსვამს, რადგან რომანის გმირებად 13 წლის ბიჭები გამოიყვანა, რომლებიც ვითომდაც უბრალოდ ცელქობენ და თავგადასავლებით ერთობიან. დიახ, რომ არა ის ხიბლი, ავტორის იუმორით გაუღწევილ თხრობას რომ ახასიათებს, ეს ყველაფერი სასაცილო სრულიადაც არ იქნებოდა და მწერალიც ჩამოხრჩობას თუ არა, გარკვეულ ადმინისტრაციულ სანქციებს მაინც ვერ ასცდებოდა... თუმცა ეს ასე არ მოხდა, მარკ ტვენი თავისი ეპოქის ერთ-ერთ უდიდეს მწერლადაც კი აღიარეს.



მარკ ტვენი

III გაქცევა

ადამიანის ფსიქიკაში ოდითგანვე ღრმად იყო ჩაბუდებული შინიდან წასვლისა და თავგადასავლების ძიების სურვილი. წმინდა მამათა გადმოცემით, ერთ-ერთი პირველი წარღვნიმდელი პატრიარქი, ვინც სახლიდან წასულა, იარედი გახლდათ. ის ალბათ კაენის მოდემის ხალხით დასახლებულ ქალაქებში მოგზაურობას უნდა მოეხებოდა, სადაც მეძავებს დაახარჯა მთელი თავისი ქონება, მერე კი მონანიე და სასონარკვეთილი მამას მუხლებში ჩაუფარდა და პატიება სთხოვა. სწორედ ამ ამბავს ეხება იგავი უძღვები შვილის შესახებ.

იარედის ეპოქის შემდეგ უამრავმა საუკუნემ ჩაიარა, შინიდან წასვლისა თუ გაქცევის თემას კი აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. თბილ და მყუდრო გარემოში ყოფნას კასრში ცხოვრებას ამჯობინებს ჰეკლბერი ფინი. ის სახლიდან გარბის და ტივით მისისიპიზე მოგზაურობს. ხალხმრავალი ქალაქიდან გაქცევაზე ოცნებობს ჰოლდენ კოლფილდი („თამაში ჭკვავის ყანაში“). ამ ლიტერატურული პერსონაჟის პროტოტიპი და შემქმნელი ჯერომ სელინჯერი თურმე ხუთი წლისაც არ ყოფილა, შინიდან წასვლა რომ განუზრახავს. მასზე რამდენიმე წლით უფროს დასთან შეკამათების შემდეგ ჯერის ინდიელის ფორმა ჩაუცვამს, სათამაშოები ჩანთაში ჩაუწყვია და დისთვის განუცხადებია — აქედან სამუდამოდ მივევივარო. მერე კარგა ხანს მდგარა ზღურბლთან და როცა დედა დაბრუნებულა, უთქვამს: წასვლას ვაპირებდი, მაგრამ შენთან გამოუმვიდობებლად არ მომიხდაო.

სახლიდან წასვლისა და სამშობლოდან გადახვეწის მძაფერი სურვილი ამოძრავებდა ირლანდიელ მწერალ ჯეიმზ ჯოისსაც, ასევე მის უამრავ პერსონაჟს. საგულისხმოა, რომ მან ეს სურვილი რეალობად აქცია, ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში დატოვა ირლანდია და უკან აღარასოდეს დაბრუნებულა.

მოგვიანებით ადამიანის ლტოლვას — მიატოვოს საკუთარი სახლი და მოიძულოს ყოველივე მშობლიური — ოიკოფობიას უწოდებს ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მწერალი როჯერ სკრუტონი (ოიკოს ბერძნულად სახლია, ფობია — შიში) და ამ საკითხს საგანგებო კვლევასაც მიუძღვის. ასე რომ, ეს თემა ისეთივე მარადიულია, როგორც თვით კაცობრიობა... შესაძლოა შინიდან წასვლის სურვილი, გარკვეული დოზით, ყველა ადამიანს ჰქონდეს, განსაკუთრებით ბავშვობასა და ყმანვილკაცობაში. ამ თვალსაზრისს ადასტურებს ზოგიერთი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ლიტერატურული პერსონაჟიც, რომლებიც ბავშვებისა და თინეიჯერთა ერთგვარ განზოგადებულ სახეებსაც კი წარმოადგენენ, ამიტომ ალბათ ურიგო არც იქნება მათი გახსენება.

IV
ჰეკლბერი ფინი და ჰოლდენ კოლფილდი

ლიტერატორები გარკვეულ მსგავსებას ხედავდნენ მარკ ტვენის ჰეკლბერი ფინსა და ჯერომ სელინჯერის ჰოლდენ კოლფილდს შორის. და მართლაც, მსოფლიო ლიტერატურაში ძნელად თუ მოიძებნება ორი ისეთი პერსონაჟი, ასე ძლიერ რომ ჰგავდნენ და, ამავდროულად, განსხვავდებოდნენ კიდეც ერთმანეთისგან. ფინიცა და კოლფილდიც ფულისა და კონფორმისტული ცხოვრების მოძულენი არიან. ჰეკს ურჩევნია ჩამოძენილსა და ნახევრად მშვიერ კასრში ეძინოს, ვიდრე მძღარსა და სუფთად ჩაცმულს — ფუმფულა სანოლში. მას გულს ურევს ისეთი საჭმელი, რომელიც ადვილად მოიპოვება. „უნდა გავქვეუღიყავი, ტომ, ეს აუცილებელი იყო! სულ მალე მეცადინეობაც დაიწყება და ახლა სკოლაში მაძულებენ სიარულს; ამას კი ვეღარ ავიტან! ხომ ხედავ, ტომ, სიმდიდრეც არაფერი ყოფილა, მისგან მხოლოდ უსიამოვნება გელის და სიკვდილს ნატრობ. ამ ჩემს ნაგელაჯებს და ჩემს კასრს შევეჩვიე და ვერც მოვიშორებ. ამისთანა უბედურება არც დამატყუებოდა თავს, ის ტიალი ფული რომ არ ყოფილიყო. ტომ, შენთვის მომიცია ჩემი წილიც, ისე მოიხმარე, როგორც შენი ფული. მე კი ზოგჯერ მომეცი ათი ცენტი, ისიც ხშირად არ მინდა, რადგან მე ის მომწონს, რაც ადვილად არ იშოვება...“ აი, როგორ ხსნის თავისი გაქცევის მიზეზებს ჰეკლბერი ფინი.

„ტომ სოიერი არასოდეს მყვარებია, საშინლად თავდაჯერებული ვინმეა“, იტყვის ჯინ სტაინთან საუბარში ფოლკნერი, მაშინ, როდესაც უსაყვარლეს ლიტერატურულ გმირებს შორის მარკ ტვენის ორ პერსონაჟს დაასახელებს: ჰეკ ფინსა და ჯიმს. მაინც რატომ მოიძულა ფოლკნერმა ასე ტომი? ტომს სინანულის გრძობა საერთოდ არ გააჩნია, ის ყოყოჩაა, ამპარტავანი და თვითკმაყოფილი. ჰეკი კი პირიქით, მეგობრისგან განსხვავებით, გამუდმებულ შინაგან ბრძოლაშია, სურს, ყველასთან პირნათელი იყოს, ხანდახან ლოცვაც კი მოუნდება, მაგრამ ვერ ახერხებს, რადგან გრძობს, რომ მხოლოდ მართალი ადამიანის ლოცვას აქვს ფასი, საკუთარი თავი კი უღრისად და ცრუპენტლად მიაჩნია. ჰეკს აქვს პოტენციალი, ოდესმე მორწმუნე გახდეს, და ბევრი დადებითი თვისებაც — შეუძლია სრულიად უანგაროდ დაეხმაროს განსაცდელში მყოფს, მეტიც, მისთვის თავიც კი განიროს, თვითონ კი ჩრდილში დარჩეს, რასაც ვერ ვიტყვით ტომზე, რომელსაც განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანივით ყურადღების ცენტრში ყოფნა ურჩევნია. ჰეკი ქარივით თავისუფალია, მას სძულს ცხოვრება მდიდრულ, სულისშემზუთველ სახლებში, სამაგიეროდ, უყვარს ტყე, მდინარე, ღამის გათევა კასრებში... სწორედ ამიტომ გარბის, მითუშეტეს, რომ ლოთი მამისგან რეალური საფრთხეც ემუქრება.

გაქცევა ერთ-ერთი ძირითადი თემაა ჯერომ სელინჯერისთვისაც, გავიხსენოთ ჰოლდენ კოლფილდის ცნობილი მონოლოგი: „ვიფიქრე, ვიფიქრე და გადავწყვიტე, აქაურობას გავცლოდი. აღარც შინ დავბრუნებულყავი და აღარც სხვა სკოლაში შევსულიყავი... სადმე ქოხს ავიშენებ და იქ გავატარებ მთელს ჩემს სიცოცხლეს. ქოხს ტყის ნაპირას დავიდგამ, შიგ ტყეში არა, რადგან სულ მზეში მინდა ვიყო. საჭმელს მე თვითონ მოვიმზადებ“.

ჰოლდენს სურს ყრუ-მუნჯობა მოიგონოს, ხოლო თუ ცოლის შერთვა მოუხდა, გამოძებნოს ვინმე ღამაში გოგო, მასავით ყრუ-მუნჯი. ბავშვები თუ გაუჩნდათ, სადმე გადამალავენ, წიგნებს უყიდიან და თვითონვე ასწავლიან წერა-კითხვას. აი, ასეთ უცნაურ გაქცევაზე ოცნებობს ჰოლდენ კოლფილდი. საგულისხმოა, რომ ჰეკლბერი ფინსაც უნდა ქალაქიდან წასვლა მიყრუებულ, უკაცრიელ ადგილას. ტყე მისთვისაც თავისუფალი ცხოვრების სიმბოლოა. მდიდრულ სახლებზე არც ჰეკი ოცნებობს და არც ჰოლდენი, ერთს კასრი იზიდავს, მეორეს — ქოხი. სელინჯერის პერსონაჟს გულს ურევს სკო-

ლის დირექტორი თარმერი, რომელიც მდიდარ მშობლებს ელაქუცება, ღარიბებს კი მხოლოდ ფორმალურად ესალმება და საუბრის ღირსადაც არ მიიჩნევს. ჰეკისა არ იყოს, ჰოლდენსაც სძულს ფული და ფულის დიქტატურას დაქვემდებარებული ადამიანები. აი, როგორ ჰგავს ეს ორი პერსონაჟი ერთმანეთს, თუმცა მათ შორის თვალშისაცემი განსხვავებაცაა. მარკ ტვენის ლიტერატურულ გმირს გაქცევის სურვილს უძლიერებს ისიც, რომ რელიგიურ ცხოვრებას აძალბებენ. ვერ იტანს, მისი აღმზრდელი ქვრივი დალენიდაც რომ ლოცულობს, მას კი აიძულებს ეკლესიაში იაროს და მოსაწყენ ქადაგებებს უსმინოს. ჰეკს ლოცვას თამბაქოს ლეჭვა და ჩიბუხის გაბოლება ურჩევნია, ზრდილობიან საუბარს კი — გინება... ამრიგად, მარკ ტვენი რაღაც ახალ ესთეტიკას გვთავაზობს: სუფთა ჩაცმულობის ნაცვლად ჭუჭყიანი ძონძები, ლოცვისა და ზრდილობიანი საუბრის ნაცვლად — გინება, უფროსებისადმი დაუმორჩილებლობა, ბიბლიისა და ეკლესიისადმი ირონიული დამოკიდებულება.

გავიხსენოთ, როგორ აღიზანებს ჰეკს ძველი ალექსის ამბების მოსმენა, ვერაფრით აუხსნია, რატომ უჭყდავენ ყურებს მოსეს ისტორიებით, რომელიც თურმე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილა. მას ხომ მკვდარი ხალხი სრულიადაც არ აინტერესებს. სასაცილოდაც არ ჰყოფნის სამოთხესა და ჯოჯოხეთზე საუბრები. ჯოჯოხეთში მოხვედრისაც არ ეშინია, პირიქით, ნატრობს კიდეც იქ ყოფნას, სადაც ტომ სოიერი იქნება. ტომის ადგილი კი, მის უოტსონის აზრით, ჯოჯოხეთშია. ამიტომ, ბუნებრივია, ჰეკსაც იქ უნდა მოხვედრა. და, აი, გარკვეული ხნის შემდეგ ბავშვის ცხოვრებაში დგება კრიტიკული მომენტი, როცა არჩევანი უნდა გააკეთოს. მას ეჩვენება, რომ მის უოტსონს, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, უპატიოსნოდ მოექცა, ამასთან, სინდისის ქენჯნასა და მძაფრ შინაგან ბრძოლას განიცდის. „ტანში ჟრუანტელმა დამიარა და თითქმის გადავწყვიტე კიდეც, რომ ვილოცებდი და ვეცდებოდი, უფრო უკეთესი ბიჭი გავმხდარიყავი. დავიჩოქე, მაგრამ ვერ ვლოცულობდი. რატომ ვერ ვლოცულობდი? ...იმითომ, რომ ალალი გულით არ ვიყავი, იმიტომ, რომ პატიოსნად არ ვიქცეოდი...“

და, აი, ჰეკი წერილს სწერს მის უოტსონს, ატყობინებს, ზანგი რომ დაიჭირეს და სთხოვს გამოისყიდოს, მაგრამ უნებლიეთ აგონდება, როგორ უთხრა ვაიმომ, ჩემი ერთადერთი მეგობარი ხარო, და წერილს დახვეს. „რაც იქნება იქნება, ისევ ჯოჯოხეთი იყოს“, ამბობს ჰეკი, რადგან მიაჩნია, რომ ბავშვობიდან ნაჩვევი სიავკაცე უფრო შეჭფერის.

ეს უკვე არჩევანია, რომელსაც ცამეტი წლის ბიჭი აკეთებს...

დიახ, ტომი და ჰეკი ბავშვები არიან, ამიტომ მათი საუბრები რელიგიაზე წესით სერიოზულად არც უნდა აღვიქვათ, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით იმას, რასაც ტომი ჰეკს სთავაზობს და ფაქტობრივად რითიც ითანხმებს შინ დაბრუნდეს, უმალ მივხვდებით, რომ საქმე მხოლოდ მამამიტურ ბავშვურ ფანტაზიებს არ ეხება, და რომ მწერლის მსოფლმხედველობაზე გარკვეული გავლენა მოუხდენია სენტ ლუისის თავისუფალ ქვისმთელთა საზოგადოებაში ყოფნას, რომელშიც 1861 წლის 22 მაისს განევრიანდა, 10 ივლისს კი ოსტატიც გახდა.

გავიხსენოთ, როგორ არწმუნებს ტომი მეგობარს, კასრში ცხოვრებას თავი დაანებოს და ქვრივთან დაბრუნდეს. მისი აზრით, სიმდიდრე ჰეკს ხელს არ შეუშლის ყაჩაღობაში, პირიქით, თუ რიგიანად არ ჩაიცვა, თავის რაზმში არც მიიღებს. ის მეგობარს უხსნის, რა სხვაობაა მეკობრესა და ყაჩაღს შორის. „ყაჩაღი მეკობრეზე გაცილებით მეტია! თითქმის ყველა ქვეყანაში ისინი კეთილშობილი წარმოშობისანი არიან, ჰერცოგები, ან სხვები“. ტომი ჰპირდება, რომ მალე შეყრის ბიჭებს, რათა ყაჩაღებად აკურთხოს. ფიცი თურმე აუცილებლად შუალამისას უნდა დადონ, რაც შეიძლება მიყრუებულ ალაგას, ბოროტი სულელობითა და მოჩვენებითი სავსე სახლში ან სასაფლაოზე.

სომ არ ჰგავს ტომის მიერ მოფიქრებული ყაჩაღად კურთხევის რიტუალი საიდუმლო სამომში მიღებისას? გავიხსენოთ ბიბლიურ საზოგადოებაში პიერ ბეზუხოვის მიღების სცენა ლევ ტოლსტოის რომანიდან „ომი და მშვიდობა“. პიერიც არისტოკრატია, ისიც სიბნელეში სადღაც მიტოვებულ შენობაში შეჰყავთ და ფიცს ადებინებენ... მარკ ტვენთან რიტუალი სასაფლაოზე სრულდება, პიერ ბეზუხოვს კუბოში აწვენენ.

ჰეკისგან განსხვავებით, სელინჯერის პერსონაჟის, ჰოლდენ კოლფილდის სახლიდან წასვლის გადაწყვეტილებაში თავს მოხვედრულ რელიგიურ აღზრდას არანაირი როლი არ უთამაშია, ჰოლდენი არც ანტირელიგიური მსოფლმხედველობით გამოირჩევა. მართალია, ლოცვას ვერც ის ახერხებს, რადგან გაორებულია მობოლების სხვადასხვა აღმსარებლობის გამო, მაგრამ ქრისტიე უყვარს (საგულისხმოა, რომ სელინჯერიც მსგავს რელიგიურ გაორებას განიცდიდა სიყმაწვილეში, დედა კათოლიკე ჰყავდა, მამა კი — იუდეველი, ასე რომ, მათ ოჯახში შობასაც აღნიშნავდნენ და ხანუკასაც). მოგვიანებით მწერლის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს ქრისტიანული თემატიკა („ფრენი და ზუი“). მისი გვიანდელი ნაწარმოებები კი რელიგიურ ტრაქტატებს დაემსგავსება, რის გამოც გააკრიტიკებენ.

ამრიგად, ჰეკლბერი ფინსა და ჰოლდენ კოლფილდთან დაკავშირებით მხოლოდ გარკვეულ, არაარსებით მსგავსებაზე შეიძლება ვისაუბროთ.

V მარკ ტვენის წინამორბედები

მარკ ტვენი პირველი არ ყოფილა, ვინც საყმაწვილო ლიტერატურაში დაამკვიდრა ურჩი და მეამბოხე გმირის სახე. ნერილის დასაწყისში ვახსენეთ ალექსანდრე დიუმა და მისი სახელგანთქმული მუშეკეტერები, რომლებიც გამუდმებით ეურჩებიან კარდინალს. მეამბოხე პერსონაჟთა გალერეა შეიძლება შევავსოთ კარლო კოლოდის პინოქიოთი (სწორედ ამ პერსონაჟის მოდელზე დანერგა ალექსეი ტოლსტოიმ 1936 წელს „ბურატინო“), ვიქტორ ჰიუგოს გავროშით, ასევე, შარლ პეროს წითელქუდათი და სხვა ზღაპრების ვითომდაც უწყინარი გმირებითაც... თუმცა XX საუკუნის ბოლოს, როცა რევოლუციური თემატიკა უკვე აქტუალური აღარ იყო, გაჩნდა ახალი ტენდენცია — ბავშვებისთვის თავს მოეხვიათ თეთრ და შავ მაგიასთან ნაზიარები ლიტერატურული გმირები. და, აი, პინოქიო და ჩიპოლინო ჰარი პოტერმა შეცვალა, რომლისთვისაც არა მხოლოდ ურჩობაა ცხოვრების მიზანი, არამედ ბნელეთის გაიდება და ე.წ. თეთრ მაგიასთან კავშირი.

ამრიგად, ბოლო ასწლეულთა მანძილზე აქტიურად მიმდინარეობს ახალი ტიპის მეამბოხე ადამიანის ფორმირება ზღაპრებითა და რომანებით, ბოლოს კი უკვე მხატვრული და ანიმაციური ფილმებითაც. შორს რომ არ წავიდეთ, განვიხილოთ „ბურატინო“, ეს, ერთი შეხედვით, უწყინარი ზღაპარი, რომელიც სინამდვილეში საკმაოდ მძლავრი იმპულსების მატარებელია და ბიბლიური იგავების პაროდირებას წარმოადგენს.

თიხისგან ძერწავს ღმერთი პირველ ადამიანს — ადამს, მისი ნენისგან კი — ევას. აკრძალული ხილის გასინჯვის გამო პირველი ადამიანები სამოთხიდან იდევნებიან. მამა კარლო ხისგან ჩორკნის ბურატინოს, რომელიც კუ კაროლინას ნაჩუქარი გასაღებით საიდუმლო ოთახის კარს აღებს. კუ ამ შემთხვევაში გველის ფუნქციას ასრულებს, რომელმაც ევასა და ადამს აკრძალული ხილის გასინჯვისკენ უბიძგა.

ამ ზღაპარს ურჩობის თემა ლაიტმოტივივად გასდევს. ბურატინო ეურჩება არამარტო მამას, არამედ ღმერთსაც. ეს ნათლად ჩანს მინაში ტალანტის ჩაფლვის ეპიზოდიდანაც. ტალანტი მხოლოდ ფული არ არის, ესაა ნიჭი. ადამიანმა თავისი ნიჭი სხვა ადამიანებს უნდა მოახხაროს; ტალანტი უნდა გამ-

რავლდეს და ერთი ათასად იქცეს. ზღაპრის გმირები კი მას მინაში ფლავენ და მერე წყალს უსხამენ, რათა ხესავით გაიზარდოს და ბევრი ფული მოისხას. ეს ეპიზოდი პაროდიაა სახარებისეულ იგავზე. ბურატინო ანბანს ყიდის, თოჯინების თეატრში რომ მოხვდეს. ცოდნის შეძენას გართობას ამჯობინებს... ბურატინოს ღუმელში ჩაგდებათ ემუქრება მამა კარლო. ცეცხლში ჩაგდებათ უნდა დამთავრდეს სატანის აჯანყებაც... ხის თოჯინა ტიპური მეამბოხე გმირია, იგი ყველასა და ყველაფერს უჯანყდება.

ინგრევა ძველი, „დრომოქშილი“, „ტირანული“ და იქმნება რალაც ახალი... ახალი სამყარო, ახალი თეატრი. ბურატინო საიდუმლო ოთახის გასაღებს ჩაიგდება ხელში და თოჯინები იმ ოთახში შეჰყავს, სადაც ის და მისი მეგობრები ამქვეყნიურ სიამეებით უნდა დატკბნენ.

არანაკლებ უცნაურად მოგვეჩვენება ალექსანდრე დიუმას „სამი მუშეკეტერი“, თუკი მას სათავგადასავლო-რომანტიკულ საბურველს ჩამოვაცილებთ და ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ. მაინც რაზეა საუბარი ამ რომანში? ნაწარმოებში ხოტბაშესხმულია რალაც „უნივერსალური“ სიყვარული, რომელიც ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულზე აღმატებულად წარმოუჩენია ავტორს. ამ უნივერსალური ტრფობის ქურუმად კი ანა ავსტრიელი დაუდგენია — საფრანგეთის დედოფალი, მისი და ინგლისის ჰერცოგის ბეკინგემის სიყვარული ყველაფერზე მაღლა დგას — ღმერთზე, პატიოსნებაზე, საფრანგეთზე... დედოფლის გამო იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები. იმ დროს, როდესაც საფრანგეთი ომის მდგომარეობაში იხგლისთან, ფრანგი მუშეკეტერები ქვეყნის დაცვაზე კი არა ზრუნავენ, არამედ ანა ავსტრიელის პრესტიჟის გადარჩენაზე. ისინი მახვილს სწევენ არა ინგლისელებზე, არამედ ფრანგებზე, თავიანთ თანამემამულეებზე, დედოფალი კი ამაცად ამბობს: „თუკი ჩემს სიყვარულს ბეკინგემისადმი საფრანგეთის ღალატი ჰქვია, დე ვიყო მე მოღალატე“.

რომანში გაშარჟებულია არა მხოლოდ ბურბონთა დინასტია, არამედ კარდინალი რიშელიეც, საფრანგეთისთვის თავდადებული და მოამაგე ადამიანი, რომელიც ცდილობს მეფეს თვლი აუხილოს და დაანახოს, რას წარმოადგენს მისი ცოლი. მაგრამ დ'არტანიანი და მუშეკეტერები არაფერს ერიდებიან, მეფეს სიმართლის დადგენაში შეუშალონ ხელი.

ამრიგად, კარდინალი რიშელიე, ისტორიული პირი, ცნობილი თავისი პატიოსნებითა და სამშობლოსადმი ერთგულებით, რომანში ტრანადაა გამოყვანილი, სამაგიეროდ, ხოტბაშესხმულნი არიან ისტორიულად არარსებული პერსონაჟები: ათოსი, პორთოსი და არამისი. გავა დრო და ისინი დ'არტანიანთან ერთად მთელი თაობების უსაყვარლესი გმირები გახდებიან. ნუთუ შემთხვევითია ეს? ან იქნებ მწერალი მართლაც რალაც ფარული, იმ ეპოქისთვის ახალი იდეოლოგიით ხელმძღვანელობდა? დღეს ამას უკვე გადაამწყვეტი მნიშვნელობა აღარც აქვს. მთავარია, რომ მწერალმა იქადაგა რალაც ტრანსცენდენტული სიყვარული, რომელიც ეროვნულ საზღვრებს არღვევს.

დაუსჯელობის შეგრძნება შეიძლება დაეუფლოს ადამიანს შარლ პეროს ზღაპრის „წითელქუდას“ ნაკითხვისას. მერე რა, რომ ბავშვი დედას არ უჯერებს; რა ვუყოთ, თუკი მასაც და ბებიასაც მგელი შეჭამს. მოვა კეთილი მეტყვევებ, მგელს მუცელს გაუჭრის და ორივეს გადაარჩენს. აი, ცრუ სასწაული, რომლის შესახებაც წმინდა მამებს ხშირად უთქვამთ, რომ ზღაპრული სასწაულებით ნაკვები ადამიანის გონება ისე უხემდება, სათანადოდ ველარ აღიქვამს ქრისტეს სასწაულებს, მის ღვთაებრივ შობასა და აღდგომას. ასეთი ზღაპრებითა და რომანებით გაბრუებულ ადამიანს უდიდესი საფრთხე ელის, ვერ იცნოს „მტაცებელი“, როცა ის მართლა მოვა, იმ წითელქუდასავით, მგელი ბებიასგან რომ ვერ განასხვავა.

დიახ, განათლების მიღება რალაცით პირამიდაზე ასვლასაც ჰგავს, მაგრამ, სამწუხაროდ, პირამიდის წვერში ხშირად „ძალიან საეჭვო ღვთაება“ დავანებული.

ვიქტორ გაბესკირია

სოსხები

იმ ხანებში შემოღებული იყო მწერლების სხვადასხვა წარმოება-დანესებულებებზე „მიმაგრება“, რათა შეესა-
ნავლათ იქ მომუშავე ადამიანების საქმიანობა და შემ-
დეგ შეექმნათ ახალი ადამიანების ცხოვრების ამსახვე-
ლი მხატვრული ნაწარმოებები, ან, როგორც მაშინ უყ-
ვარდათ თქმა, ტილოები.

მწერლების წარმოება-დანესებულებებზე მიმაგრება
ისაზღვრებოდა ერთი თვით, რამდენიმე თვით, მთელი
წლით. ხარჯების ანაზღაურებას დანესებულებები კის-
რულობდნენ ხელშეკრულების საფუძველზე.

ერთ დღეს (1935 წელს), მწერალთა კავშირში დაბა-
რებულებს, კოლაუ ნადირაძეს და მე გამოგვიცხადეს,
რომ ერთი თვით მიმაგრებულები ვართ ორგანიზაცია
„ტყეკოპკავშირზე“.

ერთი თვე მცირე დროდ მოგვეჩვენა, უმთავრესად
იმიტომ, რომ მცირე თანხის მიღებასაც ნიშნავდა, მაგრამ
იმ გარემოებამ კი გაგვახარა, რომ ისეთ ორგანიზაციაზე
მიმაგრებულები აღმოჩნდით, რომლის სახელწოდება-
შიც ჩვენი, ორთავესი, ტრფიალის გამომხატველი სიტყვა
ტყე ერია. და, მაშინვე იწყო ტყე ჩვენს გარშემო შრიალი
— ორ კაცს, მწერალთა სახლიდან, თავისი ლამაზი და სა-
იდუმლოებით მოცული სამყაროსკენ მოგვიხმობდა.
ჩვენც გულით მადლობას ვწირავდით ტყეს, რადგან გვე-
გონა, რომ არჩევანი თვით ტყეს ეკუთვნოდა და არა იმ
ორგანიზაციას, რომელიც მისკენ გვაგზავნიდა.

ყოველივე ეს, რაც ზემოთ ვთქვი, იგრძნობოდა ჩვენს
საუბარში, ჩვენს გამომეტყველებაში, როდესაც, იმავე
დღეს ხსენებული დანესებულებისკენ აქარებული ნაბი-
ჯებით მივდიოდით.


იმ დანესებულებაში პატივით მიგვიღეს. პირველ
რიგში ლანჩხუთში, მახარაძესა და ზუგდიდში გამგზავ-
რება გვირჩიეს, ნარკვევების დანერგა და შემდეგ პრესა-
ში გამოქვეყნებასაც გვთხოვდნენ, იმ ქალაქებში მცხოვ-
რებნი და მათ სისტემაში მომუშავე ადამიანების შესა-
ხებ. ჩვენც აღუთქვით, რომ დავალებას შევასრულებ-
დით. საჭირო თანხა ხარჯებისათვის იმავე დღეს გამოგ-
ვინერეს, მიმართვებიც მოგვცეს, რომ ჩვენთვის ადგი-
ლებზე ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინათ დაკისრე-
ბული მოვალეობის შესასრულებლად.

გამგზავრება არ დაგვიყოფნებია, მეორე დღით უკვე
ლანჩხუთში ვიყავით.

კარგად მახსოვს, დეკემბრის მინურული იყო, იმ დღით
კი ცრიდა ლანჩხუთში, მაგრამ მთელ საქართველოში თბი-
ლი ამინდი იდგა. რადგანაც რამდენიმე დღით ვაპირებდით
ლანჩხუთში დარჩენას, სასტუმროს მივამურეთ, იქ ოთახი
ავიღეთ, დავინავდით. ჯერ კიდევ ადრე იყო და გადავწყვი-
ტეთ, სანამ ჩვენს დანესებულებაში გამოცხადდებოდით,
მანამდე ქალაქში გავგველო, ქალაქი დაგვეთვალეოვინა.

ხეები სულ გაძარცვლნი იყვნენ, მაგრამ, გზადაგზა აქა-
იქ მაინც ჩნდებოდნენ ლამაზი ეზოები, ლამაზი ოდები;
ჩვენს ყურადღებას იპყრობდნენ, მათ წინ ვჩერდებოდით,
ვაკვირდებოდით. გზადაგზა იმასაც ვამჩნევდი, რომ ჩემი
მეგობარიც იქცევა გამველ-გამომვლელთა ყურადღე-
ბას; ის, გარდა იმისა, რომ შთამბეჭდავი სახის ადამიანია,
საგანგებოდაც იყო შემოსილი: მაყვალვით შავი ძვირფასი
ნაჭრისაგან შეკერილი პალტო ეცვა, რომელსაც აგრეთვე
მაყვალვით შავი, კარაკულის ძვირფასი ბენვი ჰქონდა სა-
ყელოზე შემოვლებული, თავზე ფართო ფარფლებიანი

მწვანე ქუდი ეხურა, საერთოდ
მიყვარს მწვანე ფერი, მაგრამ
იმ ქუდის სიმწვანე მაშინ გან-
საკუთრებულათ იმის გამო
მხიბლავდა, რომ გაძარცულ
ეზოებში, ნაცრისფერი დღის
ფონზე, სიმწვანის არსებობის
ილუზიას ჰქმნიდა.



ზამთრის მოღრუბლული
დილა იყო, მაგრამ რაკი ჰაერში
სითბო ტრიალებდა, და ირგე-
ლივ მომხიბვლელი სიმშვიდე
სუფევდა, თავს ბედნიერად
ვგრძნობდით. მხოლოდ ეს იყო,
რომ ხანდახან წვიმა დაუშვებ-
და და ის გვანუხებდა, რადგან,
დაუშვებდა წვიმა თუ არა, კო-
ლაუ სადღაც გარბოდა, პალ-
ტო არ დამისვენდესო, თავშე-
საფარს ეძებდა. მეც, გასაქცე-
ვი არაფერი მქონდა მაგრამ მაინც მივსდევდი; როგორც კი ვიპოვიდით
თავშესაფარს, კოლაუ, ალბათ, თავისი ქცევის გასამართლებლად
პალტოს ხელებს გადაუსვამდა და მეტყოდა: იცი, ამ მატერიას რა
ჰქვია? — „დრაპ-იმპერიალ“, — თვითონვე მპასუხობდა. მეც ხელახლა
შევათვალეოვინე იმ პალტოს, მართლა ძვირფასი იყო, მაგრამ, სი-
მართლე რომ ვთქვა, არ მჯეროდა, რომ „დრაპ-იმპერიალი“ ერქვა.

კითხვა-კითხვით, მალე ჩვენს დანესებულებასაც მივაღქვით.
ის შორიდან, გურული გამოთქმის მიხედვით რომ ვთქვათ, სასი-
ამოვნო სანახავი არ დაგვირჩა: ძველი, ფიცრული ოდა სახლი იყო,
მხოლოდ ეს იყო, რომ თავზე დროშა დაფრიალებდა, და კარებზე აბ-
რა ჰქონდა მიკრული წარწერით. არც შიგნით შესულებს მოგვეჩინა
დანესებულება, მაგრამ თვით დანესებულების უფროსი (არტელის
თავმჯდომარე) აღმოჩნდა მეტად სიმპათიური კაცი. ეზოში შემო-
სული უცხო ადამიანები შორიდან შეეფინიშნებოდნენ. ხანში შესული,
ჭაღარა, დარბაისელი კაცი იყო, კარებში შემოგვეგება, თავის
ოთახში შეგვიპატიოვა. როდესაც გაეცნო ჩვენს შესახებ მონერილო-
ბას, — სასიამოვნოა თქვენი მოზრძანება, რითაც გნებავთ გვიმსა-
ხურეთო, — გვითხრა და აღერსიანად დაგვიწყა ქცერა.

ჩვენ მოვასხენეთ, რომ ამ მოსვლაზე მისი გაცნობა გვინდოდა,
რომ ერთი-ორი საათის შემდეგ კვლავ მოვაკითხავდით და ჩვენს
სამუშაო გეგმასაც მაშინ გავაცნობდით.

— როგორც გესიამოვნებათო, — თავაზიანად გვითხრა და,
როცა წასვლა დავაპირეთ, კარებში შემდგარმა კოლაუმ მოულოდ-
ნელად იკითხა: — ხოხბების საქმე როგორ არის? თავმჯდომარეს
გაოცება შევიხსენე სახეზე, გაოცება, ალბათ, მეც შემჩნეოდა, ვინა-
იდან მაშინ არც მე მესმოდა, თუ რას ნიშნავდა ეს შეკითხვა.

თავმჯდომარე აღარ დაიხნა, და გამწყრალი გამომეტყველების
კოლაუს ღიმილით უთხრა: — ამაზე, როცა დაბრუნდებით მაშინ
მოვასხენებთო.

ვიგრძენით, რომ ის კაცი გულთბილ მასპინძლობას გვპირდე-
ბოდა და, ამის გამო, მას და მის დანესებულებას თავაზიანად გამო-
ვეთხოვეთ. ენერგიული ნაბიჯებით გავწიეთ, თუმცა, არც კი ვიცო-
დით სად მივდიოდით.

როცა საკმაო მანძილით დავეშორდით დანესებულებას, კოლაუმ
ნაბიჯები შეამალა და მითხრა, ბაზარში შევიაროთ, არ შეიძლება იქ
რამე არ აღმოვჩინოთ და ზეზეურად ვისაუზმოთო.

მალე ბაზარსაც მივაგვინეთ. ის ერთობ სასიამოვნო სანახავი
აღმოჩნდა, ვინაიდან ხალხით იყო სავსე; მოღრუბლული დღე იდგა,
მაგრამ ყველას სახეები უბრწყინავდა, გულკეთილად იღიმებოდ-
ნენ, ბაზარში ახალწლის წინა დღეების ემზი ტრიალებდა.

კოლაუმ ენერგიულად იწყო ბაზარში სიარული. მე უხმოდ დაე-
ყვებოდი, რადგან ჩემთან სალაპარაკოთ აღარ ეცალა, ყველაფერს
გაფაცვიცებით აკვირდებოდა, რამდენიმე ადგილას, არა მხოლოდ
ფორთოხლები და კომში დაყნოსა, არამედ ქინძი და თავი ხახვიც.

იმ დღეს მეც არათუ ხილის, არამედ გასაყიდად გამოტანილი ქვის კეცების დანახვაც მსიამოვნებდა; შევჩერდებოდი, ვაკვირდებოდი; ამგვარი შეყოვნების დროს ზოგჯერ ვკარგავდი მეგობარს, მაგრამ გაუხედავდი ხალხს თუ არა, ქოლგებსა და ყაბალახებს შორის მოხეტიალე მწვანე ქუდს ადვილად ვპოულობდი.

ერთ ადგილას კოლაუმ ნითელ ლობიოსაც შეავლო ხელი, რომელიც შავებით შემოსილი დედაკაცის წინ (გულგაღელილად) ჩამოდებულ ტომარაში ეყარა.

— ერთი შეხედე, ამას რამე სჯობს? არ გიყვარს ამის დანახვა?! უცებ ხმამაღლა წამოიძახა, ლობიოს მარცვლები ხელისგულზე დაიყარა და სიყვარულით დააცქერდა. — ამან შეინახა საქართველო, — ისევ ხმამაღლა ამბობდა ის, ამაზე უნდა ვწერდეთ ლექსებს, ჩვენ კი ვარდებზე ვწერთ, ეს არის საქმე?!

დედაკაცს, რომელიც მანამდე, ალბათ, მოწყენით იდგა, სახე გაუბრწყინდა, ესიამოვნა, რომ მის საქონელს ისეთი სასიამოვნო შეხედულების მუშტარი აქებდა, როგორც ჩემი მეგობარი იყო. მაგრამ შემდეგ, როცა ვმორდებოდი, შევნიშნე, რომ ის ქალი მოწყენილი დასცქეროდა ტალახზე დაცვნილ ლობიოს ნითელ მარცვლებს, რომლებიც ჩემს ალტაცებით მოსაუბრე მეგობარს თურმე ხელებიდან უვარდებოდა.

კარგა ხნის ხეტიალის შემდეგ, იმ რიგს მივაღებეთ, სადაც არყისა და ღვინის გამყიდველები იდგნენ.

დიდად გაგვახარა ბოთლებს შორის დანყობილი მოხარშული ფაგრის, ან, როგორც იმ მხარეში იტყვიან, კვახის ნაჭრების დანახვამ.

— მოლაღურებია, ნამდვილი მოლაღურები! — იძახდა გახარებული კოლაუ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ჭიქა სანთლის არაყი გადავკარით და კვახის დარჩენილ ნაჭრებს შორიდან ვუცქერდით.

ჩემს მეგობარს არც ის ლამაზი დიასახლისები რჩებოდნენ შეუნიშნავნი, რომლებიც ლამაზი კალათებით ხელში, მერცხლებით დაჰქროდნენ ბაზარში; ერთ მათგანზე, რომელიც ჩვენს გვერდით, შავი ხავერდის პალტოს სახელოდან გამოყოფილი თეთრი ხელით მწვანეულობას არჩევდა, თქვა: ხომ სასიამოვნო იქნება ამ ხელებით გამომცხვარი ჭადი ჭამო კაცმა?.. ნეტავ თუ უკეთია ხელზე ეს ბეჭედი მაშინ, როდესაც ცომს ზელს? — დასძინა კოლაუმ. იმ ქალს იმ დროს თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფერი გაუგონიაო, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე, როდესაც უკვე ბაზრიდან გადიოდა, გაგვიღიმა, იმის ნიშნად, რომ ნათქვამი გავიგონეო (ახლა უკვე ამგვარი ფიქრი ავაღვევეთ: ჩვენ ხომ ერთი კვირა მაინც ვრჩებით აქ, და, ვინ იცის, იქნებ თქვენს ოჯახშიც მოვხვდეთ, — თქვა).

ასე იყო თუ ისე, ზაზრიდან გახარებული გამოვიდით. ჩვენს სიხარულს ოდნავადაც ვერ ბინდავდა ის, რომ ჩვენი მასპინძლებს შენობა არ მოგვეწონა, ვინაიდან ლამაზ ტყეებში შესვლასა და იქ მომუშავე კარგ ადამიანებთან, ტყის მჭრელებთან თუ ტყის მცველებთან შეხვედრაზე ვოცნებობდით.

იმ შენობამ, რომელშიც ამ ცოტა ხნის წინათ ვიყავით, დაგვინახა თუ არა, დროშა ააფრიალა. მაგრამ ჩვენი ყურადღება ბუხრის მილიდან ამომავალმა ბოლმა უფრო მიიქცია... ქარი ქროდა, მაგრამ მაინც სახლის სახურავზე ტრიალებდა, თითქოს ვერ ერეოდა ქარი, თითქოს ვეღარ ფანტავდა.

ის ბლიი სასიამოვნო მოვლენად გვენიშნა, არც შემცდარვართ — თავმჯდომარის კაბინეტში შესულებს ბუხარში მოტრეცივალე ცეცხლმა შემოგვანათა, თავმჯდომარესთან ერთად, რამდენიმე კაცი სწრაფად წამოიჭრა ზეზე.

— ესენი ჩვენი დამკვეთი მუშები არიან, ახლა შესვენება აქვთ და თქვენს სანახავად მოვიდნენო, — განგვიმარტა თავმჯდომარემ.

შეხვედრით ნასიამოვნებმა ჩემმა მეგობარმა ყველა ისინი გულკეთილად შეათვალიერა და, კარებში მდგომმა, ერთბაშად წამოიძახა:

— არც ამათ იციან ხობების ამბები? შეკითხვამ ამჯერადაც გაკვირება გამოიწვია, ერთმანეთს გადახედეს, გადაუჩურჩულეს.

— როგორ, თქვენ არ იცით, სად ხართ? — კვლავ ხმამაღლა წამოიძახა კოლაუმ, ფანჯრებს ხელი ჰკრა, ფართოდ გააღო და პალიასტომის ტყისკენ, რომლის გადასახედზე სწორედ მათი შენობა იდგა, ხელები გადაიშვირა. — ეს ხომ ელდორადაო, ნამდვილი ელდორადაო! — დასძინა მან.

თავმჯდომარემ თითქოს გამოსავალი იპოვაო, სწრაფად მიუგო: — დიას, მართალს ბრძანებთ, კოლხეთის დიდი მომავალი აქვს!

— არა, მაგას არ მოგახსენებთ, მინდა გითხრათ, რომ თქვენ ხობების სამშობლოში ცხოვრობთ, — განაცხადა ჩემმა მეგობარმა და ყველას ტკბილად მიუალერსა, ხელის ჩამორთმევით გაეცნო. ჯმუხი შესახედაობის ადამიანები, ზოგი ახალგაზრდა, ზოგიც ხანში შესული, სკამებზე მორჩილად ჩამოსხდნენ. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. სამუშაო ტანისამოსებით შემოსილმა ადამიანებმა, რომელთა შორის ზოგს რეზინის მალაყელიანი წაღები ეცვა, ერთმანეთს გადახედეს, თითქოს სურდათ გაეგოთ, თუ რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ მათ ხობებთან.

ყველანი უხერხული მდგომარეობიდან საყვირის ხმამ გამოიყვანა. მუშებს სახერხი ქარხანა ეძახდა თავისკენ, რომელიც იმავე ეზოში იყო და ფანჯრიდან კარგად ჩანდა.

მუშებს ჩვენც გაყევით, იმ მიზნით, რომ ისინი შრომის პროცესშიაც გვენახა, ზოგი რამ მათი ცხოვრებიდანაც გამოგვეკითხა და ამგვარად მოგვეზადებინა მასალა ნარკვევისათვის.

კარგა ხანს ვიტრიალეთ ქარხანაში, ეზოში; ვამჩნევდი, რომ რაც დრო მიდიოდა, უფრო მეტ ინტერესს იწვევდა ჩემი მეგობარი, მას ყველნი სიყვარულით ეპყრობოდნენ და ეს მეც მახარებდა.

როცა საყვირის ხმა მეორედ გაისმა, რაც სამუშაო დღის დამთავრებას ნიშნავდა, თავმჯდომარემ ორთავეს ხელები მოგვხვია და გამოგვიცხადა: — დღეს ისე, უბრალოთ, აქვე მუშების პატარა სასადილო გვაქვს... ხვალ, ზეგ, სხვაგვარად მოვანყობთ, — დასძინა და სასადილოში შეგვიძღვა, რომლისთვისაც ერთი ოთახი ჰქონიათ გამოყოფილი იმავე ოღაში, რომელშიც მათი დანესებულბა იყო მოთავსებული.

სუფრას ათიოდე კაცი ვუსხედით, შაბათი დღე იყო, წვიმდა და ჩვენს პურის ჭამასაც, მიუხედავად იმისა, რომ მაინცა და მაინც სასიამოვნო ადგილას არ შემდგარა, ეშხი არ აკლდა.

ყველანი ჩემს მეგობარს შესცქეროდნენ; ვამჩნევდი, რომ მისგან რაღაც საინტერესოს თქმას მოელოდნენ, როგორც შევატყე, უმთავრესად პოლიტიკის სფეროდან, მაგრამ მათი სტუმარი ხობებს არ ეშვებოდა, გარშემო მსხდომთ მხოლოდ ხობების შესახებ ეკითხებოდა.

მრავალი სადღეგრძელოს შესმის შემდეგ, კოლაუმ ერთი სადღეგრძელო მოითხოვა. სიმღერა შეწყვიტეს, მაშინ საერთაშორისო მდგომარეობა დაძაბული იყო, ახლა მაინც გვეტყვის საინტერესო რამესო, და სმენად იქცნენ. სტუმარმა კი თქვა: — თქვენ იცით თუ არა, რომ ხობის რუსული სახელწოდება რიონის ძველი სახელწოდებიდან ფაზისიდან წარმოდგება? აქ არის, აქ, რიონის ნაპირების გარშემო, ხობის სამშობლო; აქედან გავრცელდა მთელს ქვეყანაზე ეს ულამაზესი ფრინველი, — ამბობდა ის თვალეხანთებული და კოლხეთის ველის სადღეგრძელო შესვა.

ამ სადღეგრძელოს ხალისით არ გამომხაურებიან მასპინძლები, მაგრამ მაინც შესვეს. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდამ, რომელიც მანამდე ხმაამოულებლად იჯდა, სადღეგრძელო ამგვარად გამოხატა: — მე ვსვამ განახლებული კოლხეთის სადღეგრძელოს!.. მალე დაშრება ჭაობები, ტყე გაიკაფება და ყველგან ბალები გაშენდება.

კოლაუმ მოულოდნელად დაჰკრა ხელი მაგიდაზე და იყვირა: — მერე სად წავიდნენ ხობები? ხობებს სამშობლოს ართმევთ?!

ვასილ კვიციანი

მართალი კაცის გზა

(ვიქტორ გაბესკირიას დრამატურგიული ღვაწლი)

— თქვენ წინააღმდეგი ხართ, რომ კოლხეთის ჭაობები დაშრეს? — შეეკითხა სტუმარს იგივე ახალგაზრდა, რომელიც იმის გამო გაგვითამამდა, რომ სხვების მხარდაჭერასაც გრძნობდა.

ლაპარაკი უცმაყოფილებაში არ გადაიზარდოსო და, ალბათ, ამიტომ სწრაფად წამოიწყეს სიმღერა; მკვირცხლსა და მქექფარე „ხასანბეგურას“ მღეროდნენ. ტკბილმა სიმღერამ მეტად გაახარა სტუმარი და უცებ, როცა სიმღერა დაამთავრეს, ჭიქით ხელში ზეზე წამოიჭრა, რამდენიმე კაცი გადააკოცნა და სთქვა:

— აი, წვიმიანი დღეა, დაღამებულა კიდევ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს სიმღერა მზით განათებული ცისფერი სივრცე მეგონა, კრიმინალური კი — ამ სივრცეში აფრენილი ხობობი...

ვერც ამ სიტყვებმა დააკარგინეს ჩვენს მასპინძლებს იმის რწმენა, რომ მათი სტუმარი ბოლოს მაინც იტყოდა რამეს მათთვის საინტერესოს და ამის მოლოდინში ლხინს განაგრძობდნენ.

სუფრაზე ცნობილ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებზეც ჩამოვარდა საუბარი. ერთი მათგანის ხსენებაზე კოლაუმ კვლავ იფეთქა: მე იმ კაცს პატივს არ ვცემო, — მტკიცედ განაცხადა. მასპინძლებმა ყურები ცქვიტეს, ახლა მაინც გვეტყვი ჩვენთვის საინტერესო რამესო და შეეკითხნენ, რატომ არ სცემ პატივსო.

— რატომდა, მაგ უსინდისო, თურმე საგარეჯოს ნაკრძალში შედის, იქ უმოწყალოდ ხოცავს ხობებს და შინ ეზიდება; — სუფრა ისევ ახმაურდა, კოლაუ კი განაგრძობდა: — კაცი რომ ხობობს მოჰკლავს, იმას შეიძლება, რომ ადამიანი ვუნდოთ?.. ზიზღს უნდა უცხადებდეთ იმ კაცს, თქვენ კი აქ აქებთ და ადიდებთ, — ბორბავდა კოლაუ.

— არ გეთანხმებით, არა, — აქედან-იქიდან შესძახეს მოურიდებლად, — ჩვენ იმ კაცს პატივს ვცემთ!

— პატივს სცემთ? მე კაცი არ ვიყო, თუ ერთ დღეს იმას საგარეჯოს სადგურზე არ დაეხვდეთ, — მოვიცილი ამისთვის, მთელ თვეს გადავდებ, და როცა დაეუნახავ მოკლულ ხობებს, წამოვაცქევ და იმდენს ვურტყამ, რომ წამოდგომაც ვერ შესძლოს იმ თქვენმა მოწონებულმა ვაჟბატონმა.

სუფრა ისევ ახმაურდა. გამიკვირდა: მისი დამშვიდება ისევ კოლაუმ შესძლო, ლანჩხუთის სადღეგრძელო უნდა დაველიოო, მოულოდნელად განაცხადა და ყველანი გაინახნენ.

— თქვენ ხომ არ გონიათ, რომ აქ პირველად ვარ? არა, ქუთაისიდან, აქ ხშირად ჩამოვდიოდი, აქ მეგობარი მყავდა, — მისი სახელი და გვარიც დაასახელა, — ის დღესაც აქ არის, აქ ცხოვრობს, მაგრამ მე მასთან არ მივსულვარ, არც მივალ!

— რატომ, რატომ? — შეეკითხეს აქედან-იქიდან, ვინაიდან ეტყობოდა, რომ მასპინძლები იმ პიროვნებას პატივს სცემდნენ.

— ის ლექსებსაც წერდა... ხომ ვახსოვს, ვიქტორ, მისი ერთი ლექსი „სონეტი თხის ფეხთან“, — შეემკითხა მე.

— როგორ არა! — გამამხნეებლად შევსძახე.

— ის ლექსი მე წავიღე აქედან, მე დავბეჭდე „მეოცნებე ნიამორებში“, მაგრამ დღეს კი ვემდური. რატომ? ახლავ მოგახსენებთ: ის მონადირე კაცია, ერთ დღეს ვესტუმრე, ოთახში, ერთ კუთხეში, მთასავით დაზვავებული იხვების ბუმბული მიჩვენა, პალიასტომის ტბის ნაპირებზე ნანადირევიაო. მესიამოვნა, მაგრამ მოულოდნელად ელდა მეცა, — იხვის ბუმბულებში ხობის ფრთებიც შევნიშნე, ფუი შენს ვაჟკაცობასმეთქი, — მივაძახე და გარეთ გამოვვარდი.

ახლა კი ისე აირია სუფრა, რომ მისი დანყნარება შეუძლებელი შეიქნა. ხობის ამბების მოსმენით ილაჯგანყვეტილმა მასპინძლებმა საბოლოოდ დაკარგეს იმედი, რომ ჩვენ რაიმე საინტერესოს ვეტყოდით მათ. თავისთვის მღეროდნენ. თავი ისე ეჭირათ, თითქოს ჩვენ იქ არც ვიყავით.

მეგობარმა ერთი-ორჯერ განაცხადა: მაცალეთ, ლანჩხუთის სადღეგრძელო შევსვაო, მაგრამ „არ გვინდა, არ გვინდაო“ აქედან-იქიდან იძახდნენ.

მაღე სულ აიშალა სუფრა.

ერთხანს მოგვაცილებდა ქუჩაში რამდენიმე კაცი, მაგრამ მაღე ისიც გაუჩინარდნენ.

წვიმდა, კოკისპირულად წვიმდა.

ჩემს მეგობარს ახლა სრულიად არ ანუხებდა ის, რომ მის პალტოს წვიმა უმოწყალოდ ასველებდა, იმაზე კი სწუხდა, რომ სადღეგრძელოები ვერ გამიგესო. რას ვიზამთ, ზოგიერთ სადღეგრძელოს ზოგიერთი ლექსის ბედი აქვს: კარგია, მაგრამ არ ესმითო.

ლანჩხუთი იმავე ღამეს დაეტოვებო.

ვიქტორ გაბესკირია თავის ერთ-ერთ ლექსში წერს: წვიმისთვისაც კი არ მიკადრებია, რატომ მოხვედლო...

ზუსტი ავტოპორტრეტი.

საოცრად მიუკერძოებელი და უპრეტენზიო კაცი იყო ბატონი ვიქტორი. მისი პიესები გამოირჩევიან ღრმა ლირიზმით, სისადავით, ფსიქოლოგიური დეტალებით, მხატვრული ნიუანსებით.

თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი ვიყავი, დიდი ხმაური რომ ატყდა მისი პიესის („უფსკრულთან“) გამო. პიესა გიგა ლორთქიფანიძემ დადგა მარჯანიშვილის თეატრში. რა დრო გასულა.

ბატონი ვიქტორი არ არის არც ქართული თეატრისა და არც მწერლობისათვის დასავინყებელი კაცი. გარდაცვალებიდან უკვე 50 წელი სრულდება.

პოლიტიკური აზროვნების ტოტალიტარიზმმა ბევრი ეროვნული ფასეულობა შეინირა. აქცენტების არასწორად გადაადგილებამ და კრიტიკიკობის სიშველამ ეროვნული ნიჰილიზმის წარმოშობის საფრთხე შექმნა. ადრე თუ ვმღეროდით „რაც კარგები ვართ — ქართველები ვართო“ — ახლა პირიქით „ვმღერიო!“... ჩვენმა თეატრებმა დაუმსახურებლად დაივიწყეს ო. ჩხეიძის, ვ. გაბესკირიას, მ. ჯაფარიძის, ლ. გოთუას პიესები. კულტურის შოუ-ზაცა სიკეთეს არ მოგვიტანს...

ბატონი ვიქტორი განონანსწორებული, თბილი, ლირიკული განწყობის კაცი იყო. მე ის იშვიათად მინახავს კატეგორიული, მრისხანე, თუმცა ცხოვრებაში ბევრი უსიამოვნება შეხვდა. მე უპირველესად თეატრში მომხდარ კონფლიქტურ სიტუაციებს გვულისხმო.

ერთხანს საზოგადოების დიდი ხმაური გამოიწვია მისმა კრიტიკულმა წერილებმა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ალიო მირცხულავასთან (მამაშვილთან) პოლემიკა.

ალიო მირცხულავა ერთ-ერთ ლექსში წერდა: „არ გამაგონოთ დაფა-ზურნის ჰანგი ველური, ჩემს თბილისში ვარ, დაუკარით ტკბილ-ქართველური“. არ ვიცი ალიო მირცხულავამ იცოდა თუ არა, რომ საქართველოს მეფისნაცვალი მიხეილ ვორონცოვი მეფისადმი გაგზავნილ წერილში აღმოსავლურ ხმებს ველურ ხმებს უწოდებს თავისი რუსული პოლიტიკური ორიენტაციისა და ევროპული ხმების წარმოჩენის მიზნით, მაგრამ ბატონმა ვიქტორმა ტაკრიტიკა ალიო და ახივით თბილისის კოლორიტის — ევროპულისა და აზიურის სინთეზის — იღე.

ვიქტორ გაბესკირიამ ქართულ დრამატურგიაში მოიტანა უბრალო ადამიანების თემა. ჰეროიკულ გმირებსა და მონუმენტურ სახეებს ჩაენაცვლა რეალისტური ყოფითი ცხოვრების სიმართლე. თითქოს ადამიანები პირდაპირ ცხოვრებიდან ავიდნენ სცენაზე და იქ გააგრძელებს სიცოცხლე.

გაერთიანდა ცხოვრების სინამდვილე და მხატვრული სიმართლე.

დღევანდელი თავისუფალი საქართველოს მკითხველს, რომელმაც არსებითად არ იცის რა იყო საბჭოთა ცენზურა, ალბათ გაუკვირდება მაშინდელი ცენზურის დონე. 1953 წელს ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული დესტალინიზაციის პროცესი, ანუ „დათბობის“ პერიოდი.

ვ. გაბესკირიას პიესაში („უფსკრულთან“) გადმოცემულია ფილტვების მათებით ბავშვის დაღუპვის ამბავი, როცა უკვე არსებობდა მისი გადაარჩენელი საშუალება, გამოსული იყო „პენცილინი“ (ანტიბიოტიკი), მაგრამ სახალხოდ არ იმოვებოდა, მხოლოდ მთავრობას ჰქონდა თავისთვის გადანახული.

დიდი იყო დრამატურგის კრიტიკის მასშტაბი. ბავშვი ილუპებოდა მთავრობის ელიტური კორუფციის გამო. სპექტაკლში მთავარ გმირებს შ. ლამბაშიძე (ანთიმოზი) და ს. თაყაიშვილი (ეკა) თამაშობდნენ. ადვილი წარმოსადგენია, სიმართლის როგორი დრამატიზმით გამოხატავდნენ ისინი ემოციებს. დარბაზში მაყურებელი ცრემლებს ვერ იკავებდა. ემოციურად დამოუხდელი იყო სცენა. სპექტაკლი საჯაროდ საჩვენებლად არ გაუშვეს.

პოლიტიკური კონიუნქტურის მხრივ სპექტაკლის მოხსენის, აკრძალვის პირველი შემთხვევა იყო ქართულ თეატრში ბოლო ოცი წლის მანძილზე.

წარმოდგენის ბედის გადასაწყვეტად თეატრში მოვიდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მყავანაძე.

ვ. მყავანაძემ მთელი ცხოვრება საქართველოს გარეთ სამხედრო სამსახურში გაატარა, კარგად არც იცნობდა ქართველ ხალხს. ბუნებით კეთილი კაცი იყო ვასილ პავლოვიჩი. მეც ვასილ პავლოვიჩი ვარ და ბევრი კურორტული შემთხვევაც გადამხდა, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა.

სპექტაკლში, როცა შ. ლამბაშიძემ და ს. თაყაიშვილმა დიდი ფსიქოლოგიური სიმართლით გამოხატეს ემოცია ბავშვის მოსალოდნელი დაღუპვის გამო, მყავანაძეს თვალეზში ცრემლი ჩაუდგა, გულწრფელად განიცადა ბავშვის მოსალოდნელი დაღუპვის ფაქტი. ის ჯერ კიდევ არ იყო პოლიტიკური კონიუნქტურით შებოჭილი კაცი და წარმოდგენის შემდეგ პირდაპირ იხვეწებოდა, — „რას ერჩით ბალანას, ნუ მოკლავთ!“

ვ. მყავანაძემ მხატვრული სინამდვილე პირდაპირ ცხოვრების სიმართლედ აღიქვა, კულისებში მაინც დაიძახოს ვინმემ, რომ წამალი ვიშოვეთო.

ვ. გაბესკირიას არ დანებდა: რა გამოვიდა, თქვენ გინდათ ბავშვი გადაარჩინოთ და პიესა მოკლათ?!.. ბოლოს და ბოლოს მართლა ხომ არ ვკლავთ ბავშვს... პიესით მთავრობას ვეხმარები, მწერალს მეტი რა მევალება? — დაახლოებით ასეთი იყო ავტორის პოზიცია.

სპექტაკლი მაინც არ გაუშვეს, ვიდრე კომპრომისული ვარიანტი არ მოძებნეს.. კულისებში უნდა დაეყვინათ — „წამალი ვიშოვენეთო“. პიესის დამდგმელი ახალგაზრდა რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე დათანხმდა ამ ვარიანტს, ოღონდ წარმოდგენა გაემკათ.

წარმოდგენის პირველ დღეებში ისმოდა დაძახილი — წამალი ვიშოვეთო, მაგრამ მერე, ეტყობა, ცენზურაშიც ხელი ჩაიქინეს, რაკი პირველმა მდივანმა სპექტაკლის ჩვენების ნება დართო. კარგად მახსოვს, რომ თეატრში, მაგალითად, რუსთაველის თეატრში როცა ვმუშაობდი (1954 წლიდან), დარბაზში გამოყოფილი იყო ცენზორის ადგილი. მისი სკამის ბილეთი არ იყიდებოდა. ზოგჯერ არავინ მოდიოდა და თავისუფალ ადგილს უბრალო მაყურებელი იკავებდა.

თანდათან ორგანოებშიც იგრძნეს პოლიტიკური დათბობის სიკეთე. მახსოვს პერიოდი, როცა ხორცი სულ გაქრა მაღაზიებიდან. ერთ-ერთ სპექტაკლში, სადაც მედია ჩახავა და ეროსი მანჯგალაძე თამაშობდნენ, ერთ-ერთ სცენაში ეროსის გმირი ელოდება მედეას გმირს, მოვიდა მედეა. ეროსიმ მოულოდნელად იმპროვიზაციით დაამატა ტექსტი და ჰკითხა: რად დაიგვიანე? მაღაზიებში ხომ არ გამოგივლია?

არ დაიბნა მედეა და ღიმილით უპასუხა: გამოვიარე, შენ რა გინდოდა?

— ხორცი არ იყო?

— არა.

— არც ყველი?

— მეტი საქმე არა აქვთ!...

— ოხ, მაგენის.. — თქვა ეროსიმ და ხელი მაღლა ასწია, ზემოთ, მთავრობაზე მიანიშნა. დარბაზი „დაინგრა“ მქუხარე ტაშით. ამ ეპიზოდს მე შემთხვევით შევესწარი. დაგბრუნდი ჩემს კაბინეტში. ერთი საათს შემდეგ ორგანოებიდან კაცი მოვიდა და მითხრა: სიგნალი მივიღეთ, სპექტაკლში მთავრობა უგინებიათო...

— მე ვეყურე სპექტაკლს, მსგავსი არაფერი ყოფილა, ვილაცა პროვოკატორი დაგირეკავდათ...

— აგაშენათ ღმერთმა, დავნერ, რომ არ დადასტურდა...

ასე თანდათან იცვლებოდა საბჭოური რწმენა, თანდათან ქრებოდა შიშის სინდრომი. 50-60-იანი წლები დიდი ცვლილებების, გარდატეხის ეპოქა იყო, რომელმაც თავისი გამოძახილი ჰპოვა ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში. მათ შორის იგი გამოიხატა ვ. გაბესკირიას დრამატურგიაშიც.

ვიქტორ გაბესკირიას და ოთარ ჩხეიძეს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ორივე დისიდენტური აზროვნების მწერალი იყო. პიროვნული, მაღალი მოქალაქეობრივი თვისებებით გამორჩეულები იყვნენ და ამიტომ მაყურებელსა და მკითხველს სჯეროდა მათი სიტყვისა და ყოველთვის საზოგადოების ინტერესს იწვევდა.

როცა ვ. გაბესკირიას დავეახლოვდი, მაშინ მას უკვე მდიდარი ბიოგრაფია ჰქონდა. 1922 წელს მუშაობდა ფოთში გაზეთ „მონტაჟ“ რედაქციაში. 1924 წელს ბათუმში მისი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ისპირი“, დაწერილი ჰქონდა პიესები: „მათი ამბავი“, „მარტოხელა“, „გაზაფხულის დილა“ (პიესა წარმატებით დადგა ლილი იოსელიანმა), „უფსკრულთან“ და სხვა.

ბატონ ვიქტორს განსაკუთრებით დავუახლოვდი და თავის უმცროს მეგობრად მთვლიდა, როცა რუსთაველის თეატრში დაიდგა „გურიის მთები დაუთმოვია“.

სპექტაკლმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პიესით დაინტერესდა რეპრესირებული რეჟისორი კუკური პატარიძე. 1957 წელს 9 აპრილს დასმი წავიკითხეთ პიესა. მალე დაიწყო მუშაობა. რეპეტიციებზე იმართებოდა კამათი. 14 მაისს რეპეტიციას დაესწრო სარეჟისორო კოლეგია, მეც ვესწრებოდი. მიხილ თუმანიშვილმა შენიშვნა გააკეთა: „მეტი მრავალფეროვნება სჭირდება დედის სახეს“. დედის როლს თ. ნულუკიძე თამაშობდა, ნოდარ ჩხეიძე ასრულებდა მისი დივერსანტი შვილის — ბიძინას — როლს.

რეპეტიციებზე მიდიოდა ცხარე კამათი დედისა და ბიძინას გმირების ირგვლივ.

განხილვაზე მე ვთქვი: „დღეს მესამედ ვიხილავთ პიესას, რომ საბოლოო დასკვნამდე მივიდეთ. პიესით მე, ისევე როგორც სხვები, მოხიბლული ვიყავი. აბსოლუტურად გასაგებია პიესა და დრამატურგის იდეური პოზიცია, მაგრამ მე შემაფიქრიანა რეჟისორ კუკური პატარიძის განცხადებამ, რომელიც ახლა დირექტორმა წაიკითხა. იგრძნობა ერთგვარ შიში. გადახედეთ რა ხდება დრამატურგიაში. რამდენიმე ხნის წინათ ასეთი ლირიკული ლექსების დაბეჭდვას ვერავინ ჰედავდა. დღეს სხვა დრო დადგა. ბიძინას სახე, რომელიც რთული ბიოგრაფიის ადამიანია, ჩვენში სიმპათიასა და თანაგრძნობას უნდა იწვევდეს. ვეთანხმები მის როლის შემსრულებლის ნოდარ ჩხეიძის აზრს“.

ნოდარ ჩხეიძემ თქვა: „ბიძინას ვერაფერი მოვუძებნე ისეთი, რომ იგი უარყოფით პიროვნებად გამოჩნდეს, მას აქვს კარგი შეხედულებები, თავისი აზრები. საკმაო საფუძველი აქვს ასეთ მდგომარეობაში იყოს. აქვს ისეთი ბიოგრაფია, რომ პირობები ექმნება ასეთ გზაზე დადგეს. მამა არ ჰყავს, ჩანს, რომ მამა დააპატიმრეს და ჩაუღრმავდა ამ ამბავს, საზოგადოებასთან წინააღმდეგობაში მოვიდა, ომში ჩავარდა ტყვედ, სადაც მას დივერსანტად აქცევდნენ და ჩვენთან ამისთვის ჩამოვიდა, მაგრამ არაფერს ცუდს არ აკეთებს. ბოლოს თავს იკლავს, ეგება მამა-პაპის მიერ დატოვებულ ხანჯალზე, თავს იკლავს როგორც გმირი“.

გიორგი სალარაძის აზრით: „პიესაში ბიძინა უნდა იყოს მტერი, რომ მან მაყურებლის ზიზლი დაიმსახუროს, როგორც გარენარმა“.

ანალოგიური აზრი გამოთქვა რეჟისორმა სერგო ჭელიძემ: „მე რეჟისორის შიში სრულიად გამართლებულად მიმაჩნია. ბიძინამ უნდა დაინახოს თავისი მიზნის სიმცდარე, დარწმუნდეს, რომ დანაშაულს სჩადის და შემდეგ მოიკლას თავი, როცა დაინახავს, რომ თავის საქმეში დედა ხელს არ უწყობს, როცა ვერც დედასთან და ვერც სხვებთან ვერ მონახავს დასაყრდენს, არც დანაშაულის აღიარება შეუძლია და იკლავს თავს“.

დოდო ალექსიძემ განაცხადა: „ბიძინა ჩვენთან ჩამოვიდა როგორც დივერსანტი, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული გეგმა, თუ რისთვის ჩამოვიდა. კონფლიქტი ისე უნდა განვითარდეს, რომ ეს ორ ადამიანი — დედა და შვილი — შეაკედეს ერთმანეთს. ბიძინამ უნდა იგრძნოს თავისი დანაშაული და სინდისის ქენჯნის გამო თავი მოიკლას. ეს გამოიწვევს მათგან დიდ ინტერესს“.

კატეგორიული იყო მსახიობ ალექსანდრე აფხაიძის პოზიცია: „ამხანაგებო, პიესის თემა, თუ შეიძლება ითქვას, წმინდა პოლიტიკური ხასიათისაა. პიესა უნდა აღვივებდეს საბჭოთა პატრიოტიზმს და ინვესტირებს მათგან მათგან მათგან დივერსიაზე, რომელიც ჩადენილია მტრის მიერ. ჩვენ უნდა შევძლოთ ავტორის დარწმუნება ამაში. პატივცემულმა ვიქტორმა უნდა მიიღოს ეს ჩვენი მითითებები. პიესაში ბიძინა თავს იკლავს როგორც გმირი. როცა შვილი დედას უყვება თავის საქმეებს, ამ დროს იგი დედისთვის უცხო უნდა იყოს. აქ ჩვენ მამები ვართ... მაგალითად, მე რომ მითხრათ, შენმა შვილმა კაცი მოკლაო, იგი ამ დროს ჩემთვის უცხო გახდება“.

სწორედ ალიოშას გამოსვლა და „ფხიზელი“ პოზიცია იყო მთავარი მიზეზი პიესის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟისა.

დედის როლის შემსრულებელი თ. ნულუკიძე და პიესის დამდგმელი რეჟისორიც რეპრესირებული იყვნენ. ადამიანურად სავსებით გასაგები იყო მათი შიშიც და სიფრთხილაც. რეპეტიციის განხილვაზე თ. ნულუკიძემ კ. პატარიძის განცხადების გამო თქვა: „რადგან აქამდე კუკური არ სვამდა ასე მძაფრად ამ საკითხს. აქ ითქვა, რომ პიესა თუ არ გასწორდა, საშიშია პოლიტიკურად. ჩემი აზრით, ბევრი რამ არ არის საჭირო იმისათვის, რომ გამოსწორდეს ეს ხაზი. პიესაში მოცემულია გულწრფელი ადამიანების ამბავი. სასურველია ეს პიესა დაიდგას. დედა უნდა მივიდეს მორალურ გაკოტრებამდე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ შვილი დაელუპა, მეორეც, იმიტომ, რომ მან ვერ შეძლო კარგ ხაზზე დაეყენებინა შვილი“.

კუკური პატარიძე ედავებოდა მწერალს და მისი პოზიციის მომხრეებს: „პიესის მიხედვით იგი კეთილშობილ ადამიანად გვევლინება, რის გამოც ვფიქრობ, იგი ზიზღის მაგიერ მათგან მათგან მათგან სიმპათიას გამოიწვევს“.

მან პოზიციის დასამტკიცებლად ვრცლად ისაუბრა: „დედის სურვილი უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ დააჯეროს შვილი ჩვენი ქვეყნის სიდიადეში, დაარწმუნოს, მოინანიოს ცოდვები და გახადოს პატიოსანი საბჭოთა მოქალაქე.“

იგი უნდა ცდილობდეს გადაარჩინოს შვილი და ბოლოს იგი მოტყუებული რჩება, შვილი არ მისდევს მას ავადმყოფური და გადაგვარებული ბუნების გამო. საბოლოოდ დედა კარგავს შვილს, კარგავს როგორც გარენარ ადამიანს. ყოველივე ამის შემდეგ იგი თავს იკლავს. დედა სიკვდილის წინ, პიესის მიხედვით, მხოლოდ შვილს გლოვობს, მაშინ, როდესაც საჭიროა, რომ დედის თვითმკვლელობას საფუძვლად ედოს ის, რომ მან უღალატა სამშობლოს, დაჰკარგა სამშობლო და სამშობლოს მიუძღვნა უღირსი შვილი. დედას უნდა სჯეროდეს, რომ შვილი შეიძლება გამოსწორდეს და უნდა ცდილობდეს ამათ, მაგრამ როდესაც დარწმუნდება წინააღმდეგობაში, თავს მოიკლავს. ყოველივე ამის შემდეგ დედის მიერ თავის მოკვლა გამართლებული იქნებოდა.

მე ვამბობ, რომ „პიესა საინტერესოა დაწერილი დრამატურგიულად. მაგრამ საჭიროა გამახვილდეს იგი პოლიტიკური თვალსაზრისით, მან უნდა გვიჩვენოს, რომ ყველა გარენარის ბედი გარდაუვალია, რომ ვინც ნებით თუ იძულებით განიზრახავს ემსახუროს გახრწნილ, მომაკვდავ წყობილებას, ღირსეულ სასჯელს მიიღებს. ბიძინას თვითმკვლელობა მათგან მათგან მათგან გააცნობს, რომ ყველა გარენარი რომელიც მოვა ჩვენს ქვეყანაში, მიიღებს ისეთ სასჯელს, რაც მიიღო ბიძინამ“.

ვრცელი დისკუსიის შემდეგ ვიქტორ გაბესკირია გამოვიდა: „მე მოვისმინე გამოსული ამხანაგებს პრეტენზიები, რომლებიც მათ სამართლიანად მიმაჩნიათ. მაგრამ ვიტყვი, რომ მე ვერ ვუპასუხებ მათ მოთხოვნებს და სამართლიან მოთხოვნებს ხვდება ჩემი სამართლიანი უარყოფა.“

მე ვერ დავეთანხმები ამხანაგ კუკურის აზრს, რომ ბიძინამ ჩაიღინოს დიდი, ბოროტული დანაშაული, მაგალითად, მოწამლოს წყალი ან სხვა. ერთი სიტყვით, მე ბევრს აღარ ვილაპარაკებ, და ვიტყვი, რომ ჩემი დასკვნა პიესის გამო ასეთია. მე არ შემიძლია პიესა მივაძალო ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ დადგან იგი და შიში აქვთ იმისა, რომ პიესა არ გამოვა. მე ამ მხრივ არ შემიძლია უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო ისინი.

ჩვენ ახლა ვმსჯელობთ, შეიძლება შევთანხმდეთ და შემდეგ კიდევ დაიწყოთ პრეტენზიების გამოთქმა, იმიტომ ჩემი თხოვნა იქნება შეწყვიტოთ ამ პიესაზე მუშაობა. ასეთი პიესა იდგმება მოსკოვში და როცა მოსკოვში დაიდგმება ასეთი პიესა, დადგათ იგი აქ. მე ასეთი ბედი მაქვს, რომ ხდება ხოლმე ასე.

მე ვამბობ, ჩემი რწმენა მტკიცე და ურყევია, სადაც არ უნდა წავიდე, ყველგან ამას ვიტყვი, რომ ჩემი პიესა არის უაღრესად კარგი საბჭოთა ნაწარმოები, თუმცა შეიძლება იგი მხატვრულად სუსტი იყოს“.

დრამატურგის მტკიცე, პრინციპული გამოსვლის შემდეგ გამოვიდა კულტურის მინისტრი ავთანდილ გუნია. თვით ის ფაქტი, რომ რეპეტიციას მინისტრი დაესწრო, უკვე იმას ნიშნავდა, რომ ორგანოები დაინტერესებულნი იყვნენ პიესით.

„გურიის მთები დაუთოვია“ იმ დროს დაიდგა, როცა ჯერ კიდევ ძლიერი იყო შიშის სინდრომის ინერცია. საზოგადოება ნელ-ნელა ფხიზლდებოდა მასობრივი რეპრესიებისა და საბჭოური იდეოლოგიზაციისა და პოლიტიკური კონსენტიტურისაგან.

ძიებათა და გარდაქმნათა რთულ პროცესში თავისი ღირსეული როლი შეასრულა ქართულმა თეატრმა და დრამატურგიამ. მათ შორის ვიქტორ გაბესკირიას შემოქმედებამაც.

ვიქტორ გაბესკირიას გარდაცვალებამდე, უკანასკნელად თეატრალური ინსტიტუტის წინ შემთხვევით შევხვდი, უგუხნებოდ იყო.

— ვასო, თვალზე ვერაფერს მამჩნევ? — მკითხა და დაჟინებით შემომხედა.


— ვერაფერს! — ჩემი ფიქრით დამაჯერებლად ვუთხარი, თუმცა შევნიშნე, თვალში სისხლი ჰქონდა ჩაქცეული.

— კარგად დამაკვირდი, სისხლი ჩამექცა თვალში, ნერვი განწყდა ალბათ... ბევრს ვკითხე და ვერაფერ ვერ მიპასუხა, ან არ უნდოდათ სიმართლის თქმა, შენ რას იტყვი?..

რელიგია ქადაგებს, რომ ადამიანს სული უკვდავია. მარქსისტები გვეუბნებიან, — ყველაფერი კვდებაო. რატომ არის რელიგიური შეხედულება ჩამორჩენილი და მარქსისტული პროგრესული?

— რა უნდა გითხრათ, მე მგონია საიქიოს არსებობაში ეჭვის შეტანა არის ადამიანისათვის ნამდვილი სასიკვდილო განაჩენი.

ქართველებს რა კარგი სიტყვა გვაქვს — გარდაიცვალაო...



სამშაბათს, 1 ივლისს
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“
დარბაზში გაიმართება
სიმღერის საღამო

ტრიო
„ბალადა“
და

ლიკა ორჯონიკიძე

დასაწყისი 14 საათზე
ჩუბინაშვილის 41

ლელა ჯიყაშვილი

სამზოვნი...

ინტერვიუ დასრულდა. გამოსვლისას ვუთხარი: თქვენთან ყოფნა ერთდროულად ძალიან იოლი და ძალიან რთულია-მეთქი. დალილი მზერით შემომხედა: რთულია, ვიცო.

მინდოდა, ამეხსნა, რომ იოლი იყო, რადგან მას ყველა ის ღირსება აქვს, რაც ადამიანს ვაჟკაცად აქცევს, მისანდობსა და დასაყრდენს ხდის... რთული კი ის არის, რომ ადამიანის ფსიქიკის ლაბირინთებში გზის გამკვლევი კაცი, რომელსაც ამდენი როლი ჰქონდა შესრულებული და ყველა — საკუთარ არსებაში გატარებული, ქედით არის შემდგარი მძიმე ღრუბელივით ჩამონოლილი დარდს — სწორედაც რომ ადამიანად ყოფნისას, და სამკვლევი არ არსებობს, არც არავისთვის არსებულა...

ერთი მიზეზით ვერ ვუთხარი, ვიგრძენი, რომ ძალიან ჩქარობდა უკან, თავის სიმარტოვეში მიბრუნებას. ის წუთებიც კი ველარ წავართვი, რომელიც ამ რამდენიმე წინადადების თქმას დასჭირდებოდა.

— ძალიან მძიმეა ჩემთან ყოფნაო, — ჩაილაპარაკა კიდევ ერთხელ, თითქოს თავისთვის.

უკან რომ მოვიხედე და დავემშვიდობე, კართან იდგა, ისე, როგორც იცის ხოლმე — გამართული, ხელბ-დაშვებული, იმ სამყაროს ერთგულ მცველად ქცეული, რომელიც მაინც ქრება ჩვენი რეალობიდან, გვინდა თუ არა... არადა, უამისოდ ცხოვრებას დაეკარგება უმთავრესი არსი და გემო.

მართლა მცველსა ჰგავდა, საპატიო ყარაულში მდგომს და გარინდულს... გრავლის მცველი — თენგიზ არჩვაძე...


ცოტა ხნის წინათ, საუბრისას, კახეთი ვახსენეთ. ახლა კახეთად ქცეული და ისტორიულად კი კახეთი, კუხეთი, ქიზიყი, ჰერეთი რალაცნაირი სიამოვნებით ჩამოთვალა, მერე მიჰყავდა და მდინარეები, მათი შენაკადები ახსენა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გონების თვალით დაჰყურებდა აღმოსავლეთ საქართველოს და მის ყველა ბილიკს იხსენებდა.

— მგონი, ფეხით გაქვთ შემოვლილი ევ კუთხეები, ისეთი წვრილმანები იცით, გადადებათა გამო მოხვდით თუ თავდაც მოგზაურობდით?

— თედო სახოკიას ჰქოთხეს ერთხელ, ევროპა თუ გაქვთ მოვლილიო. კი ბატონო, ევროპა ჩემი ხარჯით მოვიარე და ათი ევროპისხელა ციმბირი — რუსეთის იმპერატორის ხარჯითო... მეც ასე ვიტყვი: ბევრი რამ გადადებათა დროს შემოვიარე, ბევრიც — ჩემი ხარჯით...

— როცა თქვენი ხარჯით მოგზაურობდით, ზურგჩანთას აიკიდებდით და მეგობრებთან ერთად მიდიოდით სალაშქროდ თუ მარტოც დადიოდით?

— ასეც იყო და ისეც... გააჩნია რა გუნებაზე ვიყავი. ერთხელ 21 დღე მქონდა შუალელი გადადებებს შორის, თავისუფალი თანხაც მომეპოვებოდა, ავიღე შავი პური, მიყვარდა თხლად დაჭრილი, ჩავიდე ზურგჩანთაში და, შატლიში უნდა წავიდე-მეთქი, — გადავწყვიტე. ისიც შემეძლო, ბარისახომდე მანქანით წავსულიყავი, იქიდან კი იმდენ ადამიანს ვიცნობდი, მოვქებნიდი გზის გაგრძელების საშუალებას. მაგრამ არ ვისურვე. ჩვეულებრივ ავტობუსში ჩავჯექი, თბილისი-დუშეთი-ბარისახო. დაჯექი გლეხებში. ძალიან მომწონდა ასე მგზავრობა. დუშეთი რაიონული ცენტრი იყო, იქ ცოტა ხნით ჩერდებოდა ავტობუსი. სახინკლესთან იყო ავტოსადგური. ჩემი მეგობარი გახლდათ გეოლოგი იბრაგიმ კარიაული. ის შემხვდა. მაშინ გვირაბი უნდა გაჭრილიყო ბარისახოდან რუსეთისკენ, მატარებელს უნდა გაეწყო. დავილუპებოდით კიდევ... თუმცა რა, ისედაც დავილუპეთ. მე კი ვიყავი წინააღმდეგი ამ გვირაბების გაჭრისა, მაგრამ ვინ მეკითხებოდა. ამ სამუშაოების გამო გეოლოგებს ბაზა ჰქონდათ იქ, იბრაგიმიც ამიტომ დამხვდა. რომ მიღხარ, გამხმარი პური მიგაქვს, ეგ როგორ შეიძლებაო. ასე მინდა-მეთქი. არა, ასე ვერ გაგიშვებ, დე-დაჩემი არ უნდა ნახო დუშეთში?... ერთი ღამე გაათიეო.



თენგიზ არჩვაძე

მეორე დღით გამისტუმრა, თან ჩამეკითხა, კარავს სად გაშლიო. მუცოს ხეობაში გავშლი-მეთქი, მუცოს წყალზე. ვიდრე მუცოზე მიხვალ, ანატორია — ძვალთმესალაგი, ეპიდემიის დროს სწეული კაცი თვითონ მიდიოდა ამ ფიქლით გადახურულ შენობაში და წვებოდა. გარდაიცვლებოდა. მერე სხვა სწეული მივიდოდა, მის ძვლებს ძვალთმესალაგს მიაბარებდა და თვითონ დანვებოდა... იქ ახლოს ბენიკას წყაროა... იმასთან გავშალე კარავი... წყაროსთან ჭიქა იდგა, „ბენიკას კრუსკა ვარ“ — ეწერა და ჯაჭვით იყო მიბმული.

— ანატორთან გაჩერება არ გიმძიმადთ?
— საშინელებაა. იქ გასაჩერებელი არც არის... ყველაფერს ვერ ვიტყვი, რას ვფიქრობდი და განვიცდიდი... ყველაფერი მოსაყოლად არ მინდა... ამოვასუფთავე მუცოს წყალი, იქ ვბანაობდი, დიდი ლოდი იყო — იმაზე ვფიცხებოდი.

— რამდენი წლის იქნებოდით?
— კაცი ვიყავი უკვე...

— სკოლის დამთავრებისასაც კაცი იქნებოდით, ასე მგონია, ბავშვობა — მხიარული და მსუბუქი არც გქონიათ...

— მართლა არ მქონია მსუბუქი ბავშვობა. სიმძიმედ მომყვებოდა ის, რასაც ვკითხულობდი. წიგნს რომ ეზიარები, ფიქრი მოაქვს. მერე ფიქრს — ტკივილი მოჰყვება. აქ შევჩერდები — „ენაზე მომდგარ სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?“

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რაც გამოვივლიათ და განვიცდათ, იმის მეთაფიც არ გითქვამთ, არც დაგინერიათ...

— არ შეიძლებოდა. ბევრი რამ საბუთად არ უნდა დარჩენილიყო. ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. რეპრესიების დროს შესწრებულ კაცს, საკვირველი არ არის, ეს გამოუმუშავდეს.

— თქვენ ვინ გყავდათ რეპრესირებული?
— ჩემი ოჯახის ტრაგედია ის იყო, რომ 1907 წელს მოკლეს ბაბუაჩემი. ილია რომ მოკლეს ძველი სტილით 30 აგვისტოს, მას მერე 15 სექტემბერს — ბაბუა ემსხვერპლა მკვლელებს.

— მიზეზი? რატომ მოკლეს?
— ცხადია, საიმათო საქმეს არ აკეთებდა და იმიტომ. მაგრამ უმშულოდ რა მოხდა, არ ვიცი. 51 წლისა იყო ბაბუა... დაიჭირეს მერე მკვლელები, ვითომ, მაგრამ რა... ასე ილიას მკვლელებიც ვითომ დაიჭირეს.

სხვათა შორის, ბერბიჭაშვილი ვარანცოვზე ჩვენი მეზობელი იყო, კანფეტებს მაჭმევდა ხოლმე...
— ნათლად გახსოვთ?
— მახსოვს, აბა რა! ისეთი იყო, მაღალი კისერი ჰქონდა, ჭროლა თვალები, პატარა თავი, ფართე ბეჭები, გრძელი კიდურები... გამოკვეთილად იყო განსხვავებული გარეგნობისა.

ვხატავდი ხოლმე. ფოცხვერის გამოხედვა ჰქონდა... ისე, იცით, ფოცხვერი მინახავს, შევხვედრივარ...

— და გადაურჩით მტაცებელს?

— გადაურჩი, ბედი იყო და ის, რომ ფოცხვერმა არ ინება ჩემთან მოახლოება, თორემ რა გადამარჩენდა. მთაში ვიყავი, კავკასიონზე ფილმს ვიღებდით, 3600 მეტრის სიმაღლეზე. იქ ახლოს დარიშხნის მალარობები იყო, გეოლოგებიც ცხოვრობდნენ. ადრე მივდიოდი გადაღებაზე, მარტო გავუყვებოდი ხოლმე გზას. კოლექტივი არ მიყვარდა, ბევრი ხალხის ერთად ყოფნას ვერ ვიტანდი. მაგის გამო სტადიონზე სიარულიც მეზარებოდა... გეოლოგებმა, ნუ დადიხარო, მითხრეს... ტყეში ფოცხვერია, გაგატარებს წინ და უკნიდან დაგახტებო. გამეცინებოდა, ფოცხვერი არა, ის იქნება-მეთქი, ვფიქრობდი. მთაში კომბალს გამოვთლიდი გამოვხარშავდი, იარაღზე ნაკლებები არ იყო, მაგრამ ფოცხვერს რომ მოუნდომებინა თავდასხმა, კომბალი რას მიშველიდა. გამოჩნდა, იდგა და მიყურებდა. ძალიან ლამაზი კი იყო. მალალ ფეხებზე იდგა, ყურები ჰქონდა დაცქეტილი. მერე წავიდა თავისი გზით. სწორედ ასეთი იყო ბერბიჭაშვილი.

— მომხიზველი იყო?

— თვალს ვერ მოაშორებდი, ისეთი! ჭრელ თვალს დიდი ძალა აქვს, მითუმეტეს ეკრანზე. 40-იან წლებში სასამართლო პროცესი დაიწყო და მამამ: აი, კანფეტებს რომ გაჭმევდაო, — დამანახა ბერბიჭაშვილი.

— მითხარით, ბავშვობაში მას ხშირად ვხატავდით, ეგ სურათები არ შემოგრჩათ?

— ნასვამი შინ მივდიდი და ყველაფერი ცეცხლს მივცეცი. ორისამი სურათი თუ გადარჩა, ოღონდ მისი პორტრეტი — არა.

— საერთოდ, ჩვენს სამყაროში ბევრი რამ ვერ გადაურჩება ხოლმე არყოფნას...

— გეტანხმებით... მახსენდება ქალაქი, რომელშიც ცვხოვრობდი: შოთა დედაბრიშვილი, შიო არაგვისპირელის ვაჟი, ნიკოლაძის ქუჩაზე ცხოვრობდა. იქვე იყო გივი თოხაძის სახლი, გიზო სიხარულიძეც მეზობლად იყო — მე, გივი და გიზო ერთად ვიყავით პიონერთა სასახლეში.

შოთა დედაბრიშვილი სულ ნასვამი დადიოდა, სიგარეტს ეწეოდა, ფული კი არასდროს ჰქონდა. რუსულად იყო აღზრდილი, ამის გამო გული მწყდებოდა. ლაპარაკი უყვარდა.

ყოველ საღამოს ვხვდებოდით რუსთაველზე, გამოვიდოდით 12 საათის მერე და დილის 6 საათამდე დავდიოდით, ვლაპარაკობდით პოეზიაზე.

გალაკტიონი გადაღმა იდგა — ოპერასთან. ჩვენ იქით არ გადავიდოდით, სომხებთან კონფლიქტი გვექონდა და ისინი სერიზოვნად იყვნენ ოპერის მხარეს. თუ სპექტაკლზე მივდიოდით, პირდაპირ ოპერასთან გადავჭყრიდით ქუჩას... ხან ერთი არიის მოსასმენად შევდიოდით ოპერაში, მერე ვტოვებდით. ლუნაჩარსკის ქუჩიდან თეატრალურ ინსტიტუტამდე გავივლიდით ანტრაქტის დროს... კარგი ქალაქი იყო.

ვერის დაღმართი... ელბაქიდის ქუჩა... იქ რეზიკა თარხან-მოურავი ცხოვრობდა, პეროვსკაიაზე — ავთო ვარაზი.

სამაიას ბალთან ექვთიმე თაყაიშვილი და შალვა ნუცუბიძე გამოდიოდნენ ხოლმე სერიზობისას. ექვთიმეს ფეხი აწუხებდა, ამიტომ ერთი ფეხსაცმლის ქუსლი საგანგებოდ ჰქონდა ამალღებულს. შორიდანვე ვცნობდი... იდგნენ ხოლმე. ფეხს ავითარებდი, იქნებ ყური მომეკრა, რაზე საუბრობდნენ... ორივემ იცოდა კომუნისტური მათრახის ძალა, ხმადაბლა საუბრობდნენ, ისე, რომ ვერაფერს გაიგონებდი...

ექვთიმე თაყაიშვილი უნივერსიტეტიდან რომ გამოასვენეს, ორმოცი კაციც არ იყო მის გასაცხილებლად. შორიდან მივყვებოდი, ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა.

მე მოსკოვის ქუჩაზე ვცხოვრობდი — ძმები კაკაბაძეები ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ — დავითი და მისი ძმა. დავითს ხშირად ვხვდებოდი. დიდი პიროვნება და მხატვარი იყო. გასაკოცარი არ არის, როცა საბჭოთა იდეოლოგიამ შეავიწრო-

ვა და ხატვას ჩამოაშორა თავისი ჭკუით, ჯერ ფრანგულს, მერე კი ფიზიკასაც ასწავლიდა სკოლაში.

საკოცარი ადამიანები იყვნენ... თეატრალურ ინსტიტუტში იოსებ მეგრელიძე გვასწავლიდა, მარისტი იყო. მაშინ, როცა ნიკო მარის ხსენებაც არ შეიძლებოდა, გველაპარაკებოდა მასზე...

— ასე იოლად გენდობოდათ მთელ ჯგუფს?

— გვენდობოდა! ჯგუფიდან შეიძლებოდა ხმა გასულიყო? — რა, ორ კაცთან რომ იტყოდი რამეს, ის არ გავიდოდა? ერთხელ, დამიბარეს შევჩენკოს ქუჩაზე, იქ იყო კავებეს შენობა. დილით 9 საათზე წავედი... ორი თვე მატარეს 9-დან 6-მდე კორიდორში ვიყავი. არავინ არაფერს მეუბნებოდა. საღამოს გამოდიოდა სამხედრო და მეტყოდა: ხვალ დილით მოდიო.

ორი თვის თავზე, როგორც იქნა, შევედი... დაკითხვაზე ვინც დამიბარა, ავთო ვერულეიშვილის მეზობელი აღმოჩნდა. ავთოსთან შინ, საცა ნიკალა მოკვდა იმ ეზოში, არაერთხელ ვყოფილვართ სუფრასთან ერთად. ცხადია, მიცნო. მერე მაჩვენა, რა წერილი იყო შესული თეატრიდან: იმას კი ხელი დააფარა, ვინ აწერდა ხელს.

— რა ენერა?

— არაფერი სერიოზული: გიგა ლორთქიფანიძემ ანეკდოტი მოყვა საბჭოთა ხელისუფლებაზე, თენგიზ არჩვაძემ გაიცინა. რეზო ხუბუამ ეს თქვა, ამან — მოისმინა, იმას ეს უთხრა, ამას ეს უჩურჩულა... ყოველი მესამე კაცი, მეორე თუ არა, ჩვენი ინფორმატორიაო... რეზოს და გიგას გავაფრთხილებ-მეთქი... არაო... როგორ არა-მეთქი... უბრალოდ ვეტყვი, ნაკლებად ილაპარაკონ-მეთქი... ვუთხარი კიდევც... რეზომ — რას ამბობ, რომ გავიცინე, იმის გამო რა უნდა მიქნანო... მერე თურმე თეატრში მოაწყვეს კრება. ისეთ დღეში ჩაუყრიათ გიგა და რეზო, არ გამახსენო, — მეუბნებოდნენ.

იმ დროს ჩრდილო კავკასიაში ვიყავი გადაღებებზე...

— ჩრდილო კავკასიური მოგონებები ალბათ განსაკუთრებულია...

— „ვედრება“ იქ გადავიღეთ. „როდინა“ იყო აპარატი, პატარა სიცივე მოხვედებოდა და არ მუშაობდა. იქ კი 22 გრადუსი ყინვა იყო. ამის გამო გაჩერებული ვიყავით... სასტუმრო „კავკაზში“ ვიდექით ბინად ოთავი მეღვინეთუხუცესი, ზურა ქავჭავანიძე, ლევან უჩანეიშვილი და მე... გადაღებისთვის გვეჭირდებოდა — ჩამოგვიყვანდა ჯიხვს ქირიკაშვილი...

სამიწელი ამბავი იყო, როცა წლების მერე გავიგეთ, რომ თერგში სამი კაცი დაიხრჩო — მათ შორის — ქირიკაშვილიც... თერგი. დაუნდობელია. კომბიკორმა მოჰქონდათ ორჯონიკიძედან, ამინდი გაფუჭდა, აბრუნებდნენ მანქანას, და ჩაცვივდნენ ქირიკაშვილი, ალიბეგაშვილი და კვიციანიშვილი იყვნენ. კოჭებამდე წყალი იყო, მაგრამ შემოდან ტვირთი დაეცათ და ვერ გამოვიდნენ. ალიბეგაშვილი საჭესთან იჯდა, თითები ჰქონდა შეჭმული სიმწრისგან რომ ვერ გამოვიდა.

— ძალიან მძაფრი სურათია ვაჟკაცების დაღუპვისა...

— მართალია... — „სულეთს შავიდა ნიქი, ხელით შაალა კარია. სწორები შახვდნენ ერთმანეთს, დასხდა ქორების ჯარია“... დიდი ხანია, ეს ლექსი აღარ გამხსენებია... „შუამ სიმღერა იმღერა, ჩალხიამ მისცა ბანია, ვაჟებმა შატილიცნებმა, სულეთს მასინჯეს მკლავია, სულ გაანგრის კედელი სამზეოს გასავალია, იმათ შამასყრა უფალი: აქედნ არ სდიან სხვანია“... საიქიოდან სამზეოს გამოვიდნენ... ტკივილიანი ძლიერი სახეა!

— სამსუხაროა, რომ ჩანანურები არ გაქვთ, რამდენი კარგი რამ გექნებოდათ სათქმელი...

— მაშინ უნდა გენახა, გაგეგონა და დაღუმებულებიყავი, არაფერი უნდა გეთქვა, არც დაგენერა, რომ ვილაცას არ ენახა და სხვის სანინაალმდეგოდ არ გამოყენებინა. შენი თავის გამო კი არა, სხვის გამო უნდა გაფრთხილებულიყავი, იმას ლუპავდი... ამიტომ არაფერს დანერილს არ ვინახავდი. იქიდან დამჩნა ჩვევა: ტელეფონის ნომრებსაც კი არ ვინებდი. მოხუცი კაცი ვარ და ახლაც მხოლოდ ვინახსოვრებ... რაც გამახსენდება — გამახსენდება! დანარჩენი არ არის საჭირო.

გია ჯოხაძე

„რეალობაა უავგუსტესი...“

გარდასულ ჟამს, რომელსაც ხან „ლენინურ-სტალინურ ეპოქად“, ხან „დათბობის“, ხან „უძრაობის“, ხან „გარდაქმნის, საჯაროობის, პლურალიზმისა“ და სხვა მრავალი „იზმის“ ხანად მოვიხსენიებთ, ახლა ისე ამრეზით ვუყურებთ, როგორც რენესანსელები — შუა საუკუნეებს, და ეს დრო სწორედ ამის ღირსია!

მაგრამ რა მოვუხერხობთ იმ სინაზეს, რომელიც მოგვაკითხავს ხოლმე ჩვენი მშობლების ახალგაზრდობის გახსენებისას, უფრო ზუსტად, იმ დღეთა მოგონებისას, როცა საკუთარ მშობლებს ჯერ არც კი ვიცნობდით, როცა ჯერ ისევ მათში ვიგულისხმებოდით, როგორც ვაშლის კურკაში — ვაშლი, ან ბახში — მუსიკა?

რა ვუყვით იმ დროს, როცა ბავშვები ვიყავით, ჯერ არ გვეშინოდა ფრინდის და თამაშსმონყურებული ლეკვებივით სიყმანვილეს არა მომავალი ნევროზების საბუდრად, არამედ უნაპირო ნეტარებადა და უზრუნველობად აღვიქვამდით?!

ჩემი მშობლები საბჭოთა იდეოლოგიის მსახურები იყვნენ და პირდაპირ არათუ უთქვამთ, ეგებ, ფიქრადაც არასოდეს გაუფლიათ, რომ „რალაც დაღუპა ამ სახელმწიფოში!“ მაგრამ არასოდეს დამავინწყდება დედაჩემის ელიზაბეთ ტელიორის რომელიღაც გმირისეული ამოხვრა: დოდონასნარი მაინც არავინ ყოფილა! ცეკვა რა არის... ცეკვითაც კი სხვაგვარად ცეკვავდაო!

„სხვაგვარობა“ შომოგენურ სახელმწიფოში ლამის... არავითარი ლამის — სამშობლოს უთუო და უთუმცაო ლალატს ნიშნავდა. დამოკლეს მახვილს ან უნდა გაქცეოდით, ან კისერი მიგეშვირა... არსებობდა გადარჩენის უფრო უმტიკონეულო, უფრო ტკბილი გზები, გუჩა კვარაცხელიას თქმისა არ იყო, „ისეთი კბილი, ისეთი ტკბილი, რომ მწარე...“

ბოლოს და ბოლოს, იმ სახელის მქონე ჩიტებიც ხომ გაუფუფულიყვნენ, რომელიც ქალბატონ კიზირიასათვის მშობლებს დაერქმიათ — დო დო!

ჩიტებს თავიანთი გზა აქვთ...

დოდონამ ადამიანობისა და ფრინველობის ბედი გააერთიანა და აქედან პირდაპირ ფრინველთა სასუფეველისაკენ გაფრინდა.

დროდადრო მისი გვარ-სახელი და სტატუსი — ინდიანას უნივერსიტეტის „გრეით პროფესორი“ — ქართულ მედიაშიც გაკრთებოდა ხოლმე. კარგად მახსოვს პერიოდი, როცა საქართველოში კაენი გაცოცხლდა, რადგან კაენი არც არასოდეს მომკვდარა! ქალბატონი დოდონა მაშინ აქ იყო. მერე „ოთარანთ ქვრივის“ მისეული ფსიქოანალიტიკა და ინტელიგენციის, როგორც საბჭოთა მოვლენის, მისეული სპეკულაციები წავიკითხ-მოვიხსინე. მერე ჩემს ამერიკელ კოლეგას როცა საქართველოს ვაცნობდი, ვურჩიე, შეხმიანებოდა დოდონა კიზირიას, ის ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ ქართველია-მეთქი.

მერე კონფერენციებზე შევხვდით ერთმანეთს.

კარგად მახსოვს, სემიოლოგთა პირველი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილენი ბათუმში ჩავედით. მთელი დაუნდობლობა და სიმძიმე, რომლითაც დაჭაშნიკებულ-ჩაგემოვნებული საგზალი ავსებს ხოლმე ერთმანეთს შეამხანაგებულ ღამეულ მგზავრებს, სახესა და განწყობილებაზე გვეწერა. წინ, სადღაც ვირტუალურ რეალობაში, თრთოდა სასტუმროს თბილი წიაღი, განმარტოების ტკბილი განცდა, ძალების აღდგენის ბალიშებში ჩაბუდებული მოლოდინი...

მაგრამ რატომღაც ისევ ბაქანზე ვიდექით: ამიხსნეს, დოდონა კონფერენციის ერთადერთი უცხოელი მონაწილე, სათვალეს ვერ პოულობს და უნდა დაველოდოთო...

მაშინ ვიხუმრე: ჩვენი „საერთაშორისო“ ეგ ყოფილა და სანამ არ გამოვა, აქედან ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი.

მართალი გითხრათ, სამეცნიერო კონფერენციები არასოდეს აღმიქვამს რისამე მტიკცების ასპარეზად: მოხსენება და მასში მიმოფანტული დებულებები, რომლებსაც სხვებს ვაცნობდი, ჩემთვის იმთავითვე სარწმუნო იყო. კონფერენციები ჩემთვის უმალ იმის საშუალება იყო, ახალ ადამიანებსა, და მათი სახით, ასეთსავე სამეცნიერო მიდგომებს გაცნობოდი. ასე მგონია, არც პირველი და არც მეორე ამოცანის შესრულება განსაკუთრებულ აქტიურობას არ მოითხოვს.



დოდონა კიზირია

დოდონა კი კონფერენციებზე ცოცხლობდა და სამეცნიერო აქტიურობის ამ გადამღლეულ სახესხვაობასაც აცოცხლებდა. მისთვის არ არსებობდა ნაცნობი და უცნობი თემები, კვლევის საკუთარი თუ უცხო სფერო, როგორც ჩანს, ზოგადად, სწავლულობა, მეცნიერება, როგორცადაც ის აღიქმებოდა ინტელექტუალური კაცობრიობის გარიჟრაჟზე, საკუთარ არენად თუ საბრძანისად მიაჩნდა. ის სვამდა 82 შეკითხვას, იძლეოდა 102 შენიშვნას, მოჰყავდა 532 ციტატა ქართულად, რუსულად, ინგლისურად, ფრანგულად, ლათინურად, შინდზე, გამოთქვამდა მილიონობით აზრს, „და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე!“ მას არასოდეს ჰყოფნიდა რეგლამენტი, გამუდმებით გეზოდიშებოდა და ასევე, გამუდმებითა და ერთგვარი თავგანწირულობითაც კი, ბოლომდე მიჰყავდა დაწყებული აზრი. ასე იქცევიან არაორდინარული ადამიანები, რომელთაც ჰგონიათ, რომ რამდენიმე წუთიც ეყოფათ მთელი ექსისტენციური კრედოს გამოსათქმელად, მერე სადღაც შუაში ხვდებიან, რომ ამას ვერ შეძლებენ და იქვე, თქვენს თვალწინ, ხელახლა იწყებენ მწვერვალზე ლოდის აგორებას... ეგეც თქვენი სიზიფე, რომელსაც დოდონამ ლექსიც კი უძღვნა.

ამას წინათ დოდონა კიზირიას ქართულად დანერღლ ლექსთა კრებულის გამოსვლითაც გავიხარეთ. ეს ფილოსოფიური ლირიკაა და, კაცმა რომ თქვას, ამით ყველაფერი ნათქვამია. მაგრამ სწორედ ეს ორი ცნება — სოფია და ლირიკა — რომელთაგან ერთი სიბრძნეს აღნიშნავს, მეორე კი ქნარს ანუ ღირას უკავშირდება, ხდება ხოლმე ყველაზე დაუნდობელი დებატების ოაზისი.

ეს ნამდვილი „ცნობიერების ნაკადია“. მის ლექსებში, ისევე, როგორც სიზმარში, ყველაფერი ერთმანეთს კვეთს, ვერტიკალი ჰორიზონტალს ეჯვარება, პოეტური დისკურსი ორდინარულ სამეტყველო დისკურსს ჰბაძავს და, რაც ლოგიკურია, ავტორი ამას არ ეწინააღმდეგება, თავმინებებული მიჰყვება ამ ნაკადს, როგორც ტანჯვასა თუ ერთიკულ ტკობაში

ჩაძირული ადამიანი, რადგან ეს ერთი და იგივეა, რათა ერთხელაც იქ მიიყვანოს, სადაც, ეს რომ არ ჩაედინა, ვერასოდეს შეაღწევდა, იმ სანახებს ვერასოდეს მოიხილავდა...

ასე იბადება რითმაც: ის კი არ იქმნება, ან რომელიმე ჰეფესტოს მიერ კი არ იჭედება, რაც თავისთავად პოეტური ხელობის მარკერია, არამედ სწორედ რომ იბადება: ადამიანივით, ჩვილივით, რომელიც ხან ჰგავს დედას და ხან — არა, მაგრამ ერთი სხვით, ერთი ატომით, ერთი ტკივილით (რომ არა ვთქვათ, „ერთი ცრემლით“) მაინც მისია.

აქ არის აფორისტულობა, რომელიც ასე საჭიროა, ასე კატეგორიული და, თანაც, პოეზიაში — ასე სადავო.

აქ არის მიჯნური, რომელიც არაფერს ნანობს, არამედ ნანაობს წარსულის არომატსა და ფერებში. სამწუხაროდ, არაფერს ისე არ ამშვენებს და, ამავე დროს, ტრაგიკულს არ ხდის გრამატიკა და, კერძოდ — „წარსული დრო“, როგორც — სიყვარულს. თუმცა სწორედ ეს ტრაგიზმი იქცევა ხოლმე პოეტის დელირიუმად და მკითხველის იდილიად.

აქ არის თარგმანები, რომლებშიც, როგორც ყველა კეთილსინდისიერ თარგმანში, სიტყვათქმნადობის ან მეორე ენაზე შობის მისტერია ორიგინალის ბაგაში უნდა დატრიალდეს. უწინარესად მახსენდება გვიანი ამერიკული მოდერნიზმის წარმომადგენლის, ადვოკატისა და პოეტის, უოლეს სტივენსის ერთი ლექსის დოდონასეული ვერსია: ამ ლექსს ჰქვია Reality is an Activity of the Most August Imagination, რომელიც ქართულად ეგებ ასეც გვეთარგმნა: სინამდვილე უავგისტოესი (თუ უავგუსტესი) წარმოსახვის აქტივობაა (ან საქმიანობაა).

კაცმა რომ თქვას, საერთოდ რატომ ვთარგმნით? იმიტომ, რომ ჩესლავ მილოშისა არ იყოს, უკეთ გავიგოთ. მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა გავგების წყურვილი თარგმნის პირდაპირპროპორციული სულაც არ არის და — პირიქითაც. იდუმალების ქსოვილის რღვევა, გარდა იმისა, რომ ლექსს აგონჯებს, სრულიად ბერნია, უნაყოფოა. აღარც ლექსი გვაქვს და აღარც იდუმალება. ამიტომაც მომწონს დოდონასეული „რეალობა არის უავგუსტესი“. მოდი და გაიგე, რის თქმას ლამობს პოეტი? ერთი გზალა გვრჩება: ლექსის ნაკითხვა, რათა გულმა თუ გონებამ გვიკარნახოს რაღაც, რაც ამ ლექსს კი არ გაგაგებინებს, არამედ შეგვაგონებინებს.

თავისი პოეტური კრებულის წინასიტყვაში ქალბატონი დოდონა იმასაც იტყვის, სულ ორიოდ „შაირი“ თუ მაქვს დაწერილი, და ჩემშიც მხოლოდთი რიცხვის სამივე პირი დოდონას შესაცნობად მიბიძგებს. რასაკვირველია, ამ სუფილორს სახელი არა აქვს, ისევე, როგორც ლექსს, რომელიც დოდონასადმი და დოდონასებრ დამენერა:

ხარ ჭინჭრის ღეროდ მოსული, მსუსხავად დროის მდორესი, ტკივილით მარად ორსული, უშურველ-უშუორესი, ხარ ამბოხი და ყიჟინა, გამდედრებული არესი, მზე, ზედ რომ გადაიშინა, ხარ უცხო და უცხარესი. ხარ მწარე წვიმის ბებქველი, ხარ იჭვის მარად გულს მთესი, ხარ მწუხარების მხვეჭელი ავგუსტა უავგუსტესი. ხარ ფარნავაზით მხვევრავი მხერად ანის და ჰოესი, ქველთობა — მიწის მკვერავი, ხვატი უავგისტოესი. ხარ შოშიტა და ქიტესა, ხარ პირიმზე და მახარე, მთებად რომ ამოითესა, ხარ ქუხილი და ხარხარი, ხარ ქრისტესისხლას სისხამი, ხარ ნალურსმალი ქრისტესი, ხარ ეს რიჟრაჟი, ის ღამე, უხამსი და უხისტესი... მაგრამ დროს ვერ ელოქნები, მხდლათ ჟამი არ შუიცოდებს — სადაც ხარ, ჩემი იქნები! სანამ ხარ, ღმერთმა იცოდეს!

ნელან ნახსენები „სოფია“ და „ლირა“ მართლაც რომ მიუწვდომლის სიტყვით გამოხატვის, სიტყვით უნაყოფო წვდომის კატალიზატორები არიან. ღრმად მწამს, რომ ვიდრე კაცობრიობა იარსებებს, იმას კი არავინ მოისაკლისებს, რომ ჭკუმარიტებას ვერ მისწვდა, არამედ გულს იმით დაიმშვიდებს, რომ ერთხელ მაინც სცადა...

დოდონამ სცადა და აგვალაპარაკა. ეიმედება, რომ მისი პიროვნებაც, მისი წიგნებიცა და ფიქრებიც, მისი ემოციებიცა და მისი სიმორცეც, რომელიც ასეთი ახლობელი გამხდარა ჩემთვის, სალაპარაკოს არც მომავალში გამოგვიღევს.

დოდონა კიზირია

ერთ თავგადასავალს მოგიყვებით...

ეს მოგონება ეძღვნება ჩემს კოლეგას,
ბია ჯონსაძეს,
რომელმაც მისი დანერა გამაბედინა.

ჩემი წარსულის ერთმა ეპიზოდმა, სრულიად მოულოდნელად, ჩემი მეგობრების დადებითი რეაქცია გამოიწვია. ამან შემაგულიანა და, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დამძიმებული მაქვს გული, ერთ თავგადასავალს მაინც მოგიყვებით, სანამ კიდევ შემიძლია.

1971 წლის ივნისის დასაწყისს გავემგზავრე ჯერ ინგლისში, ვინაიდან ჩემი მეუღლე ბრიტანეთის მოქალაქე გახლდათ, იქიდან კი ამერიკაში უნდა წავსულიყავი, სადაც იგი მუშაობდა. ამას წინ უძღოდა სამწლიანი ლოდინი, ვიდრე ვიზას მომცემდნენ. როცა კი იმ დაწყებულ სავიზო განყოფილებაში მივიდოდი, ისეთი ირონიული ლიმილით მეუბნებოდნენ, არა, ჯერ არ არის მზადო, — რომ ვგრძნობდი, არც აპირებდნენ ვიზის მოცემას. ერთი ვიზიტისას, ვიდრე მისაღებში ვიჯექი, საქმეთა მმართველმა მითხრა: „Девушка, мой вам совет, разведитесь лучше. Вы что, думаете, в капстраны так вас и пустят?“ ამ ინფორმაციამ ძალიან დამთრგუნა. იმ დროისთვის უკვე ისე ვიყავი გადაღლილი და განერვიულებული, ვიფიქრე, ეგებ მართლაც ასე სჯობდეს, რამდენი ხანი ვიყო ასე ჰაერში გამოკიდებული-მეთქი.

უეცრად მოხდა რაღაც სრულიად მოულოდნელი, როგორც ეს ბედისწერას სჩვევია. ინგლისში დააპატიმრეს 125 საბჭოთა ჯაშუში. ეს იმდენად დიდი სკანდალი იყო, რომ მოსკოვის ტელევიზიითაც აჩვენეს, როგორ ადიოდნენ მწკრივად აეროფლოტის თვითმფრინავში ჩვენი „გმირები“. მაგრამ ამ კადრებს მშობლიურ-ბოლშევიკური კომენტარი დაურთეს, აქაო და, ბრიტანეთის მთავრობამ „სრულიად უმიზეზოდ გაუმართლებელი ბრალდება წაუყენა სსრკ-ს საელჩოს თანამშრომლებს, ვითომ ისინი ჯაშუშურ საქმიანობას ეწეოდნენო.“ რასაკვირველია, ჯაშუშობდნენ. მაგრამ მთავარი სხვა რამ იყო. ტელევიზიით ეს არ გამოუცხადებიათ, მაგრამ თურმე საბჭოთა მთავრობისთვის მათი გადაცემის ერთ-ერთი მოთხოვნა ითვალისწინებდა ვიზების მიცემას ბრიტანეთის მოქალაქეთა მეუღლეებისათვის. მართლაც გამომიძახეს და ვიზა მომცეს. შემდგომი დიპლომატიური პაექრობა მე აღარ მეხებოდა. მაშინვე ჩავალაგე ბარგი — ერთი ხელჩანთა, ერთი ჩემოდანი, რომელშიც რამდენიმე წიგნი, მოკრძალებული საბჭოთა გარდერობი, რაღაც ხარახურა ჩავანყვე და გავემართე ვნუკოვოს აეროპორტში გამცილებლებთან ერთად.

განცდების და გრძნობების აღწერას არ დავიწყებ. ძალიან რთულიც არის, ძალიან პირადიც და დიდ დროსაც წაიდებს.

ვისაც იმ დროს საბჭოეთში უცხოვრია, ადვილად წარმოიდგენს, რას ნიშნავს, როცა გეძღვევა საშუალებ-

ბა, გახვიდე იმ ტერიტორიიდან, რომელში ყოფნაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაქვს მისჯილი და ამნისტია არასოდეს შეგეხება. ამავე დროს, გრძნობ, რომ ბენვის ხიბზე გადხარ, რაც შეიძლება ძალზე ძვირადღაც დაგიჯდეს.

აეროპორტში ბარგის ჩაბარება ხანგრძლივი და უსიამოვნო პროცედურა იყო, რომლის დროსაც ყველა ნივთი სათითაოდ ამომაღებინეს, ტანსაცმელი დაფურთხეს და ხელით მოჭმუჭნეს, წიგნები გადაფურცლეს, „ხარახურა“ თითებით მოსინჯეს, ჩემოდანი კაკუნით და რაღაც მახათით შეამონმეს, ორმაგი ფსკერი ხომ არ ჰქონდა და შიგ რაიმეს ხომ არ ვმაღავდი. ვიდექი ცოცხალ-მკვდარი — უხერხულობის, შეურაცხყოფის და უსუსურობის გრძნობით დათრგუნული. როგორც იქნა, ჩაიბარეს ჩემი გაუპატიურებული ბარგი და წაეჩანჩალდი თვითმფრინავისკენ.

საზღვარგარეთი „British Airway“-ს თვითმფრინავში ჩაჯდომისთანავე დაიწყო. ის დრო ჯერ არ დამდგარიყო, როდესაც საბჭოეთიდან ხალხი ჯოგად მიედინებოდა უცხოეთში: მგზავრების დიდი უმრავლესობა უცხოელები იყვნენ. ყველა თითქოს რაღაც განსაკუთრებული საპნით იყო დაბანილი, განსაკუთრებულად დავარცხნილი, თითქოს სრულიად ჩვეულებრივ, მაგრამ რატომღაც უაღრესად ელეგენტურად მომჯდარ ტანსაცმელში ჩაცმული. ყველას რაღაც განსაკუთრებულად სურნელოვანი სუნამო ესხა. მოხდენილმა სტიუარდესამ კეთილი ღმილით მიმითითა, სად უნდა დავმჯდარიყავი. წარმოგიდგენიათ, მეგობრებო, ღმილით!!! არავითარი „Ну, проходите! Что стоите-то, другии мешаает!“ დღეს ყველაფერ ამას ვერც ვამჩნევ, მაშინ კი ყოველი დეტალი ახალი, გაუგონარი და არნახული იყო.

ჰითოროუს აეროპორტში ჩემი მეუღლის მეგობარი, „ბი-ბი-სი“-ს ერთ-ერთი პროდიუსერი დამხვდა, მანქანით წამიყვანა და თავის სახლში დამაბინავა. შემდეგ დაიწყო ახალი „ეკლიანი გზა“ ამერიკის ვიზის მისაღებად. ჩემი მასპინძელი ბილ გითრი ყველანაირად დამემხმარა — მომცა ლონდონის რუკა, ამიხსნა, როგორ მივსულიყავი ამერიკის საელჩოში ვიზის მისაღებად და პირველად თვითონვე მიმიყვანა საჭირო შენობასთან. ამ პროცედურას სამი წელი არა, მაგრამ ექვსი კვირა კი დასჭირდა — სამედიცინო კომისია, სხვადასხვა ფორმების შევსება, ორჯერ გასასაუბრებლად გამოძახება და ასე შემდეგ. მაშინ არც ისე ხშირად ჩადიოდნენ ინდივიდუალურად ამერიკაში. უმთავრესად ჯგუფები მიდიოდა, სათანადო ზედამხედველების ანუ, როგორც მაშინ ირონიულად ვეძახდით, სამოქალაქო-ტანსაცმელიანი „ხელოვნებათმცოდნეების“ მეთვალყურეობით, ანდა — პარტიული ელიტა მოგზაურობდა. მე კი, უბრალო მოკვდავი, სრულიად მარტო ვიყავი და ვხედავდი, ამერიკელებს ეს საკმაოდ უკვირდათ.

საელჩოში ვიზიტებს შორის დავდიოდი ლონდონის ქუჩებსა და პარკებში, მოვიარე

მუზეუმები, ვიყავი სახელგანთქმული ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, დავათვალიერე მეფის, უფრო სწორად — დედოფლის სასახლე და ასე შემდეგ. როგორც ყველა დედაქალაქს, ლონდონსაც თავის ემზი და პენი აქვს და ძალიან ბევრი ვისიამოვნე თუნდაც უბრალოდ ქუჩებში ხეტიალით.

მაგრამ მქონდა ერთი სერიოზული პრობლემა. არ ვიცოდი, სად გამერეცხა საცვალი. ბილის ბინა საკმაოდ პატარა იყო — ორი საძინებელი, სასტუმრო, აბაზანა ტუალეტით და სამზარეულო. ბილი ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენი იყო. დილით სამსახურში მიდიოდა, როცა მე ჯერ კიდევ მეძინა, და მაშინ ბრუნდებოდა, როცა ღამის ძილს უნდა მივცემოდი: ალბათ იმიტომ, რომ თავისუფლად მეგრძნო თავი. მაგრამ მერიდებოდა, მეკითხა, იყო თუ არა ახლომასლო რაიმე სამრეცხაო. თვითონ ბინაში კი როგორ უნდა გამერეცხა? ან სად გამეკიდა? აბაზანაში? ჰო-

და, ვიპოვე ასეთი გამოსავალი — ყოველ მეორე-მესამე დღეს ვყიდულობდი ახალს, ჩანაცვამს კი იმ ჩემ ერთადერთ ჩემოდანში ვტენიდი. როგორც იქნა, დადგა ჩემი ნასვლის დღე. ხელში მიჭირავს ამერიკის ვიზა, ბილეთი, ერთი ხელჩანთა, ერთი გასკდომამდე ვაგსებული და დიდი წვალეობით დაკეტილი ჩემოდანი. ბარგი ძალიან იოლად ჩავაბარე. გახსნის მაგივრად შემეკითხნენ, ესა და ეს ნივთები ხომ არ მიგაქვთო, და გამატარეს. ოჰ, რამხელა შვება და სიამოვნება ვიგრძენი მაშინ! ამ უბრალო რამე-მაც კი თავი იმ ადამიანად წარმომადგენინა, რომლის შეურაცხყოფის უფლება არავის აქვს. თვითმფრინავის მგზავრთაგან უმეტესობა ამერიკელი იყო: ეს მათმა აქცენტმა მიმახვედრა. ისინიც ასევე განსაკუთრებულად დაბანილ-გახეხილები და კოხტად ჩაცმულები ჩანდნენ, ოლონდ — უფრო უბრალონი და რაღაცით ძალიან მიმზიდველნი, უფრო მეგობრულნი, სადანი და ადვილად მისადგომნი. რაღაცას შეგეკითხებოდნენ, რაღაცას შემოგთავაზებდნენ, ადვილად იცინოდნენ, ხარხარებდნენ კიდევ.

მიუხედავად ამისა, მათ თავზარდაცემული შევყურებდი, ვინაიდან ერთი სიტყვაც არ მესმოდა, რას ამბობდნენ. იმ დროს ჩემი სალაპარაკო ინგლისური მთლად „მოია-ტვოია“-ს დონეზე არ იყო, მაგრამ ვერც ბევრით დავიტრახებდი. ისე მოხდა, რომ სხვადასხვა სკოლასა და ქალაქში ვსწავლობდი: შესაბამისად, ხან ფრანგულის სწავლა მიხდებოდა, ხან გერმანულის, ხანაც — ინგლისურის. საბოლოოდ, წესიერად არცერთი ენა არ ვიცოდი. კითხვა უფრო მეხერხებოდა, წიგნის ერთ გვერდზე დაბეჭდილი ნებისმიერი ტექსტის 80 პროცენტს ნაწილობრივ ვიგებდი და ნაწილობრივ ვხვდებოდი მაინც, მაგრამ ლაპარაკის არავითარი პრაქტიკა არ გამაჩნდა. გარდა ამისა, საბჭოთა სკოლებში ბრიტანულ ინგლისურს გვასწავლიდნენ, ბრიტანულ დამწერლობას, ბრიტანულ გამოთქმას, ასე რომ, ლონდონში ასე თუ ისე სხვისიც მესმოდა და სხვებსაც ვაგებინებდი ჩემს კითხვებს. აქ კი ამერიკელების თაპარაკი ხმოვან-თანხმოვანთა ერთ უწყვეტ ნაკადად ჩამესმოდა: მაუვაუჭაუბრიგინგტრინგტრონდრინგ.

ვერ ვხვდებოდი, სად მთავრდებოდა ერთი სიტყვა და სად იწყებოდა მეორე. თითქოს ეს ხალხი იმ ენაზე ლაპარაკობდა, რომელიც ჩემს დღეში არ გამეგო.

ამ ფაქტმა ძალზე ამაფორიაქა და ნიუ იორკის აეროპორტში უკვე საკმაოდ დამფრთხალი ჩავედი. ვფიქრობდი, არა უშავს, ბარგს ავიღებ, გავალ,



დოდონა კიზირია და ვია ჯოხაძე

იქ დამხვდებიან და არავისთან ლაპარაკი არ დამჭირდება-მეთქი. მაგრამ ნურას უკაცრავად! შიდა გასასვლელთან დიდი სიურპრიზი მელიდა. მაშინ ბარგს ელექტრონულად არ ამონებდნენ და არც მგზავრებს სჭირდებოდათ ელექტრონულად გავლა. ტერორისტულ აფეთქებათა ეპიდემიას ჯერ ორი-სამი ათეული წელი გვაშორებდა. ბარგს მიიღებდი, გასასვლელთან რომელიმე რიგად დაწყობილ გრძელ, მოსრიან ლევდოვანზე უნდა დაგედო შენი ჩემოდანი და მესაზღვრე უსიტყვოდ გაგატარებდა, ან რამდენიმე შეკითხვას მოგცემდა და გაგიშვებდა. ყოველ შემთხვევაში, ლონდონში ასე იყო და აქაც ამას ველოდი. თქვენც არ მომიკვდეთ — ოთხი მესაზღვრე გულდასმით ათავალიერებდა გახსნილ ჩემოდნებს და ხელითაც კი მიწევ-მოწევდა ნივთებს. კინალამ ჩავიკეცი! გავშტერდი! როგორ, ეს ხდება ამერიკაში?! მსოფლიოს ყველაზე თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში? ეს ხომ დაუშვებელია! ეს პიროვნების შეურაცხყოფაა!

ხედავთ, სულ თვენახევარში როგორ გამიტკბა ადამიანის უფლებათა დაცვის შეგრძნება!

ვუყურებდი ამ შემადრწუნებელ სცენას და ვფიქრობდი, რომ ეს რაღაც შეცდომაა, ასე არ უნდა იყოს. მაშინ არ ვიცოდი, რომ სწორედ იმ დროს, ამერიკაში, ძალზე დაძაბული სოციალური სიტუაცია იყო — სტუდენტთა ამბოხებანი, ზანგების შავ პანტერათა პარტიის უაღრესად აგრესიული მოძრაობა, რადიკალური მემარცხენე დაჯგუფებანი, ნარკოტიკის შეტანის მზარდი პრობლემა, პოლიტიკური მკვლელობები და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს შემდეგ გავიგე, მაშინ კი სასონარკვეთილმა მივიხედ-მოვიხედე და წამოვიდგინე, როგორ გამახსნენებენ ამდენ ხალხში ჩემოდანს, როგორ ფოიერვერკით ამოიფრქვევა და აფრიალდება იქ ჩანახილი ნაირფერი საცვლები. ჩამოთვლა არ ღირს — დაიწყეთ პერანგით, ჩადით წინდებამდე და მაშინვე მიხვდებით ჩემს გულსწინადადს. ეს გამანადგურებელი სურათი მედგა თვალწინ, როდესაც შევამჩნიე, რომ ერთ-ერთი მესაზღვრე — ხნიერი, თმაჭალარა კაცი — საკმაოდ ზედაპირულად სინჯავდა ბარგს და ზოგს არც კი ახსენებდა ჩემოდნებს, თანაც, თითქოს სათნო ღიმილით ელაპარაკებოდა მგზავრებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ მასთან იდგა ყველაზე დიდი რიგი. არა მგონია, სხვებსაც ჩემნაირი პრობლემა ჰქონოდათ, მაგრამ ეტყობოდათ, ჩემოდნების გახსნის პერსპექტივა მაინცდამაინც არც მათ ახალისებდათ.

მოკლედ, მივედი და დავეცი იმ რიგში. გულში ღმერთს ვევედრებდი, ღმერთო, გამიყვანე, ღმერთო, გამიყვანე, ღმერთო, გამიყვანე სამშვიდობოზე-მეთქი. აი, ამ ლოცვა-ვედრებაში ვარ, რომ უცებ ვილაცამ მხარზე ხელი დამადა. მოვტრიალდი და დავინახე სასაზღვრო ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ათმეტრიანი — მაშინ ასე მომეჩვენა და, რა ვიცი — ზანგი. მან მე და ჩემს უკან მდგომებს მიგვითითა, მეხუთე, მანამდე ცარიელ გასასვლელთან მივსულიყავით, ალბათ, იმიტომ, რომ, სხვასთან შედარებით, ჩვენი რიგი ძალიან გრძელი იყო. მე თავი მოვიკატუნე და ერთგვარი პანტომიმით შევეცადე მიმენიშნებინა, ჩემი ჩემოდანი ისეთი მძიმეა, აწვევა არ შემიძლია და ჯობს აქვე დავრჩე-მეთქი. ამის პასუხად იმ გრანტიის გიგანტმა დასტაცა ხელი ჩემს ჩემოდანს, დადო გასასინჯ დახლზე და მომიბრუნდა: **Your passport, ma'am.** ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვიგრძენი, როგორ დამასხა ცივმა კი არა, მდულარე ოფლმა ზურგზე, შუბლზე, ყელზე, ფეხები ზამბისად გადაამეცა და ხელები ამიკანკალდა. რა უნდა მექნა? ამოვიღე ჩემი, მაიაკოვსკის თქმისა არ იყოს, ჩემი „სერპასტი-მოლოტკასტი“ პასპორტი და გავუნოდე.

ამას მოჰყვა ასეთი დიალოგი:
 გიგანტი: — **Are you from Georgia?**
 მე: — დიახ, და, იეესს.

გიგანტი: — **Why do you have a Soviet passport?**
 მე: — მმმ... ვვვ... იტ იზ სოვიეტ ჯორჯია. ინ ზი სოვიეტ იუნიონ იზ სტიეტ ჯორჯია.

გიგანტი: — **Georgia in the Soviet Union?**
 მე: — დიახ, იეესს, იესს, იტ იზ.

გიგანტი: — **Wow! What language do you speak there? English?**

მე: — ნოუ, ნოუ, ვი სპიკ ჯორჯიან, ჯორჯიან ლანგვიჯ.
 გიგანტი: — ევერ ჰეარდ ოფ იტ. თელლ მე სომეტჰინგ ინ ეორგან.

თუ რამეს ვიტყვოდი, რასაკვირველია, ლექსად უნდა მეთქვა, რომ ლამაზად გამოსულიყო: აბა, „გამარჯობა, როგორა ხარ“ — სხომ არ ვეტყვოდი?! იმ წამში ყველა ლექსი და სიმღერა, რაც საბავშვო ბაღსა და სკოლაში მესწავლა და დამეზღვირებინა, კორიანტელივით დამიბზრიალდა თავში — „მე პატარა გოგო ვარ, გამოვდივარ სცენაზე“ — თი დანყებული, „სტალინო, ხალხთა ბელადო, ქორ-შეგარდენო მთისაო“ — თი დამთავრებული. სტალინი მაშინვე უკუვადე. პოლიტიკური სიტუაცია ამას ნამდვილად არ შეეფერებოდა და ის-ის იყო გალაკტიონის „მერი“ უნდა დამეწყო, ყურში ჩემივე ხმა ჩამესმა: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვინრო, ვერცა კლდოვანი...“ — ვიდრე ვფიქრობდი, უკვე რუსთაველის უკვდავი სტროფების წარმოთქმა დამეწყო — „მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი...“ როცა ამ სტრიქონს ვკითხულობდი, ჩემს გარშემო ვერაფერს ვხედავდი. იდგა ნაცრისფერი ბურუსი, შიგ — ნითელი-ნითელი წინწკლებით: „ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი...“ ამ ადგილას ჩემს ხმას ცოცხა ძალა მოემატა, რომელიღაც როლიც კი მოვირგე, ვითომ, სცენაზე ვიდექი... დაბოლოს, რიხიანად დაეჭყექე: „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი.“ ამ წუთას ალღელებისგან ხელეზიცი კი გავშალე იმის ნიშნად, მოვკვებდი, მაგრამ ამ ჩემს გასისტიკინებულ ჩემოდანს არ გაგახსნენებთ-მეთქი.

უეცრად ტაშის ხმამ გამომაფხიზლა. თვალწინ ბურუსი უშალა გაქრა და დავინახე, რომ ჩემს ახლომასლო მდგომი ხალხი მილიმოდ, ტაშს მიკრავდა, რაღაცას მეუბნებოდა. ჩემი გიგანტი პირდაღებული მიყურებდა: დიდი ნითელი ტუჩების მიღმა ქათქათა თეთრი კბილები ისე უელვარებდა, თითქოს პროთეზი ჰქონოდა და საცაა გადმოუფარდებოდა.

Aaa! bee daamned! — დამარცვლით წამოიძახა, ასწია ხელი და უეცრად — ტყაპ! — პასპორტში ბეჭედი ჩამირტყა. მერე, მიწვევის ნიშნად, თავი გასასვლელისკენ გაიქნია და მითხრა: **Welcome to America, ma'am!**

რამდენიმე წამი დამჭირდა, მისი სიტყვების აზრი რომ გამეცნობიერებინა. როგორც კი მივხვდი, რომ გადავრჩი, ჩემი მართლაც ძალიან მძიმე ჩემოდანი ბუმბულივით ავიტაცე და გასასვლელისკენ გავიქეცი.

ნელს, ივნისში, ზუსტად 43 წელი შესრულდება იმ დღის შემდეგ, მაგრამ ახლაც ისე მახსოვს, თითქოს ყოველივე ეს გუშინ მომხდარიყო. ფსიქოლოგები ამბობენ, ძლიერი ნერვული განცდისას ადამიანს იმ მომენტის ყოველი დეტალი ამახსოვრდება.

არადა, რამდენი ხანი გასულა!
 ვაჰ, დრონი, დრონი...
 დრომ მართლაც ლურჯა ცხენებით სულ თქარათქურით ჩაირბინა და... ხოლო ის წლები წარვიდნენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად.
 მე იგივე ვარ...
 ვარ, განა?
 არა, უკვე აღარ.
 ნამდვილად — აღარ.

„იმაგობრეთ ჩვენს თეატრთან“

(ნათია საზანდერიშვილსა და ნათია ტარტირაშვილს ესაუბრაბა სოსო ნემსაძე)

— ბატონო სოსო, გთხოვთ გვიამბოთ თქვენი საქმიანობის შესახებ გორის თეატრთან დაკავშირებით, რათა მკითხველმა უკეთ გაიცნოს.

— ვარ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. ვიდრე სამხატვრო ხელმძღვანელი გავხდებოდი, რამდენიმე სპექტაკლი დავდგი კიდეც ამ თეატრში და აგრეთვე შედაგოგიურ საქმიანობას ვენევი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის უნივერსიტეტში, დრამის ფაკულტეტზე, მსახიობის ოსტატობას ვკითხულობ. ასოცირებული პროფესორი. ასევე შემოქმედებითად ვმუშაობ არამარტო გორში, არამედ სხვა ქალაქების თეატრებშიც. დადგმული მაქვს სპექტაკლები — ბათუმში, ქუთაისში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ახალციხეში, ჭიათურაში, თბილისის თავისუფალ თეატრში, ახმეტელისა და მარჯანიშვილის თეატრებში. დაახლოებით 46 სპექტაკლის რეჟისორი ვარ. ეს არის ჩემი სამყარო, მე შემიძლია ვიცხოვრო თანამედრობის გარეშე, მაგრამ პროფესიის გარეშე ცხოვრება არ შემიძლია. ძალიან რთულია თეატრის ხელმძღვანელობა იმიტომ, რომ აქ მეტად მრავალფეროვანი ადამიანები მოღვაწეობენ...

— გორის სახელმწიფო დრამატული თეატრი დიდი ტრადიციებისაა და ამით გამოირჩევა სხვა თეატრებისაგან. მოკლედ გვიამბეთ მის შესახებ.

— გეთანხმებით, გორის თეატრი ერთ-ერთი უძველესი პროფესიული თეატრია. მას ყოველთვის გამოარჩევდა იმ ადამიანთა დასი, რომლებიც მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ ამ გარემოში, დანყებული რეჟისორებით და დამთავრებული მსახიობებით. აქ ძალზე მაღალი დონის რეჟისორები მოღვაწეობდნენ, თუნდაც ლილი იოსელიანი, პავლე ფრანგიშვილი. მათ გარკვეული კვალი დააჩნიეს ჩვენს თეატრს. ყოველთვის იყო მრავალფეროვანი რეპერტუარი. როგორც ეროვნული, ისე ევროპული და სხვა ქვეყნების პიესები იდგმებოდა. ის ხანა კიდეც იმით გამოირჩეოდა, რომ არ იყო ტელევიზია და თეატრი გახლდათ ერთადერთი არენა, სადაც დულდა შემოქმედებითი სიცოცხლე. ამდენად, კონკურენტებიც ნაკლებად ჰყავდა თეატრს. მაშინ ბევრი ეკლესია დაანგრიეს და რაც ეკლესიას უნდა აღესრულებინა საზოგადოებაში, თეატრს დაეკისრა. გორი ხომ ისედაც დიდი კულტურის ქალაქია.

— რა არის თქვენთვის თეატრი?

— რთულია, ვთქვა ან გამოვხატო, რასაც თეატრი ნიშნავს ჩემთვის. არ შემიძლია არ დავდგა სპექტაკლი, ვერ წარმომიდგენია, არ დავდგა სპექტაკლი. მაშ რა უნდა გავაკეთო? ესაა ჩემთვის თეატრი. ხშირად მეუბნებიან ახლობლები, შენ ძალიან კარგად და არხეინად ცხოვრობ, რადგან თეატრში მოღვაწეობო. ყოველთვის არ მაქვს პასუხი, რაღაც მომენტში მართლები არიან. იმას არ ვგულისხმობ, რომ თეატრში სირთულეები არ არის, სირთულეა ყველაფერი — დანყებული დადგმიდან სპექტაკლის გამომგებადმდე. ალბათ გულისხმობენ, რომ ვსაქმიანობ იქ, სადაც ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. თეატრი ჩემთვის ბედნიერებაა, ბედნიერების სასახლე. ზღაპრულ გარემოში მინევს მოღვაწეობა. ამაზე მეტი რა უნდა ინატროს ადამიანმა, იმან, ვისაც ეს უყვარს.

— სამწუხაროა, მაგრამ რეალობაა, რომ მსაქმრებელი ნაკლებადაა დაინტერესებული თეატრით ჩვენს ქალაქში. თქვენი აზრით, რა არის ამის მთავარი მიზეზი?



სოსო ნემსაძე

— ამაში ვერ დაგეთანხმებით, რადგან გორში დაინტერესება დიდია სხვა ქალაქებთან შედარებით. უბრალოდ აქ სოციალური მდგომარეობაა ძალიან მძიმე. ამდენად, უამრავ ადამიანს აქვს სურვილი იაროს თეატრში, მაგრამ სოციალური ყოფა აბრკოლებს. ასე რომ, ჯერ სოციალური პირობებია მოსაგვარებელი და თეატრში უფრო აქტიურად ივლის მსაქმრებელიც. მეორე მომენტია ყველაზე მთავარი — ჯერ თუ საზოგადოებამ არ გაიგო, რომ თეატრი არ არის მარტო გართობა და რომ ის სულიერი საზრდოა, და ამით თუ არ იკვება ადამიანი, მაშინ მივიღებთ ზოოლოგიურ შედეგს, სადაც ადამიანი ემსგავსება ცხოველს და მისი გონება მხოლოდ ჭამა-სმაზე ფიქრობს. ამდენად, როგორც ჩაცმაზე, ჭამაზე ზრუნავენ, ასევე იზრუნონ მხატვრული ღირებულებათა შესათვისებლად. თეატრის პრობლემას ნაკლებად ვხედავ, საზოგადოების პრობლემები უფრო აშკარაა, რაც ნამდვილად სამწუხაროა.

— გორის თეატრის დასში არიან მონვეული მსახიობებიც. რა არის ამის მიზეზი და შედეგი?

— თეატრი არის თავისუფალი სივრცე, არ გულისხმობს კარჩაკეტილობას. რაკილა გორშია თეატრი, აუცილებელი არ არის მხოლოდ გორელი მსახიობები თამაშობდნენ. ეს არის ხელოვანთა სივრცე, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული კი ძალიან ცოტანი არიან. როგორ წარმოგიდგენიათ, ამდენი კარგი მსახიობი პატარა ქალაქმა დაბადოს, ჩვენ თეატრს რომ სჭირდება? უბრალოდ შეუძლებელია. ასე რომ, ყველა ქალაქსა და ყველა თეატრში არიან მინვეული მსახიობები. დედაქალაქშიც ასე ხდება და სხვა რეგიონულ თეატრებშიც. ასეთი ხელოვანები ქმნიან ხელოვნების ნიმუშებს ამყამად — გორში, შემდეგ გადაჯგუფდებიან ქუთაისში და ასე გრძელდება. ეს პროცესი წლების წინათაც მიმდინარეობდა. გორში თამაშობდნენ მედეა ჯაფარიძე, მიხეილ ჯოჯუა და მრავალი სხვა. ანუ თუ გვინდა შემოქმედება, კიდეც უნდა მოვიწვიოთ მსახიობები და თუ გვინდა თავშესაფარი, მოვიწვიოთ ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და... ეს ყოველივე კი თეატრს ძალიან დააზარალებს.

— რა მდგომარეობაა გორის თეატრში საარქივო მასალების დაცვის კუთხით?

— მაქსიმალურად ვცდილობთ, მასალა იქნას ყოველმხრივ დაცული. თეატრმა გადაიტანა ძალზე მძიმე წლები, როცა დაინგრა ქვეყანა, თეატრის საარქივო მასალები, რეკვიზიტები, ის სიმდიდრე, რაც იყო რეკვიზიტში, პრაქტიკულად იმ საზარელმა დრომ შეინირა, ზოგი განადგურდა, ზოგიც მი-

იტაცეს. მეტი წილი საარქივო მასალებისა ოჯახის წევრებმა გაიტანეს. ოჯახის წევრს უფლება აღარ აქვს საარქივო მასალის გატანისა, მაგრამ ასე კი მოხდა. ჯერ კიდევ რალაც პრობლემებია მოსაგვარებელი და შემდგომ მუზეუმის გადატანას ვგეგმავთ სხვა შენობაში, სადაც უფრო დიდი სივრცე დაეთმობა მუზეუმს და თავისუფლად მიიღებთ ინფორმაციას ჩვენს თეატრზე.

— რას გვეტყვი ოთარ ჩხეიძის წვლილზე გორის თეატრში?

— უდიდესია მისი წვლილი გორის თეატრში, საერთოდ ქართული დრამატურგიის წინაშე. წლების განმავლობაში აქტიურად იდგმებოდა მისი პიესები. მწერლის ლიტერატურული ენა არის სრულიად განსხვავებული და გამორჩეული, ძალიან უხდება სცენას. კარგი ქართულით ინყებს ადამიანი საუბარს, მსჯელობას. და ოთარ ჩხეიძის დრამატურგიული ნაწარმოებები არ არის ერთფეროვანი, დახუნძლულია მოვლენებით, რაც საინტერესოს ხდის მას და ამან განაპირობა, რომ წლების მანძილზე წარმატებით იდგმებოდა მისი ისტორიული პიესები, თანამედროვე დრამები თუ კომედიები. ამიტომაც გადავწყვიტეთ გავეცხნა მისი სახელობის ლაბორატორია.

— რას გვეტყვი ოთარ ჩხეიძის სახელობის ამ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაზე?

— ლაბორატორიის ძირითადი მიზანია, მოვიძიოთ ახალი პიესები, მოხდეს მათი საჯარო კითხვა, შემდეგ — უცხოური პიესების მოძიებაც, თარგმნაც, საჯარო კითხვაც და შემდეგ ჩაშვება რეპერტუარში. ვინც იმუშავებს ლაბორატორიაში, მთარგმნელობით საქმიანობაში ვინც ჩაებმევა, თეატრი გადაუხდის შესაფერის გასამრჯელოს. ერთი პიესა უკვე წავიკითხეთ საჯაროდ — როსტომ ჩხეიძის ტრაგედია-დრეტიტივი „ჩემი გზა ჩემი აკლდამა“, ილია ჭავჭავაძის მიერ ზურაბ ანტონოვის მკვლელობის გარემოებათა გამოძიების თემაზე. მოწონება დაიმსახურა, მონვეული იყო გორის საზოგადოებაც და გარკვეული მოსაზრებანი იქვე გამოიკვეთა პიესასთან დაკავშირებით. ჩვენ კიდევ რამდენჯერმე შევხვდებით ავტორს და კიდევ დაგვეგვამოთ მის ჩაშვებას რეპერტუარში.

— რა გეგმები აქვს გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრს?

— ახლა დიდი პროექტი განვახორციელებთ „საქმე და მკვლელობა ჟორჟ დანტონის“. დიდხანს გრძელდებოდა რეპეტიციები, დაახლოებით ხუთი თვე მიმდინარეობდა მუშაობა პიესაზე. ძალიან რთული არქიტექტონიკის პიესაა, მთავარ როლს ბაჩო ქაჯაია თამაშობს. ამ პიესაზე დაკავებულია მთელი დასი, გარდა მსახიობებისა, მონაწილეობს ტექნიკური პერსონალიც. იმდენად მასობრივი და სახალხო სცენებითაა გაჯერებული, მიუხედავად დრამატიზმისა, სანახაობრივს ხდის სპექტაკლს. ამასთან, სპექტაკლში მონაწილეობს გორის ქალთა კაპელა, ეს კიდევ დამატებითი ფერია სპექტაკლისა, რომელმაც უკვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა. შემდეგი წელი გამოვაცხადებთ საბავშვო წლად, ვაპირებთ ექვსი სპექტაკლის გამოშვებას და ექვსივე უნდა იყოს საბავშვო. ასე რომ, დიდი ზეიმი ელოდებათ ყმანვილებს.

რეპერტუარი გვაქვს, ასე ვთქვათ, ბარაქიანი, დაახლოებით ოცი სპექტაკლი. ჟანრობრივადაც განსხვავებული დადგმებია. და ყველა გემოვნების მათარებელს შეუძლია მიიღოს სიამოვნება. გვინდა გავხსნათ ექსპერიმენტული სცენაც სპექტაკლებისათვის ღამის საათებში, დაახლოებით 9 საათზე შეიძლება დაიწყოს სპექტაკლი, რომელიც ინოვაციებით იქნება გაჯერებული.

ერთი სიტყვით, ვისაც უყვარს თეატრალური სანახაობა, შეუძლია იმეგობროს ჩვენს თეატრთან.

იოსებ ჭუმბურიძე

„არ მიხდა სარკე, პერ ჩავიხედავ“...

ოცი წლის წინათ

დაახლოებით ოცი წლის წინათ თემურ ჩხეიძემ თამაზ გოდერძიშვილს რუსულად თარგმნილი ორი პიესა მიუტანა — გ. ბიუნენის „დანტონის სიკვდილი“ და ს. პშიბიშევსკას „დანტონის საქმე“. რეჟისორმა დრამატურგს პიესების ქართულად თარგმნა და მათი გაერთიანების საფუძველზე ახალი სცენური რედაქციის მოფიქრება სთხოვა.

თბილისში უმაღლვე გავრცელდა ხმები, რომ რობესპიერის როლში ოთარ მეღვინეთუხუცესს ვინილავდით, დანტონს კი ნოდარ მგალობლიშვილი განასახიერებდა.

თვალეობი დაეხუჭოთ და წარმოვიდგინოთ, რა სპექტაკლი იქნებოდა! რა როლები!..

მაგრამ ჩანაფიქრს განხორციელება არ ენერა.

ეს რა თქმა უნდა, დასანანია, თუმცა ყველაფერს აქვს „მეორე მხარე“: ვინ იცის, თვითონ რეჟისორი რამდენად გადაურჩებოდა „გილიოტინას“ ოცი წლის წინანდელ საქართველოში!

გილიოტინა რა შუაშია?

ამას თანდათან მივხვდებით...

ჯერ მეთვრამეტე საუკუნის საფრანგეთში უნდა გადავინაცვლოთ.

კიდევ ორასი წლის იქით

საფრანგეთის დიდი რევოლუცია. მონარქია დამხობილია, ლუი მეექვსემეტე — სიკვდილით დასჯილი. ხელისუფლების სათავეში იაკობინელები მოქცეულან, რობესპიერის მეთაურობით. ქვეყანას მართავს საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული კონვენტი (1792-95 წლები). რობესპიერიც კონვენტის წევრია და დანტონიც.

საკმარისია მოვიპოვოთ თუნდაც მწირი ისტორიული ცნობები ამ ორი პიროვნების შესახებ, რომ მივხვდეთ, რატომ უნდა გასჩენოდა ქართველ რეჟისორს ხსენებული პიეს(ებ)ის დადგმის სურვილი ოცი წლის წინანდელ საქართველოში.

მაქსიმილიან რობესპიერი (1758-1794) — საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერი, იაკობინელების მეთაური (პოლიტიკური კლუბის პირველი სხდომა წმ. იაკობის მონასტერში გამართეს და იაკობინელებიც ამიტომ ეწოდათ); ლუი მეექვსემეტეს სიკვდილით დასჯის შემდეგ ხელისუფლების სათავეში რომ მოექცნენ, იაკობინელებმა „რევოლუციის მტრების“ წინააღმდეგ დიდი ტერორი დაიწყეს. დასმენა რევოლუციურ სიქველედ გამოაცხადეს. 1793 წლის სექტემბერ-დეკემბერში დაახლოებით 3 ათასი კაცი დააპატიმრეს. 1794 წლის ზაფხულამდე კი სიკვდილით დასაჯეს 35 ათასამდე ადამიანი. 1794 წლის 28 ივლისს რობესპიერსაც გილიოტინაზე მოკვეთეს თავი.

ჟორჟ დანტონი (1759-94) — განათლებით იურისტი იყო. ორატორული ნიჭის წყალობით რევოლუციის დასაწყისშივე დიდი პოპულარობა მოიპოვა. მონარქიის დამხობის შემდეგ იუსტიციის მინისტრი გახდა. 1792 წელს კონვენტში აირჩიეს. 1793-94 წლების ზამთარში მის გარშემო ჩამოყალიბდა ოპოზიციური დაჯგუფება, რომელიც რევოლუციური ტერორის შემსუბუქებას მოითხოვდა, ანუ იაკობინელთა პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. 1795 წლის 5 აპრილს სიკვდილით დასაჯეს.

ეს — ისტორია.
ახლა პიესები ვნახოთ.
დიალოგებს მოვეუსმინოთ:
„დანტონი — თუ ხვდებით, რას ანგრევს და აცამტვერებს თქვენი მაქსიმალიზმი — ვაჭრობასა და მრეწველობას! თქვენ გააკოტრებთ საფრანგეთს!
რობესპიერი — თქვენი აზრით, ამ საქმეს რა ეშველება?

დანტონი — რევოლუცია ხალხის ბუნებამდე უნდა და ვიყვანოთ, რობესპიერი! რევოლუცია ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ...

დანტონი — არ შეიძლება, დამნაშავესთან ერთად, უდანაშაულოც რომ დაისაჯოს.
რობესპიერი — მერე ვინ გითხრა, რომ ერთი უდანაშაულო მაინც დავსაჯეთ?
დანტონი — ოი, ღმერთებო! უდანაშაულოდ დასჯილი არ არიან?!. აი, ახლა კი მართლაც გაგიცანით, რობესპიერი!..

რობესპიერი — ამ საკრებულოში ჯერ არნახული თქვენი დღევა და განგაში თავისთავად ამტკიცებს, რომ განსახილველი საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია. დიახ, დღეს აქ დავინახავთ, შესძლებს თუ არა რამდენიმე კაცი სამშობლოს დამარცხებას.

ვფიქრობთ, ადვილი მისახვედრია, რატომ დაინტერესდა თემურ ჩხეიძე იმ პიესებით, საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდს რომ ასახავენ და რომელთა მთავარი მოქმედი გმირები დანტონი და რობესპიერი არიან.

ოცი წლის წინათ თემურ ჩხეიძის ჩანაფიქრი რომ განხორციელებულიყო, რეჟისორი არა მხოლოდ „დროს აღნიშნავდა“, ბევრ ისეთ რამესაც იწინასწარმეტყველებდა, ამ ოცწელიწადში რომ გამოვიარეთ.

სხვა საკითხია (კიდევ ერთხელ ვთქვათ), ეს რის ფასად დაუფდებოდა...

ორას ოცი წლის შემდეგ

ამ ორი პიესის (გერმანულისა და პოლონურის) „ქართული რედაქციით“ ახლახან გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **სოსო ნემსაძე** დაინტერესდა.

ვიყობ გულახდილნი: პერიფერიულ თეატრში ასეთი პიესის დადგმა უფრო დიდი რისკია, ვიდრე... შექსპირის ნებისმიერი ტრაგედიის ხორცშესხმა. ბოლოს და ბოლოს შექსპირთან დამარცხებას უფრო ადვილად შეგინდობენ.

ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ არც ნაკლებია.
ეს დრამა — ერთდროულად ფსიქოლოგიურიც, ინტელექტუალურიც, პოლიტიკურიც...

თამაზ გოდერძიშვილის თარგმანი და სცენური რედაქცია ორი პიესის ორგანული სინთეზია. იგრძნობა, რომ დრამატურგმა კარგად იცოდა, ამ ვერსიას ვისთვისაც ქმნიდა — ფსიქოლოგიური დრამის აღიარებული რეჟისორისთვის.

საბედნიეროდ, ეს ვერსია სოსო ნემსაძისთვისაც ორგანული აღმოჩნდა.

კიდევ უფრო საბედნიეროდ, ამ პიესისთვის, ამ ურთულესი მხატვრული ამოცანის დასაძლევად, გიორგი ერისთავის თეატრიც შემზადებული აღმოჩნდა.



ბაჩო ქაჯაია (ჟორჟ დანტონი)

ამას გაფიქრებინებთ სპექტაკლის ყველა კომპონენტი — რეჟისურა, მსახიობთა თამაში, სცენოგრაფია, მუსიკალური გაფორმება...

სპექტაკლში თეატრის მთელი დასი მონაწილეობს — ყველაზე ხანდაზმული, დამსახურებული არტისტი (83 წლის) **ლუი ოზგებაშვილი** დაწყებული და ყველაზე ახალგაზრდა (ოცი წლის) **ნათია ოთინაშვილი** დამთავრებული. მთელი დასი და ორი საათის განმავლობაში „ხელს არავინ გიშლის“.

არავინ და არაფერი.
მასობრივი სცენებიც დიდი ოსტატობით არის დადგმული და გათამაშებული.

მუსიკა საგანგებოდ ამ სპექტაკლისთვის დაწერილი გგონია (მუსიკალური გაფორმებაც რეჟისორს ეკუთვნის), რადგან წარმოდგენის აზრობრივ პარტიტურას ბუნებრივად ერწყმის. დრამატიზმს ამძაფრებს ქალთა კამერული გუნდი — გორის განთქმული კაპელა.

სცენოგრაფიაც ორგანული და შთამბეჭდავია (მხატვარი — **თამარ ჭავჭავანიძე**).

მცირე დიალოგი დრამატურგთან

თამაზ გოდერძიშვილი: დეკორაცია იმ დონეზეა, როგორც სტურუას საუკეთესო სპექტაკლებში რომ მინახავს. რატომ გაგელიმათ?

მე: იმიტომ, რომ მეც „მეფე ლირი“ გამახსენდა, ოღონდ ეს სასიამოვნო ასოციაცია იყო, ისეთი, მიზანძვას რომ არ გულისხმობს, უბრალოდ, კარგი რომ კარგს გაგახსენებს... ძალიან მომეწონა კოსტიუმებიც. სამოცამდე პერსონაჟის ჩაცმულობა დიდი გემოვნებით ეხამება ერთმანეთს და სპექტაკლს მიმზიდველ სახილველად აქცევს.

თ.გ.: გეთანხმებით.

მთავარი

და მაინც, ამ პიესას ვერ დადგამ, თუ არ გყავს ორი მთავარი გმირი — დანტონისა და რობესპიერის მაღალ დონეზე განმსახიერებელი მსახიობები.

სოსო ნემსაძემ ამ როლებში **ბაჩო ქაჯაია** და **გიორგი გოგუაძე** „დაინახა“.

რეჟისორი არ შემცდარა. ახალგაზრდა მსახიობებმა უდავოდ გაუმართლეს. მათი შესრულება ბუნებრივი და დამაჯერებელია. განსაკუთრებით კარგად წარმართავენ ცენტრალურ დიალოგს (შეხვედრა კაფეში), დრამატურგის აზრით, ოტელიოსა და იაგოს ცნობილ შერკინებას რომ არ ჩამოუვარდება.



ლევან შენგელია (სენ-ჟუსტი) და გიორგი გოგუაძე (რობესპიერი)

ეს ორი პერსონაჟის (შესაბამისად, ორი მსახიობის) ნამდვილი დუელია.

ზოგიერთი მონაკვეთი:

დანტონი — არ უარვყოფ, დიახაც ვოცნებობდი უმაღლეს ძალაუფლებაზე. ამქვეყნად სხვა რაზე უნდა იოცნებოს კაცმა...

რობესპიერი — ახლა კი... გული მერევა... დანტონ...

დანტონი — მშხამავ! გველო! გინდა, მომიშორო? სცადე, სცადე... ჩემი სიცოცხლე შენს ხელთაა. სცადე და ამ ერთი დაკვრით გვირგვინსაც თავზე მოირგებ. მაგრამ გახსოვდეს: გვირგვინი არ დაგინდობს, შუბლს გაგიხვრეტს, ტვინს დაგიფერფლავს; და ეს ყველაფერი გაცილებით ადრე მოხდება, ვიდრე გვირგვინქვეშ თავად ჩამოინგრევი... გვირგვინი მძიმე სატარებელია. ვერ გაუძლებ, მაქსიმ...

ამ „დუელში“ (და მთელს სპექტაკლშიც) მსახიობები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ.

თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნები, უნდა ვთქვა, რომ **გიორგი გოგუაძის** „სიმსუბუქე“ უფრო მზიბლავს, რადგან მეჩვენება, რომ მას უფრო ადვილად გამოუდის ის, რასაც ბაჩო ქაჯაია დიდი ძალისხმევით აღწევს. არ გამოვრიცხავ, ამგვარ განცდას ტელესერიალებით ჩამოყალიბებული სტერეოტიპი მიჩენდეს.

მთავარი კი ისაა, რომ ორივე მსახიობი ღირსეულად ეზიდება სპექტაკლის მთავარ ტვირთს და განსაზღვრავს მის წარმატებას.

რეჟისორი

რეჟისორი პატიოსნად მიჰყვება დრამატურგიულ ტექსტს. თითქოს არ ეძებს გარეგნულ ეფექტებს, არაფერს იგონებს, სინამდვილეში კი მთელი სპექტაკლი, ყველა სცენა თუ მიზანსცენა მისი გამოგონებულია, მისგან მოფიქრებული და ხორცმესხმული, თანაც ისე, რომ ერთი მთლიანობაა მოქსოვილი, ანუ მიღწეულია ის, რასაც მიხეილ თუმანიშვილი ასე გამოთქვამდა: „მე სპექტაკლს კი არ ვდგამ, არამედ ვთხზავ“.

უპირველესად რეჟისორის დამსახურებაა ის, რომ პერიფერიული თეატრის მასშტაბურ წარმოდგენას პროვინციულობისა არაფერი სცხია. ნუ შეგვაშინებს ეს საშიში სიტყვა: რამდენი პროვინციული სპექტაკლი დადგმულა დედაქალაქში?!

თამაზ გოდერძიშვილი: პრემიერაზე მეგობრები არ დავპატიუე. ვიფიქრე, ჯერ თვითონ ვნახავ-მეთქი. მეშინოდა, არ ვიცოდი, რა დამხვდებოდა. ახლა კი ყველას თამამად ნაყიყვიან გორში...

და მაინც, ერთი **შენიშვნა:** უკვე ითქვა, რომ გ. ბიუხნერის პიესას „დანტონის სიკვდილი“ ჰქვია, ს. შპიბიშვესკას ნაწარმოებს — „დანტონის საქმე“. საკუთარი სცენური ვერსია თამაზ გოდერძიშვილმა ასე დაასათაურა: „საქმე და მკვლელობა ჟორჟ დანტონისა“.

ჯერ ქართულ ვერსიაზე ვთქვათ: დანტონი კი არ მოკლეს, სიკვდილით დასაჯეს. ამიტომ უფრო ზუსტი ასეთი სათაური იქნებოდა (თანაც შექსპირული ელფერი გაუძლიერდებოდა): „საქმე და სიკვდილი ჟორჟ დანტონისა“.

სოსო ნემსაძემ სპექტაკლს „დანტონი“ დაარქვა, რითაც სათაურს სიზუსტეც მოაკლდა, მიმზიდველობაცა და სასურველი ინტრიგაც, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მაყურებლისთვის. ვფიქრობთ, ეს რეჟისორის ერთადერთი შეცდომაა...

აღნიშვნიდან შეჯამება...

ადვილად მივხვდით, რატომ აპირებდა თემურ ჩხეიძე ოცი წლის წინათ ამ პიესის დადგმას.

არც იმის გამოცნობა გაავიჭირდება, თუ რამ განაპირობა სოსო ნემსაძის დღევანდელი არჩევანი.

ამკარაა, რომ ამ სპექტაკლით მან „დროც აღნიშნა“ და განვლილი ოცი წელიც (თუ ოცდასამი?).

იმედი ვიქონიოთ, რომ წარმოდგენა წინასწარმეტყველურიც არ აღმოჩნდება.

ხელოვნებას წინასწარმეტყველება ყოველთვის არ მოეთხოვება. მთავარია, გალაკტიონის ეს მოთხონა შესრულდეს: „დრო, დრო აღნიშნე, მოანერე ლექსს, ეს წელიწადი, დღე და საათი“.

სოსო ნემსაძემ ამკარად აღნიშნა და მოანერა...

და კიდევ: ერთ ეპიზოდში დალაქი რობესპიერს სარკეს მიაწვდის. ეს უკანასკნელი კი ეტყვის: „არ მინდა სარკე, ვერ ჩავიხედავ“. რევოლუციის ლიდერს სარკე აშინებდა.

სოსო ნემსაძეც სარკეს გვიწვდის.

ნუ შეგვეშინდება, თამამად ჩავიხედოთ ამ სარკეში...

იყო დრო, როცა ახალციხეში, გორსა თუ რუსთავში სპექტაკლების სანახავად თბილისიდან დადიოდნენ.

ასეთი წარმოდგენისთვის უთუოდ ღირს გორში წასვლა...



მანანა თევდორაშვილი, ლიკა კველიძე, ჯემალ ჭულუხაძე (მოქალაქეები), კობა კობაძე (ჯარისკაცი)

ნინო დეკანოიძე

ფერიცვალების ბინდისფერ მოლოდინში

ახალგაზრდა პოეტი ნინო ნადირაძე, იმდღევანდელი სტუმარი ტრადიციული ლიტერატურული ღონისძიებისა, შეიძლება ითქვას, მაინც უცნობი სახელი იყო შეკრებილთათვის. უფრო ზუსტად: ბევრისთვის — საესტეტიკო, ლექსის სადარაჯოზე მდგომარეობის — მეტ-ნაკლებად. ასე რომ, მოლოდინი ერთობ ინტერესიანი გახლდათ. თუ დავუმატებთ იმასაც, რაც იშვიათად ხდება ამ ჩვენს კონსერვატორულ გარემოში — სტუმარმა დაიგვიანა, დათქმულ დროს საკმაოდ ჩამორჩა. აუდიტორიის აფუსფუსება გულისწყრომაში რომ არ გადაიზარდა, უფრო მასპინძლისადმი ნდობის გამო; რომ შეუფერებელსა და სასხვათაშორისოს არავის მოიპატიჟებდა და მისთვის ისედაც უკმარ დროს (ძალიანაც ნუ გაგიკვირდებათ) ტყუილუბრალოდ არ გაფლანგავდა...

და ლექსების მომცრო კრებულის ღონისძიების დაწყებამდე ხელიდან ხელში რომ მონაცვლეობდა, ვერ ანუგეშებდა თვალს ზედაპირულად: „ჩემო ცვილის ქვეყანავ“ — თეთრ ყდაზე შავად მიწერილი სიტყვები, უგულმოდგინო, ასწრაფებული ხელით; ისე და ისეთიანად, ქათქათაბათქაშიან კედლებს რომ შელახავენ ხოლმე გაკერებული თინეიჯერები პროტესტის ნიშნად...

ამასობაში დავგვიანებულმაც კარი შემოაღო და ყველაფერი გაეღვინებინა დალაგდა. ვიდრე საბოდიშო სიტყვებსაც მოუყრის თავს შემოსწრებული, მისი შემხედვარე ერთიანად მოხიბლული დარბაზი განიარაღებული აღმოჩნდება მანამდელი უკმაყოფილებისგანაც.

აქვე რომ მოგახსენოთ ესეც: გაცნობით აუცილებელ შესავალ სიტყვას; რეგლამენტორებს მიდევნებულ გამოსვლებს; დროდადრო ავტორის მიერ ნაკითხული ლექსებს განსახილველი კრებულიდან და, რასაკვირველია, სურვილებს, მეტად კეთილი სურვილებს ნინო ნადირაძისადმი — ვისაც მთელი ორი საათის განმავლობაში ნამდვილად არაფერი შემოღია დელიკატური აუდიტორიის წინაშე.

როსტომ ჩხეიძე ვიდრე ნინო ნადირაძეს წარუდგენს საზოგადოებას, საჭიროდ მიჩნევს მისი ლექსების თავისებურებაზე გაამახვილოს ყურადღება. ამავე დროს აღნიშნა: ყოველ ღირებულ ნაწარმოებს, პოეტურსა თუ პროზაულს, თავისი სივრცე, თავისი სამყარო უნდა ჰქონდესო. აგრეთვე სასურველად მიიჩნია ამა თუ იმ კრებულის ღერძს შეადგენდეს ყოველმხრივ გამართული, გულისშემძვრელი ლექსი თუ მოთხრობა. მართალია ასე არ ხდება ყოველთვის, მაგრამ სასიხარულოა, როცა ნიგნში ამგვარი ნაწარმოების დაწინაურება შესაძლებელია: ნინო ნადირაძის ეს კრებული იმითაც არის გამორჩეული, იქ ასეთ ლექსს აღმოაჩენთ, რომელიც ნიგნის საერთო სათაურადაცაა გატანილი ყდაზე — **„ჩემო ცვილის ქვეყანავ“**.

როსტომ ჩხეიძემ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზეც მიაქცევინა მსმენელს ყურადღება ახალთაბელთა ნაწერების ზოგადი დახასიათებისას:

— ძალიან კარგია, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ნაკლებად სძლევთ ცდუნება, რომ რაც დაუნერიათ, მაინცდამაინც ნიგნებში მიუჩინონ ადგილი. სწორედ ამიტომაც გამოდის გააზრებული გამოცემები. მართალია ერთ თარგზე აგებული, მაგრამ გარკვეული კონცეფციისა. მეტად სასიამოვნოა, რომ არაერთი ასეთი კრებულის დასახლება შეგვიძლია და მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ ნინო ნადირაძის ლექსების ეს ახალი ნიგნიც.

და არც ზოგადი ნაკლი დაუტოვებია გაუმხელელი: — ...არამარტო ჩვენს ლიტერატურაში შეიმჩნევა პროცესების იმდგვარი მდინარება, როცა ძალიან ბევრი ავტორი ჰგავს ერთმანეთს, განსაკუთრებით მსგავსება ლექსებში იჩენს ხოლმე თავს. სარედაქციო ყოველდღიურობაში გადაანწყვებით ისეთ თხზულებებს, გნებავთ, პროზაულს თუ პოეტურს, დაუბრკოლებლად რომ შეიძლება დაიბეჭდოს, იმდენად დახვეწილი ტექნიკითაა შექმნილი; ინვესს გარკვეულ ემოციასაც, მაგრამ ეს ის მაინც არ არის, რაც მკითხველს სწყურია ენატრება უნდა. ამგვარ მოწესრიგებულ მასობრიობაში განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ აღმოჩნდება ხოლმე ნამდვილი სიხალე. ეს კრებული ნინო ნადირაძისა, განსხვავებით მისი ადრინდელი ნიგნებისაგან, არის ერთფეროვნებიდან ერთბაშად ამოვარდნილი, ამიტომაც წარმოგვიდგება გამორჩეულ მოვლენად და სწორედაც არ უნდა დარჩენილიყო შეუფასებელი.

დაბოლოს, კრებულის ღერძად წოდებული „ჩემო ცვილის ქვეყანავ“ არა მხოლოდ ამ კრებულისათვის, ბოლო წლების სანიმუშო ლექსადაც მიიჩნია: განსაკუთრებული დახვეწილობით, დრამატიზმისა თუ ტრაგიზმის სიღრმით, ექსპრესიით და კიდევ რამდენი ეპითეტი შეიძლება ამ ლექსს მოუფიქნოთ — და ვიდრე მომხსენებელს **ნინო ქუთათელაძეს** მიიჩნევს სასაუბროდ, ავტორს სთხოვს ნაკითხოს ლექსები და, რასაკვირველია, „ჩემო ცვილის ქვეყანავ“.

უპირველესად ნინო ნადირაძემ მადლობა გადაიხადა მონვევისათვის და აუცილებლობით ნაკარნახევი სათქმელიც გაახმაურა, რომ: ასეთი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია. თანაც აქ, ამ დარბაზში ის ელოდება პირუთვნელ აზრს საკუთარ ლექსებზე. მზადაა, თუნდაც გააკრიტიკონ, ოღონდ მოისმინოს უშუალოდ ნიგნზე საუბარი და არა უსაგნო სიტყვები, რისი მომსწრეც სხვა დროს და სხვაგან ბევრჯერ გამხდარა: რომ პრეზენტაციებზე მეტწილად ლაპარაკობენ ზერელე საქებარი სიტყვებით და საგულისხმო არაფერი ითქმის წარდგენილი ნიგნის რაობაზე.

ნინო ნადირაძეს სამადლობელ სიტყვაში არც გამომცემლობა **„ინტელექტი“** დააიწყდა. უშუალოდ კი მთავარი რედაქტორი **ზვიად კვარაცხელია**, ვისი დაუინებელი შეგულიანებითა და სამაგალითო კეთილმოსურნეობით პოეტური კრებული მომზადებულა და გამოცემულა კიდევ.

ავტორის მიერ ნაკითხულ ლექსებს კი, რასაკვირველია, დარბაზში გულგრილი არავინ დაუტოვებია.

ნინო ქუთათელაძე:

„თავდაპირველად მიწა, ნინო ნადირაძეს ნიგნის გამოცემა მივულოცო. პოეტური კრებულის გამოსვლა ყოველთვის დღესასწაულია, რადგან ლექსი აღსარებას ჰგავს, ადამიანის სულს გამოფენს სააშკარაზე... და რაკი აღსარებას ჰგავს, ალბათ უფალთან ერთი გოჯით მიახლოებაც არის.“

უპირველესად ნიგნის საერთო სათაურად გამოტანილ ლექსს — „ჩემო ცვილის ქვეყანავ“ — უნდა შევეხო. მძიმე თემა გახლავთ იმ ქვეყანაზე საუბარი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, სადაც პირველ სიტყვებს ეზიარე და რომელიც მართლა ცვილისა გამხდარა, რადგან ერთხელაც, ძლიერი მღელვარებისას შესაძლოა ხელში შემოგადგენ. მართალია ეთხრობა, მომწონა ლექსის სტრუქტურა. პოეტს თანმიმდევრულად მიჰყავს მკითხველი მთავარ სათქმელამდე. მთავარი სათქმელი კი გამაოგნებელია: **„ჩვენ პატარა ქართველები ვართ / და განცხრომით სხვაგან ყოფნას / აქ სიკვდილი არ გვირჩევნია“**.

...საკუთარ თავს ხშირად ვეკითხები, რატომ ხდება, რომ ახალგაზრდებს სამშობლოზე მეტად კეთილდღეობა უყვართ? და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა, როცა წინამდებარე კრებულში 58-ე გვერდზე მოულოდნელად წავანყდი ასეთ სტრიქონებს:

**აბა, ვინ დაიჯერებს,
რომ ჯერ კიდევ მიყვარს ჩემი ქვეყანა,
როცა ყოველდღე
გასამგზავრებელ ბილეთს უკან ვაბრუნებ
და ყოველ ღამე
მესიზმრება ჯერარნახული ფუჯის მწვერვალს.**

მინდა ამ სტრიქონებისთვის მადლობა ვუთხრა ნინოს, მადლობა ვუთხრა იმისათვის, რომ მან აპატია უფროს თაობას, გვაპატია ჩვენ — რომ ისეთი ქვეყანა ვერ დავახვედრეთ, როგორსაც ალბათ იმსახურებენ.

ახლა პოეტის სხვა ლექსიდან. ის გვეუბნება:

**ჩემი ცხოვრება მხოლოდ ნახატია,
რომელსაც დიდხანს ვაკვირდები,
რომ ამოძრავდეს.**

მას ანუხებებს ფაქტი, რომ ცხოვრება გაჩერებულია, ერთ ადგილზე გაყინული, არაფერი ხდება საინტერესო. ამ ნუხილ-მა ნიკოლოზ ბარათაშვილის ერთი წერილი გამახსენა, მაიკო ორბელიანს რომ მისწერა: „კიდევ მომნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის საიმოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი იყოს...“ მე მგონი, კარგია, როცა ლექსის თუნდაც ერთი სტრიქონი წარსულის მშვენიერი სურათების ასოციაციას იწვევს (მშვენიერს კი იმიტომ, რომ ეს სურათი ნიკოლოზ ბარათაშვილით არის განათებული). ეს ნიშნავს, რომ პოეტმა იპოვა მარცვალი, რამაც უნდა განაპირობოს მისი განვითარება.

აი, კიდევ ერთი თემა, რომელიც აუცილებლად მოსახილველია... არაერთხელ მითქვამს და ახლაც ვიტყვი, რამდენი ადამიანიც არსებობს, იმდენი გაგება აქვს სიკვდილ-სიცოცხლეს. ნინო პირველად მამის გარდაცვალებისას შეეჩება სიკვდილს. ამიტომ სიცოცხლე დამძიმდა, გაუსაძლისი გახდა.

ლექსი „უშამო გოგონების შესახებ“ ამ სიმძიმის არაჩვეულვითი გამოხატულებაა. დიახ, უშამო ის გოგონები არიან, „რომლებსაც ყველგან აგვიანდებათ, რადგან სხვებზე ერთი ფიქრით ნაკლები დრო აქვთ“. ეს დაგვიანება ჩვეულებრივი დაგვიანება არ გახლავთ, ეს ბედისწერაა, როცა მიხვალ სადმე და აღმოჩნდება, რომ იქ აღარავინ გელოდება; ერთი ფიქრით ნაკლები დრო კი ის ფიქრია, როცა შენ გარდა შენზე არავინ ფიქრობს. ამ ლექსში ყველაფერი ჩვეულებრივია, თითქოს ყველაფერი გასაგები, რადგან უშამობა ყველას თავისებურად სტიკივა. ნინოს ფიქრი კი სხვაზე ერთი ფიქრით მეტია, თუმცა სხვებზე ერთი ფიქრით ნაკლები დრო აქვს.

მე არ ვიცი, რა პროფესიისაა ნინოს ავტორი, მაგრამ ერთი კითხვა გამიჩნდა: რატომ მეორდება კრებულში ხშირად სიტყვა „კადრი“? იქნებ ეს შემთხვევითია, ან იქნებ ცხოვრებას ერთ გაუთავებელ ფილმად აღიქვამს, სადაც მისი ადგილი არ არის, ან ამ ფილმში იქნებ „სევედის“ როლი დააკისრეს. ამას ნინო თვითონ გვეტყვის.

ლექსში „25-ე კადრი“ რიტორიკული კითხვაა დასმული: **ვიცი თუ სინამდვილეში, რა არის უბედურება? „ჩვენი მხოლოდ საკუთარ ბედნიერებას / შევისწავლით...“** შევისწავლით კი?! სამსუხაროდ, ადამიანებს არაფრის შესწავლა არ სურთ, ყველაფერს ზერელედ და მარტივად უყურებენ. იქნებ ეს არის სწორედ პოეტის ტრაგედია, რომ ყველაფერს აკვირდება, სურს შეიცნოს, შეისწავლოს და შეითვისოს გარემო? ნინოს აზრიც ხომ ეს გახლავთ, ჭეშმარიტი ცხოვრება 25-ე კადრითაა და თვალის შევლებასაც ვერ ასწრებ, კალენდრის ფურცელს აახევ და ისიც მიდის, ქრება.

**არ ვიცი, რა დღეა დღეს,
დღეებმა იციან გაპარვა და მიტოვება,
გამოტოვებაც იციან დღეებმა...**

ნინო ნადირაძე იშვიათად იყენებს მეტაფორებს, ის ლექსებს უფრო განსჯაზე, საკუთარ დაკვირვებებსა და დიდ ემოციებზე აგებს. მის ლექსებში ცალკეულ ფრაზებს თითქმის ვერც გამოარჩევ, მისი ლექსი მთლიანობაშია მეტაფორა.

ხშირად უბრუნდება სიტყვა „სიტყვა“, როგორც ყველაფრის სანყისს, აფერადებს აზრებს, სტრიქონებს სიბრძნით ავსებს. პოეტს ანუხებენ სიტყვები, რომლებიც არასდროს უთქვამს, ლექსები, რომლებმაც სიზმარში მოაკითხეს და ვერ დაიმახსოვრა...

ჩემი საუბარი რამდენიმე ფრაზით უნდა დავასრულო. ნინო უდავოდ პოეტია და თან საინტერესო, გამორჩეული აზროვნებით, ღრმა ემოციურობით, უნარით, თავისი განცდის თანაზიარი გახადოს მკითხველი, ზერელეს და ზედაპირულს მის პოეზიაში ვერ შეხვდებით...“

და ვიდრე იოსებ ჭუმბურიძე სიტყვით წარდგება, როსტომ ჩხეიძე კიდევ ერთ ლექსზე გაამახვილებინებს მსმენელს ყურადღებას; კერძოდ, „უშამო გოგონების შესახებ“ დასძინს: უშამოდ დარჩენილი გოგონების სახე პოეტურადაა განზოგადოებულ-გარდასახული და პირდაპირი მნიშვნელობის უღმერთოდ დარჩენილ ახალგაზრდობასაც გულისხმობს.

იოსებ ჭუმბურიძე:

„როსტომს უყვარს ასეთი გამოთქმა: „თანაბარი პოეტი“, „არათანაბარი პოეტი“...“

ამ კრებულშიც თანაბარი ლექსებია ან ყველა უნდა მოინონო, ან — არცერთი.

დანუხების უფლებას კი ეს ლექსები არ მოგცემენ.

მართალი არ იქნები.

რა უნდა დაუნუნო, მაგალითად, ამ სტრიქონებს:

„არასდროს მიფიქრია, რომ სიყვარული ყვავილების, თბილი სიტყვების და ფერადი დღეების პირდაპირპროპორციულია...“

მით უფრო — ამას:

„და, რომელიც ისეთივე სევდიანია, როგორც მომაკვდავი მამის ყურება...“

სხვათა შორის, მინდოდა ნინოს ანოტაციით დამეწყო.

ასეთი ანოტაცია არც წამიკითხავს.

ის თითქოს ლექსების გაგრძელებაა და არა მათი შეფასება ან კომენტარი.

შესაბამისი ფორმა რომ მიეცა ამ ანოტაციის ავტორს და კრებულის რედაქტორს **გვანცა ჯობავას**, ისიც ლექსად აღიქმებოდა.

თანაბარი ლექსებია-მეთქი, — აღვნიშნე.

და მაინც, ერთი ლექსი გამორჩეულია. როგორც (ნუ აღშფოთდებით, არ ვადარებ, როგორც იდეალურ მაგალითს, ისე მოვიხმობ) ბარათაშვილის ლექსებში — „მერანი“.

ეს განსაკუთრებული ლექსია ამ კრებულისთვის.

ამიტომაც მისი სათაური ნინოს სათაურიცაა.

ეს სათაური პირველად რომ წავიკითხე, „უსიამოვნოდ რაღაცამ გამკრა“. გამახსენდნენ ოდიოზური ლექსის მწერლები, ქვეყანაზე, სამშობლოზე ადვილად რომ ლაპარაკობენ. ადვილად და მკრეხელურად.

„ჩემო ცვილის ქვეყანავ“.

ლექსს ეპიგრაფად ილიას სიტყვები უძღვის.

„ჩემო თვალის სინათლეც,

რაზედ მოგინყენია“.

ადამიანი, მით უმეტეს პოეტი, ყველაზე მეტად ორ სალოცავს უნდა ეკრძალოდეს — ღმერთსა და სამშობლოს.

ეს ლექსი ორივეს ეხება.

ოდიოზურთ ყველაფერი ხელეწიფებათ, მათ არ ვგულისხმობ. ქართველი პოეტისთვის ამ თემებთან შეხება დიდი რისკია, მით უმეტეს საქართველოში. აკაკიმ და ილიამ სამშობლოსადმი დაყვავებისა და, ამასთანავე, მწარე სიტყვის თქმის ისეთი მაგალითები დაგვიტოვეს, რომ ძნელია.

„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“. აკაკის ამ სიტყვების გახსენებაზე, მე, მაგალითად, ლოყა მიხურს. ეს სილის განვნა წარსულთან კვლავაც ბევრ საუკუნეს გადამდებდა...

რას ამბობს ახალს, რას ეუბნება ნინო ნადირაძე თავის სამშობლოს და რატომაა მისი სამშობლო ცვილის ქვეყანა? რა დავაშავით ქართველებმა, რატომ ვისჯებით? რისთვის მოგვეზღო სამაგიერო?“

ჩვენი ლიტერატურული თავყრილობები ცხადია ნაკლები იქნებოდა „ქართული კრიტიკის სოხუმური ფრთის“ გარეშე. ამჯერადაც თავიანთი პროფესიული გამოსვლებით ღონისძიებას ხიბლი შემატეს ნინო ვახანიამ და ნანა კუცია.

ნინო ვახანია:

„ნინო ნადირაძე არამარტო ტკბილ ხმათავის გაჩენილი პოეტი. მისი ლექსი მტანჯველი დარდის შედეგია და მკითხველსაც ფიქრისკენ, განსჯისკენ უბიძგებს. დაუქოქავ მუსიკალურ სათამაშოს ადარებს საკუთარ ცხოვრებას ავტორი. და ელოდება, და აკვირდება, და ეძებს... საკუთარ თავს ეძებს, საკუთარი დანიშნულების გაგება სწყურია, გრძნობს ძალას, მისწრაფებას, შინაგან ენერჯიას და მისი გამოყენების ასპარეზს ეძებს. რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ წვიმადაო, — ნატრობდა ვაჟა-ფშაველა. ნინო ნადირაძეს ის დრო ენატრება, როცა არც შიოდა, არც იძინებდა... წყალი თებერვალს მოჰქონდა, მზე — აპრილის ანგელოზებს... თავისი წილი მზისა და ჩრდილის ამარა იყო... ერთი სიტყვით, როცა ხე იყო... ახალგაზრდა პოეტი გვეკითხება:

**რომელი უფრო სასწაულია,
როცა ადამიანები გვიქრებიან
თუ
როცა გრძნობები?**

რატომ წერს პოეტი ლექსებს? ნინოს ამაზე ძალიან გულწრფელი პასუხი აქვს: „**ალბათ სიტყვებმა ამომირჩიეს**“.

და მართლაც რჩეულია (ამორჩეული).

იგი მართლაც დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს სიტყვის და მკითხველის წინაშე. ამიტომაც განიცდის ასე: **ილაპარაკო ნიშნავს — იარო წყალზე და ფეხები გიკანკალებდეს**.

რა გასაკვირია, რომ ახალგაზრდა ქალი და ისიც პოეტი, სიყვარულზე წერდეს? გასაკვირი კი არა, სწორედაც მოსალოდნელი და ლოგიკურია. ოღონდ, მიხვდებით ალბათ, სიყვარულსაც, ისევე როგორც ცხოვრებას, ჩვენგან განსხვავებულად, სხვა სამზეროდან, სხვა ჭრილში ჭვრეტას და აღიქვამს. ეს ჩვენთვის არის სიყვარული ყვავილების, თბილი სიტყვებისა და ფერადი დღეების პირდაპირპროპორციული, ხოლო პოეტისთვის (ფაქიზი სულისა და არაჩვეულებრივი წარმოსახვების ადამიანისთვის) „**სიყვარული ცეცხლის დანთებაა თავსხმა წვიმაში**“.

ან ასეთი ნატვრა:

**მე დავდგებოდი შენი სიცოცხლის ხესთან
პატარა რკინის სარწყავით ხელში
და დავუცდიდი
ჩიტების გუნდის გამოფრენას
საკუთარი გულის ფანჯრიდან.**

ან წარმოსახვა:

**შეიძლება...
უამრავი ქალაქით ჩემგან დაშორებულს,
ჩემი ჩრდილი გადაგეფაროს.**

ან სურვილი:

**არასოდეს აღარ მინდა გამოვიღვიძო,
თუ არ იქნები.**



ნინო ნადირაძე

ნინო ნადირაძე ის პოეტი, რომელიც ნატრობს: დღემ ისე ჩაიაროს, რომ ნამდვილად მოხდეს, რაც ხდება; რომ გასულია „**ცოცხალი ადამიანების საძებნელად**“ და ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა.

და მე მგონია, რომ დღეს ჩვენ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცოცხალი თვითონაა, რადგან ფიქრობს, გრძნობს, წერს, უყვარს, უკვირს და ენატრება... რადგან საკუთარი გრძნობებით მრავალსაც ჰგავს და იმავდროულად — არავის; და ამიტომ ის, რაც ხდება, მართლაც ნამდვილად ხდება.“

ნანა კუცია:

„როცა პირველად წავიკითხე ნინოს ლექსები, უმაღლესე გამიჩინდა განცდა იმისა, რომ ძალიან ღირსეული პოეტი შემოვიდა პოეტურ სივრცეში.“

კრებულის ცენტრალური ლექსი, საერთო სათაურის განმსაზღვრელიც, ილიას ქრესტომათიული ტექსტის რემინისცენციაა. ყოველთვის სარისკოა ქრესტომათიულ ტექსტთან შესმიანება, მით უფრო, თუ ტექსტი გრძნობათაგან ყველაზე საკრალურსა და კამერულს იმარხავს — „სამშობლოს განცდას გასაკვირველს“.

ქრესტომათიულ კონსტრუქციაში დეფინიცია „კარგს“ „ცვილისა“ ჩაენაცვლება, რეალობის ეპოქალურ სიმყარეს — პოსტმოდერნიზმის ხანის სიმყიფე და მოწყვლადობა.

მრავალშროვანი პარადიგმაა ცვილი. გრიგოლ რობაქიძეს სახისმეტყველებით, მისტერიის გვირგვინია — მიწის, ყვავილის, ცვრის, ნექტრის იდუმალი სინთეზის დაგვირგვინება, მინიერად ემანირებული ზეციერის ხატი, საუფლო სანთლის მაღალი „მატერია“.

მეორე მხრივ, განგაშის ნოტივ კრთება საკრალურ დეფინიციაში — ცვილი დრეკადია, ნებისმიერ ფორმას იღებს. ცვილის ქვეყანაც იოლად საძერწ მასალად არ ექცეთ სინმინდეს ავად დაღირებულთო, თითქოს ტრაგიკულს კონსტატირებდეს პოეტი. უნებლიე პარალელი ჯოისიანადან — სტივენ დედლოსი იტყვის ჭირისუფლის მკვახე სარკაზმით: ორ ენაზე ვმეტყველებ (გულისხმობს ირლანდიის პოლიტიკურად დამონებული ინგლისისა და სარწმუნოებრივად დამორჩილებული რომის ეკლესიის ლინგვა-ფრანკას), მესამე ენა კი იმისი იქნება, ვისაც დროებით სამუშაოზე დავჭირდებით.

უარესი ასოციაცია ჩნდება — მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურათა გალერეისა, ბესიკ ხარანაულის შემზარავად ზუს-

ტი კონსტრუქციით — „ფატაგადაფარებული მკვდრე-ბივით მოციმციმე“ სხეულებისა...

რომელია ნინო ნადირაძისეული ცვილი — საღმრ-თო სანთლის ნედლი, სურნელოვანი მასალა; იოლად საძერწი, უნიათო, უხერხემლო, დონდლო ეროვნული სხეულის მატერია თუ... ტიუსოს ცვილი?!

ქრესტომათიულ ტექსტთა ასოციაციებით ნაქსოვ პოსტმოდერნისტულ მხატვრულ ქსოვილში ლექსისა ხან სახარების, ხან ილიას, ხან დუტუ მეგრელის ციტატები გაიდანდება, ხანაც 25-ე კადრივით გასხლტება შუქის ჩამნაცვლებელი ლამფა-გენერატორების მკვდრული სინათლე. „ბოხჩაში გამოკრული საგზალივით შემოღე-ული“ ქვეყნის „ახალუხლები“ დეკლარირებენ:

ჩვენ პატარა ქართველები ვართ და განცხრომით სხვაგან ყოფნას აქ სიკვდილი არ გვირჩევნია.

„პატარა ქართველები“ აქ ორმაგი მნიშვნელობით ამოიკითხება, ასაკობრივზე მეტად, ზნეობრივი სიკინი-ნეა აქცენტირებული სინტაგმაში.

ჭკვიანი, ზნეობრივი პოეტი პროვიდენციალია, ქართველ მემბტიანეთა დარად და პროვიდენციულია ლოგიკური დასკვნა-ფინალიც:

„სახელითა უფლისაათა მოგვეზლო ჩვენ“.
ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ, იოლად საძერწი, არა „ხელის-ხელ საგომანები“, არამედ ხელიდან ხელში გადასაცემი, სხვათა ყალიბებს იოლად მორგებული, „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვისა დამვინყებელი“.

ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ და დავივინყეთ, რომ გმირობის „დრო ყოველთვისაა, ოღონდ გმირები აღარ არიან ყოველთვისა“ (ოთარ ჩხეიძე).

და მაინც — ჩვენ ცვილის ქვეყანა ვართ, სანთელი-ვით დაღვენითილი უფლის ხატთა წინაშე, უფლისაგ სა-დიდებლად.

ნინო ნადირაძე პოეტია და ამ საზღვრულს არ სჭირდება მსაზღვრელად „კარგი“, „ნიჭიერი“... რად-გან „ცვილის ქვეყანაში“ უკვე უთქვამს პოეტთაგან ერთ გამორჩეულს, „რალაც უცნაურ ერთობას ვხედავ სანთელს და ჩემ შუაო“...

„ჩემო ცვილის ქვეყანავ“ ქრესტომათიული ტექსტის უაღრესად წარმატებული პოსტმოდერნისტული წაკითხ-ვაა. ნინო ნადირაძემ კიდევ ერთხელ მიმართა ქართველი მკითხველის მხერა „თავისი (კარგი) / ცვილის ქვეყნის“ ფატალურ-საკრალური სულიერი სივრცისაკენ...

ლონისძიების მიწურულს ნინო ნადირაძის პოეტუ-რი კრებულიდან განმეანებული ლექსების გამო შთა-ბეჭდილებებიც გამოთქვებს და საგულისხმოდაც ისა-უბრეს: **ვახტანგ ბახტაძემ, მაკა ჯოხაძემ, თამარელა წონორიამ, დალილა ბედიანიძემ და ლევან ქურცი-კაშვილმა.** უმთავრესად გამოიხატა: ეს ლექსები სა-სურველი იქნებოდა წაკითხონ საჯარო სკოლების უფ-როსკლასელებს, ზოგადად ახალგაზრდებს, რადგან ცხადლივ შეიგრძნონ, კრებულის არაჩვეულებრივი სტრიქონებიდან როგორ ლელავს სიყვარული: როგორ უყვარს პოეტს ადამიანი, უყვარს თავისი სამშობლო და რომ სწორედ ასეთი სიყვარული გაამყარებს ქვეყანას და არა უსახო და დამანგრეველი ნიჰილიზმი...

აგრეთვე დაულოცეს ნინო ნადირაძეს გზა დიდი ტრადიციების ქართულ პოეზიაში და უსურვეს, ბედნი-ერ სამშობლოზეც დაენეროს ლექსები სამომავლოდ. ცხადია, შესაბამისი განცდით.

2014 წლის 1-10 მაისის ექსპედიცია არტანუში

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის — „საზღვრა-გარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკ-ვიდრეობის სამეცნიერო კვლევა“, გამარჯვებული პროექტის — „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების ტაო-ქლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულ-ტურის ძეგლების კატალოგის“ განხორციელების ფარგლებში 2014 წლის 1-10 მაისის ჩატარდა საკვლევო ექსპედიცია თურქეთის რესპუბ-ლიკაში არდაანის პროვინციის ჰანაკისა და ნანილობრივ ფოსოფის, და-მალის, არდაანისა და ჩილდირის რაიონებში.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ თეიმურაზ ხუციშვილი (ხელმ-ძღვანელი), ლევან ნიძარაშვილი, ბაბურ გოზალიშვილი, ანა ბა-ლაშვილი, შალვა კოლუაშვილი და ანა იმედაშვილი. კონსულტან-ტები: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი — დიმიტრი თუმანიშვი-ლი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით მაისურაძე.

საექსპედიციო მუშაობისას მიკვლევულ და შესწავლილ იქნა რამდენ-იმე ათეული ძეგლი. მათ შორის — მეგალითური ნაგებობანი, ქრისტიან-ული ხანის ტაძრები, ციხეები, ისტორიული ნასოფლარები. საკვლევ ტერიტორიაზე დავაფიქსირეთ ლიტერატურაში ცნობილი ურარტული კლდეზე ნაკვეთი ლურსმული წარწერა, აქამდე უცნობი ოთხი ასომთავ-რული ლაპიდარული წარწერა, ერთი ასომთავრული კლდეზე ნაკანრი წარწერა, ერთი ნუსხური ბათქაშზე ამოკანრული წარწერა, რამდენიმე რელიეფი და სტელა. ასევე დაზუსტდა მანამდე ცნობილი ქართული კულტურის ძეგლების მდებარეობა და თანამედროვე მდგომარეობა.

თანამედროვე თურქეთში მოქცეულია ისტორიული მსხვეთის ტარიტორიების დიდი ნაწილი, რომლებიც დასავლეთ ევფრატის აუზიდან (დღევანდელი ერაზუმის მიდამოები) და სპირიდან ჩრდილის ტბამდე იყო განფენილი. ამჟამად ეს ადგილები სპირის, ერაზუმის, არდაანის, ჰარისის და ართვინის პროვინციებში შადის. მოკლედ მოვიყვანო ჩვენი ექსპედიციის შედეგებს:

პირველი მაისი

ფოსოფის რაიონში, ისტორიულ სოფელ ალში, თანამედროვე სოფელ ალკოში (Alk) ჯმდებარეობდა წმინდა გიორგის სამონასტ-რო კომპლექსი. ძეგლი მრავლადაა მოხსენიებული ისტორიულ წყა-როებში (ქართულ ხა., S კოლექცია, 1961; ქართულ ხა., კოლექცია, 1948; სამხრეთ სიმ., 1982; ბაქრაძე დ., 1987; გვარამაძე ი., 1881; Уварова Пр., 1894; Девицкий В., 1905; Садовский К., 1886.). ალის მონასტერი აღწერილია XIX-XX საუკუნის მკვლევართა მიერ. ექსპე-დიციამ ალში დააფიქსირა ალის მონასტრის ნაშთები:

სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობის კედლის ნაშ-თი, ორი ორნამენტისანი ქვა და საფასადო ქვების გაბნეული დეტა-ლები. სოფელ ალშივე ინახა და აიზომა რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა და კედლის მხატვრობის მცირე ფრაგმენტები.

მთავარი ტაძრის ადგილიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახ-ლოებით 30 მეტრზე მონასტრის სხვა ნაგებობის კვალია. მათ შო-რის რვანახნაგა დიდი ზომის ემბაზი, რომელიც პ.უვაროვამ დაა-ფიქსირა 1894 წელს ექსპედიციაში.

ორი მაისი

ორბუხას მეგალითური ციხე

ექსპედიციამ ჰანაკის რაიონში, ისტორიული სოფელ ორბუხას მიდა-მოებში, რომელიც ამჟამად თანამედროვე სოფელ ჩავდარლის (`avdarly) სიახლოვეს, სამოვრებზე მდებარეობს, მიაკვლია მეგალითურ ნაგებობას და ნასახლარს, რომელსაც ადგილობრივები ეკლესიას უწოდებენ.

ორბუხას მეგალითური ნაგებობა აშენებულია მშრალი წყობის უხეშად დამუშავებული მეგალითებისგან, ზოგიერთი ქვის სიგრძე ერთ მეტრს აჭარბებს. ნაგებობა მართკუთხა ფორმისაა და მისი ზო-მებია — 9.8X8.60 მ. დანგრეული კედლის დარჩენილი სიმაღლე 2 მ-ია.

სამი მაისი

ფიქლობის მეგალითური ნაგებობა

ჰანაკის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ფიქლობთან**, თანამედროვე სოფელ ინჯედერეს (Yncedere) ჩრდილოეთ ნაწილში, მაღალ კლდეზე **მეგალითური ნაგებობაა**.

ნაგებობა მართკუთხა ფორმისაა და მისი ზომებია 8,90X8,60 მ. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 4-5 მეტრია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კედლის სიმაღლე 6 მეტრს აღწევს. ნაგებობა თითქმის დაუმუშავებელი ქვებითაა შენობილი. შესაძლებელია სამარხი იყო ან საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

სოფელ ვარდოსანის ციხე

სოფელ ჰატარა ვარდოსანის განაპირას, დასავლეთით, მდინარისკენ მოქცეულ კლდის კონცხზე მდებარეობს **მეგალითური ნაგებობის ნაშთი**. ის ძლიერაა დანგრეული და შემორჩენილია მხოლოდ ერთი კედლის ნიჟარის რამდენიმე რიგი.

ციხის დასავლეთით ვერტიკალურ კლდეზე, რომლის ქვეშაც მცირე მღვიმეა განთავსებული, კლდის ზედა ნაწილში მივაკვლიეთ მრავალრიცხოვან თანამედროვე თურქულ **ნარნეებს**. კლდეზე განიხილავთ გეომეტრიული ფიგურები და რამდენიმესტრიქონიანი გაურკვეველი ნარნერა. ერთ-ერთი ამოკანრული ნარნერა დაქარაგმებული ასომთავრულითაა შესრულებული. ის ასე იკითხება: „**ღმერთო შეინყალე ლუკა**“. კლდეზე განიხილავთ სხვა ქართული ნარნეების კვალიც.

ოთხი მაისი

ჩიხირეთის ეკლესია და „სტელა“

ჰანაკის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ჩიხირეთში**, თანამედროვე სოფელ იუნბუკენთან (Y un keñ), სოფლიდან დასავლეთით დაახლოებით 700 მეტრზე, მდ.სამოთხისწყლის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს **ეკლესიის ნაშთი**. შემორჩენილია ჩრდილოეთის კედლის ნიჟარა, ოთხი კარგად გათლილი კვადრი, შემორჩენილი კედლის ზომა 130 სმ-ია.

ტაძარის სამხრეთი კედლის ნანგრევთან აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და დამუშავებული ქვის ფრაგმენტები — ლორფინებისა და ორნამენტული ლავგარდანის ნაწილი. ქვებს შორის ვნახეთ დაზიანებული სვეტის კაპიტელი, რომლის ზომებია — 48 X 32 სმ. კაპიტელის აბაკაზე ერთ მხარეს გამოსახულია კუნუბები და რომბისებრი ჩუქურთმები, კარგად ჩანს კაპიტელის ორი კუთხე, დანარჩენი ნაწილი დაზიანებულია. ეკლესია მოთეთრო ფერის ქვით ყოფილა ნაშენი. ადგილობრივების ინფორმაციით, ეკლესიის ნანგრევებს შორის იყო ქვაზე გამოსახული ქალისა და ლომის გამოსახულებანი.

ჩიხირეთის ეკლესიის „**სტელის**“ ფრაგმენტები ინახება სოფელ ქონქის თანამედროვე (საზღიჩაირის) მოსახლის ეზოში. მისი ზომები: სტელა 95X53 სმ, სტელის ფრაგმენტი 60X30 სმ.

2. მღვიმეების კომპლექსი ნასოფლარ მაღაროსთან

ისტორიული სოფელი **მაღარო** მდებარეობდა თანამედროვე ჰანაკის რაიონში, სოფელ ჩაიაღზის (' ayađzý) აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარე კასრეთისწყლის მარცხენა სანაპიროზე ვარძიის კომპლექსის მსგავსი მღვიმეები კომპლექსი ნასოფლარ მაღაროს სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. კლდეში ნაკვეთის კომპლექსი დაფიქსირებული აქვს კონსტანტინე ოდიშარის 1913-1918 წლის მოგზაურობის დღიურებში (მარტვილელი კ., 1917; სიხარულიძე ფ., 1998) და 2012 წელს ნინო და გიორგი ბაგრატიონებს.

ზემო ფუჩღულეთის ურარტული ნარნერა

ჰანაკის რაიონში, დაბა ჰანაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კმ-ზე მდინარე კასრეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა ისტორიული სოფელი **ზემო ფუჩღულეთი**. ნასოფლარიდან მდინარის ხეობის აყოლებაზე, დაახლოებით 400 მეტრზე, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, მაღალ ვერტიკალურ კლდეზე, მიწის ზედაპირიდან 6-7 მეტრის სიმაღლეზე შეიმჩნევა ურარტული **ლურსმული ნარნერა**. ნარნერიდან შემორჩენილია 12 სტრიქონი. მოხსენიებულია ურარტუს მეფე არგიშტი I. ნარნერა ცნობილი იყო 1992 წლიდან (Din ol A1992)

გირნავის ციხე

ნასოფლარის სამხრეთ-აღმოსავლეთით შემადგენელ ადგილზე მდებარეობს **გირნავის ციხე**. ის საკმარისად მასშტაბურია, შემორჩე-



ახალაღმოჩენილი ჩიხირეთის სტელა

წილია დიდი ზომის კედლები. ისინი სქელია. ნაგებობა თლილი ქვითა და დულაბით, განიხილავთ მშენებლობის სულ ცოტა ორი ფენა. ციხე დაფიქსირებულია თანამედროვე მკვლევართა მიერ. (Baumgartneß .,1996; კუდავა ბ., 2005).

ხუთი მაისი

1. ხოშურეთის ეკლესია

ჰანაკის რაიონში, თანამედროვე სოფელ დილეკდეში (Dilekdeş) ისტორიული სოფელ **ხოშურეთში** მდებარეობს **ეკლესია**. ის უცნობია მკვლევართათვის. ამიტომაც მოგვყავს შედარებით სრული აღწერა. მისი კედლები დაშენებულია ბუნებრივ დიდი ზომის ქვებზე. ტაძარი დარბაზულია, გეგმარებით ნაგრძობილი მართკუთხედის ფორმის (ზომები — 4X6მ, კედლების სისქე 0,75მ.). ეკლესია დაზიანებულია, აღარ აქვს გადახურვა, მორღვეულია სამხრეთით გაჭრილი კარის ჭრილი და აღმოსავლეთ სარკმლის საპირე. დასავლეთით გაჭრილია კვადრატული ფორმის სარკმელი, ინტერიერში სრულადაა შემორჩენილი ნახევარწრიული კამარა, ინტერიერი მოპირკეთებულია კარგად გათლილი რუხი მონაცრისფრო ქვით. ნახევარწრიული აფსიდა სივრცისგან გამოყოფილია პილასტრებით, რომელიც კამარასთან მთავრდება სამილილოვანი კაპიტელებით, კამარის შუა ნაწილზე და დასავლეთი კედლის შერწყმის ადგილას ნახევარწრიული თაღები გადადის, რომლებიც ერთსაფეხუროვანი ქუსლით ბოლოვდება. ფასადი სანახევროდ დაზიანებულია, მოპირკეთებულია მონაცრისფრო, არათანაბარი კვადრებით, რომელთა მხოლოდ ზედაპირია დამუშავებული, არაა გამოყვანილი ქვის კუთხეები. ჩრდილოეთ კედელზე თითქმის სრულად დარჩენილია შებრტყელებული ფოსოს პროფილის მქონე კარნიზი. აღმო-

სავლეთ ფასადიდან ჩამოვარდნილია სარკმლის თავსართი ქვა ზედ ორნამენტული ჯვრის გამოსახულებით, რომელიც იქვე ტაძართან მინაზე დევს (ზომები — 1,05X70 მ.).

ზემო ბორგის ეკლესია

ჰანაკის რაიონში, თანამედროვე სოფელ ბორკის (Börk), ისტორიულ სოფელ **ზემო ბორგში**, სოფლის სამხრეთით მდებარეობს მოზრდილი დარბაზული ეკლესია. ის ნაგებია მუქი ლურჯი ქვის ზომიერი კვადრებით. აღსანიშნავია დასავლეთი კედლის სარკმლის თავზე გამოსახული ე.წ. ბოლნური ჯვარი. ინტერიერში დარჩენილია ნალესობის სქელი ფენა, შესაძლოა ეკლესია მოხატულიც იყო. საკურთხევის აფსიდის სარკმლის სამხრეთ მხარეს, ნალესობაზე ამოკანწულია სავარაუდოდ ხუთსტრიქონიანი ნუსხური ნარწერა — ნახევრად დაზიანებული, და ჩამოვარდნილი ბათქაშის გამო განყვეტილია სტრიქონები. ტაძარი სტილისტურად X საუკუნით თარიღდება. (Baumgartner, 1996; ბაგრატიონი გ., 1996, G ndogduH. 2002.).

ველის ციხე და ეკლესია

ჰანაკის რაიონში, თანამედროვე სოფელ სევიმლისთან (შევიმლი), ისტორიულ სოფელ **ველში**, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან მდებარეობს დიდი ზომის **ციხე**, რომლის ნაგებობებიც განლაგებულია რამდენიმე ასეული მეტრის სიგრძის შვერილ კლდეზე. კლდეს სამი მხრიდან ჩამოუდის მდ.მტკვარი. ციხის ნაგებობებიდან შემორჩენილია რამდენიმე დიდი ზომის შენობა და ორი ეკლესია, ასევე გალავნის ფრაგმენტები. ექვთიმე თაყაიშვილმა 1909 წ. ეკლესია კარგად შენახული ნახა, ინტერიერში მხატვრობა და ნარწერებიც (ბერი ეგნატაშვილი, 1959; იბრაჰიმ ფეჩევი 1964; Alber, 1844; Такайшвили Е., 1909; ბაქრაძე დ., 1889; ბავრელი ს., 1878; Бақраძე Д., 1882-1883; Thier, 1989; Baumgartner 1996 ბაგრატიონი გ., 1996, G ndogduH. ,2002; ჭიჭინაძე ზ., 1902; სიხარულიძე ფ., 1998, მარტიველი კ., 1917; ლომსაძე შ., 1968).

ამჟამად ეკლესიიდან დარჩენილია დასავლეთი და აღმოსავლეთი კედლის ნაშთები, ნარწერები, მოხატულობა მთლიანად განადგურებულია.

4. უგუბოს (გოგიუბა) ეკლესია ჰანაკის რაიონში, თანამედროვე სოფელ ბინბაშაკთან (Binbaşak), ისტორიულ სოფელ **უგუბოსთან** ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრზე მდებარეობდა. აქ იდგა ექვსაფსიდიანი ეკლესია, კარგად გათლილი ქვით მოპირკეთებული და რელიეფებით შემკული, თარიღდება ეკლესია X საუკუნის მეორე ნახევრით და ამ ეპოქის გამორჩეულ ძეგლადაა მიჩნეული. 1902 წლამდე ის უფრო სრული სახით იყო შემორჩენილი 1960-იან წლებში ეკლესია მთლიანად დაანგრია ადგილობრივმა მოსახლეობამ, ნანოლი ქვებისა ჩატანებულია სოფლის ჯამეს გალავანში.

მალაღის მთის კომპლექსი ("უგუბოს კომპი")

ჰანაკის რაიონში, თანამედროვე სოფლების ბორკისა და ბინბაშაკის, ისტორიულ სოფლების ზემო ბორგსა (Börk) და უგუბოს (Binbaşak) მახლობლად მდებარეობს **მალაღის მთა** (ზღვის დონიდან 2285 მ.). მთის წვერზე შემორჩენილია **კომპლექსის** ფრაგმენტები და კომპის კედლები (აქამდე აღუწერელი). კომპლექსი გარშემორტყმულია ქვის დაბალი გალავნით. კომპლექსის ნაგებობათა კედლების სიმაღლე დაახლოებით ერთი მეტრია ისინი მშრალი ნყოფითაა ნაგები, განიარჩევა გეგმარება და ერთმანეთთან დამაკავშირებელი კარების ადგილი. კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია კომპის ფრაგმენტი, რომლის სიმაღლე 6 მეტრია, კომპი ნაგებია კარგად გათლილი, თანაბარი ზომის კვადრებით, კირის გამოყენებით. კომპის სიგრძეა 13 მეტრი (სიგანე არ იზომება). ყველაზე კარგად შემორჩენილია ჩრდილო-დასავლეთი კუთხე (ზომები — 2X5 მ.). კომპლექსის სამხრეთ-აღმოსავლეთით შემორჩენილია დიდი ზომის 3X2 გათლილი ქვის ფილა (შესაძლებელია სამარხის სარქველი). კომპლექსის კომპი მოჩანს მიმდებარე

სოფლების მიდამოებიდან. ადგილობრივი მოსახლეობა ამ კომპლექსს წმინდა ადგილად მიიჩნევს და ზიარეთს უწოდებს (ზიარეთად ჰანაკის რაიონში ადგილობრივი მოსახლეობა კიდევ რამდენიმე მწვერვალის კომპლექსს მოიხსენიებს). აქედან იშლება ვრცელი პანორამა ჯავახეთის, ერუშეთისა და პალაკაციოს მიდამოზე. კომპი სოფელ უგუბოს თავზე ნახსენები აქვთ მკვლევარებს, თუმცა ადგილზე არ მისულან და აღწერა არ აქვთ მოტანილი (Такайшвили Е., 1909; G ndogduH. 2002).

ექვსი მაისი

ზაქის ტრიკონქი. სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით 2 კმ-ზე, მდებარეობს მოზრდილი **ტრიკონქის** ტიპის ეკლესიის ფრაგმენტები.

ზაქის ტრიკონქის ტიპის ეს ეკლესია 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ აღმოაჩინა. მოგვიანებით ტაძარი აუფეთქებიათ. დარჩენილია მხოლოდ სამხრეთი მკლავის აფსიდი კონქითურთ და მცირე სათავსი. ზაქის ეკლესია X საუკუნით თარიღდება და საინტერესოა არა მხოლოდ არქიტექტურული ფორმებით, არამედ იმ ფიგურული რელიეფებით, რომელნიც მას ამკობდნენ (Такайшвили Е., 1909; Thier, 1989; Baumgartner, 1996; 1998; Thier, 1989; Thier, 1989; გივიაშვილი ი., 1996; გივიაშვილი ი., 2005; ბერიძე ვ., 1950; ბაგრატიონი გ., 1996).

ერუშეთის საეპისკოპოსო ტაძარი

ერუშეთში მდებარეობდა საეპისკოპოსო ტაძარი. 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილს ეკლესია უკვე დანგრეული დახვდა. შემორჩენილი იყო კედლების და საკურთხევის ფრაგმენტები (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973; გიორგი მერჩულე, 1963; ლეონტი მროველი, 1955; ჯუანშერი, 1955; Такайшвили Е\ = 1909).

დღეის მდგომარეობით ტაძრიდან დარჩენილია მხოლოდ საკურთხეველის კედელი და ერთი ორნამენტიანი ქვა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა გვანახა ფოტოსურათი, რომელზეც დაზიანებულ ქვის ფრაგმენტზე ადამიანის სახეა გამოსახული, მათივე ინფორმაციით, ეს ქვა ერუშეთის ტაძრიდანაა წაღებული და ერთ-ერთ მოსახლესთან ინახება.

შვიდი მაისი

მეგალითური ნაგებობა სოფელ ორეზაქთან

ჰანაკის რაიონში, ისტორიული სოფელ **ორეზაქის**, თანამედროვე სოფელ ჩაიალზის (' ayadızy) სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრზე, მალალ მთაზე მდებარეობს თლილი **მეგალითებით აშენებული ნაგებობა**. მისი გეგმა სამხრეთიდან-ჩრდილოეთისკენ წაგრძელებულ მართკუთხედს წარმოადგენს (ზომები 11,50X8 მ.). ნაგებობას შემოუყვება მეგალითებით ნაგები კედელი. გარშემო ნასახლარების კვალი შეიმჩნევა.

ურის ციხე

არდაანის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ურში**, თანამედროვე სოფელ ალტაშში (Alta), მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სოფლის განაპირას მალალ ბორცვზე მდებარეობს **ციხე**. ციხე კარგად მოჩანს ავტომაგისტრალიდან.

წრიული გეგმარების ციხე ნაგებია უხეშად დამუშავებული დიდი ზომის ქვებით. ციხის სამხრეთით გალავნის კედელში ჩართულია ცილინდრული კომპი.

მეგალითური ნაგებობა სოფელ ჯვარისხევთან და სოფელ ჯვარისხევის ორნამენტული ქვა

ჰანაკის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ჯვარისხევის**, თანამედროვე სულაკაირის (Sulakçayr) ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 1 კმ-ის მანძილზე, მალალი ბორცვის თავზე, მდებარეობს **მეგალითებით ნაგები ნაგებობა** (ზომები 14X10 მ.). ნაგებობა დანგრეულია და კედლები შემორჩენილია ერთი მეტრი სიმაღლის დონეზე. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობის ადგილს კოჭობას უწოდებს.

სოფელ ჯვარისხევის ცენტრში, ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლის კიბესთან კედელზე მიდგმულია ქვა, რომელსაც **ორნამენტული ზედაპირი აქვს** (ზომებია 115X60 სისქე 28 სმ), ეს ქვა ჩვენი ექსპედიციის მიერ პირველად იქნა დაფიქსირებული. მასზე გამოსახულია სამი თალი, მესამე თალი არასრულადაა გამოსახული. ნახევარწრიული ფორმის თალები ეყრდნობა სვეტებს, თალებში სავარაუდოდ გამოსახული იყო ჯვრები, ჯვრის ზედაპირები ამოტყვევებულია და მხოლოდ კონტურები განირჩევა, თალებს სამივე მხრიდან მოაჩარჩოებს ორნამენტული არხები, თაღნარის ზედა მხარეს რომბისებრი ნულია, ქვედა მხარეს სამპიროვანი ჩაკეტილი ლიწი და კუნთების ორნამენტი შემოუყვება, მარჯვენა მხარეს კი წრეებისებრი ორნამენტი, მარცხენა მხარე ან დაზიანებულია, ან შესაძლოა ორნამენტი მეორე ქვაზე გრძელდებოდა, რადგანაც სიმეტრიულადაა ჩამოთლილი ქვის კიდე. რელიეფზე წარმოდგენილი კომპოზიცია იმეორებს არქიტექტურულ ფორმებს.

რვა მაისი

ორჩოკის ეკლესიები და მეგალითური ნაგებობა

არდაანის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ორჩოკში**, თანამედროვე სოფელ ოლჩეთთან (1 სქ შემორჩენილია **ეკლესიის** ფრაგმენტები. ეკლესია ნახევრად დანგრეულია, მთლიანადაა შემოძარცვული პერანგი, მხოლოდ აღმოსავლეთ აფსიდთან შემჩნევა მოპირკეთების რამდენიმე ქვა (ეკლესიის ზომებია 9X5,20 მ. კედლის სისქეა 0.50 მ. დანგრეულია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედელი (მინის დონიდან 100-200 სმ-ია დარჩენილი). კარი სამხრეთიდან ყოფილა გაჭრილი, შედარებით უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთი და დასავლეთი დულაბიანი კედლები.

სოფლის ცენტრში შემორჩენილია კიდეც ერთი **ეკლესიის** ფრაგმენტები. ის ძლიერ დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ 4 მ. სიმაღლის საკურთხეველი. ეკლესია მოპირკეთებული ყოფილა საშუალო ზომის ქვებით, მოპირკეთების ქვები შემორჩენილია საკურთხეველსა და დასავლეთი კედლის კუთხეში. ეკლესიის ზომებია 8,50X 5 მ. აღმოსავლეთი კედლის სიმაღლეა 3,40 მ.

სოფელ ორჩოკის აღმოსავლეთით, შემალღებულ ბორცვზე აშენებულია საკმაოდ უჩვეულო გეგმარების **მეგალითური ნაგებობა**. ნაგებია მშრალი წყობის დიდი კვადრებით, აღსანიშნავია ორი კუბის ფორმის მიახლოებული გათლილი ქვა. ცენტრალური ნაგებობის ზომებია 9,5X6 მ.

კალაჯუკის ეკლესია და ციხე

არდაანის რაიონში, ისტორიულ სოფელ ორჩოკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 3 კილომეტრზე, ბორცვის ძირას მდებარეობს ნასოფლარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა **კალაჯუკს** უწოდებს. ნასოფლარის ტერიტორიაზე მდებარეობს **ეკლესიის** ფრაგმენტები. კალაჯუკის ეკლესია ნახევრად დანგრეულია, თითქმის სრულადაა დარჩენილი აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები, კარგად იკითხება ღრმა ნახევარწრიული აფსიდი, საკურთხეველში სარკმლის ორივე მხარეს ნიშები. მთლიანადაა შემოცლილი პერანგი, მხოლოდ აღმოსავლეთით კედლის ქვედა დონეზეა ფასადის რამდენიმე ქვა, რომელზეც ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა. ეკლესიის ზომებია 8.50X4.50 მ. კედლის სისქე 0.70. აღმ. კედლის სიმაღლე 3,50 მ.

ნასოფლარის ჩრდილოეთით ბორცვის თავზე მდებარეობს დიდი ზომის **ციხის** ფრაგმენტები. ციხის მიახლოებითი ზომებია 42X38 მ. კედლის სისქე 2-დან 3 მეტრამდე. ნაგებია მშრალი წყობის დიდი ზომის ქვებით. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით შიდა სივრცეში ნაგებობათა კვალია.

დუღუნას ეკლესია

არდაანის რაიონში, ისტორიულ სოფელ **დუღუნაში**, თანამედროვე სოფელ ბალიკჩარში (Balıkcıyar), მტკვრის მარჯვენა

ნაპირზე, ღრმა ხევთან, სოფლის განაპირას შემორჩენილია ეკლესიის ნანგრევები. უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთი კედელი და აფსიდის მომრგვალება, კედელს შემოცლილი აქვს მოპირკეთების ქვები, ინტერიერში ალაგ-ალაგ შემჩნევა რამდენიმე პერანგის ქვა, ეკლესიის ზომებია 8.50X5 კედლის სისქე 0.80 მ.

ცხრა მაისი

მუნუსის ციხე

დამალის რაიონში, ისტორიული სოფელ **მუნუსის**, თანამედროვე სოფელ იქიზდერეს (Ykizdere) აღმოსავლეთით 3-4 კმ-ზე, ბორცვზე მდებარეობს **ციხის** ფრაგმენტები. ციხე ნაგებია საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვებისგან მშრალი წყობით. ციხის კედლები მიყვება რელიეფს და მრავალკუთხედის ფორმას ქმნის, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 30 მ-ია.

პატარა ტამალის ეკლესია

დამალის რაიონში, ისტორიულ სოფელ პატარა ტამალში, თანამედროვე ქალაქ დამალში (Dama1), დაბის განაპირას ჩრდილოეთით შემორჩენილია ეკლესიის ფრაგმენტები. დაზიანებული ეკლესია დარბაზულ ნაგებობას წარმოადგენს, აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით. შესასვლელი კარი სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან არის გაჭრილი, ორივე კარის ჭრილი მორღვეულია, მორღვეულია კამარაც და აღმოსავლეთით გაჭრილი სარკმლის საპირეც. ფასადსა და ინტერიერში შემორჩენილია მოპირკეთების არათანაბარი ზომის რამდენიმე ქვა, ეკლესია ნაშენია მოყვითალო-მონაცრისფრო ქვით. მისი ზომებია 8,2X4,3 კედლის სიმაღლე საკურთხეველში ექვს მეტრს აღწევს, ხოლო დანარჩენი კედლები 3.50 მ-ია.

ზემო წურმანის სტელა

პანაკის რაიონში, ისტორიულ სოფელ **ზემო წურმანში**, თანამედროვე სოფელ აშალიაიდერეში (Apađıyaydere) მოსახლესთან ინახება დიდი ზომის ქვა, რომელზეც ამოკვეთილია ჯვრის კონტურები. აქვე ინახება ქვის რვანახნავა **სტელა**, რომლის ერთ ნახნავზეც ამოკვეთილია ასომთავრული ქარაგმული წარწერა. ქვის სიმაღლეა 0.70 მ.

ათი მაისი

მერეს ციხე და ეკლესია

ფოსოფის რაიონის, ისტორიული სოფელ **მერესთან**, თანამედროვე სოფელ ჩაკირკოთან ('akırkoç), კლდოვან ბორცვზე აღმართულია **ციხე**. ის გეგმარებით მთის რელიეფს შემოუყვებოდა, დღეს სანახევროდ დანგრეულია და დარჩენილია სამი დიდი ფრაგმენტი, ციხის კედლებზე შემჩნევა რამდენიმე სამშენებლო ფენა, მათგან ერთ-ერთზე, სამხრეთ-დასავლეთ ფრაგმენტში შიგნიდან სქელ კედელში მოწყობილია სადგომი, რომლის შესასვლელის მარცხენა მხარეს, ქვის ფილაზე **მხედრული წარწერაა**.

ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავნის გარეთ ფერდზე დგას ნახევრად დანგრეული, პერანგშემოცლილი **ეკლესია**, მას სამხრეთით ჰქონია მინაშენი. ამ კედელზე საკურთხეველის მხარეს ქვის ორ კვადრზე დარჩენილია მხატვრობის კვალი.

ეკლესია კარგად გათლილი ქვით ყოფილა მოპირკეთებული. მერეს ციხე და ეკლესია აღწერილი აქვთ პ.უვაროვას, ი. გვარამაძეს ვ, დევიციკის (გვარამაძე ი., 1881; Уварова Пр., 1894; Девицкий В., 1905; Садовский К., 1886).

სოფელი ღვიმე — ნისიმეს წარწერა

ფოცხოვის რაიონის სოფელ ღვიმეში ერთ-ერთ მოსახლესთან ინახება მასიური სარკმლის ქვა, რომლის ორივე მხარეს კარგად გამოყვანილი ასომთავრული წარწერაა — **„ქრისტე შეინყაღე დედოფალი ნისიმე“** (ზომები 0.80X0.60 მ. სისქე 0.27 მ). ამოკვეთილი ასოების სიმაღლე 10 სმ-ია.

სოფელში ეკლესია მდგარა, რომელიც დღეს სრულიად განადგურებულია, ადგილობრივთა თქმით, სარკმლის ქვა ამ ეკლესიიდანაა წამოღებული.

ელგუჯა თავბერიძე

„...ჭირიცა შევიწყნაროთა“

ლიანა ელიავას „როდის მივდივართ ბარსელონაში?!“ („ჩვენი მწერლობა“, 2014, №4) ავტობიოგრაფიული რომანია (გარეკანზეც ასეა მითითებული). უამრავი წერილმანი, ყოველდღიური საოჯახო ამბებია გასხენებული, მაგრამ ვერ იტყვი, რომელიმე ზედმეტია, ნამეტანი დაწვრილმანებულიაო, პირიქით, რაღაც რომ მოკლებოდა, ტექსტი ექსპრესიული აღარ იქნებოდა, ამბიდან ამბავზე ბუნებრივი გადასვლა დაიკარგებოდა.

გაბმული თხრობაა, თხრობა უმეტესად დარდიან ყოფიერებაზე, რომელიც ერთეულთათვის, თუნდაც ლიანა ელიავას რანგის შემოქმედისა და პიროვნებისათვის, სასიხარულო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბედისწერას ვინ გაქცევია. ბედისწერის თანამედროვე ტექსტის ყოველ სტრიქონში იკითხება, საბოლოოდ კი რწმუნდება მკითხველი, რომ ყოველივე დაბადებისთანავე, ზეცაშია გადაწყვეტილი.

ბარსელონაში წასვლაზე ბოლოს ვთქვათ.

ფრაიბურგის საერთაშორისო კინოფესტივალის ხელმძღვანელები ლიანა ელიავას მშვენიერ ფილმს „ბზიანეთს“ ითხოვენ — ამ სასიხარულო ამბით იწყება ტექსტი. რამდენად სასიხარულო აღმოჩნდება, მალე დარწმუნდება მკითხველი და იმასაც კარგად დაინახავს, ქართული ფილმები ბედის ანაბარა რომაა მიგდებული, იქ, მოსკოვში ჰქონიათ შენახული 1990 წლამდე გადაღებული ყველა ფილმი, აქ შენახულსაც ვეღარ პოულობენ.

„როდის მივდივართ ბარსელონაში?!“ ადამიანთა შორის უსულგულო, ცივი დამოკიდებულების უარყოფელი ტექსტია. იმის ხმამალა თქმაა, საკუთარ თავს თუ არ ვუპატრონეთ, სხვა ვერავინ მოგვხედავს. ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც — ფინეთიდან ფილმისათვის ინგლისური სუბტიტრების დასართველად ჩამოსული რეჟისორი აღმოაჩინა, რომ ის დისკი, რომელზეც „ბზიანეთი“ აქვს ჩანერილი, ფრაიბურგის ფესტივალისათვის გამოუსადეგარია, ტელევიზიაში კიდევ ფილმის ნეგატივი დაუკარგავთ. ასე ჩაიშლება ფესტივალზე „ბზიანეთის“ გაგზავნა, ვითომც არაფერი, ტექსტიდან ჩანს, რომ ამბავს ჩვეულებრივად აღიქვამენ ისინი, ვინც პირიქით, თვითონაც უნდა გადაიროს და სხვებიც გადაიროს მომდარზე.

ვენეციის ფესტივალზე წაუსვლელობას შევეგუე და ფრაიბურგი რაღაა, ამასაც შევეგუებო, — გვეუბნება ავტორი.

ტყუილსა და უსულგულობაზე ვთქვით — შთამბეჭდავდაა აღწერილი, როგორ იტყუება მომვლელი ქალი, რა კითხვებს არ დააყრის ავტორი, რა ჩამჭრელ არგუმენტებს არ მოიშველიებს, მაგრამ სიმართლეს ვერაფრით ათქმევინებს.

ამ კითხვებზე რეზო ჭეიშვილის ნოველა გამახსენდა. „ფრანგულის სპეციალისტი“ ჰქვია ამ ნოველას და ლიანა ელიავაზეა. „ბზიანეთს“ ახმოვანებენ. აღმოჩნდება, რომ ფილმის კაიძალი ნაწილი ფრანგულადაა გასახმოვანებული, მოიყვანენ ამ ენის ერთ სპეციალისტს, რომელიც ფრანგულად გახმოვანებას ვერ შეძლებს და სხვას ურჩევს, მოვა ის მეორეც, მაგრამ ხომ უნდა გაარკვიონ, იცის თუ არა ფრანგული? ლიანა ელიავა ამას რეზო ჭეიშვილს მიანდობს. ის იუარებს, ერთი ღერი ფრანგული არ ვიცი, როგორ გავარკ-

ვიოო. ფრანგულის უცოდინრადაც შეიძლება გარკვევა, იცის თუ არა ამ ქალბატონმა ფრანგულიო. საფრანგეთში ხარ თუ არა ნამყოფიო, რომ ჰკითხავს, ის უპასუხებს, იქ დავიბადეო, იქ დაიბადეთ და სკოლა, ალბათ, აქ დაასრულეთ? არა — იქ, მივხვდი, სკოლის მერე ჩამოდი და უმაღლესში აქ ჩაირიცხეთ? არა, იქ, საფრანგეთის თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, ინსტიტუტის შემდეგ ჩამოხვედი აქ? არა, ჯერ იქ ვმუშაობდი. სად? საფრანგეთის ტელედეპარტამენტში! რად? ტელედიტორად.

ფრანგულის უკეთეს მცოდნეს სად მოძებნიდნენ. რეზო ჭეიშვილს გაურკვევია კი არა, სრულიად ნათელი მოუფენია ყველაფრისათვის.

არანაკლები ჩამჭრელი შეკითხვები დააყარა ლიანა ელიავამ მომვლელ ქალს, მაგრამ სიმართლე მაინც ვერ ათქმევინა. მწერლის მსჯავრი დამაფიქრებელია:

„ქალი, რომელიც დადიოდა ეკლესიაში, ლოცვებს კითხულობდა, ზედმინეწით იცავდა მარხვას, აღსარებას ამბობდა, ეზიარებოდა, არაფრად რომ აგდებდა ათ მცნებას“...

არ იცრუო, მისთვის არ არსებობდა, საფლავების მომვლელმა სომეხმა აჯობა, — პირში მიხლილი სიმართლე აღიარა.

ლიანა ელიავას რომანში ბევრ ამგვარ ამბავს წაიკითხავთ, შეიტყუბთ მისი ავტორის შეჭირვებულ მდგომარეობაზე, მკურნალობაზე, დის ამბებზე, მეუღლეზე, ფინეთში მცხოვრებ ქართველებზე, იქაურ ყოფაზე... გამონვლილვით შეიძლება თითოეულ ეპიზოდზე საუბარი, რაც შორს წაგვიყვანს და გამოხმაურების ჩარჩოებს ავცდებით.

ავტობიოგრაფიული რომანის უპირველესი ღირსება, მხატვრობასთან ერთად, ისიცაა, რამდენად მართალია, რამდენად შეუღამაზებელი.

ლიანა ელიავას „როდის მივდივართ ბარსელონაში?!“ მართალი რომანია, როგორც ფრაიბურგში წასვლა, ისე ბარსელონაში გამგზავრება — ავტორის ავადმყოფობის გამო — არ შედგა, ხშირად ხდება, ავტობიოგრაფიული რომანები უფრო საკუთარ თავზე სიმართლის თქმის პრინციპით კი არა, საკუთარ თავზე წარმოდგენის სურვილით იწერება (ერთმა ჩემმა მეგობარმა თქვა X-ზე, ვთქვათ, მერაბზე, ყველაზე დიდი ბიზნესმენი გაეხდები, მაგ რომ მაყიდინა იმ ფასში, რაც რეალურად ღირს, და გამაყიდინა იმ ფასად, რა წარმოდგენაც აქვს თავის თავზეო, ნაშთი ათეულებს რომ ცხრა ნოლი მივუნეროთ, იმდენი იქნებაო).

„როდის მივდივართ ბარსელონაში?!“ არაა ასეთი, პირიქით, საკუთარის დამცრობის სურვილით გაჯერებული ტექსტია.

აი, ამის ნიმუში.

„— აჰა, რომ იძახდი, სულის ზეიმი მენატრებაო, ხომ აგიხდა? ბარსელონაში ჯობია, ზაფხულის მინურულს წავიდეთ და გინდა მონსერატის მთაზე, გინდა კოსტა-ბრავას სანაპიროზე აღენიშნოთ შენი დაბადების დღე! — მდიდარი კაცის როლში შეიჭრა ჩემი ქმარი.

— რატომ სანაპიროზე, არ ჯობია, შუა ზღვაში, საკუთარ იახტაზე, — ვცადე მისი გამოფხიზლება, მერე ცივი წყალიც გადავასხი, — ზამთარში იმიტომ მივდიოდი, რომ უფრო იაფია. ზაფხულში უთუხბირი ელირება ყველაფერი.“

ასე წერა არაა ადვილი. ამას შინაგანი სინრფელე სჭირდება, ლიანა ელიავას ტექსტის ყოველ ფრაზაში რომ გეცემა თვალში, მერე გამორჩეული (საუბედუროდ, დაუფასებელ-შეუფასებელი) ერთი ქართველი რეჟისორი ქალის სულიერ სამყაროში ჩაგახედებს, მის განვლილ ცხოვრებას, ჭირგამძლეობას დაგანახებს და დაგარწმუნებს, არსად არ მიდის სილამაზე, მითუმეტეს — სილამაზე სულის...

თამარ შაიშმელაშვილი

დიმიტრი ყიფიანმა უნდა გაბჟაერთიანოს

200 წელი შესრულდა წმინდა დიმიტრი ყიფიანის დაბადებდან. ეს თარიღი ქვიშხეთსა და ხაშურში საზეიმოდ აღინიშნა. ქვიშხეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაში წმინდა დიმიტრის სახელზე პარაკლისი შესრულდა, შემდეგ კი დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმთან მისი ხსენების დღე იზეიმეს.

აქ შეიკრიბნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის, თეატრისა და კინოს მუზეუმის, ლიტერატურის მუზეუმის, ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები, თბილისში, ახალციხეში, გორში მოღვაწე გამოჩენილი ხაშურელი მეცნიერები... საეკლესიო პირები, ადგილობრივი ინტელიგენცია.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მენეჯერმა, ისტორიკოსმა თამაზ ლაცაბიძემ აღნიშნა, რომ უკვე 2 ათეული წელზე ცოტა მეტია, 26 აპრილს ყოველთვის იკრიბებიან ქვიშხეთში და დიდი თანამემამულის — წმინდა დიმიტრი ყიფიანის სამშობლოსათვის სამეზულის ხსენების დღეს ზეიმობენ. „დღეს პატის მთავრებზე ჩვენს წინაპარს, რომელიც არ არის წარსული, თავისი ცხოვრებით და საქმიანობით ეს არის დღევანდელი დღე, ეს არის ჩვენი მომავალი. მე გაცოცხლებული ვარ ამ პიროვნების საოცრად დიდი ღვაწლით, ამ პიროვნების ძალიან დიდი უნარით. დიმიტრი არის ჩვენი ზურთმოდგვარი, ჩვენ კი მისი კალატოზებით, ილიას ეს სიტყვები ძალიან ბევრს ნიშნავს, თუ როგორია მისი ღვაწლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში... დიმიტრი ყიფიანმა უნდა გაგვაერთიანოს და მე ის მახარებს, რომ დიმიტრის თქვენი სახით ძალიან დიდი გულშემატკივრები ჰყავს“.

თამაზ ლაცაბიძის თქმით, წელს ბიუჯეტში 250 ათასი ლარია ჩადებული, რომელიც ამ შენობის რეაბილიტაციისთვის უნდა გაიხარჯოს და იმედა რაიონის ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს ამ საქმის დასაწყებად.

სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა, მეუფე სვიმეონმა (ცაკაშვილი) შეკრებილთ კიდევ ერთხელ მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული: „ჩვენ მისით მარტო კი არ უნდა ვიამაყოთ, ეს ჩვენთვის მაგალითი და ჩვენს გულებში ჩასახედი უნდა იყოს, ჩავიხედოთ ჩვენს სულელებში, ვართ კი რაიმეთი მსგავსი ამ დიდი წმინდანისა? განა ჩვენ ნაკლები უფლებები გვაქვს ღვთისგან მონიჭებული, რომ ჩვენი სამშობლო - საქართველო, თითოეული ქართველი და საკუთარი მოყვასი დავიცვათ? თითოეულ ჩვენგანს გვაქვს ამის უფლება, რომ ვთქვათ ჩვენი სათქმელი თუნდაც სიკვდილის ფასად, ასეთი მოღვაწეობის ფასად, რომ მარტო იმ ზეიკურ უკვდავებში კი არ შევრჩეთ და დავრჩეთ, ამ მიწიერ ქვეყანაზეც უკვდავებად დარჩეს ჩვენი სახელი და ჩვენი მოღვაწეობა და ვიყოთ სამაგალითონი“.

წმინდა დიმიტრი ყიფიანის შთამომავალმა, მწერალმა **თამარ მიქაძემ** აღნიშნა: „ჩემს უკან დგას ხუთი თაობა. პატრიარქმა ბრძანა, არსებობს სულთა კავშირი. ამ სულთა კავშირს ყოველდღიურად ვგრძნობ და, რა თქმა უნდა, ასეთ წუთებში, რომ ჩემს წინ დგას ჩემი მშობლების თაობა, ბებიები, ბაბუები, კიდევ იქით — გვირგვინი გვარისა — წმინდა დიმიტრი ყიფიანი.“

წმინდა დიმიტრის შთამომავლებს არ უღალატიათ წმინდა დიმიტრისთვის, ეროვნული და, თავისთავად, სარწმუნოებრივი გზისთვის. ჩვენ დიდი წინაპრებს ვერ შევედრებით, მაგრამ ვეცდებით, რომ ეს გზა გავაგრძელოთ. უნდა გითხრათ, რომ საოჯახო არქივში ექვსი თაობის მასალაა. ბატონი როსტომ ჩხეიძე არის რედაქტორი. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება ექვსი თაობის მასალა, რომელიც ინახებოდა სკივრში, ხელიდან ხელში გადადიოდა და ასე მოაღწია ჩვენამდე“.

აჭარადან ჩამობრძანებულმა პოეტმა **შოთა ზოიძემ** აღნიშნა, რომ დიმიტრი ყიფიანი დიდი კაცი იყო. „ილია დიდი კაცი და დიდი საფრთხე იყო იმდროინდელი რეჟიმისთვის, პოლიტიკური წრისათვის, ამიტომ ილიას ისტორიამ წინამურის ვატერლოო გაუმზა-



ხატია ლომიძე, მარიამ ჯიქურაშვილი ნინო ჭადაშვილი, ლიკა ბერიძე

და. დიმიტრი დიდი კაცი იყო და თავისთავად დიდი საფრთხე იმ რუსიფიკატორული რეჟიმის წინააღმდეგ, ამიტომ მას ისტორიამ სტატროპოლის ვატერლოო გაუმზადა. როდესაც თბილისის მერი თანამდებობიდან გადააყენეს, ნიკო ნიკოლაძე ბრძანებდა: დიმიტრი ისეთი ლარიზი წავიდა თანამდებობიდან, როგორც მივიდაო.“

დღეს მე დათრგუნული ვარ, რომ ასეთ მდგომარეობაში ვნახე ეს წმინდა ადგილი, ნამდვილად მიკვირს დიდი ჩინოვნიკების და ბიზნესმენების, რომლებსაც ფულის ტომრებზე სძინავთ და ეს სახლი ასეთ დღეშია, ეს უნდა განმარტდეს, — ის 250 ათასი ლარი მარტო სახურავს არ ეყოფა. ამ სახლს სულ ცოტა მილიონი ლარი სჭირდება, რომ თავის ფორმაში ჩადგეს და იყოს ისეთი, როგორც დიმიტრი ყიფიანის დიდ სახელს ეკადრება. აჭარა გულში იხუტებს და მისი სახელი ხატად უსვენია“.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებამ დაანესა დიმიტრი ყიფიანის მედალი. მედალი ყოველწლიურად, 26 აპრილს გადაეცემა იმ პიროვნებას, რომელსაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის დიმიტრის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის, დიმიტრის პოპულარიზაციის საქმეში. 26 აპრილს უკვე მესამედ მოხდა დიმიტრი ყიფიანის მედლის გადაცემა. სამუზეუმო გაერთიანებამ და დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმმა გადამწყვიტა, რომ წელს დიმიტრის მედალი გადაეცეს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ ყორანაშვილს, რომელმაც დიმიტრი ყიფიანზე შესანიშნავი მონოგრაფია შექმნა - „ახალი დიმიტრი თავდადებული“.

გურამ ყორანაშვილს მედალი მეუფე სვიმეონმა გადასცა. მწერალმა, ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა **როსტომ ჩხეიძემ** აღნიშნა, რომ დიმიტრი ყიფიანი იყო ხიდი 32-იანელთა და 60-იანელთა შორის, ვისმა მოღვაწეობამაც, მართლაც, დიდად შეუწყო ხელი და არსებითად განსაზღვრა კიდევ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის ეროვნული სულისკვეთებით წარმართვა-გაღრმავება.

ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორმა ლევან თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის ყველაზე დიდ დარბაზს ეწოდება დიმიტრი ყიფიანის სახელი.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის მენეჯერი **რევაზ ნოზაძე** ყოველწლიურად დიმიტრი ყიფიანის მუზეუმს გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებს ჩუქნის. წელს მან მუზეუმს ილია ჭავჭავაძის პორტრეტი აჩუქა.

სიტყვით გამოვიდნენ: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი **მიხეილ ქავთარია**, პოეტი, აკადემიკოსი **მურად მთვარელიძე**.

ბოლოს, დიპლომებით დაჯილდოვდნენ კონკურსის „ჩემი დიმიტრი ყიფიანი“ გამარჯვებული ხაშურის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეები: **ხატია ლომიძე, მარიამ ჯიქურაშვილი, ნინო ჭადაშვილი, ლიკა ბერიძე**.

ლადო მინაშვილი

პოეტის დაბრუნება საკუთარ თავთან

როგორც ერთი მწერალი ამბობს, ჩვენ ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ. თუ ეს აზრი შეიძლება ყველაზე გავრცელდეს, მით უფრო ითქმის პოეტზე და განსაკუთრებით ისეთ უიშვიათეს პოეტზე, რომელმაც ბავშვობაში გააოცა მკითხველი უნიკალური პოეზიით; მაგრამ საქმე ისაა, იმდენად დიდი იყო პატარა ეკას ეფექტი, რომ მკითხველი საზოგადოების დიდი ნაწილი ახლაც იმ ეკა ბაქრაძეს ეძებს. ათასფერი ბავშვური ხილვებით, ჩანახატებით, ბავშვური ჩანაფიქრებით, ძიებით... არადა ეკა ბაქრაძე უკვე ქალია; ერთ დროს საოცარი ბავშვი, ახლა თვითონაა დედა არაჩვეულებრივი ბავშვისა... ამასთანავე, ჩვენდა სასიამოვნოდ ეკას ბავშვობისდროინდელ სამყაროს არ უნდა ძებნა, იგი არსად წასულა და, როგორც მაღალესთეტიკური ღირებულების განუმეორებელი პოეტური სინამდვილე, დარჩა წიგნებში, მოგონებებში. შემთხვევითი არაა, რომ გაზრდილი ეკას წიგნის (2009 წ.) ერთი დიდი ნაწილი სწორედ ამ ლექსებს უჭირავს. ეკა ბაქრაძე ამ ლექსებზე არასოდეს ამბობს უარს, როგორც მისი სულის გულუბრყვილობით სავსე, ბავშვური ფიქრით, თბილი სევდით და სიყვარულით სავსე სამყაროზე. ჩვენ ამ სამყაროსთან მიახლება ყოველთვის შეგვიძლია, როცა მოვისურვებთ.

როგორ უყურებს ახლა ეკა თავის ბავშვობისდროინდელ პოეზიას. ბუნებრივია, ის მისთვის ძვირფასია, მისგან მოუცილებელია, მაგრამ უკვე უკან დარჩენილი ფერადი სიზმრებია, რომლებთან ყოველი შეხებაც პოეტ ქალს ცრემლიანი თვალით უკან მიახედებს და ტკივილნარევ სიამოვნებას მიანიჭებს, რომელსაც, როგორც დიდი ილია ამბობს, „ადამიანი ზოგჯერ სიხარულზედაც არ გასცვლის ხოლმე, ტკბილია კვნესა ამ ტკივილისა, ტკბილია ცრემლი ამ მწუხარებისა“. ერთგან თავის მეგობარ პოეტ ქალს ასე მიმართავს ეკა ბაქრაძე:

**ნუ გამახსენებ ჩემი ბავშვობის
ვარდისფერ სიზმრებს, დღეებს მაშინდელს"...**
(„მზია ხეთაგურს“)

მინც რატომღაც ეკასთვის ძალიან მტკივნეული ბავშვობასთან მიბრუნება, მასთან შეხება? ერთი მხრივ, იმიტომ, რომ ღრმა უფსკრულია ბავშვობის უზრუნველობასა და იმ მკაცრ რეალობას შორის, რომელშიაც ფაქიზი, მაძიებელი სულის ქალი აღმოჩნდა. ბავშვობაში ეკა გარემოცული იყო განუზომელი სიყვარულით, სიტბოთი, თავს ევლებოდნენ მახლობლები, მთელი საქართველო. თითქოს ბედი ყრმას უღრუბლო მომავალს უქადდა და ისიც „ბრმად მიანდობდა თავის ატლისთქვათ“, მაგრამ მწარედ მოტყუვდა — სინამდვილეში ყველა მხრიდან დარტყმას უმზადებდა ცხოვრება, თითქოს იმიტომ, რომ ღრმა სულის ქალს, ჭეშმარიტ პოეტს ბევრი ტკივილი განეცადა, თავისი საღმობანი მერე ლექსებად ექცია, ამაში ეპოვა შვება და მკითხველისთვისაც, ვინც მაღალი პოეზიისთვისაა მონოდებული, ჭეშმარიტი ესთეტიკური ტკბობა მიენიჭებინა, სევდისა და მწუხარების მრავალფეროვნებასთან ეზიარებინა.

მწარე სინამდვილემ, ცხოვრების მღვრიე მდინარეებამ თავდაპირველად თითქოს დაგმანა ყველაფერ ამას მიუჩვეველი პოეტის სულის სარკმელი, თითქოს ისიც

დაემორჩილა ყოველდღიურობას, მაგრამ ჭეშმარიტი ნიჭის უმოქმედობა შეუძლებელი იყო და მოხდა „ოცნების ჯვარზე გაკრული სხეულის სულთან შემორიგება... დაბრუნება საკუთარ თავთან“ და დალაგდა პოეტურ სტრიქონებად ტკივილი, სევდა იმედგაცრუებისა, ღალატისა, გულგრილობისა და უსულგულობასთან მიახლებისა, სევდა საწუთროს რაობაზე, ცხოვრების საზრისზე, ქვეყნის ბედზე თუ უბედობაზე დაფიქრებისა.

საკუთარ სულის მოძრაობასთან მიყურადებელი პოეტისათვის „მოულოდნელად გაცნობიერდა ქვეცნობიერთან სრული საზრისი“. ღრმად დაფარულს, ინტიმურს წვდება პოეტი, მის ნიუანსებს აგნებს. უაღრესად რთულია ცოცხალ გრძნობათა საუფლო. შიგნით გულისყურჩაბრუნებული პოეტი ქალი ახერხებს ამ სირთულის მოქცევას სიტყვებში, ამ მხრივ ყოველგვარი დაძაბულობისაგან გათავისუფლებულია მისი ლექსები. უშუალობა და გულწრფელობა გზიბლავს და დანდობილი მიჰყვები პოეტს, ეს კი ჭეშმარიტი ნიჭის მაუწყებელია.

ეკა ბაქრაძის პოეზიაში არცთუ იშვიათად გვხვდება მყარი მეტაფორა „გზაჯვარედინისა“, რომელიც „ყელზე ყულფით გაინასკვა“. რომელ მხარეზეც უნდა წავიდეს პოეტი, ყველგან განსაცდელი ემუქრება, ყველგან ხიფათია ჩასაფრებული, მაგრამ მაძიებელი სული პოეტისა არ ცხრება, უკან არ იხევს, უმცდარად მიიკვლევს გზას, არ კრთება, რადგან „პარალელურ სივრცეებს შორის გაიდო დიდი სინათლის ხიდი“ და ისიც იმ გზას ადგას, „რომელიც უფლის ნიაღში მიდის“.

ტკივილიან გზაზე პოეტს, მართალია, ზოგჯერ ჩაუშუხლავს, მაგრამ არასოდეს დაცემულა, საკუთარ თავში პოულობს ძალას, ფეხზე რომ დადგეს და განსაცდელს თვალი გაუსწოროს. ცხოვრებამ ვერა დააკლო რა, რამდენიც ხმალი მოუქნია, ის „აინია ზეცადა“ (ვაჟა).

ეკა ბაქრაძე ძლიერი ხასიათია, მას მუდამ ახლავს პიროვნული ღირსებისა და სიძლიერის განცდა. მისი ნათქვამია:

**ეს გაზაფხული კი არ მოვიდა, კი არ მოვიდა, მე მოვიყვანე
ჯერ არნახული სიმარტოვიდან მზის სინათლეზე გამოვიყვანე,
ჩემი ჯვარცმული სიმარტოვიდან სააშკაროზე გამოვიტანე.**

ანდა,

**მაჩუქეთ მარტი და გაზაფხულს უმაღლესს
მაჩუქეთ მარტი, გამოვუტან ზამთარს განაჩენს.**

ეკა ბაქრაძე მუდამ ეძიებს რწმენის საყრდენს, იმედს უხმობს და აი, მას უზომო ბედნიერება ეწვია, იმედად, სიცოცხლის დიდ აზრად, დიდ მიზნად მოეცლინა შვილი, „სიზმრად ნანახი და ახდენილი, ოცნებასავით მშვენიერი“.

**დიდება შენდა, რომ მომევლინე
სიცოცხლის აზრის გადასარჩენად,
კურთხეულ იყოს ან და მარადის
კურთხეულ იყოს შვილის გაჩენა!!!**

ყველაფერს იღონებს დედა შვილისათვის, თუ საჭირო გახდა, მისთვის ყველაფერს მოიკლებს, გაყიდის, ოღონდ ვერ გაყიდის ღირსებას და მშობლიურ მიწას, რომ თავისისავე მამულში არ დაურჩეს შვილი, როგორც ხიზანი.

მართალია, პოეტმა ბავშვობის ხილვები უკვე დიდი ხანია დატოვა, მაგრამ მკითხველს ისევ ელის დიდი სიხარული დედის უჩვეულო შვილის ბავშვურ სამყაროსთან მიახლებისა. ამის თვალსაჩინო დასტურია ლექსები: „პასუხი შეკითხვაზე: „დედიკო, ჩიტი რამდენი წლისაა?“ და უსათაურო („გუშინ ქალაქში რომ ბიჭი დადიოდა“). „თხემით ტერფამდე ჩაუქს, ქართველს“, „დედის უნაზეს დარდს... მასზე უფრო მარტოსულს“ დედამ თბილისი მოატარა, „მეტეხს ხერხემალზე ააცოცდა“, მამადავითიც მოინახულა, ვაჟას, ილიას, გალაკტიონის... საფლავები აჩვენეს, „ბიჭი შფოთავდა და არ იხვენებდა — რუსთველის საფლავი სად არიო?“ ახლა უკვე ბავშვის სამყაროს დაკვირვებულ დედის ინტელექტით გაშუქებული სინამდვილე ჩვენთვის მნიშვნელოვანი, ინტელექტით, რომელიც ანალიზებს, ირჩევს, ალაგებს.

„ათი მცნებითა და გზებით“ სავსე პოეტმა ისე გამოიარა ცხოვრების გზა, რომ მის რწმენას ბზარი არ გასჩენია, ჭუჭყი არ მისცხებია, იმავე ღირებულებების ერთგული დარჩა, რაც თავიდანვე იწამა. ბევრი რამ შეინირა პირქუშმა ყოფამ, ბევრი მსხვერპლი მოითხოვა, ეკამაც ბევრი რამ დათმო, რაც მისი პიროვნული კეთილდღეობისთვის იყო აუცილებელი, მაგრამ მთავარი, წარუვალი ფასეულობანი გადაარჩინა, „ბილნთ არ შაკვრია ზავითა“, ღირსების, შვილისა და ქვეყნისათვის არასოდეს უღალატნია.

ეკა ბაქრაძეს არ სჭირდება სალმობათავან დაცვა, შეიძლება ჩვენი მიაბიჭური სურვილი იყოს ავარიდოთ პოეტს მწუხარება, სევდა. სევდა, მწუხარება ეკას ღრმა პიროვნების ბუნებრივი მდგომარეობაა, მისი ცხოვრების წესია, მისი გამომხატვის შინაარსი; მან უნდა სავსე ცხოვრებით იცხოვროს, განიცადოს და გამოხატოს, რომ ჩვენც ადამიანურ გრძნობებს გვაზიაროს და ასე აგვამაღლოს.



ეკას საზოგადოების სხვაგვარი ყურადღება, მხარდაჭერა კი სჭირდება, სჭირდება სივრცე, ასპარეზი. ჯერ ძალიან ადრეა ეკას ჩაკეტვა, ჩარჩენა თუნდაც დიდი ტრადიციების მქონე მშობლიურ ხაშურში. მას უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა „მზით და ბარაქით სავსე, მისი სულის ალაგში, მისი ოცნების დედაქალაქში“ თბილისში ყოფნისა. ეკას პოეტურ სულს სჭირდება თბილისი და თბილისსაც სჭირდება ეკა ბაქრაძე. ერთი ქართველი პოეტის სიტყვების პერიფრაზს თუ მივმართავთ, დიდი პოეტები ხომ პროვინციაში იზადებიან და პარიზში ასრულებენ თავიანთ მოღვაწეობას.

აქედან, თბილისიდან, უფრო ახლოს აღმოჩნდება ეკა ბაქრაძე თავის ხაშურთანაც და მთელი საქართველოს სოფლებსა და ქალაქებთანაც. აქედან უფრო გააგონებს საქართველოს თავის დიდ სათქმელს, აქედან უფრო უკეთ აზიარებს თავის გაფაქიზებულ გრძნობებსა და ფიქრებს.

იასე ჯორჯაძე

სკოლიდან სკოლაში, სასახლიდან ქუთაისამდე

შეხვედრა

სასახლე სოფელია, უფრო ზუსტად, საკმაოდ დიდი იმერული სოფლის — საზანოს — ერთ-ერთი უბანი, თავისი ძველი ეკლესიით, რომლის ადდგენასაც ახლა ამთავრებენ მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი **ამირან გიორგაძე** და ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის დირექტორი **ელგუჯა თავბერიძე**.

ორივე ამ სოფლიდანაა.

ელგუჯა სასახლის რევანლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ გადავიდა ქვედა საზანოს საშუალო სკოლაში, სადაც ამირანი სწავლობდა. მათი მეგობრობაც იქიდან მოდის...

საზანო ორია — ზედა და ქვედა. ზედა საზანო თერჯოლის რაიონს (ან უკვე მუნიციპალიტეტს) ეკუთვნის, ქვედა — ზესტაფონისას.

ტოპონიმის ორგვარი ახსნა არსებობს. პირველის მიხედვით, მდინარე ძუსა, რომელიც სოფელს ჩამოუდის, ოდესღაც თევზი საზანით იყო განთქმული.

უფრო სარწმუნო კი მეორე ვერსიაა: ეს ადგილები უნინ ზანებით ყოფილა დასახლებული.

ამირან გიორგაძე ძუსის მარჯვენა ზეგანზე ცხოვრობდა, ელგუჯა თავბერიძე — მოპირდაპირე მხარეს. საშუალო სკოლა კი ჭალაში, მდინარესთან ახლოს იდგა.

მერე სასახლის სკოლაც „საშუალო“ გახდა.

მათი კი ქვედა საზანოს საშუალო სკოლა დაამთავრეს.

ბიზნესმენმა და გამომცემელმა სოფელს ახალი ეკლესიაც შესძინეს და ძველიც აღუდგინეს. ახალი ეკლესია, რომლის სამრეკლოდანაც მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანს, ორივეს სახელსა და გვარს სამუდამოდ შემოინახავს.



ჯემალ ქვათაძე და ლანა კობახიძე

ეკლესიები, რა თქმა უნდა, უმთავრესია, მაგრამ სკოლებიც ხომ მისახედია. ბევრი რამ გაუკეთეს მშობლიურ სკოლებს, მაგრამ მათთვის ამიერიდან უფრო მოიცლიან...

ბუნებრივია, სკოლებიც ამაცობენ მათით.

...და ახლა სწორედ სასახლის სკოლაში ვართ. პედაგოგები პრემია „საბათი“ თავიანთი ყოფილი მოსწავლის ელგუჯა თავბერიძის დაჯილდოებას აღნიშნავენ.

პრემია სხვაც არაერთი მიუღია, მაგრამ ეს მაინც განსაკუთრებულია: „საბამ“ პირველად გადალახა ლიხის ქედი.

თვითონ ელგუჯა, ვისაც ნიგნებიც უხვად დაგროვებია და პრემიებიც, ყველაზე მეტად ამ შეხვედრითაა გახარებულიც და აღელვებულიც.

ეს ბუნებრივი მღელვარება და სიხარულია.

„უფრო სიხარულობს ჩემი სიხარული, შენ რომ იზიარებ, ის რომ იზიარებს“ (მუხრან მაჭავარიანი).

სწორედ სიხარულის გასაზიარებლად ჩავიდნენ იმ დღეს ელგუჯასთან თბილისიდან როსტომ ჩხეიძე და იოსებ ჭუმბურიძე, ქუთაისიდან კი — ავთანდილ ყურაშვილი, თეიმურაზ ამყოლაძე და გია ხოფერია.



შეხვედრას, რა თქმა უნდა, სკოლის დირექტორი გახსნის. **ჯემალ ქვათაძე** მიესალმება მთავარ გამოსტუმრებელს და სიტყვას როსტომ ჩხეიძეს გადასცემს. როსტომი მოკლედ ისაუბრებს ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიულ რომანებზე, სოლომონ ამორდიას, დავით მიქელაძესა და აკაკი წერეთელს რომ ეძღვნება მის „კოლიმგრაფზე“ (ფიქრები ვარლამ შალამოვზე), რომელმაც „საბა“ დაიმსახურა, და იმ წვლილს გამოკვეთს, ხსენებული წიგნების ავტორსა და ცნობილ გამომცემელს არა მხოლოდ ქუთაისის სალიტერატურო ცხოვრებაში, საერთოდ, თანამედროვე ქართულ სამწერლო პროცესში რომ შეაქვს.

პრემიებს, განსაკუთრებით „საბას“, ყოველთვის ღირსეულებს როდი ანიჭებენ, მით უფრო გასახარია, რომ ამჯერად ეს ჯილდო ღირსეულ პიროვნებასა და მწერალს ერგო. ბუნებრივია, ამ ფაქტს ელგუჯას მშობლიური სკოლა გულგრილად ვერ ჩაუვლიდა. — ამას **იოსებ ჭუმბურიძე** იტყვის, მშობლიურ სოფელში ყოფნით თვითონაც გახარებული...

ამაღლელებელი იქნება კლასის ყოფილი დამრიგებლის, მათემატიკის პედაგოგის **დუდა ოდიკაძის** გამოსვლა. ადგილი წარმოსადგენია, როგორ საუბრობენ პედაგოგები გამორჩეულ მოსწავლეებზე, როგორი ლეღვით იხსენებენ მათ სიცვლექესა თუ სიბეჯითეს, მით უფრო ისეთ დრამატულ შემთხვევებს, ელგუჯას რომ გადახდენია და თვალისჩინის დიდი წილის დაკარგვაც დასჯდომია.

მით უფრო გასახარი და დასაფასებელია მის მიერ მოპოვებული წარმატებები.

და: უხარია სკოლას...

უხარია მეგობრებს...

ამისი დასტური იყო შეხვედრა, რომელსაც ალამაზებდა მოსწავლეთა თვითმოქმედება — ცეკვა, სიმღერა, მხატვრული კითხვა და მცირე თეატრალური წარმოდგენაც კი...

საჯარო ლექცია

იმერეთში ჩავიდეთ და მხოლოდ ერთი შეხვედრით დავკმაყოფილდეთ?! — იტყვის როსტომი და მეორე დღისთვის ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებთან საჯარო ლექციის წაკითხვას დაგეგმავს.

ეს ის სკოლაა, სადაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ფილოლოგიის დოქტორი **ლია კუხიანიძე** ასწავლის.

როსტომ ჩხეიძეს აქ არაერთი საჯარო ლექცია ჩატარებია.

ამჯერად ლექცია **ვახტანგ ჭელიძეს** ეძღვნება.

როსტომს უკვე დამთავრებული აქვს ბიოგრაფიული რომანი „საგა ვახტანგური“, რომელიც დღე-დღეზე გამოიცემა.

მაგრამ ეს არ იქნება რომანის წინასწარ წარდგინება, უბრალოდ, ვახტანგ ჭელიძის ღვაწლზე ისაუბრებს, განსაკუთრებით კი მთარგმნელობით საქმიანობაზე, ბუნებრივია, არც „ივანე მაჩაბლის ცხოვრება“ და „ქართლის ცხოვრების ქრონიკები“ დაავიწყდება.

ვახტანგ ჭელიძე ახლოს იცნობდა იმ მოღვაწეებს, რომელთაც ცოცხალი ახსოვდათ მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველები — ილია, აკაკი, ვაჟა, გოგებაშვილი, ყაზბეგი...

ამიტომაც „შემაერთავი ხიდის“ როლს ასრულებდა ორ დიდ თაობას შორისო. — აღნიშნავს როსტომი.

თვითონაც „შემაერთავი ხიდია“, რადგან ბიოგრაფიულ რომანებს სხვადასხვა თაობის დიდ ქართველებს უძღვნის, — ამას უკვე **იოსებ ჭუმბურიძე** იტყვის და მოსწავლეებს ურჩევს, შეხვედრის შემდეგ პირდაპირ ბიბლიოთეკას მიაშურონ და ვახტანგ ჭელიძის თარგმანები მოიკითხონ — თუ, რა თქმა უნდა, უკვე არ წაუკითხავთ, აუცილებლად წაიკითხონ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, დეფოს „რობინზონ კრუზო“...

სკოლის დირექტორი **გენადი მარგველაშვილი**, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები **ქეთევან ჯიბუტი** და **ნესტან მჟავანაძე**, მეთერთმეტეკლასელი **მარიამ არაბიძე**...

ასეთი საჯარო ლექციების დიდ მნიშვნელობას აღნიშნავენ და გულწრფელ მადლობას გადაუხდებიან როსტომ ჩხეიძეს, ვინც უაღრესად ნაყოფიერ სამწერლო და რედაქტორული მოღვაწეობის პარალელურად, ხშირად გამომწახავს ხოლმე დროს ახალგაზრდებთან შესახვედრად. ეს კი არანაკლებ მნიშვნელოვანი მისიაა.

ეტყობა, თვითონაც ახალ სტიმულსა და ენერგიას იღებს ასეთი შეხვედრებითო, — დასძენს **ელგუჯა თავბერიძე**...

ეტყობა...



გენადი მარგველაშვილი და მარიამ არაბიძე

სოფიკო ჯერვალაძე

„მთავს კვითენ შენი ნაფხურები...“

ბატონო როსტომ, მოგესხენებათ, ან განსვენებული ქართველი ემიგრანტი პეტრე ხვედელიძე როგორი გულშემატკივარი იყო ყოველი ადამიანის, რომელიც საქართველოს ერთგულად ემსახურებოდა. ისიც კარგად უწყით, რომ მე მისი ხელისუფლების „აღმასრულებელი“ ვიყავი და მინდა ჩემი მისია პირნათლად აღვასრულო...

ქართველ საზოგადო მოღვაწეს, ჟურნალისტსა და მეცნიერს, ბატონ ივანე ჯავახიშვილს ამა წლის თებერვლის თვეში 70 წელი შეუსრულდა. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პეტრე ძალზე ცუდად იყო, ეს თარიღი არ გამოორჩენია... მე კი, ტრადიციულად სანერმომარჯვებულმა ჩავეინერე მილოცვა, სურვილები და მისივე თხოვნით თქვენს ჟურნალს ვუგზავნი. ბატონი პეტრეს სურვილი იყო, ივანე ჯავახიშვილის განვლილი ცხოვრება შემეჯავებინა და სხვათათვისაც გამეცნო, რასაც დიდი სიამოვნებით ვასრულებ.

*ბატონო ივანე,
თქვენი საგვარეულო ყოველთვის ცნობილი იყო სამშობლოსადმი ერთგული მსახურებით. ცხადია, ასეთ გარემოში აღზრდილი წინაპართა გაკვალულ გზას ვერ უარყოფდით...*


70 წელი ჩემი გადასახედიდან ნამდვილად ბევრი არაა, მაგრამ შესაფასებელი და თვალგადასავლები უეჭველად არის. მინდა ვისარგებლო მრგვალი თარიღის შესრულებით და სახელოვანი ქართველი მთამსვლელების მთამომავალს, დიდებული წინაპრების ღირსეულ მემკვიდრეს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, სპორტის დამსახურებულ მოღვაწეს, დავით აღმაშენებლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიების ლაურეატს, ქართული სპორტის, კულტურის, ემიგრაციის ამავდარსა და ქომაგს, ჩინებულ ჟურნალისტს, მეცნიერს, პედაგოგს, არაჩვეულებრივ ადამიანს, უერთგულეს მეგობარს, ალაღმართალ კაცს ღრმა პატივისცემით მოგილოცოთ დაბადებიდან 70 წელი და ვისურვოთ, ასეთივე შემართებით კვლავაც დიდხანს გელვანოთ ჩვენი ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ!

პატივისცემით

პეტრე ხვედელიძე
18.02.2014

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1944 წლის 22 თებერვალს, ქალაქ ჭიათურაში. იშვილა და აღზარდა მამიდამ, ლეგენდარულმა მთამსვლელმა ქალმა ალექსანდრა ჯავახიშვილმა.

1962 წელს დაამთავრა თბილისის 24-ე საშ. სკოლა. 1967-ში თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1966 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტი, მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიურ ინსტიტუტში. 1967 წლიდან კი, როგორც მეცნიერ-თანამშრომელი და ექსპედიციების ხელმძღვანელი, მუდმივად მონაწილეობს სამეცნიერო და სახელმეკრულებო სამუშაოებში. 1983-90 წლებში საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ექსპედიციებისათვის, კოლეგებთან ერთად, ჩაატარა კვლევები და შეიმუშავა რეკომენდაციები უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლის ცვეთის თავიდან აცილებისა და დავითგარეჯის მიდა-



ივანე ჯავახიშვილი

მოებში უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენის — ძველი ნაქალაქარის მეტალურგიული წარმოების კერებისათვის რკინის საბადოს აღმოჩენისა და მისი ავტოქტონურობის დადგენის მიზნით. 1985 წელს კი როგორც ერთ-ერთი ავტორი, მონაწილეობდა ხმელთაშუაზღვიური ნეოგენის მე-მ მსოფლიო კონგრესის მიერ საქართველოში ჩატარებულ საველე-საექსპედიციო სამუშაოებში.

უფლისციხის ისტორიული ციხე-ქალაქის მიდამოებში აღმოაჩინა 20-25 მლნ. წლის წინანდელი უნიკალური განამარხებული მეცნიერული ნაშთები, რომლის შესწავლის საფუძველზეც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის განყოფილებაში სამეცნიერო საბჭოზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. არის 30-ზე მეტი მეცნიერული შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, 2006 წლიდან კი გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორია.

სხვადასხვა დროს იყო საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების სწავლული მდივანი (1991-96 წწ.), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული დედამინის შემსწავლელ მეცნიერებათა სახალხო უნივერსიტეტის გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი (1991-96 წწ.). არის საქართველოს გეოლოგიური (1972 წლიდან), საკავშირო პალეონტოლოგიური (1984 წ.), საქართველოს გეოგრაფიული (1994 წ.) საზოგადოებების ნამდვილი წევრი, 1989 წლიდან – საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის მომძიებელ-შემსწავლელი ასოციაცია „ხომლის“ საპატიო წევრი.

ძირითადი საქმიანობის თანადროულად 1966 წლიდან ნაყოფიერად მოღვაწეობს ჟურნალისტიკაში. მისი წერილები, ნარკვევები, სტატიები სისტემატურად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. 1978 წლიდან რადიოსა და ტელევიზიაში სხვადასხვა თემაზე 3000-მდე გადაცემა, ნარკვევი და სიუჟეტი აქვს მომზადებული, გადაცემების ნაწილი დაცულია საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელევიზიისა და რადიოს ოქროს ფონდში.

1992 წელს, ძმასა და მეგობრებთან ერთად ავიდა კაცხის სვეტზე, გასაბერი ნავით შევიდა სოფელ ხრეთში არსებულ ე.წ. „კარიან კლდეში“, სადაც კარსტული წარმოშობის უდიდესი ტბაა. გამოიკვლიეს და ვიდეოფორზე აღბეჭდეს წითელ წიგნში შეტანილი ეს ობიექტები და ორ ფილმად წარუდგინეს საზოგადოებას. ამ ფილმების საფუძველზე საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე დაფუძნდა პროგრამა

„ირაო“, რომლის ერთ-ერთი ავტორი და ნამყვანი ნღების მანძილზე ივანე ჯავახიშვილი იყო. 1993 წელს პროგრამა „ირაო“ საქართველოს რადიოშიც დაამკვიდრა. გარდა ამისა, საქართველოს რადიოში სხვადასხვა დროს დააფუნდა ისეთი პროგრამები და რუბრიკები, როგორცაა „ამერ-იმერი“, „საქართველოს სოფლები“, „დილის ირაო“, „ამ შაბათ-კვირას“ (1 და 2-დღიანი ტურისტული მარშრუტები რადიომსმენელთათვის), „ნაბიჯ-ნაბიჯ საქართველო“, „თბილისის ისტორია“, „ჩვენი საგანძური“ და სხვ.

საქართველოს ტელევიზიის დილის პროგრამაში „ალიონი“ მიჰყავდა გადაცემების ციკლი „ვიმოგზაუროთ საქართველოში“, რომლის ავტორი, რეჟისორი და ოპერატორიც თვითონვე იყო. ტელევიზიის სპორტულ პროგრამაში „ჩემპიონი“ უძღვებოდა ყველა იმ გადაცემას, რომელიც მთამსვლელობასა და სახელოვან ქართველ მთამსვლელებს ეძღვნებოდა. მრავალი წელია იკვლევს ქართული სპორტის, კერძოდ, ალპინიზმის ისტორიის საკითხებს. მის სტატიებს, წერილებსა და ნარკვევებს შეხვდებით სპორტსმენებზე გამოცემულ წიგნებში, ალბომებში, ენციკლოპედიებსა და სპორტულ ცნობარებში. ქართველ მთამსვლელებსა და მთამსვლელობაზე, საქართველოს მთიანეთის პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 150-მდე წერილი, სტატია და ნარკვევი, შექმნილი აქვს 7 სატელევიზიო ფილმი, რომელთაგან ერთმა — „სუ-ალტო (მიხეილ ხერგიანის ხსოვნას)“ — 2001 წელს მოსკოვში, მთისადმი მიძღვნილი ფილმების მე-5 საერთაშორისო ფესტივალზე მოიპოვა პრიზი „ალპინისტური ტრადიციების შენარჩუნებისათვის“, 2004 წელს კი თბილისში გამართულ სამთო, სათავგადასავლო და ექსტრემალური დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე „ნიამორი“ გაიმარჯვა ნომინაციაში „სამთო ექსპედიცია“. ამავე ფესტივალის 2008 წლის ლიტერატურულ კონკურსში, ნომინაციაში „დოკუმენტური მოთხრობა“ დაიმსახურა პრემია და პირველი ადგილი.

1988 წელს მისი ავტორობით გამოიცა ბუკლეტი „საბჭოთა ალპინიზმის სახელოვანი წარმომადგენლები“, თანაავტორია უნიკალური წიგნისა — „სპორტის ენციკლოპედია“ (2006 წ.), 2001-10 წლებში მისი რედაქტორობით გამოიცა პოეტური კრებული „პოეზიის შუქი ოჯახად“, წიგნები „ჭიათურა (ტურისტულ-გეოგრაფიული დახასიათება)“ და „ჭიათურა-საჩხერის რაიონი (გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ანალიზი)“, რომელსაც წამდგარებული აქვს რედაქტორის სტატია საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. რეცენზენტია 2007 წელს გამოცემული საყმაწვილო ენციკლოპედიის მე-5 ტომისა „საქართველოს გეოგრაფია“. მისი შესავალი წერილით იწყება წიგნი-ალბომი „კაცი ლეგენდა“, რომელიც „კლდის ვეფხვს“ — მიხეილ ხერგიანს — მიეძღვნა.

აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილი, ავტორის თხოვნით, ლიტერატურულად დაამუშავა ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, მედიკოსის, არქეოლოგისა და ხელოვნებათმცოდნის, ტაო-კლარჯეთისა და შავი მთის ქართული ძეგლების უზადლო მკვლევრის, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის დეპარტამენტის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორ ვახტანგ ჯობაძის ავტობიოგრაფიული წიგნი „ჩემი თავგადასავალი“, რომელიც 2009 წელს გამოიცა.

წლების მანძილზე შეკრიბა და თავი მოუყარა ქართველ მთამსვლელთა უნიკალურ დოკუმენტურ მასალას დღიურების, ჩანაწერების, მწვერვალებიდან მოხსნილი ბარათების, ჯილდოების, სიგელების, ეპისტოლური მემკვიდრეობის, ფოტო, კინო, ვიდეო და აუდიოჩანაწერების სახით, შექმნა

უნიკალური არქივი, რითაც გადაარჩინა და შთამომავლობას შემოუნახა ქართული ალპინიზმის 90 წლის ისტორია, რომლის ფუძემდებლები მისი წინაპრებიც იყვნენ. ეს ყოველივე საფუძვლად დაედო მისი ავტორობით 2010 წელს გამოცემულ წიგნს „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“, რომელშიც გაშუქებულია ქართული ალპინიზმის სახელოვანი ისტორია და გაცოცხლებულია ქართული მთამსვლელობის კორიფეთა სახეები. 2013 წელს ამ წიგნისათვის მას დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია მიენიჭა ნომინაციაში „ქართული სპორტის ისტორია“.

ივანე ჯავახიშვილის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთში, მამაპაპეულ სახლში გაიხსნა მთამსვლელ ჯავახიშვილთა მემორიალური სახლ-მუზეუმი, ხოლო თბილისში, ალ. ჯავახიშვილის სახელობის საქართველოს ალპურ კლუბში, მეგობრებთან ერთად აღადგინა და განაახლა ყოფილ საბჭოთა კავშირში მთამსვლელთა პირველი მუზეუმი. მისი ზრუნვის შედეგად, 1994 წელს, ალექსანდრა ჯავახიშვილის მიერ 1913 წელს დაარსებულ სოფელ ხრეთის საშუალო სკოლას მიენიჭა მისი დამაარსებლის სახელი.

ივანე ჯავახიშვილი 2005 წელს იყო საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი, არის საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, პრეზიდიუმის წევრი და პრეს-სპიკერი, არასამთავრობო ორგანიზაცია „მთის მოყვარულთა კავშირი“-ს წევრი, ქართული ალპინიზმის საკითხებში ექსპერტი და კონსულტანტი.

მრავალმხრივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მისი სახელი შეტანილია ქართველ მოგზაურთა, გეოგრაფთა და ბუნების მკვლევართა შესახებ 2003 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში. არის დავით აღმაშენებლის პრემიის ლაურეატი, ხოლო ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის 2013 წელს მიენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია, 2014 წელს კი „საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის“ საპატიო წოდება. 2013 წელს მიენიჭა აგრეთვე საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ამჟამად არის საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ნამყვანი, რადიოპროგრამების „ჩვენი საგანძური“ და „ხაზის რადიო“ ავტორი, კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულისა“ და ამავე სახელწოდების ლიტერატურული ჟურნალის დამფუძნებელი, დოკუმენტური ფილმების სტუდია „გუთანის“ კონსულტანტი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მიწვეული ლექტორი.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და სამი შვილიშვილი, რომელნიც, იმედია, ღირსეულად გააგრძელებენ წინაპართა სახელოვან გზას.

ამ ანექდოტურ ბიოგრაფიას კი უთუოდ დაშვებდება ის პოეტური სტრიქონები, რომელიც სევარიონ ნადირაძემ მიუძღვნა და ივანე ჯავახიშვილის სახელობაში გაასიმბოლოვა ღირსეულ პიროვნებათა მამულიშვილური ღვაწლი:

**მთამ გამიტაცა, მზემ გამიტაცა,
გავხდი ქარის და თოვლის მძევალი,
მწვერვალზეც უნდა დარჩეს ვიღაცა,
რომ გაიზარდოს ოდნავ მწვერვალში.**

**იქ, მწვერვალებზე, მრავალჟამიერ
მზეს ადიდებენ მთები სურებით
და წინაპართა კვალის მაგიერ
მთებს კვეთენ შენი ნაფხუხურები...**

ამირან არაბული

სულუქცევრად საკითხავნი

საფარი ღობილ-ქობილინი

ელენა ქიბიშაური, ცოლი ქორძო ნაროზაულისა და დობილი (დადნაფიცი) ნოდარ ანდლულაძისა, არხოტულ ამბებს იხსენებს და კვირვობს „ქალაქელი“ კაცის, ახლა უკვე მსოფლიო საოპერო ხელოვნების აღიარებული მანესტროს, უნაკლო, უბერებელ მესხიერებას: „სავეესურეთონივ, სათავრივლენივ, საწყევარანივ, წყალშუანივ... ნეტა ერთხან კიდე ფეწით მამავლივანვ — აუ, დედო, რა მავსოვრობა ხქონივ!.. ხან თაოდ ვევესურებ ველარ მაიგონებენ თავის სოფლის ადგილებს სახელებს...“

ეს ხდება 1999 წლის 2 თებერვალს (რუსთავის) გამარჯვებაში, გურამ ნაროზაულის ოჯახში, სადაც დაძმად გაფიცვიდან (ორივეს კარგად ახსოვს, 1958 წლის ზაფხულში, ათენგენობას, გარსია ოჩიაურმა ხატ-ღმერთი რომ ახსენა, სასმისში ვერცხლი ჩაფხიკა და ყველა წესის დაცვით აღასრულა მათი „გაძმობილები“ ტრადიციული რიტუალი) ამდენი წლის შემდგომ ერთმანეთს ხვდებიან ქ-ნი ელენა და ბ-ნი ნოდარი.

საუბარში, არხოტის განუმეორებელი ხიბლისა და განსაკუთრებული ფენომენის ცოცხალი განცდით რომ არის გაჯერებული, ელენას მული ნათელა ნაროზაული ერთვება: „ნოდარ არხოტ რო მავიდიის, სოფელთ შუაშიით ავგძრახდის: — სად ხართავ?! ჩემ კაცის (იგულისხმება ჩუა ოჩიაური — ა.ა.) ვევესურულ პერანგ ჩაიცვის. რაწლა უწდებოდის!.. მემრ აბიკაის დამ, ჭოლიკაურთ ძიმარმ, შაუკერ საკუთრულად... ბევრა მიძვ მამილის. მიხაროდის ნიადე. კა ვაუ, კათაში კიდე გამარჩეულ იყვის... ესლა სერ აღარ ღვარდების, რაწე შაცვლილი! იმოდნა დიდ არ ას, როგორც მე ორ...“

დროდადრო სიჭარმაგის ნალველნარევი ღიმილით სახეგახსნილი მანესტროც არხოტის ხეობისკენ „განმარტოვდება“ და თავის იქაურ მეგობრებზე (გარსია, ბირჩლა და გოგი ოჩიაურები, მისიტელ ნიკლაური, აბიკა და გიორგი „უბედური“ — ნოდარის ძმადნაფიცი) ჭოლიკაურები, გოგი და გრანჯა ქიბიშაურები, გაბრიელ ნაროზაული, ხვთისო ცისკარაული, ციციქა და ლეო ჯაბუშანურები...) საუბრისას ხევსურულ დიალექტზე უქცევს...

არც ელენას ელევა მოსაგონარი, თვალსა და გულში ღრმად ამოჭედული სურათები, ხან მზიანი, იდილიური, სიმშვიდით აღსავსე და ხანაც აღვართქაფებული, ავად აღროფებული დილა-სალამობები: „ერთხან არავგის წყალა (ასე ეძახიან ნეთხიროდან ახიელის გვერდზე მომსრბოლ მდინარეს — ა.ა.) ადიდდ. სახლის სიმაღლე მადიოდ. რო დაიეღნის, კარგა გამაჩინდის. დიდიდ ქევებს მავგორებდის. ეკაც (მეუღლე, ქორძო ნაროზაული — ა.ა.) შინ არ მყვანდ. ველთ სადამ იყვა, სასტუმროსა — აღარ მავსონს... მეშინოდის, წყალ ბალღებს გამტაცებსავ... ნოდარი გვევანდ მამი სტუმრად. ლოგინზე იყვ გულადმ შამანოლიდ... დაირთხნის აი ლაშნ, ბალღებსავ მწრებზე შავისხამავ, ინგუშეთში გადა-

ვიყვანავ... გარეთით არავგის წყალის ჩქევა მადიოდის... ნოდარ სიმღერით მეძახდის: ელენავ, ნუ დაშინდებვ, ბალღებსავ მე გადავარჩენავ... მემრ შანყვიტ სიმღერაი და ჩვენაც გავიხიზნეთ...“

კიდევ ერთი ნადობ-ნადობის სამუდამო სამყოფელის კარი გახსნა „სულეთის ღმერთმა მადლიანმა“.

მათ ახლა შინაურთავან ალაღად გაქჩერებული შენდობა და ღვთის ულუფა მიუღით ამ ცოდვა-ბრაღიანი ნამისოფლიდან.

ხოლო აქ ყველაფერი ძველებურადაა: მიძვ-ძვალისლილათი დაჭრელებულ სამოსსაც ისევ კერავენ ქიბიშაურებისა და ნაროზაულების მოხელსაქმე შთამომავალნი; „საბევესურეთონი“ თუ „სანყევარანიც“ იქვე, თავთავიანთ ალაგას არიან და, ალბათ, ბროიანი არავგის წყალაც კიდევ ბევრჯერ ადიდდება და გამოღვარავს ახიელის რიყეს...



კუჭისთავის კიდური

ღალანგურის სალოცავს, რომელიც ხევში, სოფელ ახალციხის უკან აღმართული მაღალი მთის თავზე მდებარეობს, რიტუალურ სადიდებელში ჯვარ-ხატთა ხუცესი ამგვარად მიმართავს: „ღალანგურის წმინდაო გიორგიო, ცით სვეტად ჩამასულო, წმლითა-დ ლახტით შაკაზმულო, დევ-დედაბერთად მეომარო...“

ხოლო მისი პირველჩენისა და სხვაგან წაბრძანების ანდრეზი შემდეგ ვვაუნყებს: „ღალანგურ წინ-წინ კუჭისთავ დაარსებულ, კიდურზე ქევბ რო ას, იმამა. საქონის სადგომ, უწმინდურ ადგილ ყოფილ. აბძანებულად-დ საცა ესლა ას, იქ წასულ“...

კუჭისთავი ჯუთის, ჩემი მშობლიური სოფლის, ერთი სულფონი, მშვიდი და მშვენიერი ადგილია, სადაც ადრე, ზაფხულობით, ბერნი საქონელი და ხარავანი იყრიდა ხოლმე თავს და ათეგრებულ დავაკებაზე ათენებდა ხან წვიმისგან წალეკილ, ხანაც ვარსკვლავიან ღამეებს.

სოფლის დღევანდელ მკვიდრთავან საკულტო ნაგებობისა თუ უბრალო, პრიმიტიული ნიშის იქ არსებობას არავინ მოსწრებია. რამდენიმე მრგვალი, დიდიანი ქვა კი ახლაც ისევ დევს „კიდურზე“ — ანდრეზში მინიშნებულ ალაგას... და აქედან ვრცელი, გულის გამლაღებული პანორამა და პეიზაჟები იშლება თვალსაწიერში: „ღმერთის სახლივით მშვიდი“ (ოთარ ჭილაძე) ჭიუხი და დეკის მუქ ქობამოვლებული ღორღიანჭალა, ბრმაჩილა და ნახიზნარალი, გარსის მთა და საქუხარა, დიდრუ და პირდპირა, სათბილოვანა და ყანათავი, შავქარაფი და ჭერხონვერა, თეთრკლდენი და ციხეკლდია, ნაღორა და შარვნის წორწი...

ამ ორიოდე წლის წინათ ჯუთაში მყოფმა მამა პეტრემ (კურტანიძე), როცა ტურისტულ ბანაკ „ზეთას“ სტუმრობდა, სწორედ კუჭისთავის კიდური დაიფულა და დაასახელა ქრისტიანული ჯვრის აღმართვისთვის ყველაზე საჩინო, ყველაზე შესაფერის, შორიდანაც ადვილად შესამჩნევ ხელსაყრელ ადგილად.

რატომ მაინცდამაინც ის და არა რომელიმე სხვა მთა თუ გორაკი, მაღლობი თუ ზეგანი, თხემი თუ კიდური?

ამის თაობაზე ვერაფერს ვიტყვი.

რა შეიძლება დავარქვათ ადამიანის (ამ შემთხვევაში — სასულიერო პირის, ეკლესიის მსახურის) ასეთ ხედვასა და არჩევანს — ნათელხილვა, სულიწმიდის სურვილის „ამოკითხვის“ ზეგარდმო უნარი თუ, უბრალოდ, ღვთისა და კაცისძის ნებათა ერთიანობის მორიგი მანიფესტაცია?!

არც ამ კითხვის ერთნიშნა პასუხი მომეძევა.

ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ იმ ადგილას, ადრე თუ გვიან, ჯვარი აუცილებლად აღიმართება!

თუშეთის მთავი

„ცოდვიან ხევსა“ და „ციმბირად“ სახელდებულ ცერს შორის ხალვათად მიფენილი, ჯერაც ხამი ბალახით წანაბდული, ალაგ-ალაგ ქვიშით დაზოლილი ფერადი ფერდობები...

თორღვას აბანოს ხეობის სულწუხ სიღრმეში სიზმარულ ჩვენებასავით გამკრთალი, ელქემი ნისლის სახვეილისგან გაქცეული ოკრობოკო, წინდის ბანრის ნაშალივით მყიფე და მორღვეული გზა...

მკვეთრი და მოულოდნელი მოსახვევის ყუფთან გაჩერებული, თუშეთისკენ გზალებული მიკროავტობუსი... უცნობი კოლეგისადმი ჩვენი მძლოლისა და მეგზურის ილო უშიშაიძის მიერ დასმული შეკითხვა და ალალი, არამანერული შეთავაზება: **ხომ არაფერი გიჭირთ, რითი დაგეხმართ?..**

და ხედავ მიკროავტობუსსა და თანამგზავრებს მოშორებულ, ასიოდ ნაბიჯით გამანძილებულ, აღმა მიმავალ ელგუჯა თავბერიძეს, ბარელი კაცის შეუნიღბავი ცნობისწადილით რომ გაჰყურებს საცხვრე ხორხის ველურ, ჩამოჭმეხილ სახილველს... ზეალბიური ზონის სახრინავზე მიმდგარი ზვავის ნადნობებისა და კამკამა ნაკადულების ერთობლიობა თითქოს იმის გამო შეუქმნია სამყაროს გამჩენს, სოდომგომორული ცოდვით დამძიმებულსა და გაჭუჭყიანებულ კაცობრიობას პირველშობილი სინძინდეების კვლავ არსებობა რომ შეასხენოს და დაუნამდვილოს...

ახლადამშრალ ხევისპირებზე — მყოვანი დიყი და კენკეშა... ნანიდარში — გამყარებული ლოლო და ჭინჭარი... მუქმწვანე დეკიანები, სადაც ეს-ესაა მწიფს შემრეშილი შალშავი...

შუა ზაფხულშიც კი გვარიაანად გრილი უღელტეხილი, სადაც ეკლესიის ასაშენებლად მგზავრთა მიერ დაბლობიდან ატანილი ქვების დიდი გროვაა...

სამდლიანი საზაფხულო სკოლის მონანილეები წირნამულში გაუჩინარებული კახეთისკენ მოვდივართ. ზრდილი იმერლები თუშეთის ქორბუდა სოფლებსკენ მიიჩქარაინ...

გული გწყდება. გაკნრავს მთაში ყოფნით დაუკმაყოფილებლობის მრავალჯერ გადატანილი ნოსტალგიური გრძნობა.

ისევ შენაკოს, დიკლოს, დართლოსა და ფარსმის ხურხევაებში ხეტიალით დალლა და კაკო ბუქვაიძის შინაში ღამეების თენება ჯობდა...

თანაც გიხარია, ელგუჯა თავბერიძეს — ცნობილ ქუთაისელ მწერალსა და წარმატებულ გამომცემელს, ღირსეულ კაცსა და ჩინებულ მოღვაწეს — საცხვრე ხორხზე ბევრად უფრო მომწუსხველი სურათებით აღფრთოვანება და გახარება რომ ელოდება წინ!..

„სელმარჯვედ სცემდეს ჩობანსა...“

„ლექს სხვაზე გადავაქციე, რო თოვიანჩი ქარიო...“
„ლექს უნდა გადავაქცივა, როგორც ლესვაჩი ქასური...“
„ლექს სხვაზე გადავაქციოთ, ბან მამე საყიყინაო...“
„ლექს სხვაზე შამავაბრუნებ, როგორც ბორბალსა წყლისასა...“

ლექსის „სხვაზე გადაქცევა“ („შამაბრუნება“) რითმის შეცვლას, სხვა წყობის სართომო სიტყვებზე გადასვლას, ერთი პოეტური ტექსტის ფარგალში გარკვეული ცვლილების შეტანას გულისხმობს.

მხატვრული შედარების კომპონენტად ეთნოკულტურული რეალის (ქასური, საყიყინა, წყლის ბორბალი) მოხმობა შემოქმედებითი პროცესის პროფესიული სპეციფიკის შიდა შრეს ათვალსაჩინოებს: მელექსე — „რა მისჭირდეს საუბარი“ — მსმენელს (მკითხველს) აუნყებს, რომ შეგნებულად ცვლის სიტყვის „ყუყს“ და, ამასთან, ამ უწყებაში მისი პირადი პოეტური დახელოვნების აქცენტირებაც ხდება...

ქარნარევე თოვასა და ქასურის ანუ სალესის წინაუკმო მოძრაობასთან ლექსის „გადაქცევის“ (რითმის შეცვლის, შესხვაფერების) შედარება უჩვეულო სახისმეტყველებით ეფექტს ქმნის. ლექსის სტრუქტურული ელემენტების ინტერპრეტირება იმავე ლექსის საზღვრებში მნიგნობრული, წერილობითი პოეზიისთვის უცხოა... ხალხური პოეტური ტრადიციის თავისებურებათა კვლევისას ეს მომენტიც ყურადსაღები და გასათვალისწინებელია.

ამომრჩეველი... რჩეული...

ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში ხევის მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრა რომ დამთავრდა, გიორგი მარგველაშვილი სტეფანწმინდიდან წმინდა სამების მთაზე ორ თანხმლებთან ერთად ფეხით ავიდა. „ლომა ხარისა და მწყემსი თევდორეს“ ჯან-ღონით ხურთისიდან ნაზიდი ქვით აშენებული ტაძარი მოილოცა და აქეთობის გზაც — ყბედი და დამლელი თავდაღმართი — ქვეითად ჩამოვლო. წინა წლებში დაგროვილმა გამყოლობის გამოცდილებამ კიდევ ერთი შნოიანი შტრიხი შემატა კოალიცია „ქართული ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატის ისედაც ღირსეულ პიროვნულ პორტრეტს... სტუმრებს გოგი თოფაძემ გვიმასპინძლა.

ზომიერი, ზედმეტი კულინარიული „სამშვენიისებისგან“ თავისუფალი პურობა დასასრულისკენ დაიხარა... ბატონი გიორგი თანამეინახეებს გამოემშვიდობა (იმ საღამოს ვაკის პარკშიც ჰქონდა დაგეგმილი ადგილობრივ ამომრჩეველებთან შეხვედრა და ამის გამო ჩქარობდა). დარბაზის გასასვლელისკენ მიმავალი წუთით შეჩერდა, დამესაუბრა და დედაჩემის წლისთავზე ჯუთაში ოცი წლის წინანდელი სტუმრობის დეტალები გაიხსენა...

მესიამოვნა, ასე კარგად რომ ახსოვდა განუმეორებელი გარეგნობის ჩემი საამაყო დედიძმა — მთელ იმდროინდელ ფშავეხესურეთში სწორუპოვარი მონადირე ბაძია ფიცხელაური...

და აბსოლუტურად აპოლიტიკური ჩემი ჭკუა-გონებაც ამასვე ანამდვილებს: ხალხთან მუდამდლიური სიახლოვე და ქრისტიანული თავმდაბლობა, ხალხის საყოფაცხოვრებო ავკარგის ცოდნა და ბუნებითი უბრალოება, ხალხზე ფიქრი და ზრუნვა (არა ყალბი და ფარისევლური, არამედ ნაღდი, გულითადი, უანგარო) ქვეყნის უზენაეს ხელისუფალთა უსაყვედურო კარიერიისა (კარგი გაგებით!) და დღეგრძელობის მყარი წინაპირობაა.

ფართამეტყველებისა

„ბილიკი სიყვარულისა ხან მწვანე, ხანაც სისვია...“
ეს სტრიქონები ეკუთვნის ვაჟა ხორნაულს — კარგ პოეტს, მშვიდ, ალალ, ფიქრიან პიროვნებას. ხალხური ხმოვანებით ნელმაგარი მისი ლექსი მკითხველს გადამდები ღირიზმით, სათქმელის სიღრმით, მხატვრულ სახეთა მოულოდნელობითა და იაპონური ტანკასთვის ნიშანდობლივი უკიდურესი ლაკონიზმით ხიბლავს, იზიდავს, აკითხებს თავს, ამასხოვრდება... და ამასხოვრდება ის ლექსიკური შეუსაბამობაც, მისებრ მახვილი სმენისა და პასუხისმგებლობის მქონე შემოქმედსაც რომ შეიძლება დაემართოს... „სისვი“ ცნება „მწვანის“ დიალექტური (ხევსურული) შესატყვისია და მათ შორის თითქმის არანაირი ნიუანსობრივი სხვაობა არ არსებობს. გამოდის, რომ სიყვარულის ბილიკი ხან მწვანე, ხანაც მწვანეა... ეს თითქოსდა უწყინარი, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ზადი თუ ხარვეზი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, როგორი სიფრთხილეა საჭირო, როცა რომელიმე კუთხის ლექსიკური საღაროთი ვსარგებლობთ და ლიტერატურისკენ ვუკვალავთ ბილიკს სემანტიკური ანდა ესთეტიკური თვალსაზრისით ღირებულ ენობრივ ერთეულებს („სისვის“ სულხან-საბასეული განმარტება

— „თეთრშავ არეული ბალანი“ — ამ შემთხვევაში საპირისპირო თვალსაზრისის არგუმენტად ვერ გამოდგება, ვინაიდან იგი სულ სხვა საგნობრივ სინამდვილეს გულისხმობს).

ანდრეზი

„სწავლულად ისტორიის. ჩვენებურად — გლახურად, ანდრეზი“, — მიხსნის ადუათ უნცრუა. „ანდრეზ ძველის, ნინანდელის საჯსოვარი“, — განმარტავს იქვე და მეტი მკაფიოობისთვის ამასაც დასძენს: „ვილაცას კა რაიმ რო ეთქვ, ის დარჩებოდ ანდრეზად...“

სალომლიაში ჩვენს საუბარს დედაჩემი ისმენს (თან კეცე-ულეებს აცხობს) და ასეთი ხალხური ლექსი ახსენდება: „ანდრეზად არ მადენილა ე მაგვდენ ხრიალ-გრიალი, ქალების მიდენ-მადენა, ღამე არ არცხვნის ტიალი“...

1982 წლის 5 ივლისია.

გარეთ შუადღის ალმური ტრიალებს. ის დროა, მზე რომ ზენიტში დგას და ხეები ჩრდილებს კარგავენ...

უნცრუა გაზაფხულზე მომხდარ და სამ თვეს გაგრძელებულ ანდრეზულ ამბავს მიაბობს: „ზეისტეროელ კაც იყვ, თემროზაულთ მამიშვილობისა, ვაჩე ექვიენ. სამეზავროობით უკენ რო ბრუნდებოდ, ჩხუბის და ბაცალიგოს შუაში, ჭევეში, ზვავმ ჩამაგდა და ძირს მაიმწყვიდივ. ცოცხალ გადაშჩ. ზვავისგან დალულუ დათვიც იმის ახლოს მახვდ. დაინყ ვაჩემ იმ დათვის ჭამა. დაინყა და შაჭამ მთლიანად... ზვავ რო დათხელდა და ჩატყდ სამის თვის მემრ, ვაჩე მალლა ამაქდ. წავიდ შინ... ფერშაცვილი იქნებოდ, ნიადე. დახვდ დედა... კედელზე ფანდურნ ეკიდნეს. იმას მიენვად ვაჩე. დედამ ვერ იცნა და უთხრ: — ნუ ჩამახვდივ, ჩემ შვილის დაკიდებულ ფანდურნიავ!.. ჩამახვად ვაჩემა და დაამლერნ: „სამი თვე ზვავში დავლიე: მარტი, აპრილი, მაისი, დათვი ტყავ-ჯორცით შავჭამე, ნეტავ რას მიზას მე ისი...“ ეს რო გაიგონ დედამ, გონ ახვდ. მემრ გაიგ, რო იმის შვილ დაბრუნდ. ვაჩეს ნასახლკრალ, ყორვერი და ჯოლ იქავ ას ზეისტეროს. ვგი სინამდვილე, ზეპირა ივის იქ მცხოვრებ ხალხმ...“

მე და უნცრუას, ჩემ დაბადებამდე ზეისტეროდან ჯუთაში გადმოსახლებულ მაცოდარ კაცს, ქაზდარში ტაბლა გვიდგას და უპრეცედენტო ამბის ამსახველი ანდრეზის გმირად ქცეული ვაჩეს შესანდობარს ვამბობთ.

ტანჯვის ღამე

1907 წლის 31 აგვისტო.

ილიას ვერაგული მკვლელობის მომდევნო დღე. ატკრეცილი კარ-მიდამო; დამგლოვიარებული ხალხი; დაბნეული მსახურები; ზედაზნის ფერგაცრეცილი მიდამოები...

გაზეთ „ისრის“ რედაქციიდან საგურამოში მიდის მიხეილ ჯავახიშვილი...

დალამდება და დამრჩომნი წასაფარებლებს ჩამოირიგებენ (დედაქალაქიდან თუ ახლო-მახლო სოფლებიდან ჩასულთაგან, როგორც ჩანს, ყველა ვერ ახერხებს შინ დაბრუნებას და ღამისთევა იქვე, საგურამოში უწევთ). მიხეილ ჯავახიშვილს ილიას სისხლით შეღებილი ბალიში შეხვდება; ბალიში, რომელზეც მგზავრობის დროს ბეჭებს ასვენებდა ხოლმე ეტლში მჯდომი ერის უგვირგვინო მეფე...

მიხეილი წყაროსთან, დიდი კაკლის ქვეშ მოათავსებს ბალიშს, ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიღებს, გადააფარებს, დადებს თავს და... „ფსიქიურად დატანჯულს“ და „ფიზიკურად დაქანცულს“ მამლის ყივილის ხანს ჩაეძინება...

უმძიმესი ოჯახური ტრაგედიის — დისა და დედის, სონას და ელენეს, არაადამიანური სისასტიკით ამოხოცვის — მერე პირადი ცხოვრების ეს ეპიზოდიც, ალბათ, ხშირად შეახსენებდა თავს...

და, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, სულ რამდენიმე წინადადებით რომ შემოიფარგლა და თავისი იმლამინდელი სულიერი მდგომარეობის შესახებ ვრცლად არაფერი დაუნერია.

დამთრგუნველი შემთხვევა იყო და მკითხველი დაინდო? თუ სისხლის ხსენება კიდევ უფრო გაახლებდა ცარისტული რუსეთის სულით ნათესავ ქართველ „მამულიშვილებს“ და ამის გამო იკმარა ფაქტის კონსტატირება?!

ეს ის შემთხვევაა, როცა კომენტარი ვარაუდების სფეროს დიდად ვერ შორდება.

არსოტელეპის საუბრიდან

(ამლა — 15.08.1981)

ციცქა ჯაბუშანური: „უხალხობამ გაგვკად იძულებულზე, რო აქით გადავსახლებულიყავით. აღარც ლხინის პატრონ იყვ, აღარც ჭირისა. მთიბენ ვერ შავყარნიდით, ოთხ-ხუთნ ძლივ მაგროვდიან, თუ წასულ-მასულ ვინ შამაგვანყებოდ. რო ვინ მამკვდარიყვ, დამმარხავ არავინ იყვ. საფლავის ამამთხრელს, მკვდრის წამლებს ვერ მახვლევედ“.

გაბრიელ ოჩიაური: „ჯვართ შაუჭდენავ ალიათ მგელა ბარუქის კუჭ. ერთან ქოჩან გადამაფარენესავ ტიტველსავ, — ნუ გემინისავ, არც შაცვივდებისავ, არც მაგშივდებისავ... ჩამამახენებებისავ: საირმესავ ნადირნ დადიოდესავ, ამლას ხე-ჭერნ იყვენესავ ჩაყუდებულნივ, ახიელ ჯინჭარ ილასტებოდავ...“

ობოლა ნიკლაური: „რკენა (პეტრე ნალვრისპირისა) ქარჩათ მამიშვილობის სალოცავი, ლალ იაქსარ-ჭოლიკაურებისა... გაგა ბერდიშვილ ყოფილ ყისმათიან, ნაწილიან კაც. არც მტრის ტყვია ზედებოდ-დ რაც გინდ საქმე ყოფილიყვ, იმისად წალმ შამაბრუნდებოდ...“

ხეთისო ჯაბუშანური: „ზამთრის აქ ჯოჯოხეთი, ზაფხულის კარგი. მამავალს წელს ვაპირებდ მლაშეში ჩასახლება. აღარ წაოლ, რაკი არხოტ ხალხ დაბრუნდ... კაცს რო ხიზან არ მახყავ, ის დიდხან არ იქნების მთაში, ადგებისა და იქავ წავ...“

ბენინა ნიკლაური: „არხოტის სიყვარულმ წამამიყვან ბარშით. აქ ცოცხალ კი არა, მკვდარიც გაიღვიძებს. ვის არ უყვარს აქაურ ბილიკებ, წყლებ, ნისქვილებ...“

ბადა თეთრაული: „ძალით გავგასახლეს მლაშეში. ერთ კალმის მასმით გავნადგურდი... ატაბიონ ზეზიათ ბაბომა და ქმოსტელ სულთანათ ბერდიამ თავებ დაიჯოცეს — არცერთს არ ეთმობოდ თავის მთა...“

უნცრუა ნიკლაური: „თას რო ვის ეღვრებოდის, თას გემლებისავ, — უთხრიან... ანდრეზ დროს მიაქვ: ავს კარგადია მააქცევენ, ტყუილს მართლად მაგაჩვენებენ... მლაშეში ჩვენ არა გვეკუთვნის. ერთ მტკაველ მიწაიც არ გვაქვ იქ. ბეჩავებ ვიქნებითა თუ ბედიანებ, აქ მაინც არხოტივენებ ვიქნებით...“

ამლაში, ჯირჩლათ ბერდიას ნაბინავარ მიწურში, სამფეხა ტაბლის გარშემო ვსხედვართ და ვსვამთ — ბარიდან წინა დღეს მთიბლებისთვის ცხენის საპალნით ამოტანილ შუმ კახურს ვანაკლულებთ. უგზობობის გამო იხტიბარს არ იტენენ ბუნებით ლალი, უდარდელი, ენაგზიანი არხოტელები. კრძალვით სახსენებელ წინაპართა ფხიანი ხმლებივით უჭრით სიტყვა... ვემშვიდობები დამხვდურებს: ჯუთამდე მე და ჩემ წითლას ნახევარი დღის ღორღიანი გზა გვიდევს და ვჩქარობ...

ვგრძნობ: ასას დინების საპირისპიროდ მიმავალს მოწყალე თვალ-გულით მიმაცილებს იახსრის კალთას უდროობისგან დალილი და დანალვლიანებული ყარიბივით შეფარებული საბეკური — ნასახლარი სულიერთა და უსულოთა გულთამხილავ ხოგაის მინდისა.

„ვერ ვნახე, დაკარგულიყო“

მენატრება: ის კარგი, დაკარგული ჯუთა. ლალიანი, ღონიერი, თავისი სამდღევრო საქმისა და სალონის აბლაბუდამი გაბმული, ჯაფასა და ჭაპანწყვეტამი ჩაყუდებული, ჩამყუდროებული.

შავი ფანქრის რბილ მონასმებში სულჩადგმული და ამეტყველებული.

მინური სახლები; მილაგებული კალოები და საკარმიდამოები; კობხად აკვალთული ბანის სანაპიროები; ქვის კიბეები; სიპით და რიყის ქვით ნაგები ყორეები; საჩადლებში წინა წლის სერკვები და თივის ზვინები; ზეთა და ქვეთა გზა — ორივე ვინრო, ღორღიანი, სამარხილე... ორღობებში — კენტი კაცები; აღმართს შეკიდებული ბაღლები და საკუნაღბის წინკარში მიმსხდარი დიაცები; გლუმთაში დაბმული ცხენები; დიდი ლოდების ჩეროებს შეფარებული ხბოები; კუჭისთავის გასწვრივ საძოვარზე გაფანტული ცხვრის ნოტო; მდინარის პირას ჩადგმული წისქვილები; ხის ღარები და სარუეები; შუადღის მზეს მიფიცებული, შრატდაღვრილი ზღავიანი ეზოები; სანაგაბრები, აშამბებული ბექები და ნაღობები, სწორ მწკრივებად დაზოლილი საკარტოხები...

მამაჩემის ნახატი — ზედმინევიტ ნატურალისტური და, ამასთან, რაღაცნაირად იდუმალი, მრავალნახნაგოვანი, ხაზგასმულად არქაული იერით აღბეჭდილი...

ერგასის წინ მზისპირიდან რეალისტური მანერით შესრულებული, ჯერჯერობით უკვალოდ დაკარგული ნამუშევარი...

დღეს ჯუთაში, ალპიური ზონის სამსაუკუნოვან სოფელში, არცერთი ბანიანი სახლი აღარაა.

ილო ფსოველის ნაამბობიდან

რომ არ ვნერო ის, რაც შეიძლება სამუდამოდ დაიკარგოს, ჩემთვის შეუძლებელია; თითოეული ჩაუნერეული ამბავი ცრემლებამდე მეცოდება.

გურამ რჩეულიშვილი

ენკენისთვის 28. ნელი — 2002.

ბარისახო. სკოლა-ინტერნატის სამასწავლებლო ოთახი.

გოგი ოჩიაური და ილო ფხოველი ძველი ფშავ-ხევსურეთის ამბებს იხსენებენ; დროთა დენაში გაცრეცილი სიუჟეტებს ნაპირ-ყუფს უმთვლებენ, ჰყვებიან... იქ ეგულებათ თანადროულთა მჯობნი ქართველები. დანანვერებული სულების საღბუნსა და მალამოსაც იქვე, ცხოვრების იმ „მარტივ“, უბრალო წესებში ეძებენ, უახლოვდებიან, პოულობენ...

ანკესზე ნამოგებული არაგვის კალმახით აფართხალდება მორიგი მოგონება; აფართხალდება და ისევ დავიწყების მდინარეში რომ არ გასხლტეს და გაუჩინარდეს, სეფისკვერივით ჩამორიგდება „ყურთით მაყურებელთა“ შორის...

ახლა, როგორც იტყვიან, ძია ილოს წისქვილის ჯერია:

— ამ ბოლო წლებში ხახაბოში დავდიოდი. იქვეა ხონის-ჭალა, სადაც ერთი მოხუცი კაცი — როსტომ შეთეკაური ცხოვრობდა... ერთხელაც შატილიდან გამგზავრებული შუალამისას მივედი. ძაღლებმა ატეხეს ყეფა. გაილო მინურის კარი. გამოვიდა მასპინძელი: — ღმერთო, დამწერე ჯვარივ, ფშავლის ვმაიავ ევეგივ!.. გაიხარა ჩემი მოულოდნელი მისვლით... მაშინ თქვა: — ერთხელ კურდღელაურში შავი ღვინო დავლიე. პირიდან იმის გემო დღემდე არ გამჩენლებიაო... ქერის შინნახადი ბლომად ჰქონდა, მაგრამ ღვინო ენატრებოდა... სხვას წელს რომ ავედი, ჩემი ხელით დაწურული ყურძნის წვენი ავუტანე. დავსხედით და ვიქვიფეთ. გამოიტანა ჭიანური... დაუკრა და რა დაუკრა, სულ

ცხარე ცრემლით ატირა სიმები!.. ყველაფერი იცოდა იმ კაცმა: სტუმრის ღირსეულად მიღება, მოფერება, სასიამოვნო მასპინძლობა, სიღარბისლე... არ ვიცი, ახლა სად არის. იმედია, კიდევ შევხვდებით...

.....

ახლა ხახაბოში და ხონისჭალაში მიღმახევის ცივი ქარები დათარეშობენ.

როსტომ შეთეკაურისა და ილო ფხოველის წილი საწუთროც მდუმარების ნავლისფერმა წისლმა დაფარა...

.....

და ზნეობრივი საქციელის ეს პატარა ამბავიც იმ დღეს გვიამბო ძია ილომ:

— ახადელი ბოიგარი რაღაც საჩქარო, გადაუდებელ საქმეზე საზვავეში წავიდა სოფლიდან. მეზობლები გააფრთხილა: თქვენ უკან, შორიხლოს მომყევით, ხევს თუ გადავურჩი და სამშვიდობოს გავაღწიე, მერე წამოდიოთ... გატყდა მთა. იქუხა ზვავმა... ბოიგარმა ქუდი მოიხადა და ხელი დაიქნია: — აბა, კარგად იყავითო!.. წამში წაშალა თოვლის სითეთრემ. სამ თვეს ეძებეს. იპოვეს და მიაბარეს მინას. აი, ეგეთი ხალხი იყო წინათ!..

.....

თვითონაც „ეგეთი“, მუდამ ღია, უღრუბლო ღიმილის მჩენი კაცი იყო ილო ფხოველი — ჩვენი რჩეული, საყვარელი პოეტის „ლურჯთვალა შალანი“.

შარუმათ გაბრიელი

ორთავ თვალთ უშტარი გაბრიელ ჭინჭარაული — თანამინაწყლელთა და ახლობელთათვის — „შარუმათ გაბრიელი“.

ღირსების მალმერთებელი ძველი დროის ადებტი და გამოცდილი მოწესე ხანთუხნიერესი ხევსურული სადღეობო რიტუალებისა და რჯულ-სამართლისა.

მართალ-მაგარი, პირდაპირი, გულის ხმის, გონების რჩევისა და მკაცრი ზნეობრივი იმპერატივების მოყურადე და მიმყოლი მელექსე: „ახლანდელ კა ვაჟს სჯობია, მაშინ ვინც იყო ჯაბანი“.

წარმოშობით ჭეჭყეთიონი (ნასოფლარი ჭეჭყეთი შატლისკენ მიმავალი გზის მარცხნივ, კისტნის მიდამოებში მდებარეობს) კაცი დღეს ჯუგაანში ცხოვრობს და ვერაფრის დიდებით შერიგებია თავის დიდ, ნედლ, გაუნელებელ ტკივილს: „სამშობლოს დავემშვიდობე, ჯვარი დამწერეს კლდეებმა, ტირილით გამამისტუმრეს მამ-პაპათ სიმაგრეებმა“.

საათენგენოდ ისევ მიდის მთაში, რათა საგვარეულო ჯვარ-სალოცავში ხევისბრობის უმძიმესი და, იმავდროულად, უღამაზესი საღვთო მისია აღასრულოს; დალოცოს და დაამწყალობნოს მეზღვნე-მეხვეწური.

გარს მუდამ ახვევიან გონიერნი და გამგონნი — დროვნილიც და ახალგაზრდანიც...

ხმის გამცემს დანატრებული და საკუთარ კარ-მიდამოში „მწყვედელი“ ხანდახან თავის უბედობაზე დაიჩივლებს: „დღეს მხურავ შავი ნაბადი, თვალეში ჩადგა ჩრდილია, რა უგემურად თავდება ჩემი სიცოცხლის წილია...“

მერე კვლავ ნამუსიანი წარსული წამოაგონდება და აჭრილი დღევანდლობით განზილებული უსაფეროთა გასაგონად აძრახდება: „მაშინ კაი ყმას აქებდეს, მტრის მესსა, სისხლის მდინესა, შორად გზა-კვალის გამტანსა, არწივთან მესადილესა“.

შარუმათ გაბრიელი — გარდასულ გმირთა და პირისწყლიანობით გამორჩეულ რიგით ადამიანთა საამქვეყნო ღვანლის დამნახავი, შემცნობი, დამფასებელი და „სამზეოს დაკლებულთა“ ლექსად დამტირებელი: „არა ვთქვა, გული ღონდება, თქმა მიჭირს, არ მნადიანო“.

შარუმათ გაბრიელი — მთიდან კახეთში გულსძალად ჩასახლებული ნიმატუცვლელი ხევსური, უთვალისჩინობისდა

მიუხედავად უაღრესად მაღალ პოეტურ რეგისტრში რომ ჭერებს და წარმოსახავს კისტან-ლებაისკარისა თუ მილმახევის თვალგულ მისავალ, სახილველ სანახებს: „**ლამაზი ბროლით ნასევდი მხარ-ბეჭი კლდისა სალისა, ამღერებულე ხევები, ქოთი არღუნის ჭალისა**“.

შარუმათ გაბრიელი — ზედმიწევნით მცოდნე ხევესურული დიალექტური მეტყველების ყველა საქცევისა, დეტალისა, ნიუანსისა: „...**ნატყვივირანის წუხილი, თავშარის ბობოქარია**...“

შარუმათ გაბრიელი — უფროსი თაობის ხევესურ მეღელქსეთა ერთ-ერთი უღონიერესი წარმომადგენელი!..

ცხადი და იღუმალი

„ქუდზე გალაღეს სალდათი, ყანას დედანი მკიანო, შვილების მოლოდინი აქვ, ულოებს ცრემლით სვრიანო...“

დასრულებული, ახსნილი, უქვეტექსტო სურათია: მიძიმე, ავბედითი დღეები დგას ქვეყანაში, სადაც გაორმაგებული სიმძაფრით განიცდება უმამრობა (გავისხენოთ „ბახტრიონის“ სანათას გაკვირვება ობოლ კვირიას დანახვაზე: „**აღარ მეგონა, თუ მამრი კიდევ მინაზე დადისა**...“)... და ამ დროს პოტენციურ გმირთა გამზრდელი დედები, ჩიქილაში თავპირ შემალულთ ქუდოსანთა სამეურნეო მოვალეობაც რომ შეუთავსებიათ, შვილების (ცოცხლად გადარჩენილებისა თუ ბრძოლის ველზე დაცემულების) მოლოდინში მდულარე ცრემლად იღვრებიან...

„ენკენისთვე გამწარდა, თვითთვილ გააბა მთასაო, კარგა გაგლესავ, ნამგალო, ცრემლით ჩაგირეცხ ფხასაო...“

ისევ სიმწარე და ცხელი, მჩქეფარე ცრემლი. ოღონდ არ ჩანს, რა მიზეზით. თითქოს ჩვენს თვალსაწიერს წვიმანარევი ნისლის სქელი ფარდა აფარია. ვდგავართ ბანზე ანდა წინგარდაზე და გავიყურებით... და ვერ ვხედავთ, რა ხდება; რამ მოქსოვა უფსკერო და უნაპირო სევდით გაჟიებული ეს მომენტალური სამგლოვიარო სიტუაცია...

აქ, — მისტიკის ელემენტიც რომ უსათუოდ ურევია, — შეუცნობლობის მუხტი და იღუმალეა მეტია. და (კეთილ) მკითხველს ანონიმი ავტორის ანუ ლექსის ლირიკული გმირის წრფელი თანამოსატკივრეობის ქვეცნობიერი ნადილი უჩნდება: სურს გაიგოს, რა მოხდა და, თუკი მოუხერხდა, შეძლებისამებრ დაეხმაროს კიდევ...

მეორე ნიმუშში (როგორც ახლა იტყვიან — „ტექსტში“) უფრო ჭარბია პოეზია, გნებავეთ — დუნდე, ვიდრე პირველში. ბოლომდე გაუმხელებელი თუ გაუშიფრავი ტკივილის ნახმევი გაცილებით ახლოსაა სიტყვიერი ჯადოქრობის უჩინარ, უკონფიგურაციო მწვერვალთან.

ისე, გალაკტიონზე უკეთ ვინ იცოდა ლოგიკურ განსჯას დაუქვემდებარებელი ეს არცთუ ისე მიამიტურად მარტივი კანონზომიერება: „...**სანამ წვიმა გადივლიდეს, გზები გამშრალდებოდეს, ნუ მოაცლი ციურ რიდეს, რომ ბურუსში ჩნდებოდეს**...“

აუღებელი სიმაღლე

ვიდრე სტრიქონებში მოყვრებიდან გვიან ღამით შინისკენ მომავალი მამაჩემის ცხენის ნალების წკრიალს არ ავახმინებ, მგონია, რომ სათქმელი ბოლომდე არ მითქვამს, მთავარი ლექსი ჯერ არ დამინერია, მწვერვალისთვის არ მიმიღწევია...

ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ სიზუსტეზე თავს ვერ დავდებ, შინაარსი კი ზედმიწევნით ასეთი გახლდათ მშობლიურ ყაზბეგში თავის საიუბილეო საღამოზე ალექსი გომიაშვილის გამოსვლის დამამთავრებელი, ფინალური ნაწილისა.

ნაპირყუყამდე ხალხით სავსე კინოდარბაზში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ად-

გილობრივი და თბილისიდან წვეული მწერლები და ორატორები; თანამინაწყელი კაცისა და შემოქმედის წარმატებული დღით ხარობდნენ მოხვევები...

ყაზბეგის სკოლა-ინტერნატის მოწაფე ვიყავი და ვესწრებოდი გასული საუკუნის 70-იან წლებში გამართულ ამ მართლაცდა სოლიდურ, კარგად ორგანიზებულ, რაიონის კვალობაზე დიხაც რომ გრანდიოზულ ღონისძიებას.

და მოკიდებული იმ დღიდან, ვიდრე პოეტის გარდაცვალებამდე, სულ მქონდა რალაცნაირად იმედიანი მოლოდინი იმისა, რომ მისთვის ესოდენ საოცნებო, სანიაზო, სანარჩევო ლექსს სადმე უსათუოდ წავაწყდებოდი და წავიკითხავდი.

შეიძლება შექმნა კიდევ და ახლა მის პირად არქივში ინახება? იქნებ გამოქვეყნებულიც არის და მე არ მინახავს, არ შემხვედრია?

რა ვითხრათ...

ნუთით წარმოვიდგენ ხოლმე წყალათხიდის მიდამოებს, ქაცვიან ჭალებს, თერგის ნაპირებს, ყაზბეგის (ახლა უკვე სტეფანწმინდის) ყანა-სათიბებს, მთვარის შუქით ლიბრად განათებულ ყუროს ჩამოფხავებულ კლდეებს, რიყის ბასრ ქვებზე ნაურვალი ცხენის ნალთა წკრიალს, ამ სანუკვარ, შორით მომდინარ ხმაზე ხარბად მიყურადებულ ყმანვილს და...

მგონია, რომ ამგვარი ჩანაფიქრი სხვა არაფერია, თუ არა აუღებელი სიმაღლის მკრთალი კონტური: ამოუთქმელი, დაუფიქსირებელი, წერილობითი სახით გაუფორმებელი კონვენციური ლექსის ბალავარი, უქმად დებისგან ხავსი რომ აპკვრია და უკვალოდ გაქრობის საფრთხე დამუქრებია.

ხევისურის მუქარა

(გოგი ქეთელაურის ნამუბობი)

„კომერციული“ ინტერესით თბილისში ჩასულსა და ერთ-ერთ ბაზარში მოხვედრილ ხევესურს, ჭრელ პერანგზე მხარიღლივ რომ გადაუკიდებია მამაპაპეული ფარ-ხმალი და თავზეც ხაზგასმულია ნაციონალური ნამუსის ქუდი ახურავს, უბადო და უწვართი წვრილფეხა ბაცაცები საუბარში შეიყოლიებენ, გაართობენ, გააბრუებენ და დახლზე შემოდებულ, გასაყიდი ყველ-ერბოთი სავსე ხურჯინს თვალსადახელსშუა ააცლიან. მიმოიხედავს და... ლიტაო ხესავით ცარიელ-ტარიელი დგას ფუტკრის სკასავით მოზუზუნე, უზნეობის, ტყუილისა და უსინდისობის არენად ქცეული ბაზრის შუაგულში.

ბრაზი და ბოლმა სახეს აუნვაგს, გათელილი თავმოყვარეობა შეანუხებს, მზერაში რისხვის ნაპერწკლები აეშლება, სირცხვილის ალი ნაეკიდება, აღელდება, აბობოქრდება და სეირის საყურებლად ირგვლივ შემოხვეულ ხალხს მიმართავს:

— **თუ ხურჯინს ახლავე უკან არ დამიბრუნებო, მეც იმას ვიზამ, რაც ჩემს დღეში ჩავარდნილმა ჩემმა დიდმა ნინაპარმა ქნა!**

ყალბად მოჭირხმიადენი, ცოტა არ იყოს, შეცბებიან, შეშინდებიან და მდგომარეობის დაძაბვის მოლოდინში თავიანთ ცნობისნადილს მარტივი შეკითხვით გამოხატავენ:

— **რა ქნა შენმა დიდმა ნინაპარმა?**

— **რა ქნა და... ის ქნა, რო ადგა და შინ წავიდა!..**

დიდი კულტურის ნაკვალი

ხაზხვეულების, ორნამენტებისა და იეროგლიფების იღუმალ ენაში ჩაშიფრული, ანი სამუდამოდ დავიწყებული სავარაუდო საკრალური ცოდნა და დადუმებული, გაქვავებული, გაყინული ისტორია ჭეჭყეთისა და კისტანის, შატილისა და ლეზაისკარის, არდოტისა და ხახაბოს, მუცოსა და უკანხადუს, ბისოსა და ხახმატის, ჰელოსა და გირევის, წაროსა და ინდურ-

თის, ჭეშოსა და ჭონთოს, ფარსმისა და დართლოს, დანოსა და კვაელოს, ახადისა და ხოშარის... ჩამობერებულ, ჟამთაღენაში ლამის ჩამონაგაბრებულ ციხე-სიმაგრეთა და ჯვარ-ხატთა ჟანგიან კედლებში ჩამენებულ ქვებზე, საცხოვრებელი სახლების ყორეებზე, კიბობნებზე, საფლავის ლოდებზე...

პიქტოგრაფიანი ქვებიდან ზოგიერთი კაჟივით ურჩი და მტკიცეა, ზოგი — ჩეთი, დამყოლი და იოლად შლადი, მთლად შირიმის ქვასავით რბილიც არა, მაგრამ ისეთი, ასწლეულებს რომ ველად გაუძლებს...

როდის გაჩნდა და საიდან შემოვიდა დაშიფრული დამწერლობის ძველთუძველესი ტრადიცია საქართველოს მთიანეთში, ბოლომდე ახსნილი და არგუმენტირებული დღემდე არაა.

გრძელდება ძიება, მიგნება, დაფიქსირება და, შეძლებისდაგვარად, შესწავლა.

და გასაგებია ბევრითი დებულებების წამოყენებისგან თავშეკავება: საამისოდ კომპლექსური კვლევა და მყარი, წყალგაუმტარი არგუმენტებია საჭირო...

არმაზ ჭოლიკაურის და დათო ლიქოკელის კეთილი ნებისა და მეგზურობის წყალობით მეც მივაკვლიე ერთ ასეთ ქვანაწილს ლიქოკის ხეობაში. ოდონდ ის არც ქვე-ციხეშია „ჩანერილი“ და არც სახლისა თუ ქვითკირის უღამკირო, მშრალად ნაგებ ყორეში: საგვარეულო სამლოცველოს სახურავგადახდილ, აშამბებულ „დარბაზში“ დევს და თავისი მრავლისმეტყველი ფიგურებითა და სიმბოლური ნიშნებით აზრთა საჭადაო მოედანზე იწვევს სწავლულებს, მეცნიერებს, ინტელექტუალებს...

მივაკვლიე და პუბლიკაცია ჟურნალ „ჩვენ მწერლობაში“ ამგვარად დავასათაურე: „მინანის საფლავი?..“ გავიდა დრო და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ (15.XI.2013) დაიბეჭდა ხელოვნებათმცოდნე-საკუთვარაფის (ამ ტიტულებით წარმოგვიდგენს თავს) გიორგი გიგაურის წერილი „ქართული და ლაზური პიქტოგრაფიები“. ახლავს ქვესათაურიც: „წერაქვული დამწერლობა“. ავტორი ჩემ მიერ მითითებულ (იმედია, ემახსოვრება და ვერ უარყოფს) ქვას საკუთარ აღმოჩენად ასალებს: „...2011 წლის ზაფხულში ჩვენს მიერ პირაქეთა ხევსურეთში მიკვლეულია და დაფიქსირებული კიდევ რამდენიმე ნიმუში ქვა, მათ შორის ე.წ. „მინანის ქვა“, რომელიც „კარატის“ ჯვარ-სალოცავებს შიგნით ინახებოდა“...

როგორც ხედავთ, ქვისთვის ჩემგან შერქმეული სახელი ნაწილობრივ შეუცვლია და ამითი ცდილა პლაგიატის გადაფარვას.

ასე რომ, ჯერაც არსებობს კატეგორია „სწავლულთა“, რომელთაც შეუძლიათ უბოდიშოდ ნაშალონ წინამორბედთა წვლილი, „გააქრონ“ მათი ვინაობა და თავიანთ დამსახურებად ჩათვალონ ის, რაშიც მათ ერთობ კნინი, უმნიშვნელო გარჯა მიუძღვის.

საერთოდაც, კრიტიკული თვალთ გადასახედია გიორგი გიგაურის მოსაზრებები და თამამი, ბევრითი მტკიცების ტონით წამოყენებული დებულებები სკრიპტოგრაფულ და პიქტოგრაფულ სისტემათა კითხვის ნიშნებით აღსავსე სფეროში.

პილსა და ღვიპილს შორის

ცხოვრების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოკვდე. მუსა ჯალილი

გვეკარგება (მოგვწონს, გვენაზება, კარგად გვიჩნს, არ გვეთმობა) და გვეძვირფასება ის, რასაც უკანმოუბრუნებლად ვკარგავთ. ვთქვათ: ჯანმრთელობა. ჯეროვნად ვერ ვაფასებთ იმას, რაც გვაქვს, გვაბადია და ცხოვრებას გვიღამაზებს. ვთქვათ: სიყრმე, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა.

წლების მატებას და, შესაბამისად, ჯან-ღონის კლებას ვერაფერს ვუხერხებთ; წინ ვერ აღვუდგებით, ვერ შევაცოვებთ.

ხოლო სულისა თუ სხეულის სისალის შენარჩუნება დიდნულად ჩვენზე, ინდივიდებზე, ბედის ხელში სათამაშო არსებებად დაბადებულ მოკვდავთა მონდომებასა და ნებისყოფაზეა დამოკიდებული...

ვიცნობ (თქვენც იცნობთ) უბიოგრაფიო, უთავგადასავლო, სტერილურ პირობებში დღენაკლულად მცხოვრებ პერსონებს, გაციების შიშით მშობლიურ ნიავსაც რომ ემალებიან (ბევრ მათგანს, ალბათ, მოეხსენება, რომ „მაიკო ორბელიანი მარაოს ნიავზე გაცივდა“ და, გამომდინარე აქედან, საგანგებოდ ფრთხილობენ!); „ცვრიან ბალახზე ფეხშიშველა“ რომ არასდროს გაუვლიათ და არც ვარსკვლავებით მოოჭვილი ღია ცის ქვეშ უთენებიათ მთვარის შუქით გალიცილიცებული კაემნიანი ღამე...

სმირად სოფლის წარმავალი სიამეებით ტკობის სურვილი სიფხიზლეს, წინდახედულებას, საკუთარი ნაბიჯების კონტროლს გვაკარგვინებს. გადავეშვებით თავდავინწყების ზღვასა თუ მდინარეში და მომყოლ, მომდევნო დღეებში უწესო, უზნეო, უნორმო ქცევისა და ცხოვრების მწკარტე ნაყოფს ვიცოხნით. გვიჭირს ზომიერების დაცვა და შენარჩუნება.

მუდამდელ უკიდურესობათა ყრუ ჯვბირებს ვანყდებით, ვეცხებით...

ისე, კაცმა რომ თქვას, არც სამანებმორღვეული ყოფა ვარგა და არც მარჩბივებივით ერთურთს მიმსგავსებული ულიგმოტო დღეების მონობა. დღეთა ბუნებრივი დინების ერთგულ თანამგზავრობაშია მიმალული „ლამაზი არსი ჩვენის კაცობისა“... ჰედონიზმიც ისევე მიუღებელია ცოდვითდაცემული კაცობრიობის გონიერი ნაწილისთვის, როგორც ასკეტური თვითგვემისკენ ფანატიკური მიდრეკილება... ამიტომაც უწევთ ხანჯლის ალესილ ფხაზე სიარული ჭარბი ამიტყენიური საცთურებისგან გაქცივის მოსურნე, სიავისა და უკეთურების წინააღმდეგ ამხედრებულ ზნესრულ პიროვნებებს...

და მაინც: არაფერია საპირწონე მკივანი, მკენესარე ტკივილისა, დროთასვლის უაღრესად აჩქარებული ტემპი რომ აღძრავს ადამიანში.

მარადისობის სახიერი სურათები

სევდიანი სიჩუმით აღსავსე ძველი ქართული სამაროვნების ხილვა, საუკუნო სასუფეველში დამკვიდრებულ ქუდოსან-მანდილოსანთა სანდომიანი სახეებისთვის თვალის შევლება და ირგვლივ ჩამომდგარი აზრიანი უბრალოება ერთიანად ამძაფრებს და მარილმოყრილი ღია ჭრილობის სიმხურვალით მსჭვალავს უაღრესად ტკივილიან, ნოსტალგიის უღრმესი წიაღიდან აღმოცენებულ, ჩვენი ჟამკარარეული ყოფისთვის სრულიად განსაკუთრებული დატვირთვის დამტვეკითხვას: „რანი ვიყავით და რანი ვართ?!“

საუკუნის თუ ორი ამდენი ხნის წინანდელ სადა საფლავის ქვათა ნატიფი ორნამენტები, თანდაყოლილი მხატვრული ალლოთი და უტყუარი გემოვნებით შესრულებული ბარელიეფები, ბუნებრიობასთან მაქსიმალურად მიახლოებული ყოველი ნაყმი, ნაოჭი, მასიური ლოდების გვერდებსა თუ ზედაპირზე ამოკვეთილი ეპიტაფია — ლაკონიური სამგლოვიარო ლექსი ანდა ორსიტყვიანი უბრალო წარწერა — საგნობრივი დასტურის და არაორაზროვანი დოკუმენტია ჩვენი წინაპრების უდავო ნიჭიერებისა, ზეგარდმო მადლით გამშვენებული შემოქმედებითი შრომისა, სიბრძნისა და სიღარბაისლისა.

ნაივური ხალხური შემოქმედება მის შემქმნელთა მოდგამოდენილობის, მსოფლმხედველობის, ბუნების, ზნე-ხასიათის, საერთოდ, მათი სულიერი სამყაროს ხელშესახები ხატია... სინამდვილის ალაღად, მიუკიბ-მოუკიბავად, შეულამაზებლად ასახვა „უბირ“ მელექსეთა, მეზლაპრეთა, მეანდრეზეთა თუ ქვითხუროთა ხელწერის თანმდევი ნიშანია...

ამ ბოლო წლებში მე და ეთერ თათარაიძეს საქართველოს ბევრი კუთხისა თუ რეგიონის შემოვლა მოგვინია. მოვიწახუ-

ლეთ ძველი, ტრადიციული სოფლები და ქალაქები, ანუ ის პირწმინდად ქართული დასახლებები, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება შუმ (და არა ჩუმ!) წარსულთან პირისპირ შეხვედრა, დღევანდლობის სამან-საზღვრებიდან კაი ხნის გარდასული ყოფით — ეთნოგრაფიული რეალიების ხელახალი აღმოჩენით გახარება და თავის გამხსნევა, ნამდვილ სამშობლოში დაბრუნება და სულის სალბუნის მოხელვა, მოხელთება...

და აი, ერთხელაც, წვიმიანი მაისის ერთ უჩვეულოდ დარიან დღეს, მანგლისის უმშვენიერეს გზას დავადექით და წინდაწინ შეგულებული სოფლებისა თუ ნასოფლარების (ასეთია ულმობელი რეალობა!) ფერმიხდილ სასაფლაოთა მორღვეული ნაპირ-ყურენი მოვათვალიერეთ...

დაუპატიჟებელი სტუმრის „სტატუსით“ უცხო ძვალშესალაგათა მოღობილში მოხვედრა უნებლიე რიდისა და უტყვე დამხედურებთან კრძალული დამოკიდებულების აღმძვრელია: შენი მამა-პაპანი ხომ აქედან შორს, ნისლიანი მთების გადაღმა, სხვა ქვეყნის სამოთხეზე ბევრად ძვირფასი კლდე-ჭიუხების მყუდრო კალთაში განისვენებენ და თუკი მათი ცხოვრებისეული გზის რამდენიმე მნიშვნელოვანი საბრუნ-საქცევი, ასე თუ ისე, იცი, სამაგიეროდ, აქაურობის ბევრი არაფერი გაგვგება. შესაძლოა ზოგჯერ სოფლის ცნობისმოყვარე (რა განზრახვით მოხვედი და რას აკეთებ!) მოსახლეს გამოჩნდეს, გაგცნოს, მეგზურობაც შემოგთავაზოს და ისიც გაიამბოს, რაც „საფლავსა ამას შინა მდებარე“ ქალისა თუ კაცის შესახებ სმენია. მაგრამ ეს ხომ მაინც ზღვაში წვეთია, ძალზე ცოტა და უქმარია სურათის გასამთლიანებლად, ანუ, როგორც თუშები უწოდებენ, „მინისფერდებულთა“ მართალი ბიოგრაფიების აღსადგენად და ასამეტყველებლად...

დიდგორის გადასახვევს რომ გაცდები და შეუმჩნეველი დამრეციდან ცოტას გაივაცებ, გადახუნებული საგზაო წარწერა ხელმარჯვნივ შებრუნებას გკარნახობს: სამიოდე კილომეტრში მოხისია (ამავე სახელწოდების სხვა სოფელიც არსებობს საქართველოში, კონკრეტულად, გორსა და ხაშურს შორის).

თუ იმარჯვე და მუხლამდე ტალახში ავტომანქანიანად არ ჩარჩი, ტიპური ქართული სოფლის სადაგი დილის საამურ სიგრილსაც „დააგემოვნებ“ და ნამიან ფერდობზე საბალახოდ შეფენილი ლოხი ნახირის ცქერითაც დატკბები... სოფლის ბოლოში მდებარე რამდენიმე კრამიტისსახურავიანი სახლიდან ამოსული ლურჯი კვამლი გეუბნება, რომ აქაურობა, სხვა ბევრის დარად, მხოლოდ ღვთის ანაბარა არაა დარჩენილი და არიან ადამიანები, დღესაც რომ ღონივრად ეწევიან სოფლის ღირსეული შვილობის ძნელსა და მძიმე ჭაპანს.

მომცრო გორაკზე, ზედ გზის პირას, მყარი, სადა საყდარი დგას, აღმოსავლეთის სარკმლით, რომლის კამარას მოყვითალო ფერის ძველი ქართული ასოებით დამშვენებული ქვა კრავს. წარწერა იმ ზომამდეა გალუული და გადაგლუებული, თითქმის აღარცკი იკითხება.

საყდრის გარშემო ხელმარჯვედ დანერაქებული საფლავის ლოდებია.

დროვნილიც არიან აქ და ყმანვილიც.

„მოიხსენე უფალო ზაქრო ნიკლაური გიგოლას ძე. ამ უბედურმა სიკვდილმა რა უდროოდ მიგდო მახე მამაშორა წუთისოფელს ავი კარგი ვერა ვნახე სახლი დამრჩა მწუხარებით ცხარე ცრემლით დავიმარხე დამრჩა დედა მამა ძმები ღმერთო კარგათ შემინახე მხილველნო თითო პირი შენდობა მალირსეთ“.

ეს არის და ეს.

მეტს არას გვამცნობს განსვენებულის შესახებ ოთხკუთხა ქვის სწორ გვერდზე საჭრეთლით ღრმად ამოდარული უსასვენნიშნებო წარწერა.

საყდრის დაბლა, დაფერდებაზე, ხელხვენილი ხაზებით უნაკლოდ გამოქანდაკებული ბავშვის საფლავის ცალ მხარე ოვალურად გამოყვანილი ქვა დევს, ძალზე მოკლე, თითქმის არაფრისმთქმელი წარწერით: **„გარდავიცვალე ექვსი წლისა 1818-სა წელსა შენდობა მითხარით“.**

მეცხვარის სამარის ქვას ყოჩისა და დუქარდის გამოსახულება ამკობს. დასახლებულია სიკვდილის მიზეზიც. რამდენიმე სიტყვაში ნოველის სათქმელია ჩანწეხილი. გამჟღავნებულია უსაშველოდ დიდი გულისტკივილიც სამშეოზე დარჩენილთა გამო: **„მტრის ტყვიამ მომიღო ბოლო მშვიდობით ჩემნით დამწერებო ობლებო გაუხარელნო შენდობა მალირსეთ ყველა მოყვრებო“.**

სხვა ქვაზე უარესი ტრაგედიის მაუწყებელი სიტყვებია გამოყვანილი: **„...მიმიპატიჟეს და მემრეთ ეკლესიასთან მომკლეს ხანჯლით“.**

საფლავის აფორეჯებულ ქვებზე აცოცებული, წვივის მწვდომი ველური ბალახი, ღიჭი და ჭინჭარი სანახევროდ ისედაც ნაშლილი წარწერის ნაკითხვას აძნელებს, თუმცა კონტექსტის გათვალისწინებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება დაქარაგმებული სიტყვების გაშიფრვა...

გადის დრო. მკრთალდება და იკარგება უსახელო ოსტატთა უსაზღვრო სიყვარულით, მონდომებით, პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით ცივ ქვაში ჩანერილი ლაპიდარული ისტორიები, ამა ქვეყნიდან გარდასულთა ცხოვრების დეტალები და პერიპეტები, გულუბრყვილო ხალხური მხატვრობის გენიალური ნიმუშები, მწუხარე გულიდან გლოვის ხმასა და ინტონაციაზე ამოთქმული ცრემლმუშრალი ეპიტაფიები...

მოხისსა და მანგლისს შორის დიდი თონეთია, კაცრიელი სოფელი, მაღალ გორაზე მკვიდრად ჩადგმული ეკლესიით და მშვენიერი გარეშემოთი. იქვეა მესერემოვლებული სასაფლაო, მართლაც რომ უნიკალური ქვებით. ბევრი მიწაშია დაფლული, ბევრისა მცირე ნაწილი, თავ-ბოლო ანდა მხოლოდ კუთხე ჩანს... გრძნობ, რომ ახალ „აღმოჩენასთან“ ახლო ხარ. ქვის ზედაპირზე ჩამკვდარ ბელტს ცალ პირს აულიავებ, ასწევ, ააგლეჯ და ბალახის ფესვებით ნაქსოვი სველი მიწის შიდა მხარეს ცხვრის, ცხენის, ქამარ-ხანჯლის ანდა ქალის წარწერებიანი კაბის კალთის ანაბეჭდი აჰყვება...

სამი მტკაველის სიგრძის ბასრ ქვებზე ფაქიზად დახატული ყმანვილების მოღუშული სახეებისა და ტან-ფეხის დანახვებზე ვაჟას ლექსის სტრიქონები გაგახსენდება: **„ღმერთო, ნუ მოჰკლავ პაჭარას, ნუ აუტირებ მოშობლას“.** და მემუარებიდან ცნობილი მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დიდთონეთური პერიოდიც (ურთიერთობა ბოქაულებთან თუ ხალხის მყვლეფელ სხვა მოხელეებთან) ბუნებრივად ჩაეხლართება აღმოსავლეთის სულფონ ფერდობზე ერთურთისაგან შორი-შორს დალაგებულ სამარის ქვათა ქვეშ მწოლიარე ქალ-კაცთა თავგადასავლებს... და ნამიერად მურმან ლებანიძის ტაეპებიც აგვეკვიტება, ღირსეულ წინაპრებთან თუ სახელიან მამულიშვილებთან წასვლის დარქარებას რომ ითხოვს ამქვეყნიური ყოფით და თანამედროვეთა უსახურობით შეწუხებული ღირიკული გმირი: **„...ყველა კა იქით ყოფილა, ცხენიც მომგვარეო, წავედი...“**

რამდენი ასეთი საძვალმალეა ქართულ მიწაზე, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში, ასწლეულებს რომ ითვლიან და მკვდრული მდუმარებით უძლებენ ჟამთასვლის უნდობრობას, სენსა და სიავეს; რამდენი გულჩათუთქული ქალი თუ ვაჟი განისვენებს ამ ქვათა ქვეშ, რომელთაც სანუთრომ წარუხოცელი წყენა და ტკივილი აგემო, აწვენეინა და ისე გაუყენა მარადისობის ნისლიან გზას, ათასფერი ქვეყნისთვის წესიერად თვალის შევლებაც არ ადროვა.

კულტურულ ფასეულობათა მოულოდნელი გამონათებებითაა გაჯერებული ქართული ყოფა. უნაკლოდ, უდანაკარგოდ მათ აღნუსხვას მოკვდავის თვალი ვერ ახერხებს. შეჩვეული და, ამდენად, „ჩვეულებრივი“ გარემო სპობს იმის შესაძლებლობას, რომ სრულად აღვიქვათ და გავითავისოთ ნაიფური შემოქმედების ჭეშმარიტი მნიშვნელობა; სადაგსა და „სერიულში“ ხელუქმნელი განძი აღმოვაჩინოთ; შევიცნოთ ნიჭიერებით აღბეჭდილი არაორდინარული ნამუშავევის წარუვალი ისტორიული ღირებულება.

პასიმიზმური

მშობლიურ დიალექტზე რომ მოვეუქციო (პოეტური ტექნიკის საიდუმლოებათა ფლობის მელექსისეული თვითდახასიათება: „ლექს სხვაზე გადაჯექციე, რომ თოვიანში ქარიო“), „კაის მენდომედ“ მაჩვენებდა თავს და მეც ვენდობოდი. წამითაც არ შემპარვია ეჭვი მის სიალნეში, სიმართლეში, სიალალეში... ტოლს არვის უდებდა მჭევრმეტყველებაში: ვარსკვლავებს აეძრახებოდა და მიწაზე ჩამოსხამდა; ნაკადულს პირადმა შეაბრუნებდა; ახალმოსული თოვლის სიშავეში დაგაჯერებდა... მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა... თანამოსაუბრის გულის უკიდურეს კუნჭულებში შეაღწევდა და საჭიროებისამებრ მეცვლიდა ოქროპირობის ყუფსა და კილოს... სულ მუდამ ცხოვრების ალეგორიად აღქმული და დამკვიდრებული მდინარის ზედაპირზე ტივტივებდა. მეჩერებს დიდოსტატურად უვლიდა გვერდს. არც არსდროს წყალვარდნილებისა თუ ჩამთრევი, ქვედამზიდავი კუდიანი მორევის პირისპირ დგომის საშიშროება დამუქრებია. ლავირებდა. ნემსის ყუნწში ძვრებოდა... საქმეს მწვავე კონფლიქტამდე არ მიიყვანდა. უხერხული სიტუაციებიდან „სუფთა“ და „უცოდველი“ გამოდიოდა... სხვათა დასანახად ინერდა პირჯვარს. გვერდში მყოფთა გასაგონად ლოცულობდა. შეანელებდა გაჩქარებულ ნაბიჯს და უსახურ შენობებს შორის ამომღერებულ ტაძარს — სახლს ღვთისას — ნაფიცო მორჩილის მიამიტური მზერით მიაჩერდებოდა, მიაკვდებოდა...

და ერთხელაც, ღვინოს რომ მიეძალა და ჭკუის გასაღები დაკარგა, სიტყვის მუხრუჭებმომცვდარმა გაამხილა ის, რასაც, ალბათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ფიქრობდა ჩემზე... „მთვრალი გულის სიტყვას ამბობს“. ხალხური ანდაზის სიბრძნემ ათასმეტრთედ დაამოწმა თავისი უზადობა, უმცდარობა, უთუმცაობა... ვერ მივხვდი და ბოლომდე დღესაც არ ვიცი, რა მქონდა (ანდა ახლა რა მამაგია) მისი შესაშური, მოთმინებიდან გამომყვანი, ადამიანობის ლარიდან და კალაპოტიდან ამომგდები...

იმ დღიდან სათოფეზე (უფრო სწორად: საისრეზე) აღარ გამკარებია. თურმე ვირტუოზულად ფლობდა გზის აქცივისა და „ნევიჟუ“-ს ხელოვნებას... სხვა მერიდიანებზე გადაინაცვლა; სხვა ურთიერთობების ძებნა ამჯობინა. და გამიჩინა საწუხარი: იქაც რომ გაიცნობენ და მიხვდებიან, რა ზნის კაცია, გამოფხიზლებიან და განიხილებიან, მაშინ სადღა წავა, ვისი კიბის მოაჯირსა თუ სახლის ყორეს მიეყრდნობა; ვის სახელსა და პიროვნულ პრესტიჟს მიექაღლება?!

ღმერთო, დავგიფარე ორსახოვან ორფეხთაგან, შუბლზე ვითომ მირონი რომ გადასდით, ხოლო ღორღიან, ამოღამებულ გულში ბოლმა და ბოროტება უდულთ!

საზომი სიცხის... საზომი წნევის...

სინწფოების საზომი აპარატი, სამწუხაროდ, კაცობრიობას ჯერჯერობით არ გამოუგონებია.

არსოტის ხეობაში

ცირცლოვანი (ამ ხეობაში ჭნავის, ანუ, ხევსურულად, „ცირცლის“ ერთი ხეც არსად დგას და როდის და რატომ შეარქვეს „ცირცლოვანი“, ძნელი სათქმელია).

ჭიმლის კლდეთ ძირში, ქვანაყარ ფერდობზე, ერთი ხავსიანი ლოდის დაბლა, ელპიდე კურელას საფლავი. ლოდზე მამაგრებულ გრანიტის ფილაზე გერმანულენოვანი წარწერა:

ICH ABER WILL DEM KAVKASUS
ZU... F. HOLDERLIN
EIFRIDE KURELLA
GEBOREN 11 3 1909
HIR GESTORBEN 25 7 1957

არსოტში მიმავალმა ადგილობრივმა მგზავრმა თუ არაქაურმა მოგზაურმა ამ სამარის სიახლოვეს უნდა გაიაროს.

(სამი ათეული წლის წინათ არსოტიდან ჯუთისკენ გამობრუნებულებმა — ეთერ თათარაიძემ, ლელუა არაბულმა და მე — ველური ყვავილების დიდი თაიგული დავდეთ ელპიდეს საფლავზე)...

დამზაფრველი ტრაგედია აქ 1957 წლის ივლისში დატრიალდა. უზანგში ფეხჩარჩენილი გერმანელი ქალბატონი მისი ნითელი კომბინიზონის დანახვაზე დამფრთხალმა ცხენმა, სახელად „ალიმ“, ქვა-ლოდებს ახალა და, როცა განწირული მხედრის უსულო სხეულის სიმძიმე იგრძნო, მაშინლა შეჩერდა საბედისწერო დაღმართში.

აღფრედმა არხვატელების — „ღვთის რისხვის ნანინ-ნელთა“ შთამომავლების — დახმარებით იქვე დამარხა საყვარელი მეუღლის ცხედარი (ცოლ-ქმარს ასეთი პირობა ჰქონდათ: თუკი რომელიმე მათგანი კავკასიის მთებში დაიღუპებოდა, იქვე დაკრძალულიყო).

შემორჩენილია აღფრედის მიერ გადაღებული ფოტოსურათი: ახალგათხრილი სამარის გარშემო მოძრაობენ გურამ რჩეულიშვილი, ვაჟა გიგაშვილი და ახილეელი ხევისბერი და უზადლო მხედარი ბაიჭაურთ ხეთისო (ცისკარაული). იქვე ჩანან გზირიშვილის ექსპედიციის დადარდიანებული წევრები... ათენგენობის — საუფლო ფამის — წინა დღეა.

მომხდართი აფორიაქებული, უცხოელი სტუმრების გამოცოლი გიგლა არაბული ოჩიაურების კარზე მიაგდებს ოფლად გაღვრილ ალის და ბანზე მშვიდად მსხდომთ, „ლუდით სიმთვრალეს არაყით რომ იშუშებდნენ“, სამწუხარო ამბავს შეატყობინებს. გურამი ბანიდან მარჯვე ნახტომით მოველებს ცხენს და ცირცლოვანისკენ გააჭენებს...

სხვები ქვეითად გაჰყვებიან უკან...

დასრულდება დაკრძალვის უჩვეულო რიტუალი. ჭირისუფალნი (კურელებს ვაჟიშვილი შტეფანიც თან ჰყავდათ) და მათი მოსატკივრენი არხოტს მიაშურებენ... და იმ დამეს ერთი „ნახელიტრა“ ჟიპიტაურითა და პურ-საჭნით განწყობენ ტაბლასთან სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ საუბარში გაათენებენ აღფრედ კურელა და გურამ რჩეულიშვილი...

.....
საუკუნის ნახევარზე მეტია მას მერე გასული.

ანვიმს და ათოვს საქართველოზე და ქართველებზე ფატალურად შეყვარებული გერმანელი მოგზაურის სამუდამო „სავანეს“, რომლის უკან, ჭიმლის პირქუშ კლდეებში, რქაჯანგიანი ჯიხვები და თვალფრთხილი შურთხები ბინადრობენ...

და ხანდახან, როცა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის ნადილი მოვლენათა „ფილოსოფიური“ განსჯისკენ გიბიძგებს, ნება-უნებლიეთ მოგეძალება სულხარბი, რამდენადმე ეგოისტური, შესაძლოა არაეთიკურიც კი, ფიქრი: რომ არა ეს უბედური შემთხვევა, გურამ რჩეულიშვილის „სიკვდილი მთებში“-ც ხომ არ შეიქმნებოდა, ქართული მხატვრული პროზის დიადი ნიმუში!..



გიგლა ოჩიაური, სოფელი ჭიმლა (1981)
ფოტო ამირან არაბულისა

პერსი ბიში შელი

ჰიმნი ინტელექტუალური სილამაზისადმი



უცხო აჩრდილი, შემზარავი, უხილავ ძალის
ჩვენს შორის დადის და სამყაროს ენვევა ხშირად,
გარშემო მისი ცვალებადი ფრთები გაშლილა.
ის გავს ზაფხულის ქარს, რომ ელტვის თვითეულ ყვავილს,
გავს ტყიან მთათა იქით ელვარ ნაზ სხივებს მთვარის;
გაჩნდება უცებ და ცვალებად კაშკაში ახვევს,
ყოველ სულდგმულის გულსა და სახეს
ის გავს დაისის ჰარმონიას და ფერთა არილს,
გავს ვარსკვლავთ შუქში ფართოდ გაშლილ
ღრუბლის მშვენიებას,
გავს მივიწყებულ მელოდიის კვლავ გახსენებას,
გავს უცხო ძალას, რაც სიტურფით ძვირფასი არის
და უფრო მეტად ძვირფასი კი იდუმალ ძალით.

მშვენიების სულო, საკუთარი აჩუქე ფერი
და მთელ სიტურფით მოაფენდი ყოველ არსს ნათელს,
აფრქვევდი სითბოს და ახლა კი საითკენ ნახველ?
რისთვის მოგვცილდი, მიატოვე სავანე ჩვენი,
უკაცრიელი, ბუნდოვანი ცრემლების ველი?
ჰკითხე, რად არ შლის მარადისად მზის სხივი მწველი
რისარტყელათა ფერებს მთების ჩანჩქერთა ზევით,
ან რისთვის ჭკნება და ეცემა შექმნილი ერთხელ;
შიშს, სიზმარს, სიკვდილს და დაბადებას
დღის სინათლეში წილად რად ხვდება
შეჭონდეს სევდა, — ან კაცს გული რად აქვს ისეთი,
რომ შიგ თავსდება ტრფობაც, ზიზლიც, სევდაც, იმედიც?

ხმა არ გაიღო იმ მაღალმა, ზენა სამყარომ,
რომ მგოსანისთვის ან ბრძენისთვის ახსნა მიეცა,
ამიტომ სულნი, დემონი და მაღალი ზეცა
მათ მატეანეს დარჩა ვით ცდა ფუჭი, ამაო
და სუსტმა ჯადომ სრულ მშვენივით ვითლა დამალოს,
რომ რაც ჩვენ გვესმის ანდა რასაც უყურებს თვალი,
შემთხვევითობა, ცვლილება და ეჭვები არის.
მარტოდენ შუქი, — ვით მთის ნისლი განცალკევებით,
ვით მელოდია ლამის მწუხრში დევნილი ქარით,
ვით მშვიდი ჰანგი აღმომხდარი ნაზ სიმებს ქნარის,
ვით შუალამის ნელ რონინზე ნათელი მთვარის,
ხდის ნაზს, ჭეშმარიტს ამ ცხოვრების
სიზმარს მშფოთვარეს.

თავმოყვარება, სიყვარული, როგორც ღრუბელი
ქრება და უცნობ სხვა წუთებში ისევ ბრუნდება.
შენ უნდა შექმნა მძლე, უკვდავი კაცთა ბუნება,
შენს მსგავსად გულის დამპყრობი და შეუცნობელი;
შენს დიად ცოდნით გულს სიმტკიცის გახდი მომფენი.
შენ მსტოვარი ხარ თანაგრძნობის, ნაზი ალერსის,
ხან რომ ჩნდება და ხან ჩაქრება მიჯნურთ თვალებში,
შენ ასაზრდოვებ ადამიანთ დაუღვე ფიქრებს,
ვით ლამის მწუხრი ასაზრდოვებს ალს მისწრაფების!
ნუ მიგვატოვებ, აღაჩინე მაგ ჩრდილთა ფრთები,
ნუ მიგვატოვებ, რომ არ გახდეს სიკვდილის მსგავსი,
ბნელ სინამდვილის, შიშისა და სიცოცხლის არსი.

ჯერ კიდევ ბავშვი დავეძებდი სამყოფს სულების,
ვეხეტებოდი პალატა და ნანგრევთა შორის,
ვეხეტებოდი ღამით ტყეში კანკალით, ძრწოლით
და ვდევდი იმედს, რომ სულებთან ვისაუბრებდი;
იმ სახელთ უხმე, ყრმობის ჟამს რომ ვკვებუთ გულები;
არვინ მისმინა, — არც არავინ მინახავს თვალით
და როს მანთებდა ყოფნის ბედზე ღრმა ფიქრთა ალი,
როცა ოცნებით შრიალებდა ნიავი ნელი,
როდესაც ყველა დედამინის გაფურჩქვნას ელის,
ელის, რომ დატკბეს მოყვივივე ჩიტების სტვენით,
— უეცრად მკერდზე დამეფინა ნათელი შენი, —
მე შევკვივლე და აღტაცებით შემოვკარ ხელნი.

მაშინ ფიცს ვდებდი შენთვის მეძღვნა ძალღონე მთელი
და შენს წინაშე განა ფიცი არ შევასრულე?
გულისცემით და თვალზე ცრემლით კვლავ ვუხმობ სულებს,
ვუხმობ მრავალჯერ და მდუმარე საფლავთან ველი.
მათ ხილულ სამყოფს ნეტავ თუ აქვს სურვილი წრფელი,
გულმოდგინება ანდა ტრფობის სიტკბო-სიამე;
მოდ, იფხიზლე ჩემთან ერთად ეჭვიან ღამეს!
და თუმცა სახეს არასოდეს არ მინთებს ლხენა!
მე გულში მაინც მაქვს იმედი, რომ ბორკილს აპყრო
ქვეყანას, ბნელი მონობისგან ჩაგრულს და დაღლილს,
რომ შენ, ო, ვისაც დაგატარებ მშვენიების ხატად,
გვიძღვნი მას, რასაც ჩემს სიტყვებით ვერასდროს ვხატავ.

დღე ხდება მშვიდი, როს შუადღის ნათელი ქრება,
და შემოდგომის ჰარმონიის ჩნდება იან ფერნი,
ცა იწყებს ბრწყინვას შელამების ჩრდილების მფენი,
ზაფხულის დღემაც ვერ ასახოს ეს ელვარება,
მასაც არ ძალუძს აღაჩინოს მთელი მშვენიება!
დაე, მაგ ძალამ, სიმართლეს რომ ემსახურება,
შეცვალოს ჩემი უმოქმედო ყრმობის ბუნება,
დე ჩემს მომავალ დღეებს მისცეს სიმშვიდე თვისი,
მომეც სიმშვიდე, მე ერთგული გავმხდარვარ შენი,
მიეც სიმშვიდე ყოველს ვინც კი აღვსილა შენით,
მშვენიების სულო, შთამინერგე ძალა ფარული,
საკუთარ თავის შიშისა და კაცთ სიყვარულის.

ინგლისურიდან თარგმნა
მედაა ზაალიშვილი



პერსი ბიში შელი სულიერების გზაჯვარედინზე

ჩვენს წინაშეა ქალბატონ მედეა ზაალიშვილის კიდევ ერთი თარგმანი, ძველი თარგმანი, ადრე რომ არ გამოუქვეყნებია; თხოვნაზე უარი არ გვითხრა და თავაზიანად დაგვითმო გამო-საქვეყნებლად. თარგმანის სათაურია: პერსი ბიში შელი „ჰიმნი ინტელექტუალური სილამაზისადმი“.

ამ დიდი პოეტის სახელი მის მშობლიურ ენაზე გამოითქმის: პერსი ბიში შელი, მაგრამ ისე შევეჩვიეთ პერსი ბიში-ს ხსენებას, რომ აღარც კი ღირს ცოდნის გამომჟღავნება და ზედმეტი მსჯე-ლობა; დამკვიდრდა და დაე დარჩეს ასე, ინგლისელები არ გა-მოგვედავებინან, რადგან თარგმანები მათთვის არ იქმნება; შე-დეგითა თარგმანები ჩვენი ლიტერატურის გასამდიდრებლად იქმნება მთარგმნელთა მძიმე და ხშირად დაუფასებელი შრომით.

და აი, ჩვენს წინაშეა პერსი ბიში შელის შედევრის, „ჰიმნი ინ-ტელექტუალური სილამაზისადმი“, ქართული თარგმანი, შექმნი-ლი ნიჭიერი, პროფესიონალი, ინტელექტუალი, დედნის პატივის-მცემელი მთარგმნელისა და პოეტის მიერ. ეს თარგმანი იმათაც დაგვეზარება, ვინც ინგლისური ლიტერატურის ისტორიის, რო-მანტიზმის კურსს ვასწავლით, და იმათაც, ვინც სწავლობს. კომ-პარატივისტიკას ბევრი მტერი გამოუჩნდა ამ ბოლო დროს, მაგ-რამ ჯერ მაინც მყარად დგას ფეხზე; თარგმანისა და ორიგინალის შედარება კი კომპარატივისტიკის განუყრელი ნაწილია.

„ჰიმნი“ შელის შემოქმედების გარდამავალ პერიოდს განე-კუთვნება, როცა პოეტი ერთგვარად გადაუხვევს ჩვეულ გზას, შე-აჩერებს ყველანაირ რელიგიურ სისტემებზე თავდასხმას და ცდი-ლობს შექმნას პიროვნული სეკულარული მითი, უარყოფი დოგ-მებისა და წმინდა წერილისა, უარყოფი გამოცხადების მნიშვნე-ლობისა, მაგრამ ირიბად მაინც აღიარებს ირაციონალურის მნიშ-ვნელობას, მნიშვნელობას იმ მოუხელთებლისა, რასაც კარგად ახ-სნის ტრადიციული რელიგია. მოკლედ, „ჰიმნი“ მკრეხელობაა, მაგრამ ამავე დროს ძიება ტრანსცენდენტისა, რაც ალბათ სხვა გზასაც მიაგნებინებდა, რომ არა ის უბედური შემთხვევა...

შელი ჯერაც გზაჯვარედინზე დგას, იგი ჯერ ისევ განმანათ-ლებელთა, კერძოდ, ფან-ჟაკ რუსოს გავლენის არეალშია მოქცეუ-ლი. ქრისტიანული რწმენის დოქტრინებს პოეტურ მითებად აღიქ-ვამს და წარმოსახვით უფრო ხედავს, ვიდრე რეალურად და ფაქ-ტობრივად. სიკვდილის შემდგომ ცხოვრება მისთვის იდეალური წარმოდგენაა და ფსიქოლოგიურად, ზნეობრივად, ესთეტიკურა-დაა გააზრებული. რწმენა ჯერ არ დაბრუნებია, არ დაბრუნებია ისე, როგორც უილიამ უორდსუორთს დაუბრუნდა, ვის გავლენა-საც განიცდის, მაგრამ ბუნების მშვენიერებასა და იდეალურებაში ღვთის თვალს ვერ ხედავს. იგი აღტაცებულია სილამაზით, მაგრამ ეს სილამაზე ადამიანის წარმოსახვაშია და არა რწმენაში. „ჰიმნი“ ერთგვარად იმეორებს ქრისტიანულ სწავლებას ღვთის შესახებ, მაგრამ მიიჩნევს, რომ ქრისტეს მოძღვრება ისეთივეა, როგორც პოეტისა თუ ფილოსოფოსისა, ვინც ამქვეყნად არსებული საგნე-ბის სულსა და ენერგიას უნდა ჩანვდეს. შემთხვევითობა სულაც არ არის, რომ „ესეი ქრისტიანობაზე“ შელიმ იმავე პერიოდში დაწერა.

კიდევ რა... ჰიმნის შეიდივე გრძელი სტროფი ერთი, მოწუხ-რიგებული სქემითაა დაწერილი. თვითიური სტრიქონი იამბური მუხლითაა განწყობილი; პირველი ოთხი სტრიქონი პენტამეტ-რია, მეხუთე — ჰეგზამეტრი, მეექვსე — მეთერთმეტე — ტეტ-რამეტრი, მეთორმეტე კი — პენტამეტრი. მარცვალთა რაოდე-ნობა შესაბამისად: 555564444445; გარითმვა: ABBAACCBDDDEE. ეს სქემა ქართულ თარგმანში სრულყოფილად ვერ გადმოვიდო-და, სხვა ენა და სხვა ლექსთანყოფა, მაგრამ რაც გადმოვიდა და როგორც გადმოვიდა, ისიც მტკა და მნიშვნელოვანია.

ალბათ არც ის არის შემთხვევითი, რომ იმხანად პერსი ბიში შელი „ჰიმნების“ წერამ გაიტაცა.

პაატა ჩხიძე



ფრენსის
სკოტ
ფიცჯერალდი

კომიკური ამბავი მხატვრის სახელოსნოში

I.

ეს მოხდა 1938 წელს, როდესაც გერმანელების გარდა ცო-ტა ადამიანმა თუ იცოდა, რომ მათ ევროპაში ომი მოიგეს. ხალხი ჯერ კიდევ ინტერესს იჩენდა შემოქმედებისადმი. ცდი-ლობდა ხელოვნებად გადაექცია ყველაფერი, ძველი ტანსაც-მლიდან დაწყებული ფორთოხლის ქერქით დამთავრებული, და აი, ასე მიაგნო პრინციესა დიგნანტი პეტის. მას უნდოდა პე-ტიც ხელოვნებისათვის გამოეყენებინა.

— არა, თქვენ არა, მისტერ დე ტინკ, — თქვა მან, — თქვენ ვერ დაგხატავთ. ძალიან სტანდარტული ხართ, მისტერ დე ტინკ. მისტერ დე ტინკი გზიდან მშვიდად ჩამოეცალა, თუმც მხატ-ვრობაში სიტყვა ეთქმოდა და სკანდალური ქრონიკის რეპორტი-ორს მისი ფოტოც კი ჰქონდა გადაღებული მისტერ დაჩმენტან ერთად. თავს შეურაცხყოფილად არ მიიჩნევდა — მთელი სი-ცოცხლის მანძილზე არასოდეს ყოფილა შეურაცხყოფილი, მი-თუმეტეს, ახლა, როდესაც პრინციესამ არ მოისურვა არც კლარკ გეიბლის, არც სპენსერ ტრეისისა და არც ვივიენ ლის დახატვა.

პრინციესა პეტს კინოსტუდიის სასაუზმეში წააწყდა, შე-იტყო, მწერალი ყოფილაო, და ითხოვა, პეტი მისტერ დე ტინ-კის წვეულებაზე დაეპატიჟათ. პრინციესა ლამაზი ქალი იყო, დაბადებული ბოსტონში, მასაჩუსეტის შტატში, პეტი კი — ორმოცდაცხრისა, მონთალო გუგებით. მის სუნთქვას ვისკის ოდნავი სუნი დაჰკრავდა.

— თქვენ სცენარისტი ხართ, მისტერ ჰობ, არა?

— ვეხმარები, — თქვა პეტმა, — სცენარის მომზადებას ერთზე მეტი კაცი სჭირდება.

პრინციესას ყურადღება პეტს ესიამოვნა და წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი უფროსი ერთი ნერვიული ვინმე იყო, რომელსაც ისიც კი გადაავიწყდა, რომ ერთი კვირის წინათ პეტი სამუშაოდ აიყვანა და როდესაც მან თვალი მოჰკრა პეტს კინოსტუდიის სასაუზმეში, უთხრა: მის-ტერ დე ტინკის სახლში მიწვეული ხართო.

მწერლისთვის ეს უსიამოვნო თხოვთმეტი წუთი იყო, რომე-ლიც გარდასულ წარმატებულ დღეთა წვეულებას არ ჰგავდა. მაშინ ამდენ ლოთს ქვედა სართულის ტუალეტში ვერ ნახავდით.

„კომიკური შემთხვევა მხატვრის სახელოსნოში“ ერთ-ერთია ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის კრებულიდან — „17 მოთხრობა პეტ ჰობის შესახებ“, რომელიც მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა. პეტ ჰობი, ჰოლივუდის მუნჯი კინოს დროის წარმატებული, შემდგომ კი ხელმოცარული სცენარისტი, განცვიფრებულია, როდესაც ევროპელმა პრინცესამ მის სტუდიაში ვიზიტისას პორტრეტისთვის პოზირება შესთავაზა ფულის სანაცვლოდ. ჰობიმ ეს ისე გაიგო, როგორც პრინცესას მისადმი რომანტიკული ინტერესი, მაგრამ იმედგაცრუებული რჩება, როდესაც მიხვდება, რომ პრინცესა მხოლოდ ხელოვნებით იყო დაინტერესებული. ჰობის იმედგაცრუებას პრინცესას შესანიშნავი განწყობაც ადასტურებს. ეს კომიკური, ოდნავ ტრაგიკული მოთხრობა ამაღელვებელიცაა და ცოტა სასაცილოც. როგორც არნოლდ გინგრიჩი წერს, ფიცჯერალდს ეს კრებული ჩაფიქრებული ჰქონდა კომედიადა. ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი ეყრდნობა რა საკუთარ სამწერლო გამოცდილებას ჰოლივუდში, პეტ ჰობის პორტრეტს თვითირონიითა და ნოსტალგიით ხატავს.

— ასე მგონია, რომ სცენარების წერაში კარგად გიხდინან, — თქვა პრინცესამ.

პეტმა მიმოიხედა, ვინმე ხომ არ გვისმენსო. მისტერ დე ტინკმა თითქოს უზარმაზარი ტანი უკან გადასწია, თუმცა ჩანდა, რომ მოელვარე ცალი თვალით ამკარად პეტს მიშტერებოდა.

— ძალიან კარგად გიხდინან, — თქვა პეტმა და ხმადაბლა დასძინა, — თუკი სამუშაოს იშოვით.

როგორც ჩანს, პრინცესა მიუხვდა და მანაც ხმას დაუნია: — იმას გულისხმობთ, რომ მწერლებს უჭირთ სამუშაოს შოვნა?

პეტმა თავი დაუქნია.

— ძალიან ბევრი სამუშაოს ამ გაერთიანებებში შოულობს, — მან ოდნავ აუწია ხმას მისტერ დე ტინკის გასაგონად, — ამ მწერალთა უმრავლესობა „ნითლები“ არიან.

პრინცესამ კვლავ დაუქნია თავი.

— თავს ოდნავ ხომ ვერ მიაბრუნებდით სინათლისკენ? — თავაზიანად ჰკითხა პრინცესამ, — ასე, მშვენიერია. წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, რომ ხვალ ჩემს სტუდიაში მობრძანდეთ? მხოლოდ ერთი საათით, პოზირებისთვის.

პეტმა პრინცესას კვლავ კრიტიკული თვალით შეხედა.

— შიშველი უნდა დამხატოთ? — ფრთხილად იკითხა.

— ო, არა, — დამაჯერებლად უთხრა პრინცესამ, — მარტო თავს დავხატავ.

მისტერ დე ტინკმა ახლოს მიიწია და თავი დაუქნია.

— უნდა წავიდე. პრინცესა დიგნანი ზოგიერთი დიდი ვარსკვლავის დახატვას აპირებს: ჯექ ბენის, ბეიბი ენდის და პედ ლამარის — ხომ ნამდვილად ასეა, პრინცესა?

მხატვარმა არ უპასუხა. იგი საკმაოდ კარგი პორტრეტისტი იყო და ეს მშვენივრად იცოდა, ისევე როგორც თავისი ტიტულის ფასი. იგი მერყეობდა რამდენიმე მხატვრის მანერას — პიკასოს ვარდისფერ პერიოდსა, ბოლდინის ელვარებასა თუ რეგინალდ მარშის უშუალო სტილს — შორის. და ისიც იცოდა, რას დაარქმევდა ამას. ეს იქნებოდა ჰოლივუდის გზის გასაყარი — ჰოლივუდი და ვაინი.

II.

მიუხედავად პეტის დაყოლიებისა, რომ იგი პოზირებისას ჩაცმული იქნებოდა, შეხვედრის ადგილზე რალაცნაირი უხერხულობის გრძობით წავიდა. სიყმანვილისა და შთაბეჭდილებებით აღსავსე წლებში მას აპარატის ჭუჭყრუტანაში შეუხედავს, საიდანაც ოციოდე ღია ბარათი სრიალ-სრიალით ჩამოდიოდა. ეს კომიკური ამბავი მხატვრის სახელოსნოში ვითარდებოდა. თუმც მუნიციპალური პროექტის მიხედვით სტრიპტიზი ლეგალიზებულია ითვლებოდა, იგი მაინც ოდნავ შეცბუნებული ჩანდა, როდესაც ახსენდებოდა, რომ მეორე დღეს სასტუმრო „ბევერლი ჰილის“ ბუნგალოში პრინცესას უნდა

სწვებოდა და სულაც არ გაუკვირდებდა თუ პრინცესა თურქულ პირსახოცზე მოხვეული დახვდებოდა. იმედგაცრუებული დარჩა, როდესაც პრინცესა სამუშაო ხალათში გამოეცხადა ბიჭივით უკან გადავარცხნილი სწორი შავი თმით.

იქ მისვლამდე გზად პეტი ერთი-ორი ჭიქა სასმელისათვის შეჩერდა, მაგრამ მისმა პირველმა სიტყვებმა: „როგორ ბრძანდებით, ჰერცოგინია?“ ხალისიანი ტონუსი ვერ შემებათა ამ ვითარებას.

— კეთილი, მისტერ ჰობ, — თქვა მან ცივად, — სიკეთე გამოიჩინეთ, რომ ნაშუადღევი შემომჩინეთ.

— ჰოლივუდში ბევრს არ ვმუშაობთ, — დარწმუნა პეტმა პრინცესა, — ყველაფერი „მინიანი“ — რაც ესპანურად ხვალინდელ დღეს ნიშნავს.

პრინცესა პეტს უკანა ოთახში შეუძღვა, სადაც ფანჯარასთან მოლბერტი იდგა ოთხკუთხედი ტილოთი. ისინი ტახტზე დასხდნენ.

— მინდა ცოტა შეგეჩვიოთ, — თქვა პრინცესამ, — ადრე პოზირებდით ვინმესთვის?

— განა ასეთ კაცს ვგავარ? — თვალი დაახამხამა და როდესაც პრინცესამ გაიღიმა, თავი უკეთ იგრძნო და ჰკითხა: „აქ სადმე სასმელი ხომ არ მოგეძვეებათ?“

პრინცესა შეეყოყმანდა. სურდა, პეტი ზუსტად ისეთი დაედინახა, თითქოს მას სასმელი სჭირდებოდა. პრინცესა პეტის სურვილს დაწინებდა, მაცივართან მივიდა და ცოტაოდენი სოდიანი ვისკი გაუმზადა. როდესაც დაბრუნდა, ნახა, რომ პეტს პალტო გაეხადა და თავისუფლად მიწოლილიყო ტახტზე.

— აი, ეს უკეთესია, — თქვა პრინცესამ. — პერანგს, რაც გაცვითა, მგონი ჰოლივუდისთვის კერავენ, როგორც სპეციალურად მოჩითულს ცვილონისა და გვატემალისთვის. ახლა ეს დალიეთ და მუშაობას შევუდგეთ.

— თქვენც რატომ არ სვამთ, უფრო მეგობრული ატმოსფერო რომ შეიქმნას? — შესთავაზა პეტმა.

— ერთი უკვე დავლიე საკუჭნაოში, — იცრუა ქალმა. — გათხოვილი ბრძანდებით? — იკითხა პეტმა. — ვიყავი. ამ სკამზე ხომ არ დაბრძანდებით?

პეტი უხალისოდ წამოდგა, დადგა ვისკი და მისი გემოთი ოდნავ შებუზბუზებული, სკამისკენ წავიდა.

— ახლა წყნარად, — თქვა პრინცესამ.

ვიდრე იგი მუშაობდა, პეტი ჩუმად იჯდა. სამი საათი იყო. „სანტა ანიტას პარკის“ იპოდრომზე მესამე წრეს არტყამდნენ და პეტს ათი დოლარი ჰქონდა დადებული ერთ ცხენზე. პეტს სტუდიის ბუკმეკერის ლუისის სამოცი დოლარი ემართა და ყოველ ხუთშაბათს ლუისი სალაროსთან მის გვერდით ფეხმოუცვლელად იდგა.

მოლბერტის ქვემოდან ქალბატონის კოხტა ფეხები მოჩანდა. პეტს სიამოვნებდა მუშაობისას ქალის წითელი ტუჩებისა და შიშველი მკლავების ყურება. იყო დრო, როდესაც ოცდახუთ ნელს გადაცილებულ ქალს ზედ არ შეხედავდა, თუ ეს მიწის ოფისის მდივანი არ იქნებოდა. პატარა ცხვირმოუხოცავი



მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი

ბავშვები, რომლებსაც ირგვლივ ხედავდით, სულ პოლიციის გამოძახებაზე ლაპარაკობდნენ.

— თუ შეიძლება, წყნარად იჯექით, მისტერ ჰობ.

— რას იტყვით, ცოტა ხომ არ შეგვესვენა? — შესთავაზა პეტმა, — ეს სამუშაო წყურვილს იწვევს.

პრინცესა ნახევარი საათის განმავლობაში ხატავდა.

ახლა კი შეჩერდა და წუთით პეტს მიაშტერდა.

— მისტერ ჰობ, თქვენი თავი მისტერ დე ტინკისგან ვიქირავე... რატომ არ იქცევით ისე, როგორც სტუდიაში მომუშავე უნდა იქცეოდეს? ნახევარ საათში დავასრულებ ხატვას.

— ამისგან რა სარგებელი მექნება, — დაუინებოთ იკითხა პეტმა, — მე ხომ მოდელი არა ვარ — მწერალი ვარ.

— თქვენი სტუდიის სალარო არ გაჩერებულა, — თქვა პრინცესამ და განაგრძო მუშაობა, — რა მნიშვნელობა აქვს თუ მისტერ დე ტინკი მუშაობას გაიძულებთ?

— ეს სხვა რამეა. თქვენ ქალბატონი ბრძანდებით. მე კი ამას პატივისცემით ვეკიდები.

— ჩემგან რას მოელოთ — თქვენთან ფლირტი გავაჩალო?

— არა — ეს მოძველებული ამბავია. მე კი ვიფიქრე, დავსხდებით და დავლევთ-მეთქი.

— შესაძლოა მოგვიანებით, — თქვა პრინცესამ და შემდეგ დასძინა: — ეს სტუდიაზე უფრო მძიმე სამუშაოა? ასეთი უსიამოვნო შესახედავი ვარ?

— თქვენი შეხედვის სანინააღმდეგო რა შეიძლება მქონდეს, მაგრამ რატომ არ შეგვიძლია ტახტზე დავსხდეთ?

— რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. მწერალთა სახლში ყველა კარი რომ მოგესინჯათ, ბევრი დაგხვდებოდათ დაკეტილი და ეს არ დაგავინწყდით.

პრინცესამ ნაბიჯი უკან გადადგა და პეტს ალმაცერად შეხედა.

— დაკეტილი? რომ არ შენუხდნენ? — პრინცესამ ფუნჯი დადო და პეტს უთხრა:

— სასმელს მოგიტანთ.

როდესაც პრინცესა დაბრუნდა, ერთი წუთით შუა კარში შეჩერდა: პეტს პერანგი გაეხადა და საკმაოდ მორიდებულად იდგა შუა ოთახში მისკენ განვლილი პერანგით.

— აი, ის პერანგი, — თქვა მან, — შეგიძლიათ გქონდეთ. ვიცი სად შემიძლია მათი შექენა.

წუთით პრინცესა დაკვირვებით შეჰყურებდა. შემდეგ პერანგი გამოართვა და ტახტზე დადო.

— დაჯექით და ნება მომეცით ხატვა დავასრულო, — თქვა მან.

რადგან პეტი შეეყოყმანდა, პრინცესამ დასძინა: — მერე ერთად დავლიოთ.

— ეს როდის მოხდება?

— თხუთმეტ წუთში.

პრინცესა სწრაფად მუშაობდა — ერთგვარად კმაყოფილი სახის ქვედა ნაწილის ხატვით, ხანდახან კი — ჩაფიქრდებოდა და თავიდან იწყებდა ხატვას. რაც მან კინოსტუდიის სასაუბრეში პეტის სახეზე დაიჭირა, ნახატს თითქოს აკლდა.

— დიდი ხანია, რაც ხატავთ? — იკითხა პეტმა.

— მრავალი წელია.

— ბევრჯერ ყოფილხართ სამხატვრო სახელოსნოებში?

— საკმაოდ ბევრჯერ — საკუთარი სახელოსნოებიც მქონია.

— ვფიქრობ, ბევრი რამ ხდება ამ სახელოსნოებში — ოდესმე... — პეტი შეეყოყმანდა.

— ოდესმე რა? — ინტერესით იკითხა მან.

— ოდესმე დაგიხატავთ შიშველი მამაკაცი?

— ერთი წუთით არ დაილაპარაკოთ, თუ შეიძლება. — ფუნჯი ჰაერში გააჩერა, თითქოს უსმენდა, შემდეგ სწრაფი მონასში გააკეთა და ეჭვის თვალთ შეხედა შედეგს.

— იცით, რომ თქვენი დახატვა ძნელია? — თქვა მან და ფუნჯი დადო.

— არ მომწონს პოზირება, — აღიარა პეტმა, — მოდი ამას დავარქვით ერთი დღის სამუშაო. პეტი წამოდგა. — რატომ რაიმეს არ წამოიცივამთ, ასე ხომ უფრო კომფორტულად იგრძნობთ თავს.

პრინცესას გაეღიმა. ამ ამბავს მეგობრებს მოუყვებოდა, ამბავი კი ნახატს მოუხდებოდა, თუ სურათი კარგი გამოვიდოდა, რაშიც ეჭვი ეპარებოდა.

— თქვენი მეთოდები უნდა გადასინჯოთ, — თქვა პრინცესამ, — ასეთი მიდგომით ბევრ წარმატებას აღწევთ?

პეტმა სიგარეტს მოუკიდა და დაჯდა.

— იცით, თვრამეტი წლისა რომ იყოთ, ჭკუას გასწავლიდით, თქვენს თავზე დიდი წარმოდგენა რომ დაგეკარგოთ.

— მაინც როგორ აპირებთ ჭკუას სწავლებას?

— ო, შეეშვით ამაზე ფიქრს, — ურჩია პეტმა, — თქვენ ხომ ჩემი დახატვა გინდოდათ, არა?

— დაახ.

— კეთილი, მაგრამ თუ ქალბატონს ყმანვილის დახატვა სურს, — პეტი დაიხარა და ფეხსაცმლის თასმები შეისწრა, ფეხისკვრით მოიცვალა ფეხსაცმელი და წინდებიანი ფეხები ტახტზე დააწყო, — როდესაც ქალბატონს სურს ყმანვილის ნახვა და ყმანვილს კიდევ ქალბატონისა, აქ ვერაფერი გააწყობს.

პრინცესამ ამოიოხრა.

— ჩანს საფანჯრაში გავები, — თქვა მან, — მაგრამ საქმე უფრო ძნელდება, როდესაც ქალბატონს ყმანვილის დახატვა სურს.

— როდესაც ქალბატონს ყმანვილის დახატვა სურს, — პეტმა ნახევრად მოხუჭა თვალები, თავი დააქნია და ხელები ექსპრესიულად შემოჰკრა. როდესაც ცერები მოულოდნელად აჭიმების ქვეშ ამოიღო, პრინცესამ ხმას აუშალა:

— ოფიცერო!

პეტის უკან ხმა გაისმა. შემობრუნდა და კარებში ხაკისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი დაინახა, შავი, პრიალა ხელთათმანებით.

— ოფიცერო, ეს კაცი მისტერ ტინკთან მუშაობს. მისტერ ტინკმა იგი ერთი შუადღით დამითმო!

პოლიციელმა შეხედა დამნაშავის სახით მომზირალ კაცს, რომელიც ტახტზე იწვა.

— გონზე მოხვედით? — იკითხა მან. — არ მინდა რამე დაგიშვადეთ, უსაფრთხოების პოლიციის განყოფილებას დაეურეკე. — მერე თითქოს პოლიციელის გასაგონად დააზუსტა: შიშველი უნდა დამეხატა და ახლა უარს ამბობს.

პრინცესა მოლბერტისკენ ისე წავიდა, ვითომც არაფერი.

— მისტერ ჰობ, რატომ არ შეწყვეტთ ამ უაზრო თავმდაბლობას, თურქულ პირსახოცს სააბაზანო ოთახში ნახავთ.

პეტი დაუფიქრებლად მიწვდა ფეხსაცმელს. უცბად თავში გაუელვდა, რომ „სანტა ანიტაში“ უკვე მერვე წრეს არტყამდნენ დოღში.

— ეი შენ, გაინძერი, — თქვა პოლიციელმა, — ხომ გაიგე, რა თქვა ქალბატონმა?

პეტი უაზროდ წამოდგა და პრინცესას ხანგრძლივი, გამჭოლი მზერით მიაშტერდა.

— თქვენ მითხარით, — უთხრა პეტმა ხრინწიანი ხმით, — თქვენ გასურდათ დაგეხატათ...

— თქვენ მითხარით, რომ კიდევ რალაცას ვგულისხმობდი. იჩქარეთ, თუ შეიძლება. ოფიცერო, სასმელი საკუჭნაოშია.

რამდენიმე წუთის შემდეგ, შუა ოთახში მჯდარი აცახცახებული პეტის მხსიერებაში ამოტივტივდა მისი სიყმანვილის შოუები — შიშველი გოგონებითა და სტრიპტიზით, თუმცა ამ წუთში ცოტა მსგავსებას თუ ხედავდა მათთან. ყოველ შემთხვევაში, თურქული პირსახოცისათვის მაღლიერი იყო, ახლაც კი, როდესაც ვერ გაიაზრა, რომ პრინცესა მისი შელახული სხეულით კი არ იყო დაინტერესებული, არამედ მისი სახით.

სახეზე კი ზუსტად ის გამომეტყველება აღბეჭდოდა, რომელიც კინოსტუდიის სასაუბრეში პეტის სახის დანახვამ მისი დახატვის სურვილი აღუძრა ქალს, იყო პოლიციელისა და ვაინის გამომეტყველება, რომელიც მისტერ დე ტინკის მეორე „მე“-ს გამოხატავდა. და პრინცესამ სწრაფად განაგრძო მუშაობა, ვიდრე ჯერ კიდევ დღის სინათლე ანათებდა.

თავგადასავალი ნორვეგიელი რაინდისა

რა კარგად უთქვამს რუსთველს: სად წაიყვან სადაურსაო... ათასჯერ, ასი ათასჯერ გამართლებულა ეს სიტყვები ბედშავ მოკვდავთა თავზე, ფრანგი იქნებოდა თუ ქართველი, მეფის გვირგვინი ამშვენებდა თუ ძონძებილა უთბობდა სხეულს. წუთისოფელი მკაცრი იყო ყოველი სულიერის მიმართ, სუსტსაც და ძალგულოვანსაც ერთნაირი დაუნდობლობით ეპყრობოდა. სად წაიყვან სადაურსაო — რომ სცოდნოდა უკვდავი ქართველი პოეტის ეს სტრიქონი, როგორ არ გაიმეორებდა ნორვეგიელი რაინდი, ჯვაროსნულ ლაშქრობათა მონაწილე, არაერთგზის დაჭრილი, დასახიჩრებულ-დაბრმავებული, როდესაც სულს ლევდა თავისი სამშობლოდან ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაღმა გადაკარგულ ტრაპიზონში, რომლის სახელი კაცს არ ეცოდინებოდა ეკესფიორდსა და სტავანგერში და არც ტრაპიზონში სმენოდათ ოდესმე ეკესფიორდი და სტავანგერი.

XIII საუკუნის ოციანი წლებია. ტრაპიზონში ეთხოვება სანუთროს ნორვეგიელი რაინდი და იხსენებს თავის მშფოთვარე ცხოვრებას, რომელიც უბრალო და უფათერაკო ეპილოგით მთავრდება ამ ზღვისპირა ქალაქში, სადაც უკანასკნელი თავშესაფარი და კეთილი მეგობრები უპოვია ესოდენ შორს მშობლიური ნორვეგიიდან.

„თუკი უფალი გამინვეს სადმე, თუნდაც დგებოდეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი წუთები, ძალას მოვიკრებ და დავემორჩილები, და თუკი ხვალ შინისაკენ მიხმობს, მყისვე გავეშურები ხალისით — დაე, აღსრულდეს ნება მისი“, — პათეტიკურად წარმოთქვამს ნორვეგიელი რაინდი.

ასე მთავრდება ინგლისელი მწერლის ევან ჯონის (1900-1953) რომანი „ხვალვე გაეშურე შინ“, რომელიც გამოქვეყნდა 1950 წელს ნიუ-იორკში და მოგვითხრობს ნორვეგიელი რაინდის — ანდრეს ვარინგერის თავგადასავალს.

წიგნის ანოტაციაში აღნიშნულია, რომ ავტორს შეჰყავს მკითხველი ახალსა და ნაკლებად ცნობილ სამყაროში, სადაც ევან ჯონი თავს ძალზე შინაურულად გრძნობს. გამომცემელთა აზრით, თითქმის ასწლიანი ისტორია ჯვაროსანთა იერუსალიმის სამეფოსი, რომელიც არსებითად წარმოადგენდა სხვა კონტინენტზე დანერგულ დიდ ევროპულ კოლონიას, ოთხი საუკუნით ადრე კოლუმბამდე, დღესაც დააინტერესებს მკითხველს. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ჩვენს წინაშეა მშვენივრად წარმოსახული და ამაღლებელი ისტორიული რომანი დიდად ნიჭიერი მწერლისა.

ევან ჯონს დასავლეთში იცნობენ, როგორც მსახიობს (ძირითადად, შექსპირის პიესებში შესრულებული როლებით), დრამატურგსა და რომანისტს. „ხვალვე გაეშურე შინ“ — მისი პირველი რომანია, გამოცემული შეერთებულ შტატებში.

ქართველ მკითხველსაც, ალბათ, დააინტერესებს ინგლისელი მწერლის ეს ნაწარმოები, ვინაიდან ჯვაროსნებს კარგად იცნობს ჩვენი ისტორია და, ამასთან, დასახელებული წიგნის ფურცლებზე ვხვდებით ქართველებსაც და საქართველოს მეფე თამარს.

რომანი დაწერილია პირველ პირში. უკვე მოხუცებული ანდრეს ვარინგერი თავად გადმოგვცემს მრავალი თავგადასავალითა და ათასნაირი ფათერაკებით დახუნძლულ თავის ცხოვრებას. რომანს ქვესათაურად აქვს „ჯვაროსნის ქრონიკა, ხელახლა მოთხრობილი ევან ჯონის მიერ“ და ბოლოსიტყვაობაშიც ავტორი გვარწმუნებს, რომ მან მხოლოდ თარგმნა ჯვაროსანი რაინდის ჩანაწერები და სიზუსტისათვის შეუდარა სათანადო საისტორიო წყაროებს.

ანდრეს ვარინგერი დაბადებულია 1163 წელს. ჩვიდმეტი წლისა რომ შეიქნა, სამშობლოდან გაქცევა მოუწია, რადგანაც იძულებული იყო ერწმუნა მისი მისამართით წამოყენებული ბრალდება — თითქოსდა უგონოდ მთვრალს მოუკლავს თავისი მამინაცვალი.

ნორვეგიელი ჭაბუკი თავს შეაფარებს ინგლისს, სადაც იოლად შეითვისებს ინგლისურ ენას, რამეთუ დედით შოტლანდიელია. მაგრამ ნორვეგიაში დანყებული უიღბლობანი ინგლისშიც გრძელდება. ანდრესი ჯერ რომინ ჰუდის ხელთ ჩავარდება, შემდეგ მოხვდება ჯონ უფლისწულთან (ძმა რიჩარდ ლომგულისა) და ყაჩაღად მიჩნეული ძლივს გადარჩება სასიკვდილო განაჩენს ერთი ინგლისელი რაინდის წყალობით. სასჯელად ბერის ჩოხას აკმარებენ და მოთმინებით იხდის თავის ეპიტომიას ბენედიქტელთა ორდენის მონასტერში. ბოლოს და ბოლოს სასჯელსაც გაუდის ვადა და ანდრესი მიჰყვება მძიმედ დასნეულებულ ახალ პატრონს „წმიდა მინის“ სახილველად, როგორც ფათერაკებს მონყურებული ჭეშმარიტი რაინდი.

როდესაც კუნძულ კვიპროსს ჩააღწევინ, ანდრესის ინგლისელი პატრონი კვდება. ანდრესი, სხვებთან ერთად, ჩადის ხმელთაშუა ზღვის პირას მდებარე ქალაქ ტვიროსში, მაგრამ იმედგაცრუებული რჩება. მისი პატრონის ყველა ქვეშევრდომი თავის გზას გაუდგა და არც ისე ადვილია ეუღლად ჩასვლა იერუსალიმში. ანდრესს შეიპყრობს მწარე ეჭვი, „წმიდა მინაზე“ არავის სჭირდება ჩემისთანა გულადი, მაგრამ გამოუცდელი ჯვაროსანიო. ამასობაში გაქრისტიანებული ებრაელი ექიმისგან შეიტყობს, რომ ტრაპოლის გრაფი რაიმონი დაჟინებით ურჩევს იერუსალიმის მეფე ბალდუინს სარკინოზებთან დაზავებას (კიდევ ერთი უიღბლობა — საომრად ჩასულ რაინდს ესე-და უნდაა!). ქალაქ აკრაში ანდრესი შეუერთდება ტამპლიერთა ნახევრადსამხედრო ორდენის ბერებს და ერთი მათგანი ცდილობს ნორვეგიელი ვაჟკაცის ცდუნებას „ფერადი სურათებით“. ანდრესი გადალახავს ამ ახალ უიღბლობასაც და საბოლოოდ ახერხებს იერუსალიმში ჩასვლას.

ტვიროსში გაცნობილ ექიმს მისთვის გაუტანებია სარეკომენდაციო ბარათი იერუსალიმის არქიეპისკოპოსის გიომ ტვიროსელის სახელზე. ამის მეოხებით ნორვეგიელი რაინდი საკმაოდ სწრაფად გაშინაურდება იერუსალიმის კეთილშობილთა ოჯახებში და ჩადგება კერაკის მფლობელ რენო დე შატილიონის სამსახურში.



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ანდრესს შეუყვარდება მშვენიერი ქალწული, სახელად ივეტა. იგი, თავისი ასაკის კვალობაზე, ერთობ ბრძნული სიტყვებით მიმართავს ახალგაზრდა რაინდს: „შენ ეძებ რაღაცას, რაც არ არსებობს, და ყველგან ეძებ, სადაც კი შენს ცხენს ძალუძს შენი წაყვანა“. ირკვევა, რომ ივეტა უკვე დანიშნული ყოფილა ერთ შეძლებულ რაინდზე საფრანგეთიდან, რომელიც ციხესიმაგრეს უშენებს მამამისს. მიჯნურობაში ხელმოცარული ანდრესი, თავის სიუზერენთან ერთად, ხალხით მიეშურება ხომალდის ჩასაშვებად მენამულ ზღვაში. ექსპედიცია მარცხით მთავრდება და რენო დე შატილიონი ისევ კერაკისკენ გასწევს, ხოლო ციხეებით დაავადებულ ანდრესს ადგილზე ტოვებს. ბედი მაინც გაუღიმებს ნორვეგიელ რაინდს და დაეპატრონება ერთ ციხესიმაგრეს, სადაც გაიცნობს რენოს ბრძანებით ენამოჭრილ მავრს, რომელსაც მუნჯ აარონს ეძახიან. იგი ხდება ანდრესის მზარეული და საჭურველთმცირთველი. უქმად გაივლის რამდენიმე თვე და ისინი მიემგზავრებიან კერაკს, მაგრამ გზაში შეიტყობენ, რომ რენო დე შატილიონის ციხე-ქალაქი ალყაშემორტყმულია ეგვიპტის სულთან სალადინის მიერ.

ამასობაში ანდრესს სტუმრად მიიწვევს იერუსალიმის მეფის ამალრიკის მეუღლე მარიამ კომნენოსი, ძმისწული ბიზანტიის განსვენებულ კეისარ მანოელისა, და ავალებს წასვლას კონსტანტინოპოლში ახალი კეისრის ანდრონიკეს ვარიანტა გვარდიის წევრად.

ნორვეგიელ რაინდს აინტერესებს, რით არის ნაკარნახევი ესოდენ მოულოდნელი წინადადება და მარიამი უამბობს შემდეგს: უზურპატორი, რომელიც ამჟამად ბატონობს კონსტანტინოპოლში, არაფრით ჩამოუვარდება ანტიქრისტეს. თუმცა ის კომნენოსთა გვარისაა, მაინც არ გააჩნია უფლება სამეფო გვირგვინზე, რომელიც ხელთ იგდო მხოლოდ ძალადობითა და ვერაგობით, თავისივე ნათესავების თვალების დათხრით, მოშობითა და მოწამვლით. „ერთხელაც იქნება და უფალი დასჯის მას ამდენი დანაშაულისათვის“, — წარმოთქვამს მარიამი და განაგრძობს: ანდრონიკეს კარგი ურთიერთობა აქვს დამყარებული მაჰმადიანებთან და, შესაძლოა, საიდუმლო პაქტიც კი დარო სულთან სალადინთან. თავის დროზე, სამშობლოდან სამართლიანად გაძევებულმა ანდრონიკემ მრავალი წელი გაატარა სარკინოზთა ქალაქებში, სადაც თავს იქცევდა უზნეო ცხოვრებით. ბოლოს დაბრუნდა კონსტანტინოპოლში, მოკლა კეისარ მანოელის მემკვიდრე და კეისრის ტახტზე ავიდა. ანდრონიკე იყენებს თავის ძალაუფლებას დასავლეთის ქრისტიანთა წინააღმდეგ, სპობს ყოველგვარ კავშირს ფრანკებსა და ბიზანტიელებს შორის, და ნებას აძლევს სარკინოზებს, რომ მათ შეარყიონ ქრისტიანული სამყაროს აღმოსავლეთის კედლები.

ნორვეგიელი რაინდი მოსასმენად დაიბარეს და არა სალაპარაკოდ, თორემ ჰკითხავდა დედოფალს: ბიზანტიის კეისარს, მრავალრიცხოვანი ჯარისა და ფლოტის პატრონს, უბრალო ფრანკი მეომარი რისი იმედით უნდა შევებრძოლოო?!

თითქოსდა საფიქრალს მიუხვდაო, მარიამი აუწყებს ნორვეგიელ რაინდს, რომ კონსტანტინოპოლში და სხვაგანაც გაბმულია შეთქმულთა ქსელი და ისინი ემზადებიან ანდრონიკეს დასამხობად, რასაც მოჰყვება ბიზანტიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის შეცვლა და აღმოსავლეთ-დასავლეთის ქრისტიანთა კავშირის განმტკიცება მაჰმადიანთა წინააღმდეგ.

„როგორც მომიახსენეს, შენ არა ხარ ის ადამიანი, ასეთ შემთხვევას ხელიდან რომ გაუშვებო“, — მარიამი ამ სიტყვებით უთაფლავს გულს ნორვეგიელ რაინდს. თურმე შეთქმულებს ერთადერთი რამ აკლიათ — თავისი კაცი კეისრის გვარდიაში, და ეს საპატიო დავალება ანდრესმა უნდა იტვირთოს. „პირდაღებული ვუსმენდი“, — ამბობს ანდრესი. მისივე სიტყვით, იმ წლებში ბიზანტიის კეისრის გვარდია ჯერ კიდევ არ იყო დაკომპლექტებული ინგლისელებითა და გერმანელებით; მის ძირითად ბირთვს შეადგენდნენ ვარიანტები, სახელდობრ — ნორვეგიელი, დანიელი და შვედი ვიკინგები. სხვა ეროვნების რა-

ინდს, რომელიც მოინანიებდა ხსენებულ გვარდიაში ჩარიცხვას, უთუოდ ეჭვის თვლით შეხედავდნენ. „შესაძლოა მე ვიყავი ერთადერთი ნორვეგიელი სირიაში, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა მარიამს. ამიტომაც მთლად ფანტასტიკური აღარ მეჩვენა მისი წინადადება“, — დაასკვნის ანდრესი. ახლა ისლა აწუხებს, რომ ჯამაგირს, ბინასა და პრივილეგიებს მიიღებს იმ კაცისაგან, რომლის დასამხობად უნდა იღვანოს მისივე მტრების მხარდამხარ, და ამგვარად იძულებული იქნება გატეხოს ერთგულების ფიცი. ანდრესი ჭოჭმანობს, მაგრამ მარიამ კომნენოსი მოთმინებით უხსნის, თუ როგორი გზებით მიაღწია ანდრონიკემ კეისრობას და ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთი მხეცის წინაშე დადებული ერთგულების ფიცის შენახვაზე.

ანდრესი უსიტყვოდ უქნევს თავს თანხმობის ნიშნად, მერე კი თითქოსდა მოჯადოებული იჩოქებს და ეამბორება დედოფლის გამონვდილ ხელს.

იერუსალიმში ყოფნისას ნორვეგიელი რაინდი ესტუმრება ჯვრის მონასტერს იმ იმედით, რომ იქ მყოფი ბერძენი ბერები დაეხმარებიან მას თავსატეხის გადჭრაში (გულისხმობს კონსტანტინოპოლში გამგზავრებას). მაგრამ ირკვევა, რომ ჯვრის მონასტერში ბინადრობენ არა ბერძენები, არამედ სხვა მოდემისანი, რომელთაც „ზოგი ეძახის იბერიელებს და ზოგიც — გეორგიანებს. მათ უჭირავთ ძლიერი ციხესიმაგრეები კავკასიის მთიანეთში სარკინოზთა და ჩრდილოეთის წარმართთა წინააღმდეგ. შემდგომ წლებში უფრო მეტი შევიტყვე მათ შესახებ, მაგრამ მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ესაა გულადი ხალხი, ვისაც ქრისტიანული სამყარო, ერთ მშვენიერ დღეს, უკეთესად გაიცნობს“.

ანდრესი შენიშნავს, რომ ჯვრის მონასტრის ქართველი წინამძღვარი უფრო მხედარს ჰგავდა, ვიდრე ხუცესს. მაგრამ როდესაც შესთავაზეს, ხვალ სანადიროდ წამობრძანდითო, მან მორჩილად მიუგო: ჩემი საქმე ლოცვანი არისო. მერე დასძინა: თუკი სანადიროდ მიდიხართ, მეგზურს გაგაყოლებთო. ჩვენმა მწყემსებმა გვითხრეს, ცხვრის ფარებს ლომი შემოეჩვივა და ვინ იცის, ეგებ უფალმა სწორედ თქვენ მოგავლინათ ამ მტაცებლის მოსასპობადო.

ანდრესი (ცდილობს წინამძღვრის ჩათრევას საუბარში ბიზანტიისა და მისი კეისრის შესახებ. მან იცის, რომ კეისარი ზოგჯერ მტერია ქართველებისა და უფრო ხშირად — მეგობარი და მოკავშირე ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში. „მაგრამ მისი სახე გაქვავდა, როდესაც ვახსენე ანდრონიკე“, — ამბობს ნორვეგიელი რაინდი და დასძინა: ქართველ ბერს, ეტყობა, ბიზანტიელები არ ეჭაშნიკებოდაო. მას ერთი სიტყვაც არ დაუძრავს მათი სახელმწიფო საქმეების თაობაზე. **სამაგიეროდ უამბო ანდრესს ლეგენდები განსვენებული ქართველთა მეფის დავით ზაგრატიონის შესახებ, რომელიც იყო „გულმონყალე რაინდი, კეთილი ქრისტიანი და, რაც მთავარია, ძლევაშობილი მონარქი“.** წინამძღვარი აუწყებს ნორვეგიელ რაინდს, რომ დავით აღმაშენებელმა შეძლო მაჰმადიანთა განდევნა თავისი სამშობლოდან და ქრისტიანთა გაერთიანება დამოუკიდებელ და ძლიერ სამეფოში, რაც ესპანეთის ხელმწიფეებს დღემდე ვერ მოუხერხებიათო.

წინამძღვარი მიდის თავის სენაკში საღამოს ლოცვების სათქმელად, ხოლო ანდრესს ვარინგერსი ძილის წინ ფიქრობს: როდელ დიდია ქვეყნიერება და რაოდენ მცირეა ჩემი ცოდნაო.

ნორვეგიელმა რაინდმა ჯერ არც იცის, რომ სულ მოკლე ხანში პირადად გაიცნობს ამ გულადი ხალხის (ზოგი იბერიელებს რომ ეძახის და ზოგიც — გეორგიანებს) სახელოვან მეფე-ქალს, მთელს დუნიაზე სახელგანთქმულ თამარს, ვისი სიდიადე თვით ნიზამი განჯელს ამგვარად შეუქია: მან თითისტარი შუბად აქციაო... და არც ის იცის ანდრესმა, რომ უნებურად გახდება მონმე იმისა, თუ სად და როგორ დაიბადა ბინძური ცილისწამება უსათნოესი მზექალის შესახებ, დაიბადა და შველქადა გაჰყვა საუკუნეებს, რათა ბოლოს და ბოლოს ლერმონტოვის ლექსში ამოეყო თავი.